

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მაია ნაჭყებია

„ქარო, სად მისწვდე, მიიღე ამბავნი არ სამრუდენი...“

ქეთევან წამებული XVII-XVIII სს
ქართულ და ევროპულ
მწერლობასა და ისტორიულ წყაროებში

თბილისი
2024

Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Maia Nachkebia
“Wind, take this true story wherever you reach...”
Ketevan the Martyr in Georgian and European Writings and
Historical Sources of the XVII-XVIII Centuries

რედაქტორი ფმდ ირაკლი კენჭოშვილი
პროექტის კოორდინატორი ეკა ჩიკვაძე



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

ნაშრომი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში (№ SP-23-825).

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) within the framework of the Scientific publication grants (№ SP-23-825).

© მაია ნაჭყებია, 2024

სტამბა „ფავოტიტი სტილი“

თბილისი 2024

ISBN 978-9941-8-6609-8

შესავალი

ქეთევან წამებული სრულიად განსაკუთრებული ფიგურაა საქართველოს ისტორიაში: გამჭვირავი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი საქართველოს ისტორიის უმძიმეს პერიოდში მოღვაწეობდა: ეს მაშინ როდესაც საქართველოს გარშემო რამდენიმე დიდი სახელმწიფოს ინტერესები იკვეთებოდა. ურთულესი პერიპეტეებითა და ტრაგიკული მოვლენებით აღსავსე ამ ეპოქაში ქეთევან დედოფალმა სარწმუნოებისადმი ერთგულების უმაღალითო სიმტკიცე გამოიჩინა და ამით დიდწილად განაპირობა კიდევ საქართველოს შემდგომი ბედი. 400 წლის წინ, 1624 წელს, შაჰ-აბას პირველის ბრძანებით ქეთევან დედოფალი სასტიკად აწამეს შირაზში.

წმინდა დიდმოწამის, კახეთის დედოფლის ქეთევანის ხსენების დღედ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 13 სექტემბერი (26 სექტემბერი ახ. სტილით) დააწესა.



საქართველოსა და ევროპის ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი კარდინალური პრობლემაა. დღეს, როდესაც რეალური ისტორიული ვითარების პირობებში საქართველო ევროპული სივრცის შემადგენლობაში მოიაზრება, ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან საუკუნეთა მანძილზე საქართველო დასავლეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბერძნეთის, შემდეგ კი ბიზანტიის მეშვეობით, სამწუხაროდ კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ეს კავშირი შეწყდა, მაგრამ, „როგორც არაერთგზის აღინიშნა, ისტორიული ავბედობით საქართველო თუმცა დიდი ხნით იყო მოწყვეტილი ევროპის ცივილიზაციას და კულტურას მაგრამ არასოდეს ყოფილა მთლიანად მისგან იზოლირებული“ (ლაშქარაძე 1977: 3). ის, რომ საქართველო ევროპისგან მთლიანად იზოლირებული არ ყოფილა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას განსაკუთრებით XVII საუკუნიდან მოყოლებული, რადგან სწორედ ამ ისტორიულ მონაკვეთში – XVII საუკუნეში – გამოჩნდა ევროპის დიდი დაინტერესება საქართველოთი. ეს დაინტერესება თავის ფაქტიურ დადასტურებას პოულობს როგორც ევროპულ დიპლომატთა, მისიონერთა, თუ მოგზაურთა ნაწერებში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში. ამ ისტორიული ვითარების გამო, ბუნებრივია, ახალი დროის ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლაში ათვლის წერტილად თეიმურაზ პირველის დრო ითვლება (ლაშქარაძე 1977: 29-34).

ევროპის მხატვრულ ლიტერატურაში ქართული თემის შეჭრა, პირველ ყოვლისა, ისეთ დიად ისტორიულ პიროვნებასთან არის დაკავშირებული, როგორიც ქეთევან დედოფალია, დედა თეიმურაზ პირველისა. 1624 წელს სპარსეთის შაჰის კარზე ქართველი დედოფლის მოწამებრივი აღსასრულის ისტორიულმა ფაქტმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების როგორც ისტორიული ხასიათის, ასევე მხატვრულ თხზულებებში. ესაა ქვეყნები, რომლებიც ამ ეპოქაში განსაკუთრებით დაინტერესდნენ აღმოსავლეთით: იტალია, პორტუგალია, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, ინგლისი. განსაკუთრებული მეცნიერული ინტერესი გამოიწვია ისეთმა ნაშრომებმა, როგორებიცაა პორტუგალიელი ავგუსტინელი ბერის, ამბროზიო დუშ ანჟუმის „ნამდვილი ცნობები საქართველოს შესახებ“ – 1625 წ., დომინიკანელი ბერის გრეგორი ორსინოს ვრცელი მოხსენება საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ – 1626 წ., იტალიელი მოგზაურისა და მწერლის პიეტრო დელა ვალეს თხზულებები – 1626-29 წწ., ფრანგი ისტორიკოსისა და მწერლის კლოდ მალენგრის „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“ – 1625 წ., პოლშტაინელი მწერლისა და დიპლომატის ადამ ოლეარიუსის მოგ-

ზაურობა. მთავარი ისაა, რომ ზოგიერთი დასავლეთევროპელი ავტორის მიერ გადმოცემულ ისტორიულ მასალას პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება მთელი რიგი საკითხების გარკვევაში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქეთევანის თემა მხატვრულ ლიტერატურაშიც ნახა გამოძახილი, თანაც ისეთი ცნობილი მწერლის შემოქმედებაში, როგორიც გერმანული დრამატურგიის ფუძემდებელი, „გერმანელ შექსპირად“ წოდებული ანდრეას გრიფიუსია. ამასთან აღსანიშნავია, რომ მისი ტრაგედია საქართველოს თანადროული ისტორიიდან ისეთი სათაურით მოველინა ევროპულ ლიტერატურას, როგორიცაა „კატერინა (ქეთევან) ქართველი, ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“. ეს სათაური უკვე შეიცავდა იმ ზნეობრივ პოტენციალს, რომელიც ზოგადად საქართველოს მიმართ მწერლის დამოკიდებულებას გამოხატავდა.

ევროპის მხრიდან ქართული თემით დაინტერესება ქართველ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში სხვადასხვა კუთხით მოექცა, ამ საკითხთა შესწავლასა და მეცნიერულ დამუშავებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ქართველ მეცნიერებს: ზურაბ ავალიშვილს, არსენ ბიბაჩაძეს, დავით ლაშქარაძეს, ილია ტაბაღუას, ნატალია ორლოვსკაიას, თამაზ ნატროშვილს, მერი გუგუშვილს, შოთა რევიშვილს, ირაკლი კენჭოშვილს. მათი ნაშრომები ამ საკითხთა შესწავლაში მტკიცე ფუნდამენტს ქმნის საქართველო-ევროპის როგორც ისტორიულ-დიალომატიური, ისე ისტორიულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლაში.

XVII საუკუნის ევროპული მასალები ქეთევან დედოფლის შესახებ ფაქტობრივად ოციან-ორმოცდაათიან წლებს განეკუთვნებიან. აღმოჩნდა, რომ საუკუნეთა მიჯნაზე ეს თემა კვლავ მოექცა ევროპელთა ყურადღების არეში: ამჯერად 1701 წელს, ცენტრალურ ევროპაში, სლოვაკეში მდებარე ქალაქ სკალიცაში, რომელიც იეზუიტთა ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, დაიწერა და დაიდგა ანონიმი სკალიცელი იეზუიტის პიესა ქეთევან დედოფლის შესახებ სათაურით „კატერინა [ქეთევანი], ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემეკული, სცენაზე წარმოდგენილი“ / „Katerina, královná gurziánská vlastní krví ozdobená, na divadlo predstavená, რომელიც ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის აქამდე უცნობი იყო. ეს ნაწარმოები ე.წ. „სასკოლო პიესათა, სასკოლო დრამათა“ ჟანრს მიეკუთვნება, რომელსაც განსაკუთრებული ზნეობრივ-აღმზრდელობითი ფუნქცია ეკისრებოდა რეფორმაციისა და კონტრეფორმაციის დაპირისპირების პერიოდში, რომელიც უნგრეთის სამეფოში მძვინვარებდა.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც საგანგებო კვლევის საგანია, არის ანონიმი სკალიცელი იეზუიტის პიესის ორიგინალობის საკითხი. საყურადღებოა, რომ ამ პიესის ანონიმი ავტორი ასახელებს ორი ისტორიული

ხასიათის წყაროს, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა პიესა. ერთი მათგანი ადამ ოლვარიუსის ნაშრომი – ქართველ მეცნიერთათვის ცნობილია, მეორე კი არის გერმანელი იეზუიტის იოჰანეს ბისელიუსის ისტორიული ხასიათის თხზულება, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ იყო. ჩვენ ამ წიგნს 1989 წელს მივაკვლიეთ მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკის ძველი წიგნების განყოფილებაში. ამ წიგნს და ბისელიუსის მასალა ნაშრომში გაანალიზებულია გამოკვლევის მიზნის შესაბამისად. შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნეში ევროპამ ხელახლა, მრავალი საუკუნის შემდეგ, ისევ „აღმოაჩინა“ საქართველო. ამიტომ მნიშვნელოვანია, რა სახით არის საქართველო და ქართველი პიროვნება წარმოდგენილი და აღქმული ამ ისტორიული და მხატვრული სახის მასალაში მორალურ შეფასებათა ასპექტით, რას წარმოადგენს საქართველო XVII საუკუნის ევროპულ შემეცნებაში.

ევროპაში ქეთევან დედოფლის თემაზე შექმნილმა ლიტერატურამ ქართულ ისტორიოგრაფიულ და ლიტერატურათმცოდნეობით მეცნიერებაში მრავალმხრივი ინტერესი აღძრა, რის საფუძველზეც შეიქმნა მრავალი გამოკვლევა, რამაც შესწავლა და ძირითად საკითხთა გამოყოფა დააყენა დღის წესრიგში. აქ ძნელია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ისტორია და მხატვრული ლიტერატურა, რადგან ისინი თემატიკის სპეციფიკის გამო მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამავე დროს სათანადო ყურადღება მოითხოვს იმ ლიტერატურული ეპოქის სპეციფიკამაც, როდესაც შეიქმნა ქეთევან დედოფლის თემისადმი მიძღვნილი დრამატული ნაწარმოებები.

XVII საუკუნე ევროპაში არსებითად ბაროკოს სტილით არის აღბეჭდილი, რომლის ერთ-ერთ თავისებურებას ის შეადგენს, რომ მან წინ წამოსწია მორალური გმირის ძიების თემა. ქეთევან დედოფლის თემა სწორედ ამ თვალთახედვით იქცა ევროპული მწერლობის საგანგებო ყურადღების საგნად, როგორც ზნეობრივი გმირის განსახიერებასა. იგი მთელი თავისი არსებით უპირისპირდება ტირანიას, რომელიც ისტორიულ მასალათა შესაბამისად შაჰ-აბასის სახეში არის განხორციელებული. ქართველი დედოფალი მოწამებრივ სიკვდილს ეზიარა მტარვალის ნებით, მაგრამ მის მიერ გამოვლენილმა გაუტეხელმა სიმტკიცემ, ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულებამ, პატრიოტიზმმა, საკუთარი მეობის დაცვამ აღამაღლა იგი სპარსეთის უძლიერეს შაჰზე; მტარვალი დამარცხდა, მსხვერპლმა მარადიული გამარჯვება მოიპოვა.

არის მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა საგანგებო კვლევა-ძიება არსებული ისტორიული მასალის დეტალურ ანალიზს მოითხოვს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ქეთევანის სარწმუნოებრივი კრედოს საკითხი,

რადგან სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, თითქოს წამების წინ მან მართლმადიდებლობა მიატოვა და კათოლიკობა აღიარა. ამ საკითხთან დაკავშირებით წინამდებარე ნაშრომში განხილულია ევროპული და ქართული შესაბამისი ისტორიულ-დოკუმენტური მასალა და გამოტანილია დასკვნა. იგივე ითქმის ქეთევანის მიმართ სპარსეთის შაჰის სიყვარულის მოტივის შესახებ, რამაც ქეთევანის თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში ტრაგიკული კვანძის შემკვეთი მოტივის როლი შეასრულა.

თავი I.

ეპოქის ისტორიული მიმოხილვა.

მართებულად მიგვაჩნია წიგნში განხილული ეპოქის ისტორიულ მომხილვა უფრო შორიდან, XVI საუკუნიდან დავიწყოთ, კინაიდან გვსურს საქართველოსა და ევროპისთვის ერთი მნიშვნელოვანი თარიღის გამოყოფა და ხაზგასმა, რომელმაც ჩვენი აზრით მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც საქართველოს, ისე ევროპის შემდგომი ისტორიული მოვლენების განვითარებისთვის. ეს თარიღი არის 1555 წელი. სწორედ 1555 წლის ამასიის სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველო ირანმა და ოსმალეთმა გაიყვეს, აღმოსავლეთი ერგო ირანს, ხოლო დასავლეთი კი – ოსმალეთს და საქართველოს გამუსლიმანების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ამავე 1555 წელს იდება აუსბურგის რელიგიური ზავი. ეს ზავი გაფორმდა რომის იმპერიის ლუთერანულ და კათოლიკურ სუბიექტებს შორის და მიღებული იქნა პრინციპი: „cuius regio, eius religio“ - „ვისიც არიც მიწა, იმისი არის რელიგიაც“. თუმცა მან ვერ იხსნა ევროპა ოცდაათწლიანი ომისგან.

XVII საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე უმძიმესი და ურთულესი ხანაა საქართველოს ისტორიაში, რომელიც ტრაგიკული მოვლენებით არის აღბეჭდილი. XVI საუკუნის დასასრულს საქართველო უკვე აღარ იყო მთლიანი და ძლიერი სახელმწიფო, როგორც XII საუკუნეში, თამარის დროს. ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა სამი სამეფო: ქართლი, კახეთი, იმერეთი და ოთხი სამთავრო: სამცხე-საათაბაგო, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი. XVII საუკუნის დასაწყისისთვის უაღრესად რთული იყო საქართველოს საგარეო მდგომარეობა, იმხანად საქართველოს მეზობელი დასავლეთით ძლიერი მაჰმადიანური სახელმწიფო ოსმალეთი (დღევანდელი თურქეთი იყო), აღმოსავლეთით კი – სეფიანთა ირანი იყო.

XV-XVI საუკუნეებში ირანსა და ოსმალეთს შორის გაუთავებელი ომები წარმოებდა, ეს ომები კი ხშირად საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა: ქართველები ხან ირანს ებრძოდნენ, ხანაც – ოსმალეთს. მშვიდობა საქართველოში არც მაშინ მყარდებოდა, როდესაც ირან-ოსმალეთი დაზავდებოდა და საქართველოს ერთმანეთში გაიყოფდა, რადგან ქართველები არცერთის პრეტენზიას არ ცნობდნენ. 1555 წელს, ორმოცდაათწლიანი ომის შემდეგ ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო.

ზავის პირობების თანახმად დამპყრობლებმა საქართველო შუაზე გაყვეს: აღმოსავლეთი საქართველო ირანს ერგო, ხოლო დასავლეთს ოსმალეთი დაეპატრონა, საქართველო ამ გაყოფას არ ცნობდა და ისევ განაგრძობდა ბრძოლას და თანდათანობით სუსტდებოდა. ერთადერთი დიდი მეზობელი, რომელთანაც საქართველოს მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა, რუსეთი იყო. XVI საუკუნის შუა წლებში რუსეთმა ყაზანისა და ასტრახანის სახანოები შეიერთა, ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზაზე გაბატონდა და კასპიის ჩრდილო სანაპიროზე გამოვიდა. ქართველ სახელმწიფო მალე ვაწეებს რუსეთის დახმარება სჭირდებოდათ ოსმალეთსა და ირანის აგრესიისგან თავის დასაღწევად, რუსეთს კი საქართველო იმავე ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში რეალურ მოკავშირეებად ესახებოდა. იმდროინდელი რუსეთის ინტერესები მოითხოვდა, რომ ამიერკავკასიაში ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოს ეარსება, რომელიც მისი მეტოქეების – ირანისა და ოსმალეთისთვის წინააღმდეგობის გაწევას შეძლებდა. საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა XVI საუკუნის 80-იან წლების მიწურულს განახლდა, კახეთის მეფემ – ალექსანდრე მეორემ 1587 წელს რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი მიიღო, ხოლო 1589 წელს რუსეთის მეფემ მას „წყალობათა წიგნი“ გამოუგზავნა (ჯამბურია 1964: 11-19). შაჰ-აბაზს რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიაში უფრო სახიფათოდ ეჩვენებოდა, ვიდრე ოსმალეთისა. 1602 წელს ალექსანდრეს მიერ რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცის მიღებას შაჰი აშკარა ღალატად თვლიდა. რუსეთთან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ რუსეთს რაიმე რეალური დახმარება საქართველოსთვის არ აღმოუჩენია.

XVII საუკუნის დამდეგიდან სპარსეთის სახელმწიფოს სათავეში მრისხანე და ვერაგი შაჰ-აბას I მოექცა, რომლის მმართველობის დროსაც ქვეყანა თანდათან უფრო გაძლიერდა. შაჰის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ოსმალების განდევნა შეადგენდა; აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აღმოსავლეთ საქართველოს ენიჭებოდა, რადგან საქართველოს დაპატრონებით სპარსეთის შაჰს სურდა მომავალში უზრუნველყო თავისი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა საქართველოს მხრიდან მოსულ დამპყრობელთაგან. ამასთან ერთად XVI საუკუნის ბოლო ხანებიდან შაჰ-აბასს საქართველოში ახალი მეტოქე გამოუჩნდა ძლიერი რუსეთის სახით, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისიდან დიდი მონღოლებით ცდილობდა აღმოსავლეთ საქართველოდან სპარსეთის განდევნას. ამრიგად, ამ დროიდან საქართველოში სამი დიდი სახელმწიფოს – სპარსეთის, ოსმალეთის, რუსეთის – პოლიტიკური ინტერესები შეეჯახა ერთმანეთს და შექმნილი ისტორიული ვითარების გამო ქართლ-კახეთი საომარ ასპარეზად იქცა.

თავისი ქვეყნის ტრაგიკული ბედი სრულად გაიზიარა კახეთის დედოფალმა, თეიმურაზ პირველის – მეფისა და პოეტის – დედამ ქეთევან წამბეულმა. ეს უდიადესი პიროვნება იქცა სიმბოლოდ საქართველოს ქედუხრელი ბრძოლისა უცხოელ აგრესორთან, რომელსაც ქართველი ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი „ვეშაპს განძვინებულს“ (ეგნატაშვილი 1959: 400) ადარებს; მისივე თქმით, „შაბას კაცი ზვანჯიანი და დაუნდობარი და ილათიანი იყო“ (ეგნატაშვილი 1959: 391).

„საშინელი იყო შაჰ-აბასის მეფობა საქართველოსთვის და ქართველი ერისათვისაც – წერს ივანე ჯავახიშვილი – მისი მთელი პოლიტიკა ვერაგობითა და სისხლის გაუმაძღრობით იყო აღსავსე... მრავალჯერ გამოსცადა საქართველომ აბას I-ის მრისხანების და ვერაგობის მთელი საშინელება, მაგრამ 1614, 1616, 1623 წწ. იყო შემზარავი“ (ჯავახიშვილი 1967: 342). მრავალმხრივ საყურადღებოა საქართველოს ამ დაუძინებელი მტრის ის დახასიათება, რომელსაც მას ივანე ჯავახიშვილი აძლევს: „დიდი სახელმწიფო მოღვაწის უტყუარ ნიჭთან ერთად მას თანდაყოლილი ჰქონდა პირადი ხასიათის ისეთი თვისებები, რომლებიც მას ხშირად ადამიანურ სახეს უკარგავდნენ და კაცურ ქცევას ავიწყებდნენ. შაჰ აბასი მცირე რამის გამოც ისეთს თავშეუკავებელს მრისხანებას იჩენდა ხოლმე, ისეთი ხშირად უაზრო სისხლისღვრა, შემადრწუნებელი ვერაგობა და შემზარავი შურიძიება იცოდა თავის ახლობელთა წინაშეც, რომ უნებლიედ მისი გონებრივი ნორმალურობის შესახებ ეჭვი იბადება“ (ჯავახიშვილი 1967: 341-342). შაჰ-აბასის ამ უსაზღვრო დაუნდობლობის და მტარვალობის ერთ-ერთი მეტყველი მაგალითია, რომ „მან გამაჰმადიანების უარყოფისათვის აწამა კახთა მეფის თეიმურაზ I-ის მოხუცი დედა, ქეთევან დედოფალი“ (ჯავახიშვილი 1967: 342).

ქეთევანი – კახეთის მეფის ალექსანდრეს ძის, დავითის მეუღლე – აშოთან მუხრან ბატონის ასული იყო. მისი დაბადების თარიღი ზუსტად ცნობილი არ არის და მკვლევართა ვარაუდით იგი 1570-1575 წლებს შორის პერყეობს და სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ბოლო – 1575 წელი იქნა მიჩნეული ქეთევანის დაბადების თარიღად, თუმცა ზოგიერთი ისტორიული ფაქტის გათვალისწინებით ეს თარიღი ეჭვს იწვევს (გუგუშვილი 1981: 6-7). ქეთევან დედოფლის დაბადების თარიღთან დაკავშირებით აღსანიშნავია მათემატიკოს გიორგი სარაჯიშვილის მიერ ამ მიმართულებით გაწეული შრომა, დაწვრილებითი ანალიზისა და კვლევის საფუძველზე მან შემდეგი თარიღი დაადგინა: 1573 წლის 11 მარტი (სარაჯიშვილის 2017: 17)¹. 1589 წელს ქეთევანი და დავითი დააქორწინეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ შეეძინათ ვაჟი – თეიმურაზი, შემდგომში კახეთის მეფე. 1601

¹ სარაჯიშვილის კვლევის შესაბამისად, გადაინაცვლა ქეთევანი დაქორწინების თარიღმაც, 1589 წლის ნაცვლად იგი მიუთითებს 1587 წელს (სარაჯიშვილი 2017: 17).

წელს დავითმა მამას – ალექსანდრეს – სამეფო ინსიგნიები მოსთხოვა და თავად გამეფდა. როგორც „ახალი ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, „ესე დავით იყო კაცი მრისხანე და ამაყი“, ზოლო მისი ძმა „გიორგი იყო კაცი შუენიერი ზილვითა და კეკლუცი, და ყმათათვის კეთილი და უხვი“, რის გამოც კახელნი „უმეტეს მისდა მიილტვოდნენ, ვიდრე დავითისა“. გიორგის მომხრეებმა შეთქმულება მოაწყეს დავითის წინააღმდეგ, მაგრამ შეთქმულება გამომჟღავნდა და დავითმა გიორგი „თორღას ციხეში პატიმარ ყო“, მისი მომხრეები კი ზოგი დახოცა, ზოგი დააპატიმრა. დავითმა სულ ექვსი თვე იმეფა, რადგან „მოევლინა რისხვა ღმრთისა მამისა უსამართლობითა და მოკუდა“. ტახტზე კვლავ ალექსანდრე დაჯდა და გიორგი ციხიდან გამოიყვანა. ხანდაზმული მეფე შაჰ-აბასმა სპარსეთს იახლა და კახეთს ალექსანდრეს უმცროსი ვაჟი განაგებდა. რადგან „ახსოვდა ოდეს დაიჭირა დავით ძმა მისი გიორგი და დაეტყვევა ციხესა შიგან, ემინოდა ქეთევანს ძმისა მისა მისთვის და წარგზავნა ყრმა თვისი ყანთან შიშისაგან გიორგისა“; თუმცა თეიმურაზი ყმაწვილობიდან სპარსეთში იზრდებოდა, შაჰმა მაინც ვერ შეძლო მისი გამაჰმადიანება (ეგნატაშვილი 1959: 381-382). საქართველოს დასაპყრობად შაჰ-აბასი მრავალხერხს მიმართავდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ კახეთს გაგზავნა მასთან ყრმობიდან გაზრდილი და გამაჰმადიანებული კონსტანტინე, უფროსი ვაჟი ალექსანდრესი და მამისა და ძმის მოკვლა დაავალა, რათა თვითონ გამეფებულიყო. კონსტანტინემ შეასრულა საზარელი დავალება, შემდეგ კი თავის რძალს – ქეთევანს – ცოლობა მოსთხოვა: „შეგირთავ ცოლად და შენცა მორჩილი მექმენ, რამეთუ ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულად მაჰმადისა“. შეძრწუნებულმა ქეთევანმა კახელებს ამ უკეთური საქმის წინააღმდეგ თანადგომა სთხოვა, და „მაშინ მისცეს კახთა პირობა და შეჰფიცეს, რომ შენს მეტი ბატონი ჩვენ არ გვინდაო. და შეიყარნენ და წარიდნენ და შეებნენ. და მისცა ღმერთმან ძლევა ქეთევანს და გენემარჯუა კონსტანტინეს ზედა: და მოკლეს კონსტანტინე კახთა და გამოაქცივეს ჯარი ყიზილბაშთა“ (ეგნატაშვილი 1959: 383) – ასე ლაკონიურად გადმოგვცემს ამ დრამატიულ ამბავს ბერი ეგნატაშვილი.

ამის შემდეგ შაჰ-აბასმა კვლავ ვერაგობას მიმართა: რადგან მისი განზრახული საქმე ჩაიშალა, ყველაფერი კონსტანტინეს გადააბრალა და „აგინა დიდად კონსტანტინე“ (ეგნატაშვილი 1959: 383), რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „იყო კაცი მცბიერი და მოყუარე მზაკუარებისა, მცთუნებელი კაცთა და მატყუარი“ (ეგნატაშვილი 1959: 381). იმის შიშით, რომ კახეთში ქართლის მეფე გამეფდებოდა, 1606 წელს შაჰ-აბასმა თეიმურაზი კახეთს გაგზავნა: „და გაბატონდა თეიმურაზი“ (ეგნატაშვილი 1959: 383). ამ დროს კახეთის სამეფოს ფაქტიური განმგებელი ქეთევან ღედოფალი იყო.

1613 წელს შაჰ-აბასმა ოსმალეთთან ომის დაწყების საბაბით თეიმურაზს მძევლები მოსთხოვა. თეიმურაზი დიდებულთა მოთხოვნით იძულებული გახდა შაჰისათვის თავისი ვაჟები – ლევანი და ალექსანდრე მიეცა მძევლებად და თავისი დედაც აახლა. აქედან იწყება ქეთევანის ცხოვრების უმძიმესი პერიოდი – ათწლიანი ტყვეობა სპარსეთში.

რადგან თეიმურაზი თავად არ ეახლა შაჰს, განრისხებულმა მტარვალმა 1614 წელს საშინლად გააპარტახა კახეთი – ეს იყო შაჰ-აბასის პირველი შემოსევა კახეთში. 1615 წელს კახეთი აჯანყებამ მოიცვა, თეიმურაზმა შეძლო ყიზილბაშთა დამარცხება; ამის პასუხად 1616 წელს შაჰ-აბასმა ისეთი უმაგალითო და გაუგონარი რბევა მოაწყო, რომ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. კახეთმა ამ შემოსევისას თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა: ბევრი მტერს შეაკვდა, დანარჩენი კი შაჰმა ირანში ტყვედ წაიყვანა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაასახლა, რათა მათი ნაძალადევი ასიმილაცია გაადვილებოდა. ტყვეთა უამრავი მასიდან მხოლოდ ფერეიდანში დასახლებულმა ქართველებმა შეძლეს მშობლიური ენის შენარჩუნება. კახეთი – ეს აყვავებული მხარე – ნანგრევებად, ნაქალაქრებად, ნასოფლარებად იქცა. დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ეს ქართული ერის გენოციდი იყო და, როდესაც შემდეგ უცხოურ წყაროებს გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ სწორედ ეს ეპიზოდია ყველგან განსაკუთრებით ხაზგასმული.

შაჰმა ვერ შესძლო ქართველთა წინააღმდეგობის გატეხა. სპარსეთში მყოფი ტყვე დედოფალი ამაყად იცავდა სარწმუნოებას და ბევრნი მისი მიბაძვით ინარჩუნებდნენ მართლმადიდებლობას. 1613 წელს შაჰმა საზარელი წამებით – გამოსაჭურისებით – დასაჯა თეიმურაზის ვაჟები, რის შედეგადაც უფროსი ჭკუიდან შეიშალა, უმცროსი კი გარდაიცვალა; შემდეგ კი – 1624 წელს – „... ქეთევანისთვის გაგზავნა კაცი და შეუთვალა იმამყული ხანს, ვითარმედ: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენო, და თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოჰკალო“ (ეგნატაშვილი 1959: 401). კახეთის დედოფალმა წამებით სიკვდილი არჩია მართლმადიდებლური ქრისტიანობის უარყოფას და შაჰის ჯალათთა ხელით საზარელი „მრავალი სატანჯველი“ მიიღო: „და ესრეთ სრულყო წამება მისი და ლუაწლი წმიდამან ქეთევან“ (ეგნატაშვილი 1959: 402).

რა ხდება ამ დროს ევროპაში? საფრანგეთში რელიგიურ ნიადაგზე (1562-1598) ჰუგენოტები დაუპირისპირდნენ კათოლიკეებს, ამ დაპირისპირებისას რვა ომი გაიმართა, საიდანაც ყველაზე სისხლიანი ეპიზოდია „ბართლომეს ღამე“ (1592 წლის 24 აგვისტო) იყო. დაახლოებით ამავე პერიოდში ხდება რევოლუცია ნიდერლანდებში², რომლის მოსახლეობაც პროტესტანტული იყო, მაგრამ კათოლიკურ ესპანეთს ემორჩილებოდა, რო-

² ჰოლანდიისა და ბელგიის ისტორიული მიწები (1565-1581 წწ.).

მელსაც არ გააჩნდა ამ რეგიონის დასაფინანსებელი ფული და დაიწყო მათთვის შეზღუდვების დაწესება, რამაც გამოიწვია წინააღმდეგობა. ნიდერლანდების რევოლუციას ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური მიზეზები. აჯანყება, რომელიც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად 1566 წელს დაიწყო, რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა და 1609 წელს დასრულდა თორმეტწლიანი ზავით. 1621 წლიდან ომი ესპანეთთან ოცდაათწლიანო ომის ფარგლებში გაგრძელდა ვესტფალის ზავამდე 1648 წელს. ნიდერლანდების რევოლუციის შედეგად, რომელიც ანტიფეოდალური და განმანთავისუფლებელი ომი იყო ესპანეთის წინააღმდეგ, ნიდერლანდები დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

ევროპაში რელიგიურად ყველაზე მოტივირებული სამხედრო კონფლიქტი „ოცდაათწლიანი ომი“ (1618- 1648) იყო, თუმცა ეს არ იყო მხოლოდ რელიგიური დაპირისპირება, არამედ ბრძოლა ავსტრიელი და ესპანელი ჰაბსბურგების წინააღმდეგ და ბრძოლა ევროპის ახალი გადანაწილებისთვის. ამ ომში თითქმის მთელი ევროპა იყო ჩართული, ხოლო სახელმწიფოები ორ ჯგუფად გაიყვნენ: კათოლიკური ლიგა და პროტესტანტული უნია.

ომმა ჩაითრია ცენტრალური, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ევროპა და რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა: ჩეხეთის ომი (1618-1620 წწ), პფალცის ომი (1620-1624), დანიის ომი (1625-1629), შვედეთის ომი (1630-1635) და შვედეთ-საფრანგეთის ომი (1635-1648). დაპირისპირებული მხარეები იყვნენ კათოლიკური ლიგა: ავსტრიელი და ესპანელი ჰაბსბურგები, რომის პაპი, გერმანელი მთავრები, ხოლო პროტესტანტული უნიის შემაღენლობაში შედიოდნენ ნიდერლანდები, დანია, პროტესტანტი გერმანელი მთავრები და უნგრეთისა და ჩეხეთის წოდებები. კათოლიკური ლიგის მიზანი ევროპაში გაბატონება და კონტრრეფორმაცია იყო. პროტესტანტული უნიის მიზანს კი ჰაბსბურგთა ძლიერების შესუსტება და ევროპაში რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების მოპოვება იყო. ოცდაათწლიანი ომის ძირითადი მიზეზები იყო ჰაბსბურგთა მცდელობა ევროპაში გაბატონებისა, ბრძოლა რეფორმაციის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ „ოცდაათწლიანი ომი“ სწორედ ჩეხეთიდან დაიწყო. ჩეხეთის ომი ოცდაათწლიანი ომის პირველი ფაზა იყო. ჩეხი პროტესტანტები ჰაბსბურგების წინააღმდეგ აჯანყდნენ, ვინაიდან მათი უფლებები ირღვეოდა. ჩეხმა პროტესტანტებმა პრაღის ჰრაღის ფანჯრებიდან გადაყარეს წარჩინებული კათოლიკე მოხელეები (პრაღის მეორე დეფენესტრაცია). ჩეხი დიდგვაროვნები დახმარებას პროტესტანტულ ევროპაში ეძებდნენ და მათ მხარი დაუჭირა პროტესტანტულმა უნიამ, მაგრამ ჰაბსბურგებმა თავის მოუყარეს ძლიერ დაქირავებულ ჯარს და ბრძოლაში ბილა ჰორასთან (1620) ჩეხი პროტესტანტები სასტიკად დამარცხდნენ. წინააღმდეგო-

ბის 27 მონაწილე სიკვდილით დასაჯეს, დაიწყო პროტესტანტი დიდგვაროვნების ქონების კონფისკაცია და პროტესტანტების დევნა. მრავალი მათგანი ემიგრაციაში წავიდა (მაგალითად, ცნობილი ჩეხი ჰუმანისტი იან ამოს კომენსკი სლოვაკეთში გადავიდა და იქ გააგრძელა მოღვაწეობა). ოცდაათიანი ომის დასრულებამ და ვესტფალის ზავმა ერთი მხრივ წერტილი დაუსვა ხალხის ტანჯვა-წამებასა და განადგურებას, მაგრამ ამავე დროს გააქარწლა ჩეხების იმედი, რომელიც დაკავშირებული იყო რელიგიური და პოლიტიკური პირობების შეცვლასთან. ასე იქცნენ ჩეხეთის სამეფოს მიწები მთელი 250 წლის მანძილზე ჰაბსბურგთა კათოლიკური მონარქიის განუყოფელ ნაწილად.

ომს, რომელიც თანდათანობით მთელ ევროპას მოედო, არნახული განადგურებები მოჰყვა, იმ დროს ევროპამ თავისი მოსახლეობის თითქმის მესამედი დაკარგა. 1648 წელს ევროპის ოცდაათწლიანი ომი საბოლოოდ დასრულდა ზავით, რომელიც ისტორიაში ვესტფალის ზავის სახელით შევიდა.

ვესტფალის ზავის შედეგად ჰაბსბურგებმა შეინარჩუნეს ძალაუფლება, ხოლო საფრანგეთმა, სადაც აბსოლუტური მონარქია დამყარდა, ევროპის უძლიერესი სახელმწიფოს სახელი დაიმკვიდრა კონტინენტურ ევროპაში, უძლიერესი საზღვაო სახელმწიფოდ კი ინგლისის პარლამენტური მონარქია დარჩა.

ჰაბსბურგების მონარქია გაძლიერდა, გაღრმავდა ეკონომიკური განსხვავება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის. დასავლეთ ევროპამ დაიწყო მზა პროდუქციის წარმოება, განვითარდა საბაზრო ეკონომიკა, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ევროპა ნედლეულის მიმწოდებელი იყო ეკონომიკის შუასაუკონებრივი სისტემით.

XVII საუკუნის შუა წლები ევროპაში რევოლუციების პერიოდი იყო. სხვადასხვა ადგილებზე ეს რევოლუციები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ და როდესაც ისინი განცაკლევებით შეისწავლება, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი განსაკუთრებული, ლოკალური მიზეზის გამო წარმოიშვნენ, მაგრამ თუ მათ მთლიანობაში შევხედავთ, მათ იმდენი საერთო ნიშნები აქვთ, რომ ლამის ერთ, ზოგად რევოლუციად გვევლინებიან (ტრევორ-პოპერი 2001: 43).

საჭიროდ ვთვლით, საგანგებოდ შევჩერდეთ XVII საუკუნის სლოვაკეთის ისტორიულ ვითარებაზე, ვინაიდან პიესა ქეთევან დედოფლის შესახებ 1701 წელს სწორედ სლოვაკეთში დაიწერა და დაიდგა სცენაზე.

უნგრეთის სამეფო ისტორიულად სახელმწიფო გაერთიანება იყო უნგრელთა ჰეგემონიით; იგი მოიცავდა დღევანდელი უნგრეთის, სლოვაკეთის, ავსტრიის ნაწილის, ხორვატიისა და სლოვენის ტერიტორიებს. 1526 წელს ოსმალები პირველად დაესხნენ თავს უნგრეთის სამეფოს სლოვა-

კეთის სასაზღვრო ქალაქ მოჰაჩთან. ისტორიკოსთა უმეტესობა მოჰაჩის ბრძოლას მიიჩნევს ცენტრალურ ევროპაში შუა საუკუნეთა დასასრულად. 1530 წელს ბელგრადის ფაშა მუჰამედის ჯარებმა უკან დაახევინა მეფე ფერდინანდის I არმიას და პირველად შეიჭრნენ სლოვაკეთის ტერიტორიაზე. გარდა მდიდრული ალაფისა, მტერმა ქალაქებიდან და სოფლებიდან 40000-მდე ტყვე წაიყვანა. დიდი ხნის მანძილზე ოსმალთა შემოსევები კომმარად რჩებოდა სლოვაკეთის არა მხოლოდ საზღვრისპირა, არამედ ცენტრალური რაიონებისთვისაც.

ოსმალების შემოსევას დაერთო შინა პოლიტიკური დაპირისპირებაც და ქვეყანა საყოველთაო ქაოსმა მოიცვა, ხოლო ცოტა ხანში, 1541 წელს, უნგრეთის სამეფო დაიშალა: დღევანდელი უნგრეთის თითქმის ორი მესამედი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ტრანსლივანიამ დამოუკიდებლობა მიიღო და ოსმალეთის იმპერიის ვასალი გახდა. ჩეხეთის და უნგრეთის მეფედ ფერდინანდ I-ის არჩევით კი სამი ქვეყანა გაერთიანდა: ავსტრიის მიწები და ჩეხეთის და უნგრეთის გვირგვინის ტერიტორიები. ასე წარმოიქმნა ცენტრალურ ევროპაში ჰაბსბურგების მონარქია. დაიწყო მეტად მძიმე და ტრაგიკული პერიოდი სლოვაკეთის ისტორიაში: ჰაბსბურგთა იმპერიაში სლოვაკეთი ეროვნული ჩაგვრის ქვეშ მოექცა: მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ავსტრიელი ფეოდალების ხელში გადავიდა, ხოლო ქალაქებში გერმანელი დიდგვაროვნები გაძლიერდნენ. მოსახლეობამ, რომელიც ოსლამეთისა და ავსტრიის ბატონობის უღელქვეშ ქვეშ ცხოვრობდა, განსაკუთრებით ძლიერად გამოსცადა საკუთარ თავზე ამ თანაცხოვრების უარყოფითი შედეგები. ოსმალთა ბატონობის მთელი დროის განმავლობაში სლოვაკი მოსახლეობა სიკვდილის შიშით ცხოვრობდა და საკუთარ ტყვეავზე იწვნია დარბევის და განადგურების სიმწარეები. ოსმალთა ტირანის, მოძალადისა და მთელი საქრისტიანოს ოდინდელი მტრის აბსტრაქტულმა სახემ ამ ფაქტების შემდეგ კონკრეტული ნიშნები შეიძინა (მარკუსკოვა 2009: 45).

ოსმალთა შემოსევის პარალელურად სლოვაკეთში რეფორმაცია მიმდინარეობდა. უნგრეთის სამეფოში კათოლიკური ეკლესია თავდაპირველად არ აქცევდა ყურადღებას პროტესტანტიზმის, მის მიერ ახალი რელიგიური ფასეულობის გავრცელებას. რეფორმაციის გარეგნული გამოვლინება იყო ჩეხური და გერმანული ენების დანერგვა საღვთისმეტყველო ენებად და ღვთისმსახურების გამარტივება. კათოლიკე და ლუთერანი მთავრების ქვეშევრდომები ვალდებული იყვნენ ელიარებიანთ თავისი მთავრის რელიგია და ქვეშევრდომები იმის მიხედვით უერთდებოდნენ რეფორმაციას, თუ ვის მიწაზე ცხოვრობდნენ, რადგანაც უნდა დამორჩილებოდნენ მიწათმფლობელის აღმსარებლობას. ოსმალების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე რეფორმაცია დიდი წარმატებით ვრცელდებოდა, პროტესტანტები

ჰაბსბურგთა კათოლიკურ სამეფო კარს უპირისპირებოდნენ და კათოლიკური რელიგიური ორდენებიდან ოსმალები მხოლოდ ფრანცისკანელებს იწყნარებდნენ, რადგანაც ისინი მოხეტიალე დერვიშებს აგონებდნენ. სლოვაკეთში შედარებით გვიანდელ რელიგიურ ომებს შორის XVII საუკუნეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აჯანყება იყო კათოლიკე ჰაბსბურგების წინააღმდეგ მიმართული პროტესტანტი პალატინი ვესელინის შეთქმულება (1666), რომლის ჩახშობასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი სასამართლო პროცესები ბრატისლავაში. წყაროების მიხედვით პროტესტანტებს, რომლებიც უარს ამბობდნენ კათოლიკობის მიღებაზე, ასამართლებდნენ, ხოლო მძიმე პატიმრობის შემდეგ მონებად ჰყიდდნენ და გალერებით ნეაპოლში აგზავნიდნენ.

XVI-XVII საუკუნეები სლოვაკეთის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი იყო. ოსმალეთის ომის გამო სლოვაკეთის მოსახლეობა, განსაკუთრებით სასაზღვრო რაიონებში, უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ეს ოლქები ხან ოსმალების, ხანაც ავსტრიელების ხელში გადადიოდა და სლოვაკი მოსახლეობა ორმაგი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა.

XVII საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც ოსმალეთმა გააძლიერა შეტევა ცენტრალურ ევროპაზე, სლოვაკეთმა კვლავ განიცადა ოსმალეთის ურდოსა და აგრესიის მთელი სიმძიმე. ამ წლებში ოსმალებმა ათასობით სლოვაკი მონად აქციეს, მთლიანად გაანადგურეს ასობით სოფელი და ამ დროს სლოვაკები იძულებულნი გახდნენ ებრძოლათ როგორც ოსმალების, ისე ავსტრიელთა ჯარების წინააღმდეგ, რომლების ოსმალებს არ ჩამორჩებოდნენ ძარცვასა და აწიოკებაში. ოსმალთა ბატონობა ცენტრალურ ევროპაში 1683 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე მათი ჯარი ვენასთან, დღევანდელი სლოვაკეთის ტერიტორიაზე მდებარე ნოვე ზამკისთან არ დამარცხდა. ამრიგად, ნოვე ზამკის ოსმალთათვის სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო ქრისტიანებისთვის იმ დროს იგი ანტიოსმალური თავდაცვის უკანასკნელ ბასტიონად ითვლებოდა და მის ბედს მთელი ევროპა აღევნებდა თვალს. ცნობებმა ოსმალთა მიერ მისი დაპყრობის შესახებ ძალიან შეაშფოთა ევროპა. ნოვე ზამკის ციხესიმაგრის მნიშვნელობას პალატინის საყვედურიც ადასტურებს: „ნოვე ზამკის დაცემა ნიშნავს, რომ ქრისტიანული უნგრეთი შეიძლება დაიშალოს“. სწორედ 1683 წლის 23 მარტის გამარჯვება ოსმალებზე ნიშნავდა ევროპაში ოსმალთა ეპოქის დასრულებას და სწორედ ამ ბრძოლამ გადაწყვიტა ევროპის ბედი (მარკუსოვა 2010: 23), ხოლო 1700 წლისთვის ჰაბსბურგებმა მოახერხეს როგორც ოსმალეთის, ისე ანტიჰაბსბურგული აჯანყებების ჩაქრობა, მაგრამ საბოლოოდ ჰაბსბურგებმა მხოლოდ 1718 წელს შეძლეს უნგრეთის მიწების, მათ შორის სლოვაკეთის გათავისუფლება ოსმალთა ბატონობისგან.

ასეთი იყო ისტორიული ფონი XVII საუკუნის საქართველოსა და ევროპაში, როდესაც ქეთევან დედოფლის სარწმუნოებისთვის თავდადების და მოწამებრივი აღსასრულის ამბავი ევროპაში გავრველდა. ქეთევან დედოფლის მოწამებრივ აღსასრულს უძღვნა თავისი პოემა მისმა ძემ, თეიმურაზ პირველმა, ხოლო ევროპაში – ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია – „ქეთევან ქართველი, ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“ – დაიწერა, სლოვაკეთში კი შეიქმნა ანონიმი იეზუიტის სასკოლო პიესა „კატერინა, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი“.

საჭიროა ითქვას იმ ლიტერატურული მიმდინარეობის შესახებ, რომელიც ამ ისტორიული მოვლენების შედეგად ჩაისახა და განვითარდა და რომელიც ბაროკოს ლიტერატურის სახელით არის ცნობილი. ბაროკო წარმოადგენს განსაკუთრებულ ისტორიულ-კულტურულ და მხატვრულ ეპოქას, რომელმაც მოიტანა ახალი, რენესანსის საპირისპირო მსოფლმხედველობა და მსოფლალქმა. რენესანსული იდეალების კრიზისმა XVI საუკუნის მიწურულს ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ახალი მიმდინარეობა წარმოშვა, რომელიც ესპანეთიდან და იტალიიდან ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა და ზოგიერთ ქვეყანაში XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედამდე გასტანა და რომელიც მოიცავს ლიტერატურას, მხატვრობას და არქიტექტურას.

საგულისხმოა, რომ ტერმინ „ბაროკოს“ სხვადასხვა განმარტებები არსებობს და ყოველი მათგანი მნიშვნელოვანია მისი არსის გასაგებად. ითვლება, რომ ეს სახელწოდება მომდინარეობს პორტუგალიური *perola barrocca*-დან, რომელიც ცისარტყელის ფერებით მბრწყინავ უსწორმასწორო ფორმის ძვირფას მარგალიტს აღნიშნავს. მეორე ვერსიის თანახმად, ლათ. *barrocco* ძნელსაცნაური სქოლასტიური სილოგიზმია, მესამე განმარტებით *barrocco* სიყალბესა და ტყუილს ნიშნავს. მარგალიტის უსწორმასწორო ფორმა ბაროკოს აპირისპირებს ჰარმონიულ, კლასიკურ იდეალთან მიახლოებულ რენესანსის ხელოვნებასთან, ძვირფას მარგალიტთან დაახლოებით კი ხაზი ესმება ბაროკოს მიდრეკილებას ფუფუნებისკენ, დახვეწილობისკენ, დეკორატიულობისკენ, სილოგიზმის ხსენება მიუთითებს ბაროკოს კავშირზე შუასაუკუნეთა სქოლასტიკასთან, დაბოლოს, ის, რომ ბაროკო განიმარტება როგორც სიყალბე და ტყუილი, ხაზს უსვამს ილუზორულობის მომენტს, რომელიც უადრესად ძლიერია ბაროკოს ხელოვნებაში. საბოლოოდ, უფრო ხშირად ამ ტერმინს უსწორმასწორო ფორმის მარგალიტის სახელწოდებას უკავშირებენ. XVIII საუკუნიდან ეს ტერმინი მტკიცედ დამკვიდრდა ხელოვნებათმცოდნეობაში, ხოლო ლიტერატურათმცოდნეობაში კი გაცილებით გვიან – მხოლოდ XX საუკუნის 20-იან წლებში მოიკიდა ფეხი. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში ეს ტერმინი შედარებით გვიან შემოიღეს, დღეს უკვე საყოველთაოდ

აღიარებულია, რომ ბაროკო განსაკუთრებული სახის იდეურ-კულტურული მიმართულებაა, რომელიც სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შეეხო, მოიცვა ისინი და ევროპულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში სპეციფიკური მხატვრული სისტემა შექმნა.

ბაროკოს ეპოქა დადგა ღრმა სულიერი და რელიგიური კრიზისის შედეგად, რომელიც რეფორმაციას მოჰყვა. თუმცა, გადასვლა რენესანსიდან ბაროკოსკენ ხანგრძლივ და არაერთმნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენდა და მისი ზოგიერთი ნიშანი უკვე რენესანსის ეპოქაში მომწიფდა. ბაროკო რენესანსული იდეალების კრიზისს წარმოადგენს და მისი არსის გააზრებისთვის მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რაში მდგომარეობდა ეს კრიზისი. ჰუმანისტები ხოტბას ასხამდნენ მიწიერ ცხოვრებას და ღითორამბებს უძღვნიდნენ ადამიანის გონების შემოქმედებით აღმაფრენას. ეკლესიის წნეხისაგან თავისუფალი რენესანსული ლიტერატურა იცავდა ადამიანის თავისუფალ აზრს და მის პიროვნულ თავისუფლებას. ჰუმანისტებს სწამდათ ადამიანის კეთილი ბუნების, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ადამიანი არ ისარგებლებდა თავისუფლებით ბოროტი საქციელის ჩასადენად. მათი რწმენით ადამიანს ბუნებამ მისცა ისეთი თვისებები, რომლებიც მას აკავებენ ცოდვის, ყოველგვარი სიბოროტისა და უარყოფითის ჩადენისგან. რენესანსმა ხელოვნების ცენტრში ადამიანი მოათავსა და აქ უმნიშვნელოვანესი იყო თეოლოგიური და ფილოსოფიური ტრადიციის შეთანხმება (ბრაგინი 1986: 96). სწორედ ქრისტიანული კატეგორიებით აზროვნების შედეგია, რომ რენესანსის ახალმა, ჰუმანისტურმა ორიენტაციამ ყველაზე ცხადი გამოხატულება ადამიანის შესახებ შექმნილ მოძღვრებაში ჰპოვა, როდესაც ბიბლიური ქრისტიანობის საფუძველზე ადამიანის ახალი კონცეფცია, რენესანსული ჰუმანიზმის საფუძველი – რენესანსული ანთროპოცენტრიზმი შექმნა. ჰუმანისტური აზრის მწვერვალს წარმოადგენს სწორედ სწავლებანი ადამიანის შესახებ. რენესანსის კულტურამ ადამიანი სამყაროს ცენტრში მოათავსა და იგი „სამყაროს გვირგვინად“ დასახა. რენესანსის მსოფლმხედველობა დამყარებულია სამყაროს ჰარმონიის, ადამიანის კეთილი ნების რწმენაზე, მაგრამ გვიანი ჰუმანიზმი უკვე ეჭვის ქვეშ აყენებს დოქტრინას „ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობათა“ და ადამიანის კეთილი ბუნების შესახებ. ის შემოქმედნი, რომლებიც ბაროკოს მხატვრულ სისტემას მიეკუთვნებოდნენ, ხშირად საერთო მსოფლმხედველობასა და ესთეტიკურ პრინციპებს იზიარებდნენ, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა ბაროკოს შემოქმედებაში განსხვავებებს მსოფლმხედველობით და მხატვრულ ასპექტებში. სხვადასხვა საზოგადოებრივი დაჯგუფებების წარმომადგენლები ბაროკოს ხელოვნებას თავისი ინტერესების სამსახურში აყენებდნენ და ამიტომაც ერთი მხატვრული სისტემის ფარგლებში

არსებობდა განსხვავებული მიმართულებები და სტილური ტენდენციები. ბაროკო თავისი არსით საყოველთაო ევროპული და საზოგადოებრივი კრიზისის გამოვლინება იყო, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებსა და ერებში სპეციფიკური თვისებები ახასიათებდა.

როგორც ი. ვიპერი შენიშნავს, ბაროკოს სტილში განხორციელება ჰპოვა ძალიან განსხვავებულმა, ზოგჯერ კი ურთიერთსაპირისპირო იდეურმა მისწრაფებებმაც კი. ეს არ არის გასაკვირი, ვინაიდან ბაროკოს ლიტერატურა თავის თავში შეიცავს იმ მძლავრი კატაკლიზმების და ღრმა რყევების გამოძახილს, რომლებმაც შეძრეს ევროპის საზოგადოება XVI საუკუნის მიწურულს და XVII საუკუნეში როგორც სოციალურ-პოლიტიკური წყობის, ისე იდეოლოგიური სფეროსა და მხატვრულ შემეცნების თვალსაზრისით, რაც ამ კატაკლიზმების შედეგს წარმოადგენდა და რენესანსის იდეალების კრიზისის თანმდევი იყო. რიგმა მსხვილმა მეცნიერმა დასავლეთევროპული ბაროკოს მსოფლმხედველობით სფეროში შესაღწევად ყურადღება გაამახვილა ამ ლიტერატურის ისეთ სახეებსა და თემატურ ლეიტმოტივებზე, როგორებიც არის „ცხოვრება სიზმარია“, „ცხოვრება – თეატრია“, „ხელოვნება, როგორც თამაში“, „წამებულები და ქალწულები“, ცვალებადობის სიმბოლოები და სხვა, რამაც გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა ბაროკოს ავტორისეული სამყაროს ხედვის შესახებ და გააღრმავა ლიტერატურული ბაროკოს სტილის წამყვანი ნიშნების გაგება (ვიპერი 1990).

ბაროკოს ეპოქა ევროპისთვის უაღრესად რთული და კრიზისული ხანა იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. ეს პერიოდი თითქმის მთელ ევროპაში სოციალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი კატაკლიზმების დროა: ოცდაათწლიანი ომი გერმანიაში, რომელიც ქვეყნისთვის ეროვნულ კატასტროფად იქცა, ანტიფეოდალური აჯანყებები ესპანეთში, იტალიასა და პორტუგალიაში, რეფორმაცია და კონტრეფორმაცია, ფრონდა საფრანგეთში, ბურჟუაზიული რევოლუცია ინგლისსა და ნიდერლანდებში, ოსმალების შემოსევა, რომლებიც ვენამდე მივიდნენ, შავი ჭირის ეპიდემია და სხვა ბუნებრივი კატასტროფები. ბაროკოს წარმოშობას განსაზღვრავს ახალი მსოფლალქმა, რენესანსული მსოფლმხედველობის კრიზისი და გრანდიოზული და უნივერსალური პიროვნების, რენესანსის მისერ დამკვიდრებული homo universalis იდეის უარყოფა. ახალი წარმოდგენების საფუძველში, რომლებმაც განსაზღვრეს ბაროკოს არსი, ძვეს სამყაროს სირთულის, მისი ღრმა წინააღმდეგობრიობის, ყოფიერების დრამატულობის და ადამიანის დანიშნულების გაგების ცდა. ამ წარმოდგენებზე გარკვეულწილად გავლენას ახდენდა ეპოქის რელიგიური ძიებანი, რაც მკაფიოდ აისახა მის ლიტერატურაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მეცნიერი ბაროკოს განიხილავდა, როგორც

წმინდა კონფესიურ მოვლენას და მას კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის მიმდინარე რელიგიურ ბრძოლებს უკავშირებდა. მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქვეყნებში იგი კონტრეფორმაციის პროცესში კათოლიციზმის პროპაგანდასთან იყო დაკავშირებული, ბაროკო ზეკონფესიურია თავისი არსით, ვინაიდან მან ნაყოფიერი ნიადაგი იპოვა როგორც კათოლიკურ და პროტესტანტულ, ისე მართლმადიდებლურ გარემოში.

ბაროკოს მსოფლალქმასა და შემოქმედებით პრაქტიკაში ერთმანეთთან უცნაურადაა გადაჯაჭვული გაზვიადებული აფექტურობა, გრძნობათა უკიდურესი ეგზალტაცია, შეუცნობლის შეცნობისკენ სწრაფვა და ფანტასტიკის ელემენტები. ამ ეპოქის შემოქმედების წარმოდგენით სამყარო გახლეჩილი და უწესრიგოა, ადამიანი კი მხოლოდ და მხოლოდ სათამაშოა მიუწვდომელ ძალათა ხელში. ცხოვრება ქაოტურია, რადგან იგი შემთხვევითობათა ჯაჭვს წარმოადგენს. შესაბამისად, ცხოვრება არამდგრადია და მისთვის დამახასიათებელია ცვალებადობის იმანენტური მდგომარეობა, ხოლო მისი კანონები მოუხელთებელია. ბაროკო თითქოს ხლეჩს სამყაროს: მასში ზეციურთან ერთად მიწიერი თანაარსობს, ამაღლებულთან კი – მდაბალი. ამ დინამიური და მყისიერად ცვალებადი სამყაროსთვის არა მხოლოდ ცვალებადობა და წარმავლობაა დამახასიათებელი, არამედ ყოფიერების უჩვეულო ინტენსიურობაც და მშფოთვარე ვნებების დაძაბულობაც, პოლარული მოვლენების – სიბოროტის გრანდიოზულობისა და სიკეთის სიდიადის გაერთიანება. მონუმენტურობისკენ მიდრეკილი ბაროკო გრძნობათა მთელ დიაპაზონს იტევს: მასში არის რელიგიური მოტივები, წარმავლობის, სამყაროს ზრწნადობის, სიკვდილისა და განწირულობის თემები, მაგრამ ამავე დროს ტრაგიკულ საწყისთან თანაარსობს საოცარი ჰედონიზმი.

ბაროკოს ადამიანი ცდილობდა ამოეცნო სამყაროს საიდუმლოებანი, რომელიც ტელესკოპის აღმოჩენასთან ერთად სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და ცდილობდა აეხსნა სფეროთა ჰარმონია. გერმანელი ასტრონომის, კეპლერის (1571-1630) მიერ დასაბუთებული პლანეტათა ელიფსისებური მოძრაობა და ზეციურ სხეულთა მუდმივი მდებარეობა, მიუხედავად მათი მარადიული მოძრაობისა, ეხმიანება დინამიზმის იდეებს ბაროკოს არქიტექტურაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში ელიფსისებურ ფორმათა მოხაზულობას. ამ ფუნდამენტური კანონების და ტრანსცედენტული თანამიმდევრობის აღმოჩენამ მხატვრები და მწერლები იმ აზრთან მიიყვანა, რომ ეს ხანმოკლე და მყიფე ცხოვრება, ეს „გლოვის კელი“, „ღელე გლოვისა“ (ფასალმ. 83: 7) სხვა არაფერია, თუ არა ილუზია. ბაროკოს ეპოქაში პასტორალური იდილიებიც კი ვერ იცავდა ადამიანს სიკვდილის ქარის დაბერვისგან. დროის სწაფი ქროლვის

მწვავე განცდა ყოვლისმომცველი იყო, ყოველივე მიწიერის ამაოების განცდა, რომელიც შესახებაც წერდნენ ევროპული ბაროკოს ავტორები, საფლავის ქვა, რომელიც გარდაუვლად ელოდა ყოველ მოკვდავს, იმის შესწენება იყო, რომ ხორცი მოკვდავია, ხოლო ადამიანი – მტვერი და რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ეს კიდევ უფრო ამწვაებდა სიცოცხლის სიყვარულსა და ჰედონიზმს. ეს ერთი შეხედვით პარადოქსი, სინამდვილეში კი ბაროკოს ანტიეთეტური აზროვნების გამოვლინება იყო. ამიტომ იქცა ეს პარადოქსი ბაროკოს შემოქმედების ძირითად თემად, ავტორები მოუწოდებდნენ მკითხველებს დამტკბარიყვნენ ცხოვრებით, სანამ ამის დრო იყო, ესამოვნათ ცხოვრების მრავალფეროვანი მასკარადით. იმის ცოდნა, რომ ცხოვრება სიზმარივით მალე დამთავრდება, კიდევ უფრო ამძაფრებდა ამ განცდას, რომელიც ყოვლისმომცველი ამაოების განცდასთან მეზობლობდა.

გარდა იმისა, რომ ბაროკოს შემოქმედნი აღიარებდნენ ცხოვრების ტრაგიკულობასა და წინააღმდეგობრიობას, ისინი თვლიდნენ, რომ არსებობს რაღაც უმაღლესი ღვთაებრივი გონიერება, ყველაფერში არის ფარული აზრი და მაშასადამე, საჭიროა შეგუება მსოფლწესრიგთან. ბაროკოს კულტურაში, განსაკუთრებით ლიტერატურაში, გარდა იმისა, რომ იგი კონცენტრირებული იყო სიბოროტის პრობლემასა და სამყაროს ხრწნადობაზე და წარმავლობაზე, გაჩნდა კრიზისის დაძლევის სურვილი, სურვილი უმაღლესი გონიერების გააზრებისა, რომელშიც შერწყმულია როგორც კეთილი, ისე ბოროტი საწყისი. ეს კი წინააღმდეგობრიობის დაძლევის ცდა იყო და სამყაროს უკიდევანო სივრცეებში. ადამიანის ადგილი განისაზღვრებოდა მისი, ადამიანის, გონების შემოქმედებითი ძალით და სასწაულის შესაძლებლობით. ამგვარ მიდგომაში ღმერთი წარმოადგენდა სამართლიანობის, გულმოწყალების და უმაღლესი გონების განსახიერებას. ამ ეპოქის მრავალი შემოქმედისთვის დამახასიათებელი იყო ეჭვისა და სკეპტიციზმის განცდა; ტიპურია მსჯელობა იმის შესახებ, რომ იმქვეყნიური ცხოვრება სჯობს ტანჯვას ცოდვილ დედამიწაზე. ტრაგიკულმა ცნობიერებამ და სამყაროს წინააღმდეგობათა გადაჭრის შეუძლებლობა ბაროკოს მწერლებში წარმოშობს პესიმიზმს, ზოგჯერ კი მოღუშულ და წარე სარკაზმს (ისტორია 1987: 11).

ჟანრობრივად ბაროკოს ლიტერატურა მეტად მრავალფეროვანია, მაგრამ ჩვენი მონოგრაფიის მიზანმიმართულებიდან გამომდინარე, მხოლოდ დრამატურგიაზე შევჩერდებით. ევროპული ბაროკოს ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი სწორედ მას უკავია. დრამატურგიიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტრაგედიები, რომლებიც ხშირად შიშის მომგვრელი, სისხლიანი სცენებით და ვნებების ამოფრქვევით იყო აღ-

ბეჭდილი. არამყარობის და შეშფოთების გრძნობამ, რომელიც ომებითა და სოციალური რყევებით იყო განპირობებული, წინა პლანზე წამოსწია ცხოვრების უკუღმართობის და ამაოების თემა – Venitas venitatum. რელიგიური ომებით გატანჯულ ევროპაში განსაკუთრებული ადილი ეკავა ე.წ. „ქრისტიანულ დრამებს“, რომლებშიც სცენაზე სარწმუნოებისთვის თავდადებულ გმირებს წარმოჩენაზე იყო ორიენტირებული.

სწორედ ბაროკოს მხატვრული სისტემას ემყარება ქეთევანისადმი მიძღვნილი თხზულებები: გრიფიუსის „ქეთევან ქართველი“, სლოვაკი ავტორის „კატერინა, ქართველთა დედოფალი“ და თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომლებიც ამ რთულ ეპოქაში მორალური გმირის ძიებასა და წარმოჩენას ეძღვნება.

თავი II.

თეიმურაზ პირველის პოემის — „წამება ქეთევან დედოფლისა“ — შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ჯერ კიდევ 1904 წელს ალ. ხახანაშვილმა „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ აღნიშნა, რომ „ნაციონალური ტენდენცია ისმის თეიმურაზ მეფის ნაწერებში“ (ხახანაშვილი 1904: 460), თუმც თეიმურაზის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ არც უხსენებია და, რა თქმა უნდა, არც განუხილავს (ეს პოემა პირველად 1928 წელს გამოქვეყნდა).

თეიმურაზის პოემის — „წამება ქეთევან დედოფლისა“ — პირველი მეცნიერული შეფასება კორნელი კეკელიძეს ეკუთვნის. კ. კეკელიძემ 1924 წელს გამოცემულ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ II ტომში (კეკელიძე 1924: 330-332), რომელიც XI-XVIII სს მწერლობას ეთმობა. მკვლევარმა თეიმურაზის პოემა „საისტორიო ეპოსის“ ფარგლებში განიხილა, როგორც ისტორიულ თემაზე დაწერილი თხზულება: „საისტორიო პოემათა რიგი უნდა დავიწყოთ ქეთევან დედოფლის წამების აღწერილობით, რაც საკმაოდ პოპულარული თემა ყოფილა ჩვენს ლიტერატურაში“ (კეკელიძე 1924: 330). ამ ეპოქის ლიტერატურაში ისტორიული თემატიკის შემოტანის პრიორიტეტი ქეთევანის წამების პირველ აღმწერს — თეიმურაზს ეკუთვნის: „პირველი მწერალი, რომელსაც გაუღეპსია ეს ეპიზოდი ჩვენი ისტორიისა, არის თვით ღვაწლმოსილი დედოფლის შვილი, მეფე თეიმურაზ პირველი; მის შრომას ეწოდება „წიგნი და წამება ქეთევან დედოფლისა“ (იქვე). ამ თავში გადმოცემულია პოემის შინაარსი წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერის მიხედვით, რადგან თეიმურაზის პოემა იმ დროს სტამბურად დაბეჭდილი და გამოცემული არ იყო. პოემის მიმოხილვის საფუძველზე მკვლევარი ყურადღებას აქცევს ამ პოემის ლირიკულ ნაკადს და აღნიშნავს, რომ „თხზულებაში ისტორიულ სინამდვილესთან ერთად, მოხდენილადაა გადმოცემული სულიერი განცდა, როგორც ტანჯული დედისა, ისე თვით ავტორისა, თეიმურაზისა“. იმდროინდელი ისტორიული ფონის გათვალისწინებით მკვლევარი საგულისხმოდ თვლის, რომ თეიმურაზს ამ კერძო ხასიათის ეპიზოდში დაუნახავს თანამედროვეობის დამახასიათებელი მოვლენა, „ქეთევანის ღვაწლს ის უყურებს, როგორც მსხვერპლს, ტანჯული კახეთისათვის გაღებულს; ის

სტირის და კენესის, რომ ულმოებული ბედი და აუტანელი მდგომარეობა სამშობლოსი ასეთ მსხვერპლს თხოულობს” (კეკელიძე 1924: 332).

შემდგომში გამოცემული „ქართული ლიტერატურის ისტორიის” II ტომში „საისტორიო ეპოსს” კ. კეკელიძემ წინ წაუძღვარა მოკლე შესავალი: „ეროვნულმა მოტივებმა და თავისებურმა „რეალიზმმა” ... აღორძინების ხანის ლიტერატურაში გამოხატულება ჰპოვა საისტორიო ეპოსის ძეგლებში. ამ ძეგლებში აღებულია ესა თუ ის ეპოქა, ესა თუ ის ისტორიული პირი და მოვლენა, რომლის გარშემოც ითხზებოდა ლექსით მთელი პოემა” (კეკელიძე 1958: 493).

კ. კეკელიძე თეიმურაზის პოემის უპირველეს ღირსებად იმას თვლის, რომ ავტორი ისტორიულ სინამდვილეს ზუსტად იცავს და თემის მხატვრული დამუშავება სავსებით შეესაბამება იმ „თავისებურ რეალიზმს” (კეკელიძე 1958: 493), რომელიც რელიეფურად გამოიხატა საისტორიო ეპოსის ძეგლებში: „თხზულებაში ისტორიულ სინამდვილესთან ერთად, მოხდენილადაა გადმოცემული სულიერი განცდა როგორც ტანჯული დედოფლისა, ისე თვით ავტორის, თეიმურაზისა” (კეკელიძე 1958: 495, ხაზი ჩემია — მ. ნ.). ეს ისტორიული ფაქტები შემდეგია: შაჰ-აბასის კახეთისკენ წამოსვლა, რის გამოც ქეთევანი „მიენდო” მას და მძევლად „უძღვნა ძენი ტურფანი” აღექსანდრე და ლევანი, თავისი შვილიშვილები, თეიმურაზის ვაჟები პირველი ცოლისგან; მათი განჯას „დაგდება” შაჰის მიერ; შაჰის კახეთში შემოსვლა და მისი აოხრება; პატიმართა შირაზში გაგზავნა; ზუთი წლის განმავლობაში ქეთევანისა და მისი შვილიშვილების იქ ყოფნა, შემდეგ კი შაჰის ბრძანებით ბავშვების წართმევა, მათი დასაჭურისება და სიკვდილი; ქეთევანის მძიმე განცდები, მისი ტირილი და ვაება, რისგანაც მოეშალა „ბაგე და კბილი”; შაჰ-აბასის მიერ შირაზის ხილარხანისათვის ქეთევანის გამაჰმადიანების ბრძანება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მისი წამებით მოკვლა; ქეთევანის მხლებელთა მოხსენიება, დედოფლის მიერ მოწამებრივი სიკვდილის ნებით მიღება; მის მხლებელთა შიში და შედრკომა, მათ მიერ მაჰმადიანობის მიღება; ქეთევანის საზარელი წამების დეტალური აღწერა, მის წმინდა ნაწილთა ამბავი (კეკელიძე 1958: 494-495). დაბოლოს, პოემის ფაქტობრივ მონაცემთა საფუძველზე მკვლევარი ადგენს თეიმურაზის თხზულების დაწერის თარიღს: კ. კეკელიძე თვლის, რომ „... პოემა დაწერილია 1625 წელს, ქეთევანის წამების და მისი მეოხებით მისი შვილის, თეიმურაზისათვის „მტერთა ზედა ძლევის მიცემის” (46) უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ” (კეკელიძე 1958: 496).

კ. კეკელიძე საგანგებოდ უსვამს ხაზს თეიმურაზის დამსახურებას ეროვნული თემატიკის დამუშავებაში, აკონკრეტებს პოემის ჟანრულ რაობას და განასხვავებს მას აგიოგრაფიული ხასიათის თხზულებებისაგან: „თეიმურაზმა პირველმა მოჰკიდა ხელი ქართულ ლიტერატურაში ნაციო-

ნალური თემატიკის დამუშავებას. მისი პოემა მიზანდასახულებითა და კომპოზიციით, რა თქმა უნდა, ძირითადად განსხვავდება აგიოგრაფიული ჟანრის „მარტვილობისაგან“ (კეკელიძე 1958: 495). ამავე დროს მკვლევარი აღნიშნავს იმ თავისებურებებს, რაც ე.წ. „აღორძინების ხანას“ ახასიათებს: ესაა ცხოვრებათა ლექსად დაწერა: „თეიმურაზს გამოსჩენია მიმბაძველები, რომელთაც აგრეთვე გაულექსავთ ქეთევანის წამება... ასეთებია, მაგალითად, მღვდელმონაზონი კოზმანი, რომელსაც ლექსადვე აღუწერია ქეთევანის წამება, მეორე პოეტი, რომელსაც ლექსადვე აღუწერია ქეთევანის წამება, არის დიმიტრი ბაგრატიონი“ (კეკელიძე 1958: 496). წიგნის სხვა ადგილას, სხვა საკითხზე მსჯელობისას, კ. კეკელიძე კვლავ ახსენებს ეპოქის ამ თავისებურებას – მარტვილობათა გალექსვას: „... იქნებ ... გალექსა, ისე, როგორც ამას სჩადიოდნენ აღორძინების ხანაშიც, საიდანაც ჩვენ გვაქვს ლექსით დაწერილი „ცხოვრება“ წმ. გიორგის, მარინესი, ეკატერინესი, ალექსისა, ქეთევან დედოფლისა და სხვა?!“ (კეკელიძე 1958: 235).

ზურაბ ავალიშვილის მიერ 1937 წელს „გეორგიკა“-ში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის საფუძველზე და არსენ ბიბიხაძის ავტორეფერატის გათვალისწინებით მკვლევარმა საჭიროდ მიიჩნია აღენიშნა, რომ ქეთევანის წამება აღუწერია 1624 წელს პიეტრო დელა ვალეს, იმ თხზულების საფუძველზე 1646-1647 წლებში გერმანელ დრამატურგს ანდრეას გრიფიუსს დაუწერია ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კატარინა“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იდგებოდა გერმანულ სცენაზე“ (კეკელიძე 1958: 496). ევროპის მასშტაბით ქართველი დედოფლის სახელის ასეთი გახმაურება, უდავოდ, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერთი დეტალი: ქეთევანის პიროვნული პორტრეტისათვის საყურადღებოა, რომ კ. კეკელიძის ყურადღებას არ გამოორჩენია მეფე-პოეტის დედის – ქეთევანის პოეტური მიდრეკილებანიც: მკვლევარი ახსენებს ქეთევანის ტრაგიკული განცდების ამსახველ მჭმუნვარე ელევას „ამის ესტირი ბნელსა მჯდომი, გულთა მდულრად დადაგული“ და შენიშნავს: „მწერლობისადმი სიყვარულსა და პოეტურ ნიჭს მოკლებული არა ყოფილა არც დედამისი ქეთევანი, რომელსაც შირაზის პყრობილობაში უთქვამს მეტად ელევგიური ფისტიკაური, რომელშიაც იგი გადმოგვცემს თავის სევდიან ფიქრებსა და გრძნობებს“ (კეკელიძე 1958: 551, 619).

ტყვე დედოფლის „გულთა მდულრად დადაგული“ სულიერი განცდები კიდევ ერთ შტრიხს მატებს მის არაჩვეულებრივ პიროვნებას: „... ქეთევანი იყო ადამიანი ჭკუითა და ყოველგვარი სათნოებით შემკული, რომელმაც შირაზში შაჰ-აბასისგან მოწამებრივი გვირგვინი დაიდგა თავს“ (კეკელიძე 1958: 551). ერთ საკითხსაც უნდა შევხვით: კორნელი კეკელიძის ნაშრომში არსად სიტყვაც კი არ არის დაძრული ქეთევანის მიერ კათოლიკური

სჯულის მიღება-არმიღების შესახებ: მკვლევარი ყოველთვის მტკიცედ და ურყევად ადგა იმ აზრს, რომ ქეთევან დედოფალი ქართველთა ეროვნული წმინდანია და ეს დიდი პიროვნება მართლმადიდებლად აღესრულა. მისი ეს უდავო და მართებული აზრი სხვადასხვა დროს დაწერილ ნაშრომებშია დამოწმებული. გამოკვლევაში „მაკრინეს ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (კეკელიძე 1958: 26-54), ეხება რა ანტონ პირველის მოღვაწეობის დასაწყისს, მკვლევარი აანალიზებს ეპოქას და აღნიშნავს, რომ „საეკლესიო სფეროში ამ დროს შეინიშნება განსაკუთრებული მოძრაობა **ქართული ეროვნული დღესასწაულების მოგვარებისა** და მათთვის შესაფერისი საგალობლების შედგენისათვის. **ხდება გადასინჯვა ქართველ წმინდანთა კალენდრისა და მისი გაცხრილვა სარწმუნოებრივად მიუღებელ პირებისაგან** (1703 წლის მახლობლად) შემდგარ საეკლესიო კრებას **ქეთევანის ხსენება 13 სექტემბერს დაუდვია**“; ნაშრომში „ქართული სტამბის ისტორიიდან მეთვრამეტე საუკუნეში“ (კეკელიძე 1955: 108-115) მკვლევარს ერთ საკითხზე მსჯელობისას გამოტანილი აქვს დასკვნა: „სარკვევ წიგნში შეტანილია **საგალობლები** შემდეგი **მხოლოდ ქართველი წმინდანებისა: ქეთევან დედოფლის** (13 სექტემბერი), სვეტიცხოვლისა (1 ოქტომბერი), წმ. გიორგისა (3 ნოემბერი), კოსტანტი კახისა (10 ნოემბერი), ილარიონ ქართველისა (19 ნოემბერი)“, (კეკელიძე 1955: 109). თუმცა ეს ნაშრომები უშუალოდ ქეთევან დედოფალს არ ეძღვნება და სხვა საკითხთა შესახებაა დაწერილი, მკვლევარის სათანადო დებულებიდან ჩანს, რომ ქეთევანს იგი მხოლოდ ქართველ წმინდანად თვლიდა.

რაც შეეხება წმინდა ქეთევანის მხატვრული სახის საგანგებო შესწავლას, ამის შესახებაც აქვს გამოთქმული თავისი აზრი კორნელი კეკელიძეს: თავის რეცენზიაში ერთი საკანდიდატო ნაშრომის შესახებ, რომლის მიზანია შეისწავლოს ქალთა ისტორიულ-მხატვრული პერსონაჟები ქართულ აგიოგრაფიაში, მკვლევარი შენიშნავს: „ის თავის ნაშრომში უფრო მეტად ეძებს „ისტორიულ პიროვნებას“, ვიდრე „მხატვრულ სახეს“, ლიტერატურული ხასიათის გამოკვლევაში კი უფრო სასურველი უნდა იყოს „მხატვრული სახის“ ძიება, მაშინ მას არ დასჭირდებოდა შემოფარგლულიყო მხოლოდ ორი პიროვნებით, მას შესაძლებლობა ექნებოდა ელაპარაკა გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ შესახებ, სადაც წარმოდგენილია მთელი გალერეა ქალებისა, გადმოვიდოდა ის მოგვიანო ხანაში და ილაპარაკებდა ქეთევან წამებულის შესახებაც“ (კეკელიძე 1968: 226).

უნდა აღინიშნოს, რომ კორნელი კეკელიძის ნაშრომში მხატვრულ თხზულებათა განხილვა, როგორც წესი, მათი შექმნის ეპოქასთან მჭიდრო კავშირშია წარმოდგენილი.

თეიმურაზის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ პირველად 1928 წელს დაიბეჭდა, იგი გამოსცა ალექსანდრე ბარამიძემ, რომელმაც 1934 წელს (გ. ჯაკობიასთან ერთად) თეიმურაზ პირველის თხზულებათა სრუ-

ლი კრებული გამოაქვეყნა (თეიმურაზი 1934). ამ წიგნისათვის დართულ გამოკვლევაში „თეიმურაზ პირველი“ აღ. ბარამიძე პოემას „ნაციონალური თემატიკის დამუშავების“ ნიმუშად მიიჩნევს, რაც „... პირველი მაგალითია ქართულ მწერლობაში“ (ბარამიძე 1934: 217). თეიმურაზის პოემის ჟანრული რაობის განსაზღვრაში იგი იზიარებს კორნელი კეკელიძის თვალსაზრისს, რაც სრული სიცხადით არის გამოთქმული: „... თეიმურაზი პირველად იყენებს ქართულ მწერლობაში ისტორიულ-ნაციონალურ ფაბულას და ე.წ. ისტორიულ ნაციონალური მიმართულების დამწვები ხდება. შეიძლება ითქვას, რომ ამით თეიმურაზმა ერთგვარი თემატიკური კრიზისი სძლია და მომავლისათვის მწერლობას ახალი გზები დაუსახა. არჩილი, გურამიშვილი და მრავალი სხვებიც თეიმურაზის დაწყებულ საქმეს აგრძელებენ“ (ბარამიძე 1934: 217-218). აღ. ბარამიძე საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ „განცდის სიმწვავის მიუხედავად, „... ავტორი ეპიკური სიღარბის-ლით აღწერს კარგად ცნობილ ისტორიულ ფაქტს“, თუმცა თხზულებაში „აქა-იქ შერეულია მწუხარე ლირიკული მოტივებიც, რაც ასე ეხამება სიუჟეტის საერთო ფონს“. ის ლირიკულ-ელეგიური ტონი, რომელიც ფრიად საგრძნობია „წამებაში“, იმდროინდელ „საზოგადოებრივ-ეროვნული თვალსაზრისითაც ყოფილა გამოწვეული“ (ბარამიძე 1934: 218).

მკვლევარი კატეგორიულად უარყოფს თეიმურაზის პოემის ჟანრობრივ კავშირს აგიოგრაფიულ მწერლობასთან და მას უაღრესად საერო ხასიათის ნაწარმოებად თვლის, მიუხედავად იმისა, რომ თხზულების სათაურია „წამება ქეთევან დედოფლისა“: „მართალია, წერს აღ. ბარამიძე, უძველესი დროიდან არსებობდა ე.წ. „წმიდათა ცხოვრებანი“ (ჰაგიოგრაფიული მწერლობა), მაგრამ თეიმურაზის ისტორიულ პოემას არავითარი საერთო აქვს აღნიშნული ტიპის ძეგლებთან არც იდეური მიზანდასახულობისა, არც სიუჟეტისა და არც კომპოზიციის მხრივ. თეიმურაზის პოემა უაღრესად საერო ხასიათის ნაწარმოებია, სადაც სათანადოდაა დაცული ისტორიულ-ნაციონალური პერსპექტივი და შედარებით აცილებულია ზღაპრულ-სასწაულებრივი მომენტი“ (ბარამიძე 1934: 217). „რაც შეეხება თეიმურაზის პოეზიის პესიმისტურ კილოს“, მკვლევარის აზრით იგი მწიგნობრულ-ლიტერატურული ზეგავლენის შედეგი კი არ არის, ღრმა სოციალურ-პოლიტიკური მიზეზებითაა გამოწვეული, რამდენადაც „საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ კატასტროფას ზედ დაერთო თეიმურაზის სამინელი ოჯახური უბედურება“ (ბარამიძე 1934: 201), შაჰ-აბასის მიერ მისი სამკვიდრებლის გაპარტახებას მოჰყვა „თეიმურაზის დედის – ქეთევანის წამება, უფლისწულ ალექსანდრესა და ლევანის არა ადამიანური ფიზიკური დასახიჩრება და შემდეგ სამინელი სიკვდილი“ (ბარამიძე 1934: 200). აღ. ბარამიძე აღნიშნავს, რომ პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ ისმის ავტორის მწარე გოდება და იღვრება სინანულის ცრემლები

როგორც შაკ-აბასის შემოსევებით გამოწვეული საქვეყნო უბედურების, ასევე პირადი, ოჯახური ტრაგედიის გამო: „პოეტის ურვას ის აორკეცებს, რომ საკუთარი დედა და საქართველოს დედოფალი მუხანათურად წამების ჯვარზე გააკრა, ხოლო შვილსა და საქართველოს მეფეს „ავაზაკის ზვედრიც არ მიეგო წილადო“ (ბარამიძე 1934: 201), რისთვისაც მკვლევარი იმოწმებს 67-ე სტროფის ტაეპებს:

„მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდენანი“.

არსებითად ასეთია ის მოსაზრებანი, რომელნიც ამ გამოკვლევაშია წარმოდგენილი.

თეიმურაზ პირველის შემოქმედების ანალიზს შეიცავს ალექსანდრე ბარამიძის მიერ 1966 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „თეიმურაზ პირველი“ (ბარამიძე 1966: 310-335). მკვლევარი აქაც ამახვილებს ყურადღებას იმ „დიდ პოეტურ პათოსსა და მღელვარებაზე“, რომელიც იგრძნობა ქეთევანისადმი მიძღვნილ პოემაში. ალ. ბარამიძე, ისევე, როგორც კორნელი კეკელიძე, სრულიად დარწმუნებულია, რომ მოწამე-დედოფალი მართლმადიდებლად აღესრულა; ამ საკითხს იგი არც სვამს, უბრალოდ, აღნიშნავს, რომ „ქეთევანს საარაკო მამაცობა გამოუჩენია, არ უღალატნია ქრისტიანული სჯულისა და ქართველობისათვის“ (ბარამიძე 1966: 316-317).

საგულისხმო დეტალია ალ. ბარამიძის მიერ აღნიშნული პარალელი, რომ თეიმურაზს თავის პოემაში „... გამოუყენებია ქეთევან დედოფლის „ვედრების“ ტექსტი ასე:

„მიეც ძესა ჩემსა თეიმურაზს ძლევაი და
რომელნი ჰყოფდენ ხსენებასა ჩემსა, მიანიჭე საუკუნო სუფევაი.“

(ბარამიძე 1966: 317, შენიშვნა 1).

ქეთევანის ამ „ვედრებით“ არის ინსპირირებული თეიმურაზის სიტყვები:

„შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერთა ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა.“

თეიმურაზის ლექსი ზედმიწევნით იმეორებს ქეთევანის ვედრებას: „საუკუნო სუფევა“ ხომ იგივეა, რაც „ედემს ჯდომა“. თუკი ამ ფაქტს უფრო ფართო კონტექსტში განვიხილავთ, იგი ერთ-ერთი საბუთია თეიმურაზის პოემის მკაცრი დოკუმენტურობისა და ეს საკვებით გასაგებია:

წმინდანის ცხოვრების, – მითუმეტეს, წამების – აღწერისას ჭეშმარიტები-საგან ოდნავი გადახვევაც ღვთის წინაშე მძიმე ცოდვა და მკრეხელობაა, რაც ღვთის მოშიში პირისათვის ღვთის გმობის ტოლფასია. ზოგიერთ მკვლევარს თეიმურაზის ეს ლექსი – პოემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი – თეიმურაზის შეთხზული ჰგონია; რადგანაც აღმოჩნდა ფაქტობრივი მასალა, რომ ამ პოეტურ სტრიქონებს ქეთევანის ვედრება უდევს საფუძვლად, კიდევ უფრო მეტად ხდება ცხადი დედის წამების აღ-წერისას როგორ მკაცრად იცავს თეიმურაზი ისტორიულ სინამდვილესა და ცალკეულ ფაქტთა ზუსტ დოკუმენტურობას.

რაც შეეხება ამ პოემის ჟანრობრივი კვალიფიკაციის საკითხს, მას მკვლევარი ამ გამოკვლევის დასასრულს ეხება და კვლავ იმ თვალსაზ-რისს ავითარებს, რომ „თავისი პოემით „წამება ქეთევან დედოფლისა“ თეიმურაზმა რეალისტურად გამოხატა ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა თვითმყოფადობისა და თავისუფლებისათვის ყიზილბაში დამპყ-რობლების წინააღმდეგ. „ქეთევან დედოფლის წამება“ თავისებური სა-თავეა „აღორძინების პერიოდის“ ქართული მწერლობის ისტორიულ-ნა-ციონალური (თუ ისტორიულ პატრიოტული) მიმართულებისა“ (ბარამიძე 1966: 335). ცხადია, რომ ეს იგივე მოსაზრებაა, რომელიც გამოთქმული ჰქონდა სამი ათეული წლით ადრე, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სრულიად აღარაფერს ამბობს აგიოგრაფიულ ჟანრთან ამ პოემის მიმართების შესახებ; ე.ი. ამ ახალ გამოკვლევაში აღარ გაუმეორებია დებულება, რომ „თეიმურაზის ისტორიულ პოემას არავითარი საერთო აქვს“ აგიოგრაფიული ტიპის ძეგლებთან, თუმც არც ის უთქვამს, რომ მათ რაიმე აქვთ საერთო. ფაქტობრივად, თეიმურაზის პოემის აგი-ოგრაფიულ ჟანრთან მიმართების საკითხი ალ. ბარამიძის გამოკვლევებში საბოლოოდ ღიად დარჩა.

თავის ვრცელ ნაშრომში „თეიმურაზ პირველი და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელიც პარიზში გამოიცა, ზურაბ ავალიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თეიმურაზის პოემის „მნიშვნელობა ქართული მწერლობის ისტორიაში უდავოა“ (ავალიშვილი 1938: 48); თეიმურაზის უპირველეს და უდიდეს ღირსებად ის მიაჩნია, რომ იგი იმ დროს გავრ-ცელებულ ლიტერატურულ შაბლონს არღვევს და ზღაპრულ ეპიკური მასალის პოეტური დამუშავებით გატაცებულ მწერლობაში პირველს შე-მოაქვს „ცოცხალი ისტორიული თემა“: „ეს ალბათ პირველი მაგალითია – წერს მკვლევარი – ცოცხალი ისტორიული თემის, და არა ჩვეულებ-რივი, ზღაპრულ-ეპიკური მასალის ლიტერატურული დამუშავებისა, და ეს თეიმურაზის უეჭველი და დიდი დამსახურებაა“ (ავალიშვილი 1938: 48). ზ. ავალიშვილი სხვადასხვა ადგილას რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ „თეიმურაზის მნიშვნელოვანი პოემა“ (ავალიშვილი 1938: 7) ერთდროუ-

ლად ისტორიული ფენომენიც არის და ისტორიული ცნობების შემცველი თხზულებაც, ანუ „სალიტერატურო ნაწარმოები და საისტორიო ჩვენება“ (ავალიშვილი 1938: 34), „ქეთევანის წამების გალექსილი ისტორია“ (ავალიშვილი 1938: 51), „პოლიტიკური მკვლელობა (წამებით)“ (ავალიშვილი 1938: 51) რომელშიც აისახა იმდროინდელი „... ატმოსფერო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი“ (ავალიშვილი 1938: 55) და „რომ თვით თეიმურაზმა მისი სიკვდილი თავისი პოეზიის საგნად გახადა, და დიდი პათოსით დაწვრილებით აქვს აღწერილი“ (ავალიშვილი 1938: 93). მაგრამ თეიმურაზის პოემის განსაკუთრებული ხასიათი ამით არ ამოიწურება: ამ პოემის ძნელ, რთულ, არაჩვეულებრივ არსს ის შეადგენს, რომ შვილმა – მეფე-პოეტმა დედის – დედოფლის მოწამებრივი აღსასრული აირჩია თავისი თხზულების თემად: „მართლაც ძნელი, რთული, არაჩვეულებრივი რამ იყო ამ პოემის დაწერა! აქ მელექსე რითმებს ეძებს, შვილი დედას შესტირის“ (ავალიშვილი 1938: 43) – წერს ზურაბ ავალიშვილი. „წამება ქეთევან დედოფლისა“ მართლაც უჩვეულო თხზულებაა: „ეს ლექსად დაწერილი მარტვილობაა, მას არც აღფრთოვანება აკლია, არც მოხდენილი ოსტატობა, მაგრამ **მგოსანი წამებულის ღვიძლი შვილია. ეს წამება ხომ მისთვის საზარელი განცდა იქნებოდა** (ხაზი ჩემია – მ.ნ.). ამისათვის პოემაში ქეთევანის „ღვაწლთან“ ერთად თეიმურაზის პირადი გულის კვნესა და ტკივილი უხვი სიტყვებით იხატება“ (ავალიშვილი 1938: 42). ზურაბ ავალიშვილმა შთამბეჭდავი სიტყვებით გამოხატა თეიმურაზის პოემის მართლაც არაჩვეულებრივი არსი. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შვილის მიერ დედის წამების ამგვარი აღწერა უნიკალურია მსოფლიო ლიტერატურაში. (აქ შეიძლება ერთი პარალელი მოვიყვანოთ: ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქეთევან დედოფლის სახელის გვერდით გარკვეულ კონტექსტში მოხსენიებულ იქნა შოტლანდიის დედოფლის, მარიამ სტიუარტის სახელიც (გელოვანი 1975: 37, 25; 566), რომელიც ელისაბედის მეფობაში სიკვდილით იქნა დასჯილი. მარიამ სტიუარტის ამბავმა არაერთი ევროპელი მწერლის ყურადღება მიიპყრო საუკუნეთა მანძილზე, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საყურადღებო ის არის, რომ მის შვილს, იაკობ პირველს (1566-1625), რომელმაც ელისაბედის შემდგომ დაიკავა ინგლისის ტახტი და საკმაოდ კარგი პოეტი იყო, არამც თუ არცერთი თხზულება არ მიუძღვნია თავისი დედისთვის, – უფრო მეტიც – მის სონეტებში იგი არსად არ იხსენიება).

ფრიად საყურადღებოა ზურაბ ავალიშვილის მოსაზრებები პოემის მხატვრულ-ლიტერატურული რაობის შესახებ; მისი დაკვირვებით, „თეიმურაზის პოემა ორგვარი – საერო და სასულიერო მწიგნობრობის ნაყოფია“ (ავალიშვილი 1938: 42), სადაც პოეტი „... აერთებს ენას სარწმუნოებრივ-მისტიურს და სამიჯნუროს“ (ავალიშვილი 1938:

65); ზ. ავალიშვილის დაკვირვებით, თეიმურაზის მაღალმა პოეტურმა ნიჭმა და ოსტატობამ, შერწყმულმა ღრმა რწმენასთან, დიდ განათლებასთან და გულწრფელ განცდასთან, შეაძლებინა მას ამ რთული მიზნის ღირსეულად შესრულება: „თეიმურაზი გულწრფელი და ნაკითხი მართლმადიდებელია, და მისი რწმენის სიმხურვალე და წერის ნიჭი ასეთი ძნელი თემის დამუშავებასაც უადვილებენ“ (ავალიშვილი 1938: 45); მის პოემაში გამოსჭვივის „უაღრესი სინანული“, „მწარე სინანული“, რაც „მის მწუხარებას ასე აზვიადებს“ (ავალიშვილი 1938: 43), რადგან თან სდევს იმის განცდა, „... რომ თვითონაც მათი [ე. ი. დედისა და შვილების – ალექსანდრესა და ლევანის – მ. ნ.] თუნდაც უნებური დამღუპველი ყოფილა“ (ავალიშვილი 1938: 43-44), თუმც მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ „ამის შეგნებას მეფე-ალიოგრაფი არ ამჟღავნებს“ (ავალიშვილი 1938: 43), რადგან მას „სუყველაფრის თქმა არ შეუძლია და არც უნდა მეფე-პოლიტიკოსი იმის ცდაშია, რომ მომხდარ ამბავთა მოთხრობა შეამოკლოს ზოგიერთი მოგონება მას ალბათ აწუხებს. კახეთის მოოხრების ამბავს რომ იხსენებს, თითონ რასა შერებოდა, ამაზე სდუმს ...“ (ავალიშვილი 1938: 43).

პოემის მე-12 სტროფის განხილვისას, სადაც არის სტრიქონები:

„ხელ-შეპყრობილი დაეგდო იგ განჯას პატიმარია,
სადა ყვა ხელმწიფე-შვილი, ანუ მხლებელთა ჯარია“ (12, 1-2)

ავალიშვილი მეფე-პოეტის სიტყვებს საკუთარ შეფასებას აძლევს: „სადა ყვა ხელმწიფე-შვილიო? პასუხი მარტივია: თეიმურაზი მაშინ იმერეთში დაიბადა“ (ავალიშვილი 1938: 44).

მკვლევარი ქეთევანის წამებასა და ნორჩი უფლისწულების დასაჯურისებას თეიმურაზის პოლიტიკური ორიენტაციის ფონზე განსჯის და პოემის 67-ე სტროფის შესახებ, რომელშიც არის ცნობილი სტრიქონები –

„მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ გეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდენანი“

თვლის, რომ „ამ სახით გამოთქმული თეიმურაზის სინანული (ავალიშვილი 1938: 3-4) აქ ცოტა ნაძალადევია და ხელოვნური“, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „მთელ პოემაზე ეს არ ითქმის. წამება აღწერილია დიდი დრამატიზმით და ძალით, „ახოვანი“ დედოფლის და მის მხლებელთა დაპირისპირებით“ (ავალიშვილი 1938: 44), იმოწმებს რა თეიმურაზისვე სიტყვებს, რომ ამ საოცარი რწმენის, პატრიოტული თავგანწირვისა და უტეხი ნებისყოფის დიად პიროვნებას „წინ დაუთათრეს მხლებელნი, კერავინ სოქვა სიტყვა მჭახია“ (59, 3).

მკვლევარი საგანგებოდ უსვამს ხაზს პოემის ესთეტიკურ და ეთიკურ მხარეს იმის აღნიშვნით, რომ „სინანულისა და ცოდვათა აღსარებაშიც მჭერმეტყველია თეიმურაზი“, მის პოემას „... უფრო ახასიათებს გრძნობათა ძალა, აღლევებული რიტორიზმიც“ (ავალიშვილი 1938: 46), რისი წყალობითაც „მასში გამოთქმულია დიდი პათოსით, გარდა თვით წამებისა, სხვა დიდ შემთხვევებშიც ქეთევანის გრძნობები; მაგალითად, მისი სასო-წარკვეთილება და გოდება, როდესაც მას წაართვეს ერთად-ერთი ნუგეში – მისი შვილის შვილები (9,1), „ძღვენი ტურფანი“ (ავალიშვილი 1938: 52); თეიმურაზის პოემის ანალიზისას საგანგებოდ აღნიშნავს იმასაც, რომ „ქრისტიანული პოეზიის მაღალი ნიმუშია ქეთევანის უკანასკნელი ლოცვა“ (ავალიშვილი 1938: 45).

ყოველივე ამის შემდეგ უნდა შევეხოთ იმ მნიშვნელოვან საკითხს, თუ როგორ განსაზღვრავს თეიმურაზის პოემის ჟანრს ზურაბ ავალიშვილი. დასკვნის გამოტანა ძნელი არ არის: ამ „ცოცხალი ისტორიული თემის ... პოეტური დამუშავების“ (ავალიშვილი 1938: 48) პირველი მაგალითი მკვლევარის განსაზღვრის თანახმად, „ლექსად დაწერილი მარტვილობაა“ (ავალიშვილი 1938: 42); თეიმურაზს იგი „მეფე-ადიოგრაფს“ უწოდებს (ავალიშვილი 1938: 43), ხოლო მის პოემას – „ქეთევანის წამების გალექსილ ისტორიას“ (ავალიშვილი 1938: 51). ეხება რა ქეთევანის წმინდა ნაწილთა პოვნას (72-73 სტროფები), იგი წერს: „ეს ჩვეულებრივი ამბავია ნაწილთა პოვნისა და მორწმუნეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მისი გამოყენებისა სამღვდელოების მიერ“ (ავალიშვილი 1938: 65) და დაასკვნის, რომ აქ თეიმურაზი „მისდევს ადიოგრაფიის ძველს, სავალდებულო წესს“ (ავალიშვილი 1938: 64) ხოლო ქეთევანის მოწამებრივი აღსასრულის და ზეცად ამაღლების შემცველი სტროფების (ავალიშვილი 1938: 69-70) განხილვას ურთავს შენიშვნას: „ამაში იგი მისდევს ადიოგრაფიის ძველს, სავალდებულო წესს“ (ავალიშვილი 1938: 64) და თეიმურაზის შესაბამისად „მეფე-ადიოგრაფს“ (ავალიშვილი 1938: 43) უწოდებს. დასკვნა გარკვეულია: ზურაბ ავალიშვილი თეიმურაზის ისტორიულ პოემას „წამება ქეთევან დედოფლისა“ აგიოგრაფიულ ნაწარმოებად თვლის, რომელიც ამავე ჟანრის სხვა თხზულებათაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ლექსადაა დაწერილი. (აქვე შევნიშნავ, რომ თეიმურაზისეული ტრადიციის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ XIX საუკუნეში დიმიტრი ბაგრატიონის მიერ ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილი პოემა).

რა დამახასიათებელ სტილურ თვისებებს ხედავს თეიმურაზის პოემაში ზურაბ ავალიშვილი? თუ მათ ერთად მოვუყრით თავს, ასეთ სურათს მივიღებთ: თეიმურაზის პოემაში გაერთიანებულია „ენა სარწმუნოებრივ-მისტიური და სამიჯნურო“ (ავალიშვილი 1938: 52, 93); მასში ჩანს „საზარელი განცდა, პირადი გულის კენესა და ტკივილი“ (ავალიშვილი

1938: 42), „მწარე სინანული“, რაც „მის მწუხარებას ასე აზვიადებს“ (ავალიშვილი 1938: 43); „წამება აღწერილია დიდი დრამატიზმითა და ძალით“; „ახოვანი დედოფლისა და მის მხლებელთა დაპირისპირებით“ (ავალიშვილი 1938: 44); პოემაში ჩანს მისი ავტორის „სინანული-სა და ცოდვის აღსარება“ (ავალიშვილი 1938: 46); დიდი პათოსითაა გადმოცემული „ქეთევანის გრძნობები სასოწარკვეთილება და გოდება“ (ავალიშვილი 1938: 52); პოემას ახასიათებს „გრძნობათა ძალი, აღელვებული რიტორობა“ (ავალიშვილი 1938: 46). დაბოლოს, ესაა „ქრისტიანული პოეზიის მაღალი ნიმუში“ (ავალიშვილი 1938: 45), „ქეთევანის წამების გალექსილი ისტორია“ (ავალიშვილი 1938: 46).

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, საკვლევი საკითხის ფონზე ბუნებრივი ჩანს დაისვას კითხვა, თუ რა ლიტერატურულ მიმართულებას განეკუთვნება თეიმურაზის პოემა. ზ. ავალიშვილს ეს საკითხი არ დაუსვამს, მაგრამ ის ობიექტური დაკვირვებები და დასკვნები, რომლებიც მის ნაშრომშია წარმოდგენილი, სწორედ ბაროკოს ეპოქის ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ თავისებურებებს განეკუთვნებიან. პათოსი, რიტორიკა, მძაფრი დაპირისპირების ანუ კონტრასტის მეთოდი ბაროკოს არტისტული ბუნებისთვის არის დამახასიათებელი, რომელიც თავისი არსით ღრმად რელიგიურია. ბაროკო განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებს რელიგიური თემატიკის მიმართ, იქნება ეს ბიბლიური სიუჟეტები თუ წმინდანთა ცხოვრება, იმავე დროს ნიშანდობლივია რელიგიურ მოტივებთან მოქალაქეობრივ-პატრიოტული მოტივების ორგანული შერწყმა (ლიპატოვი 1979: 86), რაც თეიმურაზის პოემის არსთა არსს შეადგენს. ვარაუდს, რომ თეიმურაზის პოემა ბაროკოს სტილის თხზულებაა, ისიც უჭერს მხარს, რომ ბაროკოს ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რელიგიურ ეპიკას, ალევორიულ თხზულებათა გალექსვას, რომელნიც ეროვნულ ისტორიას უკავშირდებიან (ლიპატოვი 1979: 86-87); ასევე, რელიგიურ-მისტიკური და სამიჯნურო პოეზიის ურთიერთშერწყმა ბაროკოსათვის არის დამახასიათებელი. უნდა ითქვას, რომ ქართული ბაროკო – როგორც განსაკუთრებული ისტორიულ-ლიტერატურული ეტაპი ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში – უაღრესად საინტესო და მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის კვლევაც ჩვენი მეცნიერული ინტერესების საგანგებო სფეროს წარმოადგენს. თეიმურაზის პოემის მთელი რიგი თავისებურებანი საფუძველს რომ გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ „წამება ქეთევან დედოფლისა“ ბაროკოსათვის ნიშანდობლივ სტილს შეესაბამება (ნაჭყებია 2007: 68-69). მართებულად მიგვაჩნია ქართული ბაროკოს ლიტერატურის ინდეტიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ „რომ ქართული ლიტერატურის ე.წ. „აღორძინების ხანად“ წოდებული XVI-XVIII საუკუნეების ლიტერატურა

თავისი თემატიკით, პრობლემატიკით, რელიგიური თემების დამუშავებისადმი მიდრეკილებით სრულიად ეხმიანება ევროპული ბაროკოს ლიტერატურას, რომელიც ევროპასთან ლიტერატურული კონტაქტების ქონის გამო კი არ ჩამოყალიბდა, როგორც ეს ბევრ ევროპულ ქვეყანაში მოხდა, არამედ თვითჩასახვის გზით, ლიტერატურის განვითარების ლოგიკის შედეგად, კინაიდან ქართულმა ქრისტიანულმა ლიტერატურამ თავად იპოვა გამოსავალი და მიაკვლია იმ გზას, რომლითაც უნდა განვითარებულიყო” (ნაჭყებია 2022: 117). ბაროკოს ლიტერატურის კონტექსტში და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდით გვაქვს განხილული თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“, რის შესახებაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

თეიმურაზის ამ პოემის ჟანრის საკითხს შეეხო გაიოზ იმედაშვილი თავის გამოკვლევაში „თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“ და მარტვილოლოგიური ჟანრი“, სადაც იგი გარკვეულ კონტექსტში აღნიშნავს, რომ „ქეთევანის მოწამეობრივი ცხოვრება საგანი გახდა მრავალი აღწერა-ხოტბისა თუ მხატვრული ტილოსი საქართველოს გარეთაც, უმთავრესად დასავლეთის ქვეყნებში“ (იმედაშვილი 1964: 142).

ჟანრის საკითხის დაყენებისას იგი გამოყოფს იმ მომენტებს, რომლებსაც პოემის ჟანრული განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აქ გ. იმედაშვილი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „წამება ქეთევან დედოფლისა“ თემის ხასიათით, სიუჟეტის აგებულებით, პოეტური სახეებით, ლექსიკით და საერთო განწყობილებით წინასწარ ინტერესს აღძრავს მისი მარტვილოლოგიურ ჟანრთან დამოკიდებულების საკითხისადმი და სვამს კითხვას, თუ რა კავშირია ლიტერატურული სტილის, გემოვნებისა და ფორმების განვითარების თვალსაზრისით მარტვილოლოგიის ტრადიციებსა და ისტორიული ეპოსის ჟანრს შორის, რომლის პირველ ძეგლს აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში აღნიშნული თხზულება წარმოადგენს. ამასთან ერთად თავისთავად დგება პრობლემა მისი ჟანრული თავისებურების, აგებულებისა და ადგილის შესახებ თეიმურაზის შემოქმედებაში (იმედაშვილი 1964: 123).

ამ ნაშრომში გ. იმედაშვილი საისტორიო ეპოსის წარმოშობის საფუძვლებს იკვლევს. მკვლევარის დახასიათებით, „აღორძინების“ ხანის წინა პერიოდის ქართული ლიტერატურა თითქოს მოკლებული იყო საკუთარი სინამდვილის შეცნობის უნარს, რაც იმაში გამოიხატა, რომ ეს პერიოდი ხასიათდება უცხო სინამდვილიდან აღებული სათავგადასავლო თემატიკისადმი ინტერესით, ხდება სადეკემირო თხზულებათა უბრალო თარგმნა-გადმოქართულება, პოეზიის შინაარსი შაჰ-ნამეს თარგმანებით, კეფხისტყაოსნის ჩანართ-დანართებით, სადეკემირო-ზღაპრული და სამიჯნურო სიუჟეტებით ამოიწურება. ეროვნული კატასტროფით გამოწვეულ-

მა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ დიდი გავლენა იქონია საზოგადოებრივ განწყობილებებზე, რომელიც შეიპყრო ყოფიერების ამოების განცდამ. თუმცა, მუდმივი ომიანობის პირობებში გმირობის, ვაჟკაცობის, რაინდობის იდეალები საზოგადოებრივ შეგნებაში არსებობდა, როგორც ფიზიკური ძალღონის კულტის განსახიერება, მაგრამ საერო მწერლობაში დიდხანს ვერ პოულობდა ადგილს საკუთარი სინამდვილიდან აღებული ეროვნული გმირის სახე.

მართალია, ისტორიულმა სინამდვილემ პოეზიაში ვერ ჰპოვა ადგილი, მაგრამ იგი აისახა სასულიერო მწერლობის ისეთ დარგში, როგორიცაა აგიოგრაფია. მკვლევარის აზრით, ამ მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ მწერლობაში ისტორიული ჟანრის დამკვიდრების თვალსაზრისით, რადგან საერო პოეზიაში ისტორიული ჟანრის მოვლინება უნდა გავიგოთ, როგორც „აგიოგრაფიაში არსებული ისტორიული ნაკადის ტრადიციების გადასვლა და გადაქცევა საერო მწერლობის პოეტურ ნაკადში დამოუკიდებელ ჟანრად“ (იმედაშვილი 1964: 124). მკვლევარი ქართული ლიტერატურის განვითარების ამ ეტაპს მსოფლმხედველობის გარდატეხის თვალსაზრისით ახალ საფეხურად თვლის, რომელიც მწერლობაში აყენებს რეალობის შეცნობის პრინციპს და ფანტასტიკური გმირის ნაცვლად მწერლობაში შემოჰყავს საკუთარი ყოფის ადამიანი. ტრადიციულად ეროვნული გმირის პირდაპირი პროტოტიპი მარტვილოლოგიაშია წარმოდგენილი და ისტორიული ჟანრის ერთგვარი ტრადიციის დასაწყისი ქართულ მწერლობაში ორიგინალური აგიოგრაფიაა: „სასულიერო და საერო ნაკადების ურთიერთობის თვალსაზრისით – წერს გ. იმედაშვილი – საინტერესო ძეგლს სწორედ თეიმურაზის აღნიშნული თხზულება წარმოადგენს, რამდენადაც ... მასში ერთიანდება სასულიერო მწერლობის თემატიკურ-კომპოზიციური ტრადიციები საერო მწერლობის სტილისა და ლექსიკის შედარებით უბრალოებასთან“ (იმედაშვილი 1964: 128).

კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის ნაშრომთა დამოწმებით გ. იმედაშვილი ხაზს უსვამს თეიმურაზ პირველის შემოქმედების იმ არსებით მხარეს, რომ მისი პოეზია აღბეჭდილია რელიგიური აზროვნებით და მისი პოეზიის პირდაპირი მიზანი ღვთაებასთან მისტიკური გაერთიანებაა, რაც ქეთევანისადმი მიძღვნილ პოემაშიც გამოიხატა. ამასთან, ეროვნულ თემატიკას მის შემოქმედებაში არ აქვს მოძებნილი ორიგინალური ფორმა და სტილი. ერთის მხრივ – საერო, მეორე მხრივ კი – სასულიერო მიმართულებათა ურთიერთობის საკითხი თეიმურაზის შემოქმედებაში ვლინდება, როგორც ბრძოლა საერო და სასულიერო მოტივებისათვის, მაგრამ, როგორც გ. იმედაშვილი თვლის, ქეთევანისადმი მიძღვნილ პოემაში მეტად საგრძნობია მარტვილოლოგიური ჟანრის ლიტერატურული ხერხების გავლენა და რელიგიური განწყობილება. ამის ერთ-ერთი ნიმუშია ის,

რომ თეიმურაზი პოემას აგიოგრაფიული ლიტერატურული ტრადიციის მსგავსად იწყებს ღვთისადმი მიმართვით, რომელიც შეიცავს ყველა იმ სავალდებულო ელემენტს, რაც დამახასიათებელია ამ ჟანრის თხზულებათათვის. ამასთან თეიმურაზი საგანგებოდ აღნიშნავს პოემის საგანს, მიზანს და საკუთარი უმწეობის შეგნებით ღმერთს სთხოვს შეწევნას, რათა წეროს „ხელ-უფლებით“. პოემაში დიდი ადგილი უკავია მოწამის ქებას, ხოლო ისტორიული ამბები – შაჰ-აბაზის მიერ ქართლ-კახეთის აოხრება, დედოფლის დატყვევება და შირაზში გაგზავნა – ძალზე სქემატურ ხაზებშია მოცემული (იმედაშვილი 1964: 130-131). ამრიგად, პოემაში აღწერილ ამბავს თეიმურაზი „არ აძლევს არც მხატვრულად და არც ისტორიულად თხრობითი თავგადასავლის ხასიათს“, რის გამოც სტილი არაეპიკურია, სიუჟეტი განუვითარებელია და კომპოზიცია სუსტია. პოემაში წარმოდგენილი ამბავი ხასიათდება სტატიკურობით და არ აქვს მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი დინამიურობა. მკვლევარის დასკვნით, თეიმურაზმა ამბავში არსებითად ვერ დაინახა ისტორიული ქარგა და პერსპექტივა (იმედაშვილი 1964: 132-133). პოემაში ფაქტიურად არ არის მოცემული საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ფონი; თეიმურაზი არ ამახვილებს ყურადღებას ქეთევანის წამების ეროვნულ პოლიტიკურ საფუძველსა და იმ მნიშვნელობაზე, რაც მას ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რის გამოც პოემაში ქეთევანი დახატულია მხოლოდ მარტვილად, რელიგიური რწმენის მსხვერპლად, რაც რამდენადმე მისი ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობის უგულებელყოფაა (იმედაშვილი 1964: 134-135).

თეიმურაზის პოემის ქეთევანი სქემატურ-აბსტრაქტული გმირია, რომელიც აგიოგრაფიისთვის დამახასიათებელი ეპითეტებითა და შედარებებით არის აღწერილი; მარტვილოლოგიური შაბლონის განმეორების ერთ ხაზს პოემაში სასწაულებრივ-ფანტასტიკური ელემენტის არსებობაც ადასტურებს; ამრიგად, „ქეთევანიანში“ ძლიერ იგრძნობა აგიოგრაფიული ელემენტი და ამიტომ ძნელი გასაზიარებელია მოსაზრება, თითქმის თეიმურაზის ისტორიულ პოემას არაფერი აქვს საერთო აგიოგრაფიული ტიპის ძეგლებთან (იმედაშვილი 1964: 137-139).

გ. იმედაშვილის აზრით, თუმცა თეიმურაზის პოემა რუსთველური შაირით დაიწერა, სადაც საკმაოდაა საერო პოეზიისთვის დამახასიათებელი შედარებები და ეპითეტები („მარგალიტი უსახო“, „ბროლ-ფიქალი“, „ძოწ-მარგალიტა ნათელი“, „მნათობი იგი უებრო“ და სხვა), მაგრამ ისინი უფრო შეეფერებიან ფანტასტიკურ-ხელოვნური გმირის აღწერილობას, ვიდრე რეალური ადამიანის მოწამებრივ სახეს.

თეიმურაზის პოემის ჟანრობრივი განსაზღვრების თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ მას არ აქვს კომპოზიციურად აგებული სიუჟე-

ტი,რის გამოც მკვლევარი მას მიიჩნევს არა ეპიკურ პოემად, არამედ ლირიკულ-ელეგიურ პოემად, რომელშიც მოიპოვება პოემის – როგორც ეპიკური ჟანრის დასრულებული ფორმის – მხოლოდ ჩანასახი. ამასთან, როგორც თემატური საფუძვლით, ასევე სიუჟეტურ-კომპოზიციური განუვითარებლობის, რელიგიური განწყობილებისა და აზროვნების თვალსაზრისით გ. იმედაშვილი თვლის, რომ თეიმურაზის პოემა არის „შაირით გალექსილი წამების ამბავი მარტვილოლოგიური ტრაფარეტით“. იგი საგანგებო ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ მარტვილოლოგიური თემის გალექსვა აღორძინების ხანაში ტრადიციული მოვლენაა, როდესაც ლექსავდნენ ისეთ სასულიერო ხასიათის თხზულებებს, როგორებიცაა დაბადების წიგნები და წმინდანთა ცხოვრებანი (იმედაშვილი 1964: 146-147).

მკვლევარი აღნიშნავს „ქეთევანიანის“ ორმაგ ხასიათს, როდესაც წერს, რომ ამავე დროს იგი ისტორიული ჟანრის ეპოსის პირველი ნაწარმოებია; ამრიგად, თეიმურაზის პოემა სასულიერო და საერო ლიტერატურული ტრადიციების ურთიერთობის ის საფეხურია, რომელიც თემატურად და იდეოლოგიურად აგიოგრაფიული ანუ სასულიეროა, ფორმის მხრივ კი – საერო: საერო მწერლობას მკვეთრად შემუშავებული ეროვნული იდეალი აგიოგრაფიამ უანდერბა – ესაა მოწამე გმირი, და „თეიმურაზს შეიძლება მიეკუთვნოს მისი ნაკადის მხოლოდ საერო პოეზიაში შეტანის პრიორიტეტი“ (იმედაშვილი 1964: 148).

თეიმურაზის პოემის აგიოგრაფიასთან დაკავშირების თვალსაზრისით გ. იმედაშვილი აღნიშნავს, რომ მასზე ადრე ასეთივე აზრი გამოთქმული ჰქონია ზურაბ ავალიშვილს (იმედაშვილი 1964: 138-139). საყურადღებოა მისი მოსაზრება, რომ აგიოგრაფიული ტრაფარეტი ქეთევანის სახისა და ამბის გაგებაში საერთო იყო ყოველგვარი ჟანრის ნაწარმოებში, იქნებოდა იგი ისტორიული თუ მხატვრული ხასიათისა, რაც აიხსნება არა მიბადებით, არამედ თემის ხასიათით, რომლის გახსნაში მარტვილოლოგიურ ტრადიციას ერთგვარი ნორმის ხასიათი ჰქონდა. ქეთევანის თემაზე დაწერილ თხზულებებს ეს საერთო სქემა უძველესი საფუძვლად, რომელიც „მსგავსია თეიმურაზის ნასკვისა, რომელიც შესამჩნევად არ განსხვავდება ... უცხოელთა აღწერათაგანაც, როგორიც არიან ქეთევანის ტყვეობა-წამების თვითმხილველნი, მომსწრენი თუ სხვა გარდამოთხრობელნი – დომინიკანელი პატრი გრიგოლ ორსინი, პიეტრო დელა ვალე, პატრი ამბროზიო, ესპანელი ელჩი სპარსეთში გარსია სილვა ფიგეროა, კლოდ მალენგრი, ოლეარიუსი, არაქელ თავრიზელი, შარდენი, ლამბერტი თუ სხვები“ (იმედაშვილი 1964: 140-141). გ. იმედაშვილი ამ ნაშრომში ასევე ახსენებს ანდრეას გრიფიუსის ტრაგედიას, როგორც ყველაზე მეტად საგულისხმო მოვლენას³.

³ სტატიის ავტორი იქვე აღნიშნავს ისტორიული სინამდვილის შეგნებულ დამახინჯებას რუსი ლიტერატურისმცოდნე ბ. პურიშევის მიერ, რომელმაც თავის წიგნში ქეთევანი სომეხ დედოფლად ჩათვალა. იმედაშვილი 1964, შენიშვნა 23.

მერი გუგუშვილის წიგნი თეიმურაზ პირველის შესახებ, რომელიც ეძღვნება ძირითადი თემებისა და მოტივების გამოვლენას მეფე-პოეტის შემოქმედებაში, 1981 წელს გამოქვეყნდა. თეიმურაზის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მკვლევარი პირველ რიგში განიხილავს პოემას „წამება ქეთევან დედოფლისა“, როგორც თეიმურაზის შემოქმედებაში ისტორიულ-ნაციონალურ თემაზე შექმნილ ნაწარმოებს. გამოკვლევაში ქართულ წყაროებთან ერთად, გამოყენებულია უცხოური წყაროებიც, რომელთა შორის ავტორი იმოწმებს ქრისტეფორე დე კასტელის, ამბროზიო დოს ანჟოსის, პიეტრო დელა ვალეს, გრეგორიო ორსინის ცნობებს ქეთევან დედოფლის შესახებ.

მ. გუგუშვილი ვრცლად მიმოიხილავს თეიმურაზის პოემის შექმნის ისტორიულ ვითარებას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული XVII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობასთან: სწორედ ამან განაპირობა და დააყენა დღის წესრიგში ისტორიული პოემის შექმნის აუცილებლობა. „ისტორიული პოემა ისეთ ვითარებას ასახავს – წერს ავტორი – რომელიც ეპოქის მნიშვნელოვან ფაქტს გამოხატავს და ისეთ გმირთა ცხოვრებაზე მოგვითხრობს, რომლებიც პროგრესულ როლს ასრულებდნენ ხალხის ცხოვრებაში ... პირველი პოეტი, რომელმაც ხელი მოჰკიდა ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის დამუშავებას, არის თეიმურაზ პირველი” (გუგუშვილი 1981: 29). ამავე დროს მ. გუგუშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ პოემის შექმნას ჰქონდა ინტიმური საფუძველიც, მაგრამ იგი არ არის ისტორიულ-ნაციონალური თემისადმი მიძღვნილი ერთადერთი ნაწარმოები თეიმურაზის შემოქმედებაში, რამდენადაც მას გვერდში უდგანან თეიმურაზის ისეთი ლირიკული ნაწარმოებები, როგორებიცაა „თამარის სახე დავით გარეჯას“, „გრემის სასახლეზედ“, „ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯნისა“, რომელნიც ასევე საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს ასახავენ. თეიმურაზის „ქეთევანიანს“ მ. გუგუშვილი ისტორიული წყაროების ცნობებისა და დედოფლის წამებისადმი მიძღვნილ სხვა ნაწარმოებთა ფონზე ვრცლად განიხილავს.

პირველ ქვეთავში „წამება ქეთევან დედოფლისა“ ავტორი ვრცლად ჩერდება ქეთევანის ბიოგრაფიულ საკითხებზე: იგი სხვადასხვა ისტორიულ მონაცემთა და მკვლევართა ნაშრომების გათვალისწინებით აზუსტებს დედოფლის დაბადების თარიღს და გარაუდობს, რომ იგი 1570 წელს უნდა დაბადებულიყო, ხოლო გათხოვების თარიღად დაახლოებით 1589 წელს თვლის (გუგუშვილი 1981: 6-7). ქეთევანის, როგორც კახეთის დედოფლის, პოლიტიკურ მოღვაწეობას ასევე ვრცლად განიხილავს.

მ. გუგუშვილი საგანგებო ყურადღებას უთმობს თეიმურაზის განცდებს დედის ტრაგიკულ ბედთან დაკავშირებით, რაც პოემის სათანადო სტრო-

ფთა ანალიზით არის გადმოცემული. იგი წერს, რომ პოემაში ქეთევანის ამბავთან ერთად გადმოცემულია როგორც პოემის გმირის – ქეთევანის, ასევე პოემის ავტორის – ქეთევანის ძის თეიმურაზის ღრმა სულიერი განცდები. მკვლევრი აღნიშნავს, რომ თეიმურაზის პოემას ახასიათებს ჟანრობრივი სიახლე, მაგრამ ამავე დროს იგი გარკვეულად უკავშირდება ძველი ქართული მწერლობის ისეთ ტრადიციულ დარგს, როგორიც მარტვილობაა და გადმოგვცემს წმინდანის მოწამებრივ ცხოვრებას (გუგუშვილი 1981: 20). დედის წამების აღწერისას პოეტი ცრემლებს ღვრის და სინანულს ვარ უმკლავდება, რომ ჯვარცმული ქრისტეს გვერდით წამებული ავაზაკივით თვითონ არ ეცვა ჯვარს დედის გვერდით, ღრმად განიცდის თავის ცოდვილობას. გამოკვლევის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ სევდა და მწუხარების მოტივი თეიმურაზის შემოქმედებისთვის საერთოდ დამახასიათებელია, რის საფუძველსაც მეფის პირადული და საქვეყნო ტრაგედია წარმოადგენს. მ. გუგუშვილი არ ეთანხმება ზ. ავალიშვილს, თითქოს თეიმურაზის განცდები, გადმოცემული პოემაში, ნაძალადევი და ხელოვნურია; პირიქით, დედის წამების აღმწერი მეფე-პოეტის თხზულებაში თვით ავტორის პირადი მწუხარება, სევდა, სინანული და გულისტკივილია (გუგუშვილი 1981: 24).

რაც შეეხება ქეთევან დედოფლის ყოფნას შირაზის ტყვეობაში, მკვლევარი ვრცლად განიხილავს თეიმურაზის მიერ პოემაში გადმოცემულ ამბავს ისტორიული მასალის ფონზე: ქეთევანის მძიმე სულიერ მდგომარეობას შვილიშვილების ტრაგიკული ბედის გამო, მათი მტანჯველის – შაჰ-აბაზის დახასიათებას, იმამ ყული ხანის როლს ქეთევანის შირაზის ტყვეობაში ყოფნისას და დედოფლის მოწამებრივ სიკვდილში, იმ პირთა ამბავს, რომელნიც შესაბამის სტროფებში არიან დახასიათებულნი. იმ ორი მღვდლის შესახებ, რომელნიც ქეთევანს შირაზის ტყვეობაში ახლდნენ, მკვლევარი აღნიშნავს, რომ ერთი ქრისტეს სჯულისთვის უწამებიათ, მეორე კი, ზუცესი გიორგი, დედოფლის წამების წინ გაუთათრებიათ. რაც შეეხება პოემაში ნახსენებ თინათინს, იგი მას უკავშირებს თინათინ წიბას, რომელიც შემდეგ პიეტრო დელა ვალემ შეირთო ცოლად. „ქეთევანიანში“ დასახელებულ პირთა შესახებ მკვლევარს გამოაქვს დასკვნა, რომ რადგან ისინი რეალური პიროვნებანი ჩანან, რომელნიც დედოფალს თან ახლდნენ შირაზის ტყვეობაში, ამიტომ თეიმურაზს რაღაც ცნობები ჰქონია თავისი დედის წამების შესახებ და ვარაუდობს, რომ ეს ამბები პირველ რიგში უნდილაძეებიდან უნდა სცოდნოდა, მითუმეტეს, რომ დაუდ-ხან უნდილაძე სიძე იყო წამებული დედოფლისა და თეიმურაზის ძმადშეფიცული (გუგუშვილი 1981: 36-37).

ქეთევანის წამებასა და ამ წამების მიზეზთა შესახებ ავტორი ვრცლად მიმოიხილავს პოემის ცნობებსა და არსებულ ისტორიულ მასალას. იგი

ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თეიმურაზის პოემაში ისევე, როგორც ისტორიული წყაროების უმრავლესობაში დედოფლის წამების მიზეზად ისაა ჩათვლილი, რომ მან ქრისტიანობა არ უარყო; მკვლევარი აანალიზებს ბერძენი ბერის გრეგორის წერილს აბატ სოფრონისადმი, სადაც შაჰი ქეთევანს ეუბნება „არა ნაკლებ გაფასებ, ვიდრე ჩემს მშობელ დედასო“, მაგრამ დაბეჯითებით მოითხოვს ქეთევანის გამაჰმადიანებას და არაქელ დავრიჟეცის ცნობას, რომ ტყვე ქართველ დიდებულთა დედები, რომელნიც სპარსეთში იყვნენ, არ იღებდნენ მაჰმადიანობას თეიმურაზის დედის მიბაძვით. „არაქელის აზრით, ეს გახდა მიზეზი, რომ შაჰს ქეთევანისთვის გამაჰმადიანება მოუთხოვია. ქეთევანის თავიდან მოშორება შეიძლება იმიტომაც გახდა საჭირო, რომ დედოფალი თანმხლებთა შორის განამტკიცებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას“ (გუგუშვილი 1981: 39-41). მკვლევარი აღნიშნავს, რომ უცხოური წყაროების ნაწილი გვიმოწმებს, რომ დედოფალი ქრისტიანობის ურყევი დაცვისთვის აწამეს, მაგრამ, მაგალითად, კასტელის ცნობით, შაჰი დედოფლის კეთილშობილებამ, სილამაზემ და მჭერმეტყველებამ ისე მოხიბლა, რომ იგი სიყვარულმა შეიპყრო, მაგრამ, რადგან მიზანს ვერ მიაღწია, შირაზის სამეფო ციხეში ჩააგდო, თუმცა კასტელი იქვე ამბობს, რომ წამების ერთ-ერთი მიზეზი დედოფლის სარწმუნოებრივი ერთგულება იყო. ასევეა წარმოდგენილი ეს ვითარება გრიფიუსის ნაწარმოებში, რაც მოწმობს ამ გადმოცემის სიძველეს.

მკვლევარი ფართოდ აანალიზებს ქეთევანის ვრცელ მონოლოგს – ლოცვას წამების წინ, აღნიშნავს, რომ თეიმურაზი იყენებს რუსთაველის მხატვრულ სახეებს და ლექსიკას. ასეთებია ქეთევანის მიმართ თეიმურაზის მიერ თქმული „მოვიდა, დაჯდა უშიშოდ, ვითა ვეფხი და გმირია“ რაც რუსთველური შედარებაა: „ადგა ასრე გულუშიშრად, ვეფხი იყო ანუ გმირი“. ასევე, როცა დედოფალი მოუწოდებს მტარვალთ, რომ აწამონ, თავის თანმხლებთ მიმართავს რუსთველური სტრიქონით: „აჰა ჟამი, ვისცა უნდა ჩემი თანა წამოყოლა“. შემდეგ განხილულია ქეთევანის წამების თეიმურაზისეული აღწერა შესაბამის ისტორიულ წყაროებთან.

ავტორი დაასკვნის, რომ ქეთევანის წამებას, გარდა სარწმუნოებრივისა, სხვა საფუძველიც ჰქონდა, რაც პოლიტიკური და ისტორიული მდგომარეობით იყო განპირობებული, თუმცა ამაზე თეიმურაზი ღუშს. მკვლევარი ასევე აღნიშნავს, რომ უცხოურ წყაროებში ქეთევანის წამების მიზეზად დამატებით მისადმი შაჰ-აბაზის გამიჯნურობაა მიჩნეული.

რაც შეეხება ქეთევანის ნეშტისა და გაკათოლიკების საკითხს, აქაც თეიმურაზის პოემა ისტორიული მასალის ფონზეა გაანალიზებული, ასეთებია ამბროზიო ღუშ ანჟუმის, პიეტრო დელა ვალესა და კასტელის

ცნობები, ასევე ბერი გრეგორის წერილი, რომლებშიც ურთიერთსაწინააღმდეგო ამბებია გადმოცემული; მ. გუგუშვილის აზრით, გრეგორის წერილში მონათხრობი სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს, იგი ასევე ეჭვქვეშ აყენებს ამ წერილის დათარიღებას.

შემდეგ მ. გუგუშვილი ეხება ზ. ავალიშვილის ნაშრომს, რომელშიც გადმოცემულია ცნობა, თითქოს დედოფალმა წამების წინ კათოლიკობა მიიღო. მკვლევარი თვლის, რომ „ქეთევანის გაკათოლიკება ისტორიული წყაროებით არ დასტურდება ისიც უდავოა, რომ ამ აქტით კათოლიკე მისიონერებმა გარკვეული პოზიციები მოიპოვეს კახეთის სამეფოში“ (გუგუშვილი 1981: 29; 55).

რაც შეეხება თეიმურაზის პოემის დათარიღების საკითხს, მ. გუგუშვილი სხვადასხვა მონაცემთა შეჯერებით თვლის, რომ პოემა შესაძლებელია 1627-1628 წლებით დათარიღდეს (გუგუშვილი 1981: 56-57).

„ქეთევანის წამების“ ჟანრს შეეხო მკვლევარი ეკა ჩიკვაიძე სტატი-აში „ქეთევანიანი – პოეტური ჰაგიოგრაფია“ (ჩიკვაიძე 2022: 283-291), სადაც იგი მიუთითებს, რომ სინქრონულ პერსპექტივაში ჟანრი აღიქმება, როგორც დადგენილი, ფორმულირებული და გამყარებული კონსტრუქცია, განპირობებული შიდალიტერატურული კანონებით, დიქტონულ პერსპექტივაში კი – როგორც პერმანენტულად ქმნადი სისტემა, დამოკიდებული კონკრეტული ეპოქისათვის ნიშანდობლივ ისტორიულ და კულტურულ ღირებულებებზე. ამის საფუძველზე იგი მიუთითებს ჟანრის ცვალებადობის პერსპექტივაზე, რაც მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, თუ რომელი ჟანრის თხზულებაა თეიმურაზის „ქეთევანიანი“ (ჩიკვაიძე 2022: 284). მკვლევარი მსჯელობს იმაზე, თუ რატომ არის ჰაგიოგრაფია „ქეთევანიანი“. ავტორი ეყრდნობა ჰაგიოგრაფიულ ტექსტის კონკრეტულ მარკერებს, რომელთა შორის არის სტრუქტურა, სიუჟეტი და ნარატივი, რომელიც ცხოვრებისა და წამების გმირთათვის განსხვავებულია და მოი-აზრება გმირის, მარტვილის სახე; ავტორი; ღვაწლის შეფასება; წერის სტილი და ბიბლიური პარადიგმები. შემდეგ კი სათითაოდ განიხილავს პოემის ჰაგიოგრაფიასთან მიმართების საკითხებს და მიუთითებს, რომ: „1. მართალია, ავტორი, თეიმურაზი, წამების უშუალო შემსწრე არ არის, მაგრამ მსგავსად იმ ავტორებისა, რომელნიც მარტვილობის დეტალებს შემსწრეთაგან იგებენ და შემდგომ აღწერენ თხზულებაში, თეიმურაზიც თვითმხილველთა ნაამბობს ეყრდნობა; 2. პოემა იწყება უფლის სახელის ხსენებით, დიდებითა და თხოვნით, რომ განასრულოს, „ათქმევინოს ქება“; 3. უშუალოდ დედოფალი თხრობაში მე-ნ სტროფის ბოლოდან შემოდის და ეს არის განსაცდელის, უფლის მიერ ქეთევანის სამოღვაწეოდ მოხმობის, მოწოდების, მისი მადლის ჩენის შესაძლებლობის ეპიზოდი; 4.

ისტორიული პლასტი თხრობაში შემოდის ბრძოლის ამბის გახსენებით, ავტორს ეს ეპიზოდი სჭირდება წამების მიზეზთა გასაცოცხლებლად. თითოეული მარტვილობა ზოგადი და კონკრეტული კონტურებისგან შედგება. ზოგადი ჩარჩოთი ყოველი მარტვილობა არის მაცხოვრის ბაძვა, საფეხურებრივი ზეაღსვლა, ღმერთშემოსვის ეტაპების ჩვენება. როგორც წესი, ეს ეტაპები კონკრეტულ ბიოგრაფიულ პასაჟებს, კონკრეტულ ამბავს ემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ დედოფალმა თითქმის თერთმეტი წელი გაატარა ტყვეობაში, თეიმურაზი არ აღწერს დედოფლის ტყვეობის ამ ეპიზოდებს. მნიშვნელოვანი მეფე-პოეტისთვის არის მოკლე შეჯამება, როგორ ცხოვრობდა და რა განსაცდელის დაძლევა მოუხდა დედოფალს, რით განვლო სულიერი სიმტკიცის საფეხურები; 5. განსაკუთრებული დატვირთვა თეიმურაზისთვის აქვს დედოფლის ლოცვას რჯულის შეცვლის წინადადებაზე. ლოცვა დატვირთულია ბიბლიური სახე-სიმბოლოებით და ვედრება გაჯერებულია ღრმა სინანულითა და სიმტკიცის თხოვნით; 6. ავტორი წამებას დედოფლის ნეშტის ფრანგი მისიონერების მიერ პატივგებით ასრულებს, რასაც მოჰყვება 7. თეიმურაზის – შვილისა და ავტორის მოთქმა; 8. ავტორი აღარებს დედოფალს ნინოს და ავედრებს ირინესა და მარინეს – წმინდა ქალწულ-მოწამეებს; 9. თეიმურაზი ბრძანებს, რომ დედოფლის ღირსეულად მოხსენებას სჭირდება ნებროთის გმირად მომხსენებლის ცოდნა და უნარი, არეოპაგელის სიბრძნე (ჩიკვაიძე 2022: 288-290). მკვლევარი წერს, რომ „ქეთევანიანის“ ჟანრობრივ სპეციფიკას განსაზღვრავს მიზანი, რისთვისაც იქმნება ტექსტი. შესაბამისად, „ქეთევანიანი“ ფორმობრივად არის პოეზია, ხოლო თხრობის მიზნით, ნარატივით, გმირის ხატის ჩვენებით და ავტორის პოზიციით – ჰაგიოგრაფია. ავტორი ეყრდნობა მ. ნაჭყებიას დებულებას იმის შესახებ, რომ XVII საუკუნე მთელ ქრისტიანულ სამყაროში რელიგიური საკითხების წინ წამოწევით ხასიათდება და რომ ე.წ. „აღორძინების ხანად“ წოდებული XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა თავისი თემატიკით, პრობლემატიკით, რელიგიური თემების დამუშავებისადმი მიდრეკილებით სრულიად ეხმიანება ევროპული ბაროკოს ლიტერატურას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება (ჩიკვაიძე 2022: 286-287). ე. ჩიკვაიძე პასუხს სცემს კიდევ ერთ კითხვას: რატომ არ არის ქეთევანიანი ბიოგრაფიული პოემა და განმარტავს: „ეს ტექსტი არ არის არც მხატვრული ბიოგრაფია სწორედ მიზნიდან გამომდინარე და არც ისტორიული პოემა, რადგან ავტორის, თეიმურაზის მიზანი ქეთევანის უფლის მიერ საღვაწად მოწოდებიდან გვირგვინოსნობამდე გზის ჩვენებაა და არა ბიოგრაფიულ დეტალთა წარმოჩენა. რაც შეეხება ფორმობრივ განსხვავებას, სწორედ ეს თავისებურება მხოლოდ და უტყუარად

ბაროკოული სიახლით, ფორმობრივი ძიების პროცესით უნდა იყოს განპირობებული (ჩიკვაიძე 2022: 291).

საგულისხმოა, რომ 2017 წელს კიდევ ერთხელ გამოიცა თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“ (თეიმურაზი 2017). ახალი გამოცემისათვის ტექსტი მოამზადა, შესავალი და კომენტარები დაურთოთ თეა ქართველიშვილმა. წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს პოემის გამოცემას იკითხვისეზითა და კომენტარებით. კომენტარებში თავმოყრილი სხვადასხვა წყაროს ანალიზის ფონზე უფრო თვალსაჩინო ხდება ქეთევან დედოფლის ცხოვრებასა და წამებასთან დაკავშირებით დატრიალებული დრამატული მოვლენები.

თავი III.

თეიმურაზის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“

თეიმურაზის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ ღვთისადმი მიმართ-
ვით იწყება: „ღმერთო ცისა და ქვეყნისა“ – ამბობს ავტორი და უკვე
აქ ჩანს ცისა და ქვეყნის, ანუ სოფლის დაპირისპირება. იგი ევედრება
მას: „არამცა მიმცე სოფელსა, მტყუანია და მაქცეო“ (1). ამ „მტყუანი“
და თვალთმაქცი ამსოფლიური ცხოვრების მღურვა თავიდანვე მთავარ
მოტივად გასდევს მთელ პოემას, ეს ბაროკოს ადამიანისთვის, ბაროკოს
ეპოქის შემოქმედისთვის დამახასიათებელი მსოფლალქმაა. მიუხედავად
იმისა, რომ გეოგრაფიული ევროპის ერთი ნაწილი განუყოფლად უკა-
ვშირდებოდა ანტიკურ რომსა და კათოლიკურ ეკლესიას, ხოლო მეორე
– ბიზანტიასა და მართლმადიდებლურ ეკლესიას ეყრდნობოდა, მათი სა-
ძირკველი და კულტურული განვითარება ქრისტიანული სარწმუნოების
ნიშნით მიმდინარეობდა და „ევროპა“ მხოლოდ გეოგრაფიული ცნებად არ
გვევლინება, არამედ მოიაზრება, როგორც სულიერების სფერო. ქართული
ლიტერატურის ბედი და მდგომარეობა ამ შემთხვევაში განსაკუთრებულია:
ბუნებრივ ქრისტიანულ გარემოს მოშორებული და ამ თვალსაზრისით
იზოლაციაში მყოფი, მეტიც, სარწმუნოებრივად უცხო სივრცეში აღმო-
ჩენილი ქრისტიანული ქვეყნის ლიტერატურა დიდი გამოწვევის წინაშე
აღმოჩნდა, რაც მდგომარეობდა არამხოლოდ თვითმყოფადობის შენარჩუნე-
ბაში, არამედ ლიტერატურული პროცესის წარმართვაში იმ კალაპოტით,
რომელიც ბუნებრივი იქნებოდა ისტორიული ქართველებით გატანჯული
ქრისტიანული ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრებისთვის.

სწორედ ეს განცდები და სულიერი მდგომარეობა აისახა ასე მძაფრად
თეიმურაზის შემოქმედებაში, ხოლო მწვერვალად კი მისი „წამება ქეთევან
დედოფლისა“ გვევლინება, რომლის თითოეული სტროფი ამ განცდებით
არის განმსჭვალული.

„ფათერაკია სოფლისა სიცოცხლე, თვალის წამება,
ფერობა, ბრუნვა, ჩვენება, წესად სჭირს ცილის წამება“ (2)

მოთქვამს თეიმურაზი და უფალსა და ღვთისმშობელს ერთადერთ
იმედად სახავს, რათა მას, ცოდვილს, ცრემლიანს, მჭმუნვარეს, ფრიალი სევ-
და-ნალვლით საგსეს, შეეწიონ და უშველონ:

„იესოვ შენ გევედრები, მარიამ ქრისტეს დედაო,
აბრამ, ისაკ და იაკობ, ელია — ამაზედაო,
ფრიადნი სევდა-ნალექლნი დამერთო ზედი-ზედაო,
იმ თქვენი ღვთის გულისათვის მიშველეთ ამაზედაო” (5)

ეს გულისმომკლავი თხოვნა-მუდარა, უფლის მიმართ აღვლენილი, პოეტის იმ მძიმე სულიერ მდგომარეობას გამოხატავს, რომლითაც იგი შეუდგა დედის — ქეთევან დედოფლის წამების აღწერას. თეიმურაზი ღმერთს, რომელსაც „ჭმუნვით ქებას ასხამს”, ევედრება შემწეობას, რათა ღირსეულად შესძლოს ამ მძიმე ამბის გადმოცემა:

„მზის ქეთევანის წამება ვიცოდე რა საქმენითა,
ღირს მყავ ცოდვილი მე ესე, რომ მათქმევინო ენითა” (6).

„ღმერთო ჩემო, გევედრები, მაწერინო ხელ-უფლებით” (7).

უნდა გავითვალისწინოთ, რომ თეიმურაზის ეს პოემა სრულიად ახალი ჟანრობრივი თხზულებაა, რომლის მსგავსი ქართულ მწერლობაში მანამდე არ არსებობდა და მეფე-პოეტის წინაშე მრავალი სირთულე იდგა: მას მხატვრულ პოეტურ ნაწარმოებში უნდა აესაზა რეალური პიროვნება და ის გარემო, რომელშიც ეს პიროვნება ცხოვრობდა. იგი პრინციპულად უნდა გამიჯნოდა იმ ტრადიციას, რომელიც ამ დროისთვის უკვე საკმაოდ იყო დამკვიდრებული და ძველი, მზა-მზარეული სიუჟეტების ხელახალი დამუშავებით განისაზღვრებოდა, სადაც თავად ამბავთა თანამიმდევრობა წინასწარ იყო შემუშავებული. წარმოვიდგინოთ ის მძიმე ნალექლი, განწირულობის გრძნობა, საკუთარი ცოდვილიანობის მძიმე შეგრძნება, რომლითაც პოეტი — შვილი წამებული დედისა — ხელს ჰკიდებდა პოემის შექმნას. აქ მხოლოდ პოეტურ ინტუიციას შეეძლო წარემართა მეფე-პოეტის კალამი და მოენახა ის მყარი საყრდენი, რომელსაც დაეფუძნებოდა მთელი პოემა. ასეთი საყრდენი მას აგიოგრაფიულმა ჟანრმა მისცა, რასაც მოწმობს თვით პოემის სათაური „წამება ქეთევან დედოფლისა”. აქ უნდა დავეთანხმოთ გ. იმედაშვილის მოსაზრებას, რომ ქეთევანიანი არის რელიგიური განწყობილებით და აზრით აღბეჭდილი, მარტვილოლოგიური ტრაფარეტით აგებული წამების ამბავი, რომელიც შაირით არის გალექსილი, მაგრამ ამავე დროს არის ისტორიული ჟანრის პირველი ნაწარმოები ქართულ ლიტერატურაში.

როგორ არის გააზრებული თეიმურაზის მიერ პოემის აღნაგობა? აქ შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ნაწილები, როგორც კომპოზიციური ერთეულები:

1. მიმართვა ღვთისადმი (1-5);
2. პოემის შეთხზვის მიზანი და უფლისგან შეწვევნის თხოვნა, რათა ქეთევანის წამება „ათქმევინოს ენითა“ (6-7);
3. საქართველოში არსებული რეალობის აღწერა, რომელიც წინ უძღოდა წამებას (8-11);
4. ქეთევან დედოფლის პატიმრობა განჯაში (12-14);
5. ქეთევან დედოფლის პატიმრობა შირაზში, შვილიშვილებთან ერთად (15-17);
6. ქეთევან დედოფლის მოთქმა შვილიშვილების დაღუპვის გამო (18-21);
7. ქეთევან დედოფლის უნუგეშო ყოფა შირაზში (22-28);
8. შაჰ-აბასის ბრძანება იმამ-ყული-ხანის მიმართ ქეთევან დედოფლს გამაჰმადიანების ან წამების შესახებ (29-33);
9. იმამ-ყულის ცდა, დაიყოლიოს დედოფალი გამაჰმადიანებაზე (33-35);
10. ქეთევან დედოფლის მტკიცე უარი (36);
11. ქეთევან დედოფლის ლოცვა მოახლოებული განსაცდელის წინ (37-40);
12. ქეთევან დედოფლის უშიშარი წარდგომა ჯალათთა წინაშე (47-50);
13. მოახლეთა თხოვნა (51);
14. ქეთევანის მიმართვა მოახლეთა მიმართ (52);
15. მოახლეთა მოთქმა (53-55);
16. ავგუსტინელ მისიონერთა დასწრება ქეთევან დედოფლის წამებაზე (56);
17. ქეთევანის მოახლეთა დასახელება და მათი განცდები (57-60);
18. ქეთევანის მიმართვა გიორგი მღვდლისადმი (61-63);
19. ქეთევან დედოფლის წამების და აღსასრულის აღწერა (66-71);
20. ქეთევან დედოფლის ნეშტის და საფლავის ამბავი (72-79);
21. ქეთევან დედოფლის გმირული მარტვილობის ქება (78-79);
22. პოემის ავტორის – თეიმურაზის განცდები (80-84);
23. თეიმურაზის მიმართვა მკითხველისადმი (85-86).

პოემის ამგვარი აღნაგობა ცხადყოფს მის მჭიდრო კავშირს აგიოგრაფიულ ჟანრთან, მაგრამ მთავარი ის არის, რომ წამება ლექსად არის დაწერილი და მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებას წარმოადგენს.

უმთავრესი, რაც ჩვენ გვინტერესებს, არის ქეთევანის მხატვრული სახე, რომელიც თეიმურაზის პოემაშია წარმოდგენილი. პოემის მთავარ გმირს ავტორი თავიდანვე მოიხსენიებს, როგორც „მზეს“, რაც ამ პოემის მხატვრულ ლიტერატურასთან კავშირის ერთ-ერთი მოწმობაა: „მზე“ ჩვეულებრივი ეპითეტია ქალისა, მაგალითად, რუსთაველის პოემაში. თეიმურაზი წერს:

„მზის ქეთევანის წამება ვიცოდე რა საქმენითა,
ღირს მყავ ცოდვილი მე ესე, რომ მათქმევინო ენითა” (6, 3-4)

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ქეთევანი მზედ მოიხსენია, აკონკრეტებს თეიმურაზი გმირის ვინაობას – იგი დედოფალია:

„ეს ამბავი მისი არს, ვის უხმობენ დედოფლობით” (7,1)

მეფე-პოეტი სულ ერთ სტრიქონში ათავსებს ქეთევან დედოფლის პიროვნების დახასიათებს, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა, როდესაც ამბობს

„თავი მისი ქებით წერეს, ოდეს იყო ხმელთა ფლობით” (7,2)

მხოლოდ ამის შემდეგ იწყება იმ ისტორიული და პოლიტიკური ვითარების აღწერა, რაც წინ უძღოდა დედოფლის ხანგრძლივ ტყვეობას სპარსეთში და მის მოწამებრივ აღსასრულს. კახეთის დედოფალი, თეიმურაზის თქმით, „მიენდო” გამწყრალ შაჰ-აბასს, მისი გულის მოსალობად უძღვნა ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნდა – საკუთარი შვილიშვილები – ალექსანდრე და ლევანი, მათთან ერთად კი თავადთა ძენიც, რათა სპარსეთის შაჰს „შეეწყნარა კახეთი, არ ექნა მათზე ძლევა” (9,1-3), მაგრამ მაინც ვერ მოაღბო უწყალო სპარსელის გული, რომელსაც ქართველთა ამოწყვეტა დაესახა მიზნად: შაჰმა

„არ გაუგონა, ეწადა მათი სისხლისა ლევანი” (9, 4)

დედოფალმა საკუთარი თავი მისცა მძევლად შაჰს, რათა ქვეყნისათვის განსაცდელი აერიდებინა, მაგრამ შაჰმა არაფრად ჩააგდო დედოფლის ასეთი გმირული თავგანწირვა და გასცა კახეთის დარბევა-განადგურების ბრძანება. ქრისტიანთა მოძულე შაჰის მიერ კახეთის აოხრება და მოსახლეობის ამოწყვეტა ერთი სტროფით არის გადმოცემული:

„დაარბივს, ამოწყვიტეს, შექმნეს ვითა განაქარი,
შირაზ-შირვან-ხვარასნელი შიგ ჩაუშვა მან ლაშქარი,
სადაც ვინმე გარდებევწა, ან მოურჩა, მგონ, აქ არი,
სხვა დახოცა, დაატყვევა, წამოვიდა ვითა ქარი” (11)

ეს ტრაგიკული სურათი კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს შაჰის დაუნდობლობას და ქმნის კონტრასტს იმ ისტორიულ ფაქტთან, რომ ქეთევან დედოფალი, როგორც მძევალი, მიენდო მიუნდობელ და დაუნდობელ სპარსეთის მეფეს.

ერთი შეხედვით თითქოს უცნაურია, რომ ქეთევანის დასახასიათებლად თეიმურაზი მიმართავს მის შედარებას ყმასთან ანუ მამაკაცთან:

„მისებრი არვინ შობილა, არცა ყმა, არცა ქალია” (8, 4)

ამგვარი შედარება რომ შემთხვევითი არ არის, პოემაში შემდგომ გა-
მოჩნდება, ქეთევან დედოფლის წამების აღწერისას და თავს იჩენს კონკ-
რეტულ ისტორიულ დეტალებში.

მტარვალი შაჰ-აბასის საზარელი სახე, რომელიც უპირისპირდება ქეთევანის ამაღლებულ მხატვრულ სახეს, თეიმურაზის მიერ ზუსტი დე-
ტალებით არის გადმოცემული: შაჰ-აბასი არის „მძლავრი უწყალო მეფე”, „ქრისტიანთა მტანჯველი”, „უბრალო სისხლთა მჩქეველი”, „ეროდias წილ მჯდომელი” და არა ლმობიერი მმართველი, როგორც მეფეს შეჰფერის. შაჰის შედარება ეროდიასთან, ანუ ბიბლიურ მეფე ჰეროდესთან, მეტად შთამბეჭდავია და სპარსეთის ტყვეობაში ქეთევანის და უფლისწულების ყოფნის მეტაფორული გამოხატულებაა. ჰეროდე ცნობილია, როგორც ჩვილ ყრმათა ამაღწეველი და შაჰ-აბასის დახასიათებისას თეიმურაზი ამ ბიბ-
ლიურ მაგალითს მიმართავს. შირაზში გაგზავნილი ქეთევან დედოფალი წარმოდგენილია, როგორც ღვთისმშობლისავით ეგვიპტეში მყოფი, რომე-
ლიც შვილიშვილებს ზრდიდა და ტყვეობას არად აგდებდა, რაკი „ნაყოფი ძისა” – ალექსანდრე და ლევანი მასთან იყვნენ:

„თვალთა სინათლის სანაცვლოდ შვილებსა ზრდიდა მისასა,
ეგვიპტეს ყოფნა არად ჩნდა, ზრდიდა ნაყოფსა ძისასა” (15, 3-4)

ისტორიული ფაქტი, ნორჩი უფლისწულების, თეიმურაზის შვილების გამოსაჭურისებით დახოცვა შაჰის ბრძანებით დიდი მხატვრული ექსპრე-
სიით არის გადმოცემული პოემაში – ესაა „პირსა ზოკით, ლაწვთა გლე-
ჯით” ქეთევან დედოფლის მწარე მოთქმა ალექსანდრესა და ლევანის საფლავზე.

ის ისტორიული სინამდვილე, რაც ქეთევანის სპარსეთში ხანგრძლივ ტყვეობას ეხება, დედის მარტვილობის აღმწერ პოეტს სრული სიზუს-

ტით აქვს გადმოცემული. „სოფლისაგან გარჯილ” დედოფალს, შვილისაგან დაშორებულს, შვილიშვილების დამკარგავს, ნათელი დაუბნელდა, „მას უკანის აღარ უნდის მთვარისა და მზისა ნახვა” (22, 1), მისი ერთადერთი ნახსაყუდელი ქრისტიანული რელიგიისათვის მსახურებაა, იგი გამუდმებით ტირის და ახავს, დღე და ღამ ლოცულობს, კითხულობს სასულიერო წიგნებს, მარხულობს, მტკიცედ ინახავს რჯულს და ევედრება შემოქმედს მისცეს ძალა „არ შესცვალოს სჯული მისი”, შვილთან დაცილებულს, ენატრება მისი ამბის შეტყობა. საყურადღებოა, რომ თეიმურაზმა დაწვრილებით იცის დედის ამბავი, იცის, რომ მძიმე მწუხარებამ მის ფიზიკურ მდგომარეობაზეც იმოქმედა: თვალის სინათლე მოაკლდა, კბილები დასცვივდა, გარეგნობით შეიცვალა:

„მოთქმისა, ტირილისაგან მოაკლდეს თვალთა ნათელი,
სიბრწყინვალე და სინათლე, აღარა ჰქონდეს ნათელი,
ბაგე და კბილი მოშლოდეს, ძოწ-მარგალიტთა ნათელი” (28, 1-3)

ასე მთავრდება პოემის დაახლოებით ერთი მესამედი: ყოველივე ეს წინ უძღვის იმ ამბავს, რაც დედოფლის მოწამებრივ აღსასრულს ეხება. ქეთევან დედოფლის პირადი თავგადასავლის აღწერით თეიმურაზმა საქართველოს იმდროინდელი მძიმე ისტორიული ვითარება დახატა.

ამ ამბის აღწერას უშუალოდ მოჰყვება შაჰ-აბასის ბრძანება შირაზის ხილარ-ხანის მიმართ, რომ კახეთის დედოფალი ან გაამაჰმადიანოს, ან წამებით ამოხადოს სული. აქ უნდა ითქვას, რომ რაიმე ისტორიული ხასიათის განმარტება, თუ რამ გამოიწვია შაჰის ეს ბრძანება ზუსტად იმ დროს, თეიმურაზის პოემაში არ ჩანს. როგორც ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი, ქეთევან დედოფლის წამების კონკრეტულ მიზეზად რამდენიმე პოლიტიკური ხასიათის მქონე ფაქტს ასახელებენ: თეიმურაზის მიერ კავშირის ძიებას თურქეთთან და რუსეთთან; შაჰ-აბასთან რუსეთის მთავრის ელჩის ჩამოსვლას, რომელმაც შაჰს ქეთევანის განთავისუფლება სთხოვა; შაჰ-აბასის ეჭვს, რომ დედოფალი თეიმურაზს სპარსეთში მომხდარ ამბებს ატყობინებდა (დუშ ანჟუში 1987: 35-36); ერთ მიზეზად ისიც არის დასახელებული, რომ სპარსეთში მყოფ ქართველ დიდებულთა დედები დედოფლის წაბაძვით უარს ამბობდნენ გამაჰმადიანებაზე (დავრიშვილი 1975: 9; 42).

თეიმურაზი არაფერს ამბობს შაჰის ბრძანების გამომწვევ უშუალო მიზეზზე; პოემაში გადმოცემულია შაჰ-აბასის შენათვალი იმამ-ყული-ხანისადმი, „უბრალო სისხლის მჩქეფელი” სპარსეთის მბრძანებელი პირდაპირ ავალებს მას არ აცოცხლოს დედოფალი:

„შენ ქეთევან დედოფალსა ნუ აცოცხლებ დიდსა ხანსა,
ვირ არ შევსვამ სისხლსა მისსა, არ ავიღებ დასტახანსა” (29, 2-3)

შაჰის ბრძანების მთელი აქცენტი სარწმუნოებრივ აღმსარებლობაზეა გადატანილი: მამასადაძე, ქეთევან დედოფლის წამების მიზეზად თეიმურაზი დედის ქრისტიანობისადმი ერთგულებას თვლის:

„თუ მუსურმანი შეიქმნეს იგი ლალი და ჯანია,
მაჰმადის რჯულზე მოიქცეს, აზრაველს მისცეს ჯანია,
მე მურთუხალი მიფიცავს, არ უყო ისკანჯანია,
არა გმოს იესო ქრისტე – მიეცით დიდი რჯანია” (30)

რასაკვირველია, ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებასა და გამაჰმადიანებაზე მტკიცე უარის თქმას თავისი ეროვნული ქვეტექსტი ჰქონდა; იგი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი სახე იყო. მაგრამ რჯულს, ქრისტეს ერთგულებას მარადიული და ზოგადი ხასიათი ჰქონდა, ხოლო ამა თუ იმ პიროვნების წამება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა ისტორიული და პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული. თეიმურაზის პოემაში ეს კონკრეტული ისტორიული მიზეზი ქეთევან დედოფლის წამებისა არ ჩანს, მთელი სიმძიმე რწმენის ერთგულებაზეა გადატანილი.

შირაზის ხანმა, როგორც თეიმურაზი გადმოგვცემს, სამ თვეს არ განუტყადა კახეთის დედოფალს შაჰის ბრძანება, რადგან ვერ ჰკადრა როგორც თეიმურაზის დედას და მისთვის ტყვედ ჩაბარებულს, „ანაბარს”:

„თეიმურაზის დედასა ვით კკადრო უკადრონია?” (31, 4)
„ვით უამბო, ვით შეკკადრო ტყვესა ჩემსა ანაბარსა?” (33, 1)

შირაზის ხანი მოციქულს უგზავნის დედოფალს, რათა შაჰის მრისხანე ბრძანება გადასცეს, თან ურჩევს გამაჰმადიანებას, რათა თავიდან აიცილოს წამება:

„შენცა მოიქეც, გათათრდი, ვითამც არ უარესია,
იესო ქრისტე რას გიზამს, გიწყრება შენ აწ ესია,
სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენი წესია” (35, 2-4)

აქ გასაგები ხდება, რატომ შეადარა თეიმურაზმა პოემის დასაწყისში ქეთევან დედოფალი მამაკაცს: ეს დარბაისელი, ასაკოვანი მანდილოსანი, რომელსაც რჯულისა და მამულის ერთგულებისათვის უნდა ჰკადრონ უკადრონი, მზად არის წამებით მოკვდეს, ოღონდ მაცხოვარსა და სამშობლოს არ უღალატოს. ეს ვაჟკაციური გადაწყვეტილება: მანდილოსანი უჩვენებს მამაკაცს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა რწმენის ერთგულება.

პოემის უმეტესი ნაწილი ქეთევან დედოფლის ურყევი გადაწყვეტილების, წამებისათვის მამაცური სამზადისის, წამების, მოწამებრივი აღსასრულისა და მისი წმინდა ნეშტის ამბებს ეძღვნება. ქეთევანის ლოცვა წამების წინ, უფლის მიმართ აღვლენილი ვედრება მხოლოდ პიროვნული ხასიათისა არ არის. ეს ლოცვა მთავრდება უძლიერესი სტროფით, რომელშიც ჩანს, რომ დედოფალს რჯულისათვის თავისი მოწამებრივი სიკვდილი ესმის, როგორც ნებაყოფლობითი მსხვერპლი მამულისა და მეფის – მისი შვილის საკეთილდღეოდ:

„რადგან მომკლა უწყალომან, დრო იპოვა ჩემსა ზედა,
სასწაული მოავლინე ქრისტიანთა ტყვეთა ზედა,
შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა” (46)

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თეიმურაზი აქაც მკაცრად იცავს დოკუმენტურობას: სტროფის ბოლო ტაქები მისი შეთხზული კი არ არის, არამედ თავად ქეთევანის ვედრების პერიფრაზია:

„მიეც ძესა ჩემსა მეფესა თეიმურაზს ძლევაი
და რომელნი ჰყოფდენ ხსენებასა ჩემსა,
მიანიჭე საუკუნო სუფევაი”

(ბარამიძე 1966: 317).

თეიმურაზი ჯალათებთან გასული დედოფლის სიმაძაცეს და სიმტკიცეს კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს იმით, რომ ამ საზარელი სასჯელისათვის მტარვალთა მზადებას დეტალურად აღწერს, ესაა „დიდი ჭირი”, მაგრამ ქეთევან დედოფალი

„მივიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია” (48, 1)

გარდა ამისა, კარგად იკვეთება დედოფლის ამაყი და უდრეკი ნებისყოფა, როდესაც იგი თავის მხლებლებსაც მოუწოდებს, ეწამონ მასთან ერთად, და თუკი ამას ვერ შესძლებენ, არ წავიდნენ და დაესწრონ მაინც საზარელ სანახავს – მის წამებას, რადგან მოწამეს **მოწმე** სჭირდება. ქეთევან დედოფლის ვაჟკაცურ შემართებას კიდევ ერთი ისტორიული დეტალი უსვამს ხაზს: იგი მოუწოდებს მის თანმხლებ იმერელ მღვდელს ეწამოს მასთან ერთად, მაგრამ ბუნებით სუსტი მანდილოსანი უფრო გამბედავი აღმოჩნდა, ვიდრე მამაკაცი:

„მღვდელმან რა ნახა, შეშინდა, იგი ცეცხლი და შიშები:
ლახვარი ანუ სამსჭვალნი, ლურსმანი, რაცა შიშები,
შეკრთა, ათრთოლდა, დაეცა თავსა ზარი და შიშები ” (61, 1-3)

მწარედ წერს თეიმურაზი: „წინ დაუთათრეს მხლებელნი, კერვინ თქვა სიტყვა მჭახია” (59, 30).

დოკუმენტური სიზუსტით არის გადმოცემული, რომ ქეთევან დედოფლის წამებას დაესწრო უცხოელი სამღვდლო პირი: „მუნ ვინმე ჯვარის მოსავი ერთი უცხოთა ყოფითა ვნახე ნაზარდი თამამად, ყოფითა არ სამყოფითა” (56, 1-2) – წერს თეიმურაზი. ამ უცხო „ვინმე ჯვარის მოსავში”, რა თქმა უნდა, ამბროზიო დუმ ანჟუში იგულისხმება.

დედის შემზარავი წამების აღწერა სულის შემძვრელი დეტალურობით აქვს გადმოცემული მეფე-პოეტს; მისი ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ დედოფალი ზეცაშია:

„მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არსად არია” (73, 4)

თეიმურაზის მიერ მართლაც დოკუმენტური სიზუსტით არის აღწერილი წამება ქეთევან დედოფლისა. მაგრამ ეს აგვიოგრაფიული ტრაფარეტით აგებული თხზულება ამავე დროს მხატვრული ნაწარმოებია და უნდა დავსვათ კითხვა: რა სახითაა წარმოდგენილი მეფე-პოეტის პოემაში მთავარი გმირი? თეიმურაზის პოემაში ქეთევან დედოფალი დახატულია როგორც დედოფალი, დედა და ბებია, დარბაისელი, ასაკოვანი, ღვთისმოსავი, ჯვრისა და მამულის ერთგული მანდილოსანი, რომელმაც მრავალი საერო თუ პირადი განსაცდელისა და ტანჯვის გამო ტყვეობაში დაკარგა თავისი „სიბრწყინვალე და სინათლე” ანუ გარეგნული იერი.

თუ რა დოკუმენტური სიზუსტით აღწერს თეიმურაზი თავისი დედის წამების ამბავს, მოწმობს ისიც, რომ პოემაში აღწერილი დეტალები სრულ დოკუმენტურ დადასტურებას პოულობს იმ ისტორიული ხასიათის თხზულებაში, რომელიც უშუალოდ თვითმხილველის – ავგუსტინელი მისიონერის ამბროზიოს მოხსენებაში არის აღწერილი. მაგალითად, მოწამის საფლავზე ნათლის დადგომა, რომელიც ერთგვარ ტრაფარეტს წარმოადგენს აგვიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებში, თეიმურაზის პოემაში ამ ტრაფარეტის ფორმალური გამეორება კი არ არის, არამედ ემყარება ისტორიულად დამოწმებულ ფაქტს, რომელიც მამა ამბროზიოს თხზულებაში დასტურდება. ქვემოთ მომყავს პარალელური ტექსტები:

თეიმურაზი:

„ზეციით მოვიდა ნათელი,
იხილეს სრულად ერმანო”.

(72, 1)

ამბროზიო დუმ ანჟუში:

„შირაზში მყოფი ქართველები
ამბობდნენ, რომ ბევრს უნახავს წმინდა
დედოფლის საფლავზე სინათლის
ნათება, რომელიც რამდენიმე დღეს
გაგრძელდა”.

(დუმ ანჟუში 1987: 44)

ასევე ზუსტად არის გადმოცემული მაჰმადიანთა მიერ მინდორში საიდუმლოდ დაფლული ნაწამები ნეშტის პოვნის და ამობრძანების დროს მიღებული შთაბეჭდილება, რომ საფლავიდან „სული ამოხდა სურნელი“, რაც ასევე ერთგვარი ზოგადი ადგილია აგიოგრაფიაში:

თეიმურაზი:

„წელზედ ახადეს
საფლავსა,
იგ ნინოს დასადარია,
სული ამოხდა სურნელი“.
(73, 1-2)

ამბროზიო ღუმ ანჟუში:

„უნდა აღინიშნოს, რომ სხეული ჯერ
მთლად გახრწნილი არ იყო, არავითარი
უსიამოვნო სუნი არ ასდიოდა; პირიქით,
ისეთ ნაზ სურნელს აფრქვევდა, რომ იქ
დამსწრეთ სიამოვნებდა კიდეც“.

(ღუმ ანჟუში 1987: 42)

წამებულის წმინდა ნაწილთა სასწაულთმოქმედი თვისებები, რაც გა-
მოიხატება ავადმყოფთა განკურნებაში, ასევე აგიოგრაფიულ თხზულებებში
ტრაფარეტული ელემენტის გამოვლენა კი არ არის თეიმურაზის პოემაში,
არამედ კვლავ პოულობს პარალელს მამა ამბროზიოს თხზულებაში:

თეიმურაზი:

„მალვით მონახეს ნაწილი,
სად დაეძალა ბარებსა,
ლუსკუმშიგან ჩაიდვეს,
უკმევდეს მუშკ-ამბარებსა,
იგი ჰკურნებდს სნეულთა,
თუ ვის მიუდგის კარებსა“.
(75, 1-4)

ამბროზიო ღუმ ანჟუში:

„იმ ხანებში, ზემოხსენებული მამა,
წინამძღვარი, მორჩილი მანოელ და
მადრე დე ღეუსი გოაში მიემგზავრე-
ბოდა. ამ წმინდა დედოფლის მარჯვენა
ხელი მან გოას მონასტრის ბერებისა
და მოხონელთა სანუგეშოდ წაიღო ...
ამ წმინდა ნაწილების მეშვეობით მასაც
მოეცვლინა ღმერთის წყალობა. ისპაჰა-
ნიდან იგი მძიმე ავადმყოფი გაემგზავრა.
კენჭით გამოწვეული მძიმე ქრონიკული
სენი ჭირდა ... სიარული უჭირდა,
მაგრამ მოხდა სასწაული. გზას რომ
გაუდგა, თანდათანობით გამოჯანმრ-
თელდა. თუმცა, ისეთი უსწორმასწორო
და საშინელი გზებით მგზავრობდა, რო-
მელთა გავლა ჯანმრთელ კაცსაც კი
გაუჭირდებოდა. წმინდა განძა გამოა-
ჯანმრთელა“

(ღუმ ანჟუში 1987: 44).

მომყავს კიდევ რამდენიმე მაგალითი თეიმურაზის პოემიდან, რომლებიც სრულ მოწმობას პოულობენ დუშ ანჟუშის ნაშრომში. ესაა დედოფლის წმინდა ნეშტის მინდორში დაფლვისა და ავგუსტინელ მისიონერთა მიერ მისი პოვნის ამბავი:

თეიმურაზი:

„მაღვით მონახეს ნაწილი,
სად დაეძალა ბარებსა”.
(75, 1)

ამბროზიო დუშ ანჟუში:

„ამრიგად, როგორც კი დედოფალს სული ამოხდა, მისი ნეშტი ტომარაში ჩააგდეს და ორ კაცს დაავალეს მისი დაფლვა მინდორში, სადაც უკვე ამოეთხარათ ღრმა ორმო. ცხედარი ორმოში ჩააგდეს და ისე დააყარეს მიწა, რომ ქრისტიანებს ვერც კი შეეძნიათ და არც რაიმე მოსაგონარი დარჩენოდათ; მათ კარგა ხანს, მართლაც დაკარგული ჰქონდათ საფლავის პოვნის იმედი გადაწყვიტეს ისეთი საჩმე წამომეწყო, რომელიც ადამიანს შეუძლებლად მოეჩვენებოდა. თან პორტუგალიელი ტყვე და ჩემი მსახური წავეყვანე. მათთან ერთად მივედი მინდორზე, სადაც ორმოში დაფლეს დედოფალი და თხრა დავიწყეთ: რადგან ორმო მეტად ღრმა იყო, იმ ღამეს ცხედრამდე ვერ მივალწიეთ მეორე ღამეს, წმინდა გამოცხადების წინა ღამეს, იმავე ხალხის თანხლებით მინდორზე გავედით, თხრა განვაგრძეთ. თოხის რამდენიმე ღაკვრის შემდეგ სახელოვანი წამებუი ქეთევანის ცხედარს მივალწიეთ” (დუშ ანჟუში 1987: 41-42)/

თეიმურაზი:

„თქვეს ფრანგნი მოიპარავდნენ,
თუ სად დაეცათ დარია”
(73, 3)

ამბროზიო ღუმ ანჟუში:

„საფლავთან მისულან, ცხედარი
აღარ დახვედრიათ და მიმხვდარან,
რომ ამოიღეს. ეს ამბავი ჩვენს
ბერებს მიაწერეს, რადგან ასეთ
გაბედულ საქმეს სხვა ვერავინ
ჩაიდენდა” (ღუმ ანჟუში 1987: 44).

ამგვარი ისტორიული ფაქტები წამებულის ცხოვრებიდან ნათლად მოწმობენ, რომ თეიმურაზი პოემის შექმნისას მხოლოდ სინამდვილის პოეტურ გარდასახვას ისახავდა მიზნად, ხოლო თავად ფაქტთა შერჩევა აგიოგრაფიული თხზულებებისათვის დამახასიათებელი კლიშეთი არის განპირობებული.

თავი IV

ქეთევან დედოფლის ანბანთქება

ანბანთქების შემოღება XVII საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ქეთევან დედოფლის სახელს უკავშირდება, ხოლო მისი ფართოდ დანერგვა კი მისი ვაჟის – თეიმურაზ პირველის სახელთან არის დაკავშირებული. ვიდრე ქეთევან დედოფლის მიერ შირაზის ტყვეობაში დაწერილ ანბანთქებაზე დავიწყებთ საუბარს, პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ, რას წარმოედგენს ანბანთქება. ანბანთქება არის ლექსი, რომლის კომპოზიციაც ემყარება ქართულ ანბანში არსებული ასო-ბგერების თანამიმდევრობას და შესაბამისად, ლექსში ანბანური თანამიმდევრობით არის გალექსილი ანბანის თითოეული ასო. XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ანბანთქებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჟანრია, რომელიც ნიმუშების საკმაოდ დიდი რაოდენობითა და მრავალფეროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი. ამგვარ ლექსებში ანბანი გამოყენებულია როგორც საყრდენი, კომპოზიციური ელემენტი, ვინაიდან სწორედ ანბანი განაპირობებს როგორც ლექსის სტრუქტურას, რომელიც ანბანის თანამიმდევრობაზე არის გაწყობილი, ისე მის ფორმალურ მხარეს, რომელიც გარკვეულ ვიზუალურ ეფექტს ქმნის.

ამ პერიოდის პირველი ანბანთქება „ამას ვსტირ, ბნელსა მჯდომი“ ქეთევან დედოფალს ეკუთვნის და „ფისტიკაურის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ქეთევან დედოფლის ანბანთქებაში ანბანური გალექსვის პარალელურად მოცემულია ასოთა ანბანური სახელწოდებებიც. ლექსში თითოეული ტაეპის ყოველი მუხლი ანბანის ახალი ასოთი იწყება: ხელნაწერში (A-1160, 020v) ქეთევანის ანბანთქებას შემდეგი სტრიქონი უზის სათაურად „წმიდის მოწამის ქეთევან დედოფლის ნათქვამია ეს ანბანთქება“:

ან ამას ვსტირ, ბან ბნელსა მჯდომი, გან გულთა მდულრად დან დადაგული,
 ენ ესრეთ ვება ვინ ვის მოება, ზენ ზედიზედა, ჭეე დართული
 თან თვალნი ჩემნი ინ ისრევ ირწყვის, კან კმარის მისგან ლას ლამებული
 მან მილად მოდის. ნარ ნაკადულად, ონ ოდეს ნახონ. პარ პკურებული
 ჟან ჟამნი ჩემნი გამოვწვლილე, რაე როდესმე, სან სული მეყოს
 ტარ ტყება ვიწყე უნ უთვალავნი. ფარ ფლობა მიჯობს, ესრეთ რომ მეყოს.
 ქან ქცევა სოფლის, ერთს წამს საყოფელს. დან ღიმილიცა გარდაიმეყოს.
 ყარ ყველას ღმერთი თვით განმიმარტებს. შინ შიშთა მისთა. ხელი მიმეყოს.
 ჩინ ჩამომება სვე უბედური, ცან ცრემლის დენა ძილ ძნელად შრება.
 წილ წყარო თვალთა ჭარ ჭმუნვით მყოფთა. ხან ხარბად დენით გადმოჩქერება
 ჯარ ჯორცნი ღაწვთა ჯან ჯავრმან ღაწვა. წარხდეს ელვათა შვენირება
 ჰაი ჰაი მომშორდა ლხინი და შვება. ჭაი ჭაი წამიხდა სახიერება.

მონოგრაფიაში „ნარკვევები ქართული პოეტისკის ისტორიიდან“ გ. მიქაძე ანბანთქების შესახებ წერს: „ანბანთქება წარმოადგენს აკროსტიქულ ლექსს. იგი მრავალნაირი სახეობისაა. კომპოზიციის მიხედვით ანბანთქებანი ერთმანეთისგან განსხვავდებიან აკროსტიქული სისტემით“ (მიქაძე 1974: 101). აქვე ხაზი გვინდა გავუსვათ იმას, რომ ანბანზე გაწყობილი პოეზია, აკროსტიქები (ბერძნ. ἀκροστιχίδα), თავდაპირველად უპირატესად სასულიერო შინაარსის პოეტური თხზულებები იყო. ამგვარი პოეზია უმეტესად მორალურ-დიდაქტიკური ხასიათისაა და ბიზანტიურ და აღრექრისტიანულ ლიტერატურის მეშვეობით გვიან ანტიკურობას უკავშირდება. კ. კეკელიძე ჰიმნოგრაფიაზე საუბრისას წერს, რომ ბერძნულ ჰიმნებს ძალიან ხშირად აქვს დართული ეგრეთ წოდებული აკროსტიქი ან „კიდურწერილობა“, რომელიც რამდენიმე გვარისაა: ხშირად აკროსტიქი მოიცავს ასოებს ალფადან ომეგამდე, ხან კიდევ ავტორის სახელს, შინაარსს ან დამოუკიდებელ ლექსს. თავისთავად ცხადია, რომ ჰიმნოგრაფიული მწერლობა ქართულ ენაზეც უნდა შექმნილიყო, ამას ლიტერატურული საჭიროება და პრაქტიკა მოითხოვდა. ქართული ჰიმნოგრაფია დაახლოებით მეშვიდე საუკუნიდან დაიწყო, ხოლო მეთორმეტე საუკუნის ჰიმნოგრაფიაზე საუბრისას მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში აკროსტიქი ფართოდ არის წარმოდგენილი: ქართული ჰიმნოგრაფიის ძეგლებში აკროსტიქი გვხვდება არა მხოლოდ იამბიკოებში, არამედ პროზაულ ჰიმნებშიც. აკროსტიქის როლს ხშირად რომელიმე ასო ასრულებს, მაგალითად, მთელ რიგ სტროფებს იწყებს ასო „მ“ ან „ნ“, არის შემთხვევა, როდესაც აკროსტიქად წარმოდგენილია ქართული ანბანი ა-დან ზ-მდე, ასეთ აკროსტიქს „ანბანისანი“ ეწოდება (კეკელიძე 1960: 589-593). აკროსტიქთან დაკავშირებით კ. კეკელიძე იხსენიებს ასევე მეათე საუკუნეში შექმნილ სრულ და ვრცელ

„იადგარს“, საიდანაც ჩანს, რომ ამ პერიოდში ჰიმნოგრაფია მეტად დაწინაურებულია: მართალია, ჰიმნოგრაფები ვერ იცავენ ჰიმნების ბერძნულ პოეტურ საზომს, მაგრამ მაინც მოხდენილად თარგმნიან და შეუდარებელნი არიან აკროსტიქის სფეროში“ (კეკელიძე 1951: 565). ეფრემ მცირეს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანისთვის დაურთავს საკუთარი ვრცელი იამბიკო, რომელის „კიდურწერილობა“ ან აკროსტიქი მარჯვნივ და მარცხნივ გვაძლევს ტექსტს, რომელშიც შესხმულია გრიგოლ ღვთისმეტყველი და მისი თხზულება (კეკელიძე 1951: 577). აღსანიშნავია, რომ კეკელიძე ასახელებს იოანე-ზოსიმეს ერთ ლექსს, რომლის კიდურწერილობა ან აკროსტიქი ორივე მხრივ, მარჯვნივ და მარცხნივ იძლევა სახელს „გიორგი“ და იქვე აღნიშნავს, რომ ნ. მარი ამ იამბიკოში ხედავს საერო პოეზიის ჩანასახს (კეკელიძე 1960: 169). აკროსტიქების ტრადიცია ძველ ქართულ მწერლობაში განხილული აქვს ნ. სულავას წიგნში „XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია“, სადაც იგი მდიდარ მასალას იმოწმებს (სულავა 2003: 241-244). მაშასადამე, აკროსტიქი და „ანბანისანი“ ქართული სასულიერო მწერლობისთვის სრულიად ბუნებრივი არის და ამ ტრადიციას საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს ქართულ სასულიერო კულტურაში. მეორე მხრივ კი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მყარად არის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ანბანთქებათა ჟანრი ქართულ ლიტერატურაში აღმოსავლური პოეზიის გავლენით დამკვიდრდა. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში საკმაოდ დიდი იყო გატაცება აღმოსავლური პოეზიით, სადაც გავრცელებული იყო ფორმალისტური ლექსები, რომელთა რიგს მიაკუთვნებენ ანბანთქებასაც.

თუმცა, როგორც ირკვევა, ანბანთქება დაკავშირებულია როგორც თავად აკროსტიქთან და ლიტერატურულ ჟანრთან, ისე წერა-კითხვის სწავლების მეთოდთან. 1937 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „კითხვისა და წერის შესწავლის მეთოდი ძველ საქართველოში“ ვ. ხუროძე წერს: „პირველი „ანბანთ ქება“, რომელიც ჩვენ გვაქვს, ეს არის თეიმურაზი I-ის ლექსი. საფიქრებელია, რომ „ანბანთ ქება“-ს მანამდისაც იცნობდა ქართული პედაგოგიური აზრი, მაგრამ პირველობა ჯერჯერობით თეიმურაზ მეფეს ეკუთვნის, სხვა უფრო ადრინდელი დროის „ანბანთ ქება“ ჯერ აღმოჩენილი არ არის“. შემდგომ იგი განიხილავს წერა-კითხვის შესწავლის მეთოდებს ძველ საქართველოში და ასახელებს და განმარტავს იმ მეთოდს, რომლითაც ძველად წარმოებდა კითხვისა და წერის შესწავლა, ამ მეთოდს ანბანთა მეთოდი ეწოდება, ხოლო სულხან-საბა ორბელიანის ტერმინოლოგიით კი – „სწავლა ანბანურად“. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „სწავლა ანბანურად“ ყველა განათლებულ ხალხებში იყო გავრცელებული და დასძენს, რომ თუ ადრე მხოლოდ ვარაუდი იყო გამოთქმული იმის შესახებ,

რომ ეს მეთოდი ჩვენშიც არსებობდა ძველად, ახლა ამის უტყუარი საბუთია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის პირველი გამოცემა (1884), რომელსაც წინ უძღვის ტექსტი – „ანბანი პირველად სასწავლო ყრმისათვის“, რაც მიუთითებს, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა წერა-კითხვის შესწავლის ანბანური მეთოდი და ქართული ლიტერატურის ის ჟანრი, რომელსაც „ანბანთ ქებას“ უწოდებენ და რომელიც ჯერ კიდევ თეიმურაზ I-ის ლექსებში გვხვდება. სულხან-საბა ორბელიანის მეთოდის მიხედვით მოწაფეს ჯერ მტკიცედ უნდა დაესწავლა ზეპირად თავიდან ბოლომდე მთელი ანბანი, ხოლო გაზეპირების შემდეგ უნდა ამოეცნო თითოეული ასო და მხოლოდ ამის მერე შეიძლებოდა მომდევნო ნაბიჯის გადადგმა, ამოკითხვის დაწყება. შემდეგ ავტორი დეტალურად განიხილავს ამ მეთოდს და სწავლებაში მასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც ამჯერად არ შეადგენს ჩვენი კვლევის ინტერესს. საინტერესო არის ის, როგორ ცდილობდნენ ძველი დროის პედაგოგები ამ სიძნელის გამარტივებას და ამასთან დაკავშირებით ხურომე იხსენებს შემდეგ ამბავს: მე-20 საუკუნის 10-იან თუ 20-იან წლებში, ერთ მოხუცს, რომელიც წერა-კითხვას მსურველებს „ანბანთა მეთოდის“ მიხედვით თავისებურად ასწავლიდა, ხოლო მოწაფეებს ანბანი უკეთ და ჩქარა რომ დაემახსოვრებინათ, მათ ასეთ ლექსს აზეპირებინებდა: „ალალებს ბაგებს გულთ დასადაგებს“. სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, ძველ პედაგოგს ამ ერთი სტრიქონის მეტი აღარ ახსოვდა და მკვლევარს საკმაო ძეგლის მიუხედავად გაგრძელებისთვის ვერ მიუკვლევია, სანამ 1932 წელს არ გამოქვეყნდა ბესიკის თხზულებათა კრებული, სადაც ეს ლექსი მთლიანად არის მოცემული და აღნიშნავს: ამ ლექსში სიტყვები იმგვარად არის დალაგებული, რომ „მათი პირველი ასოების შეერთება ქართული ალფაბეტის რიგს მოგვცემს“ (ხურომე 1937: 66-70).

იმ პერიოდში, როდესაც ვ. ხურომე თავის ნაშრომს წერდა, ქეთევან დედოფლის ანბანთქება ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი და ამიტომ ამ ჟანრის პირველ ნიმუშად თეიმურაზ პირველის ანბანთქებები მოჰყავს. თავის მხრივ, თეიმურაზის მიერ ამ ჟანრის დანერგვას ქართულ ლიტერატურაში და „ფორმალისტურ ვარჯიშობას“ ალ. ბარამიძე იმით ხსნის, რომ თეიმურაზი სპარსეთში გაიზარდა, გაწაფული იყო სპარსულ ენასა და სპარსულ პოეზიაში, იგი მოიხიბლა და გაიტაცა იმდროინდელი სპარსული პოეზიის ენაწყლიანობამ და ხელოვნურმა პოეტურმა ხერხებმა. აღზრდამ, საზოგადოებრივმა და ლიტერატურულმა გარემომ ხელი შეუწყო იმას, რომ მის პოეზიაში აღბეჭდილიყო ეპოქის ლიტერატურული ტენდენციები (ბარამიძე ალ. 1966: 330).

ვრცელ გამოკვლევაში „XVII-XVIII საუკუნეების ქართული პოეზიის მცირე ფოემები“ მ. გოგიჩაიშვილი ანბანთქებასთან დაკავშირებით წერს: „ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ამ პერიოდში დიდი გატაცება შეი-

გრძნობა ქართულ მწერლობაში აღმოსავლური პოეზიით. გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობაც, რომ ასეთმა ფორმალისტურმა ნაკადმა სწორედ აღმოსავლურ პოეზიაში ჰპოვა დასაბამი. აღმოსავლეთის ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი ბერტელსი XV საკუნის სპარსული პოეზიის ერთ-ერთი ჟანრის მუამას თავისებურებებზე მსჯელობისას ზოგად დასკვნებს გვაწვდის აღნიშნული პერიოდის სპარსული პოეზიის შესახებ: „Можно сказать, что муамма отражает всю основную тенденцию литературы XV века: через постепенное усложнение техники довести изощренность формы до последнего предела, полностью ликвидировав содержание... уходя в муамма, литература совершила самоубийство обрекая себя на полную утрату какой бы то не было общественной ценности“ და აღნიშნავს: „მოსალოდნელია, რომ სპარსული პოეზიის ეს ფორმალისტური ტენდენცია თავისებურად აისახა ქართულ პოეზიაშიც ამ ორი პოეტური სამყაროს სიახლოვის გამო“ (გოგიჩაიშვილი 1968: 208-209), ხოლო 21-ე შენიშვნაში გამოთქვამს შემდეგ ვარაუდს: „ამ მოსაზრებას ერთგვარად საფუძველს უმტკიცებს ის ფაქტი, რომ პირველი ანბანთქება ქეთევან დედოფალმა დაწერა შირაზში საპყრობილეში ყოფნის დროს“ (გოგიჩაიშვილი 1968: 209). ამ პერიოდში პირველი ანბანთქების ავტორად გ. მიქაძეც ქეთევან დედოფლის სახელს უკავშირებს: „ანბანთქებას პირველად ქეთევან დედოფალთან ვხვდებით. მისგან იწყება ქართულ ლიტერატურაში ამ ჟანრის გავრცელება“, „დედის დაწყებული საქმე განაგრძო შვილმა – თეიმურაზ პირველმა“ (მიქაძე 1974: 90-91).

ის, რომ ამ პერიოდის ლიტერატურაში ანბანთქების გამოჩენა ქეთევან დედოფლის სახელს უკავშირდება, უდავოა. თუმცა აქ იბადება კითხვა: ქეთევან დედოფალი, შემდეგში სასტიკად წამებული შაჰ-აბას პირველის ბრძანებით და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, რომელიც სპარსეთს ელჩად წავიდა და ხანგრძლივ, თითქმის ათწლიან ტყვეობაში აღმოჩნდა, რაც მისი მოწამებრივი აღსასრულით დაგვირგვინდა, ქართველი დედოფალი, რომელის შვილიშვილებსაც სასტიკი ბედია ეწიათ იმავე შაჰ-აბაზის ბრძანებით, ნუთუ სპარსული პოეზია იმდენად მიიზიდავდა და გაიტაცებდა რომ როგორც მკვლევარი ვარაუდს გამოთქვამს, „ამ მოსაზრებას ერთგვარად საფუძველს უმტკიცებს ის ფაქტი, რომ პირველი ანბანთქება ქეთევან დედოფალმა დაწერა შირაზში საპყრობილეში ყოფნის დროს“ (გოგიჩაიშვილი 1986: 209)? ვფიქრობთ, ეს ვარაუდი არ არის განმტკიცებული ფაქტებით და ვერ გამოდგება იმის საბუთად, რომ ქართული ანბანთქების წარმოშობა სპარსული „ხელოვნური ფორმებით“ გატაცების შედეგია და თანაც, ბერტელსის სიტყვები რომ დავიმოწმოთ, იმ სახის პოეზიისა, რომელშიც „სრულად არის ლიკვიდირებული შინაარსი“. ამასთან ერთად, ანბანთქებასთან დაკავშირებით არ არის მოხმობილი არავითარი სპარსული ზუსტი ანალოგი, საიდანაც ამ სახეობის

ლექსი შეიძლება ყოფილიყო გადმოღებული. დავუბრუნდეთ ქეთევანის ანბანტექბას: თუ ამ შემთხვევაში სპარსული პოეზიის გავლენაზე ვსაუბრობთ, როგორც მკვლევარები წერენ, იგი „შინაარსისგან დაცლილ“, „ფორმალისტურ ვარჯიშობას“ წარმოადგენს და მათში „სრულად არის ლიკვიდირებული შინაარსი“. ქეთევანის ლექსი კი ღრმა პირადი განცდებით არის აღბეჭდილი, სადაც იგი თავის ყოფას აღწერს „ბნელსა მჯდომი“, გულდადაგული, უამრავი ვაებით გატანჯული, რომელიც განუწყვეტლივ ტირის და რომელსაც სამუდამოდ მოშორდა „ლხინი და შვება“. სრულიად ნათელია, რომ ქეთევანის ამ ლექსში შინაარსი ოსტატურად არის მორგებული ქართული ანბანის ასო-ბგერებზე და შინაარსისგან დაცლილ პოეზიასთან მისი შედარება არ არის მართებული.

ქეთევანის შირაზის ტყვეობაში ყოველდღიური ყოფის დეტალებს ვიტყობთ მამა ამბროზიო ღუმ ანჟუმის „ნამდვილი ცნობებიდან“, რომელიც ითარგნა ქართულად და გამოიცა 1987 წელს. ღუმ ანჟუმის „ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი დედოფლის ქეთევანის, ღოპოლის, სახელოვან მოწამებრივ სიკვდილზე სპარსეთის მთავარ ქალაქ შირაზში, შაჰ-აბასის ბრძანებით 1624 წლის 22 სექტემბერს“ არის თვითმხილველის მიერ აღწერილი წყარო ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, რომელიც სხვა ინფორმაციასაც შეიცავს, მაგალითად, ცნობებს ქეთევან დედოფლის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. ამ წყაროდან ვიგებთ, რომ ქეთევანი „შინიდან მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, თუ შირაზის შაჰის ნაცვალის სასახლეში უხმობდნენ, ანდა შირაზის ხანის ჰარამხანაში თუ მიდიოდა. მიდიოდა იქ არა დასასვენებლად, არამედ ტყვეობაში მყოფი თავისი ეროვნების რამდენიმე ქალის გასამხნეველად, რომლებსაც დედოფალი დიდის მოწყალებით ანუგეშებდა და მოუწოდებდა მტკიცედ მიჰყოლოდნენ ქრისტეს რწმენას, რომელშიაც აღიზარდნენ. ... სხვა შემთხვევაში ქეთევან დედოფალი გარეთ თითქმის არ გამოდიოდა“ (გულბენკიანი 1987: 30). როგორც ღუმ ანჟუმი აღნიშნავს, ტყვეობაში დედოფალი განუწყვეტლივ ლოცულობდა, კითხულობდა სახარებასა და მოციქულთა ეპისტოლეებს, ქადაგებებს, წმინდანთა ცხოვრებებს (გულბენკიანი 1987: 31).

მაშასადამე, არგუმენტი, რომ ქეთევან დედოფალმა შირაზში ყოფნისას შეიტყო ანბანტექბის ტიპის ლექსის არსებობა და იმის ანალოგიით შექმნა თავისი ანბანტექბა არ არის დამაჯერებელი პირველ რიგში იმიტომ, რომ წყაროს თანახმად ქეთევანი შაჰის კარზე უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში მიდიოდა, მეორე რიგში იმიტომ, რომ ძნელი დასაჯერებელია, რომ შირაზში ტყვედ მყოფი დედოფალი გატაცებული ყოფილიყო სპარსულ „ხელოვნურ ფორმებით“ და რომ სწორედ ის დაედო საფუძვლად თავისი ლექსისთვის. ვფიქრობთ, ქეთევან დედოფლის ანბანტექბის ნიმუში ძველ ქართულ სასულიერო მწერლობის ტრადიციებში უნდა ვეძიოთ, სადაც ანბანი გამოიყენებოდა მაროგანიზებელ ელემენტად, მაგალითად, აკროსტიქებით

გაწყობილ საგალობლებში, რომლებიც ასე უხვად მოიპოვება ქართულ სასულიერო მწერლობაში. ჩვენს მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ანბანის სწავლება ანბანზე გაწყობილი ლექსების საშუალებით, როგორც ჩანს, მიღებული და აპრობირებული ყოფილა და ამას სულხან-საბას მეთოდი – „სწავლა ანბანურად“ ადასტურებს. ამიტომ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ტყვეობაში მყოფი დედოფალი მეთოდით – „სწავლა ანბანურად“, რომელსაც შემდგომში სულხან-საბა ორბელიანი იყენებდა, აპირებდა თავისი უცხოებაში გადახვეწილი მცირეწლოვანი შვილიშვილებისთვის ქართული ანბანის სწავლებას და სწორედ ამიტომ გააწყო მან ქართულ ანბანზე თავისი ლექსი. ქეთევანისგან წამოსული პატრიოტული იმპულსი, შემდგომ, უკვე მისი ვაჟის, თეიმურაზ პირველის მეშვეობით, რომლის საყრდენიც ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი – დედა ენა, მშობლიური ენაა, იქცა XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში მთელი ახალი ჟანრის ჩამოყალიბების და გავრცელების საწინდარად. ანბანი, როგორც ადამიანის თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი საშუალება იქცა ლიტერატურის განახლების საყრდენად და პატრიოტულ საშუალებად.

მაშასადამე, ქეთევან დედოფლის ანბანთქებას უფრო სავარაუდოა, რომ საფუძვლად ქართულ სასულიერო პოეზიაში დამკვიდრებული „ანბანისანი“ ედოს და ამის საფუძველს კი ქართული სასულიერო პოეზიის ტრადიცია გვაძლევს და მაშასადამე, ქეთევან დედოფლის ანბანთქება არა სპარსული პოეზიის გავლენით შეიქმნა, არამედ ქართული სასულიერო პოეზიის ტრადიციის და, როგორც ჩანს, წერა-კითხვის სწავლების ძველი მეთოდის სინთეზია, რომლის შედეგადაც აღორძინდა ძველი ქართული სასულიერო ტრადიცია უკვე საერო ლიტერატურაში და დასაბამი სმისცა „ანბანთქების“ ჟანრს. თეიმურაზ პირველმა და ანბანთქების სხვა ავტორებმა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადეს აკროსტიქის ეს სახეობა და გააფართოვეს მისი ვარიანტული შესაძლებლობები.

თავი V.

პიეტრო დელა ვალეს მუსიკალურ-დრამატული თხზულება „განახლდა ვალე!“

პიეტრო დელა ვალე, თავისი დროის გამორჩეული პიროვნება – მოგზაური, დიპლომატი, ლიტერატორი და მოყვარული მუსიკოსი – დაიბადა რომში, 1586 წლის და გარდაიცვალა იქვე, 1652 წელს. იგი წარჩინებული რომაული არისტოკრატიული ოჯახიდან იყო და შესანიშნავი კლასიკური განათლება მიიღო, კარგად ერკვეოდა ლიტერატურასა და მუსიკაში, დაინტერესებული იყო მეცნიერებითა და მედიცინით, ხოლო როგორც Accademia degli Umoristi-ის წევრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რომისა და ნეაპოლის ინტელექტუალურ და კულტურულ წრეებში. ამ გამორჩეული წრის მეშვეობით მას ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის ცნობილ პიროვნებებთან, რომლებიც აღმოსავლეთით იყვნენ დაინტერესებულნი, რამაც გააღვივა დელა ვალეს ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი.

დელა ვალემ მოგზაურობაში ოსმალეთის იმპერიიდან სპარსეთსა და ინდოეთში ათ წელიწადზე მეტი გაატარა, 1614 წლის აგვისტოდან 1625 წლის სექტემბრამდე. მისი მოგზაურობა დაიწყო ვენეციიდან და მოიარა თურქეთი, ეგვიპტე, პალესტინა, სირია, ერაყი, ირანი და ინდოეთი. ყველაზე დიდი დრო მან ირანში დაჰყო (1617-1623 წწ). თავის შთაბეჭდილებებს იგი წერილებით უზიარებდა თავის ახლო მეგობარს მარიო სკიპანოს, რომელიც ნეაპოლში ცხოვრობდა. სამშობლოში დაბრუნებულმა დელა ვალემ შეიტყო, რომ სკიპანოს წერილები სათუთად შეუნახავს და მეგობრების რჩევით ვალემ ეს წერილები წიგნად გამოსცა. წერილები, რომელშიც აღწერილია დელა ვალეს მოგზაურობა („Viaggi“) ოსმალეთის იმპერიაში, ირანსა და ინდოეთში 1650-1663 წლებში იტალიურ ენაზე გამოქვეყნდა და შემდეგ მალევე ითარგმნა ფრანგულ, ჰოლანდიურ და გერმანულ ენებზე და სწრაფად გავრცელდა ევროპაში (დარნლტი ... 2018: 155-156).

ირანში ყოფნისას დელა ვალემ გაიცნო და დაუახლოვდა იქ მყოფ ქართველებს. ქართველებისა და საქართველოსადმი ინტერესს ძალიან შეუწყო ხელი მისმა ოჯახურმა გარემომ. მოგზაურობისას მან გაიცნო ქართველი გოგონა დიდგვაროვანთა ოჯახიდან, თინათინ ციბა, რომელიც ირანის დედაქალაქში, ისპაჰანში, დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. ვალემ და მისმა მეუღლემ იგი თავის ოჯახში წაიყვანეს და გოგონამ მათთან ერთად განაგრძო ცხოვრება, ახალ ოჯახში კი მას მარიუჩა დაარქვეს. იგი ძალიან

დაუახლოვდა დელა ვალეს და მის პირველ მეუღლეს, რომელიც 1621 წელს გარდაიცვალა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მარიუჩა—თინათინი დელა ვალემ ცოლად შეირთო.

შირაზში ყოფნისას დელა ვალემ გაიცნო იქ მძევლად მყოფი ქეთევან დედოფალი და დაუახლოვდა ქეთევანის გარემოცვას, ხოლო დედოფალთან ურთიერთობა თინათინის მეშვეობით ჰქონდა. დელა ვალემ ირანში მყოფი ქართველებისგან შეიტყო საქართველოს მდგომარეობის შესახებ. იგი ძალიან დაინტერესდა ამ პატარა ქვეყნის ბედით, რომელიც გმირულად იცავდა თავის თვითმყოფადობასა და სარწმუნოებას და ამავე დროს, როგორც გულმხურვალე კათოლიკე, საქართველოში კათოლიკობის გავრცელების შესაძლებლობამაც მიიზიდა. თავისი აზრები დელა ვალემ ჩამოაყალიბა ანგარიშში სახელწოდებით „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“, რომელიც 1627 წელს რომის პაპს, ურბან VIII წარუდგინა (ჟორდანიას... 1994: 377-378). ინფორმაციაში იგი წერს: „... გარდა ამისა, ისინი დიდ მოწიწებას გრძნობენ რომის და წმინდა პეტრესა და წმინდა პავლეს მიმართ. ... ისინი, ბერძნებისგან განსხვავებით არ არიან ქედმაღალნი, არ არიან ჯიუტები, მატყუარები და ორპირები მოლაპარაკებების საქმეში, არამედ თავმდაბლები, დამყოლები, გულთბილები და მიაბიტები... (ჟორდანიას... 1994: 372) მათი [ქართველი მეფეების] მოქცევით (გვ. 397-ზე 173-ე შენიშვნის თანახმად იგულისხმება რომაული კათოლიკობა) ამ მიწებზე შეიძლება დიდი შედეგების იმედი ვიქონიოთ. ყველა ეს გარემოება მართლაც გვპირდება, რომ მათი მოქცევა ძალიან მარტივი იქნება, თუ ამას მიღწევას გულმოდგინედ შეეცდება კარგად განსწავლული, ამისთვის გამოსადეგი ჩვენი ხალხი, რომლებიც იქ ჩავლენ და მათ მიწაზე იცხოვრებენ და კარგად ეცოდინებათ მათი ენა“ (ჟორდანიას... 1994: 373). ინფორმაციაში დელა ვალე დაწვრილებით აღწერს იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, პაპს აწოდებს ცნობებს, რომელიც მან შირაზში მცხოვრები ქართველებისგან მოიპოვა. ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს მისი დაინტერესების მიზანი საქართველოთი და ბოლოს ასევე აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გზებით შეიძლება საქართველოში ჩასვლა და დეტალურად აღწერს სამ ასეთ მარშრუტს. ამასთან, ურჩევს, რომ ამ მიზნისთვის გამოგზავნილ მისიონერებს „ამ წამოწყებისთვის სპარსეთშიც შეუძლიათ გამოიყენონ ქეთევან დედოფლის ხალხის და იქ მყოფი უმნიშვნელოვანესი ქართველების — რომლებთანაც ისინი მეგობრობენ — დიდი კეთილგანწყობა (ჟორდანიას... 1994: 374).

დელა ვალეს ინტერესი საქართველოს მიმართ და მისი რომის პაპის გავლენისთვის დამორჩილება, როგორც ჩანს, იმდენად ძლიერი იყო, რომ ეს მეტაფორულად მის მხატვრულ შემოქმედებაშიც აისახა. უკვე იტალიაში დაბრუნების შემდეგ პიეტრო დელა ვალემ შეთხზა ალეგორიული მუსი-

კალურ-ლიტერატურული ნაწარმოები — „განახლდა ვალე!“, რომელიც 1629 წლის 17 დეკემბერს დაიწერა მისი პირმშოს დაბადების წინ. ავტორი ამ ნაწარმოებს უძღვნის თავის ქართველ მეუღლეს, სენიორა თინათინ მარია დელა ვალეს პირველ მშვიდობიან მშობიარობას.

ეს სინთეზური ნაწარმოები 1629 წელს წარმოდგენილი იქნა მის რეზიდენციაში. ნაწარმოები სამი ნაწილისგან შედგება, იგი ალეგორიულია და შესაბამისად პერსონაჟებად გამოყვანილნი არიან მდინარე ტიბრი, რომი, პროთევისი, ჰიმენოსი, წმინდა სიყვარული, ნიმფები, იბერია და კავკასია (სტურუა 1995: 145- 151). თავისი ფორმით, შინაარსითა და სახეებით ეს ბაროკოს ეპოქის ტიპური ნაწარმოებია. ჩვენთვის საინტერესო მესამე ნაწილია, სადაც სცენაზე გამოდიან კავკასია და იბერია. დიალოგში კავკასია საუბრობს პრომეთეზე და იმაზე, თუ როგორ მრთელდებოდა იგი ყოველ ჯერზე სასწაულებრივად მას შემდეგ, როდესაც მის გულ-მკერდს გაუმაძღარი არწივი კორტნიდა. ახსენებს მრავალი უწმინდური და ველური მტრის შემოსევას. კავკასია იბერიას იტალიაში, სახელოვან შვიდ ბორცვთან გაყოლას ჰპირდება, რაზეც იბერია პასუხობს, რომ ძალზე დიდმა მიზეზმა აიძულა იგი შეეწუხებინა ევროპა, მას შურისძიება სურს იმ შეურაცხყოფისთვის, რაც ბარბაროსმა სპარსელებმა დამართეს მას. კავკასიისა და იბერიის საუბარში დელა ვალე აღმოსავლეთის შესახებ თავის ცოდნას მხატვრული ფორმით, ალეგორიული პერსონაჟების მეშვეობით, ხან კავკასიის და ხან იბერიის მონოლოგის სახით გადმოგვცემს. საყურადღებოა კავკასიის პასუხი, სადაც იგი ამბობს: „მართლაც მოვალე ხარ, რომ იმ უღმერთოებს და ურწმუნოებს მოსტეხო სიამაყის მაღალი რქები, შენ ყოველთვის მამაცურად იბრძოდი საუკუნეთა მანძილზე შიიტებისა და სპარსელების წინააღმდეგ, შენი ვაჟკაცობა მუდამ შიშს ჰგვრიდა ტირანებს, მაგრამ თუ მოხდებოდა, რომ მათთან შეტაკებაში დამარცხდებოდი, ეს შენი შვილების სისუსტით როდი იყო გამოწვეული, არამედ ძალთა უთანასწორობით ამ ბრძოლაში. ყოველივე ამის მიუხედავად, დღემდე შეინარჩუნე შენი რწმენა და ძეგლებური ვაჟკაცობა და სიქველე“ (სტურუა 1996: 158). იბერია განაგრძობს თავის თავგადასავალს და ამბობს: „გულმკერდი დამიფლეთეს, ბრძოლის ველი სისხლით მომირწყეს, დარჩა დამწვარი და შევინებული ტანები, ჩემი კეთილშობილი შთამომავლობა უღირს მდგომარეობაში ჩავარდა — ჩემი უიღბლო ლუარსაბის სიცოცხლე სპარსეთში ჩაქრა, ანდა დედოფალი ქეთევანი, უიარაღო, უსამართლოდ დაატყვევეს და შემდეგ სისხლიან გზას გაუყენეს. მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ იგი ცად ავიდა, მაგრამ მე მჯერა, სპარსეთს ეს არ შერჩება. აქ, ვატიკანში, უწმინდესი და უნეტარესი ურბანუსი ცის სამყოფელს გაუხსნის და ზეციურ სასუფეველს დაუშვავებს ქეთევანს“ (სტურუა 1996: 158; ხაზი ჩემია — მ.ნ.). როგორც ვხედავთ, დელა ვალე აქ იმედს გამოთქვამს, რომ წამებულ ქეთევანს რომის

პაპი ურბანი წმინდანად შერაცხავს. ქეთევანის კათოლიკური ეკლესიის წმინდანობის საკითხზე უცხოურ წყაროებში საგანგებო თავში ვისაუბრებთ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი საინტერესო პასაჟი, სადაც ნახსენებია თინათინი და „ვილაც რომაელი მეომარი“. თხზულების მიხედვით თინათინი ლაციუმელმა მებრძოლმა დაიცვა შეურაცხყოფისგან და შინ წაიყვანა და შეჰპირდა „მე ვიქნები ფარი შენი პატიოსნების“. ვფიქრობთ, გარდა იმისა, რომ თინათინი ვალებს მეუღლეა, რომელსაც ეს ნაწარმოები ეძღვნება, ხოლო „რომაელი მეომარი“ კი თვითონ იტალიელი დიპლომატი, აქ გარკვეულ ალეგორიასთანაც უნდა გვქონდეს საქმე: საქართველოს განასახიერებს თინათინი, ხოლო რომს – მეომარი, ვინაიდან ჰიმენოსი, ბერძნულ მითოლოგიაში ქორწინებისა და საქორწინო კავშირების ღმერთი ალეგორიულ პერსონაჟად არა მხოლოდ იმიტომ გვევლინება, რომ თინათინი და ვალებს ქორწილი მოაგვაროს, არამედ ალეგორიულად აქ უნდა იგულისხმებოდეს საქართველოსა და რომის პოლიტიკურ-რელიგიური ალეგორიული კავშირი, რომლისთვისაც ასე ილწვოდა პიეტრო დელა ვალე.

თავი VI.

ანდრეას გრიფიუსის „ქეთევან ქართველის“ წყაროთა კვლევის ისტორია

ქართულ სინამდვილეში პირველი ცნობა გრიფიუსის ტრაგედიის შესახებ 1904 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (რამიშვილი 1904). ეს იყო ივანე რამიშვილის კორესპოდენცია, რომელიც მან გერმანიის ქალაქ ფრაიბურგიდან გამოუგზავნა გაზეთის რედაქციას. ამ საკმაოდ ვრცელ კორესპოდენციას მეტყველი სათაური აქვს: „ქართველი ქალი გერმანულ დრამატიულ ხელოვნებაში“. XVII საუკუნის გერმანელი დრამატურგის ქართული თემით, კერძოდ კი ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილით დაინტერესება ეროვნული თვითშეგნებით გამსჭვალული და თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. ამ სულისკვეთებითაა დაწერილი ივ. რამიშვილის კორესპოდენციაც. იგი პირველი სტრიქონებიდანვე ახსენებს ქართველი ერის ისტორიულ წარსულს, მის მრავალსაუკუნოვან შეუპოვარ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და იმ ფაქტს, რომ ქართველი ქალებიც, მამაკაცების მხარდამხარ, თავს სწირავდნენ სამშობლოსათვის: „ვისაც ქართული ისტორიისათვის თვალი მაინც გადაუვლია – იწყებს თავის კორესპოდენციას ივ. რამიშვილი – მას კარგად უნდა მოეხსენებოდეს, თუ რა დიდ გულადობას, თუ რა საკვირველ ენთუზიაზმს და გმირულ თავგანწირვას იჩენდა პატარა, მაგრამ მეტისმეტად მხნე ქართველი ერი, როდესაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა ამ საშიშარ გარეშე მტრებს, რომელთაც საშინლათ სურდათ იმისი სამუდამო განადგურება ... ნაციონალური კულტურის და თავისებურების დაცვის საჭიროება მთელ ერს აერთიანებდა, ამ დროს იგი იჩენდა მთელს თავის ზნეობრივ სიძლიერეს ..., უშიშრად ხვდებოდა საშიშარ სიკვდილსაც კი, რომ როგორმე თავისი რწმენა და დამოუკიდებლობა შეეჩინა“. ეს ერთი შეხედვით ზოგადი შესავალი უშუალოდ კორესპოდენციის თემას უკავშირდება, რადგანაც შემდეგ ავტორი საგანგებოდ ქართველი ქალების შესახებ საუბრობს: „ქართული ისტორია სავსეა მრავალი გმირულის, წარმატების სურათებით, სავსეა ხალხის მახსოვრობაში დაუვიწყარის გმირებით, რომელნიც სამშობლოს ღრმა სიყვარულის გამო თვით სიკვდილსაც კი სიამოვნებით ხვდებოდნენ. ასეთი უშიშარი გმირები, როგორც ცნობილია,

ბლომად ჩნდებოდნენ ქართველ ქალთა შორისაც. მებრძოლი ქალი წარსულში არა იშვიათი მოვლენა იყო”.

მთავარი ისაა, რომ ევროპელი მწერლები დაინტერესდნენ „ქართველი ქალის ნიშანდობლივი თვისებებით”, რაც ქალის მაღალ პატრიოტულ შეგნებაში გამოიხატა და სწორედ ის იქცა მათი შემოქმედების სტიმულად: „ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლა სპარსელებისა და ოსმალების წინააღმდეგ მდიდარ მასალას იძლევა ხელოვნებისათვის საზოგადოდ და დრამატიული ხელოვნებისათვის – განსაკუთრებით. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ბევრის მხრივ საინტერესო ეპოქა არ დარჩა ევროპული ლიტერატურისათვის შეუმჩნეველი. იგი გაცნობია ქართველთა ისტორიას და ყველაზე უფრო დაინტერესებულა ქართველი ქალით. ქართველი ქალის როლი ამ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში, ქართველი ქალის ნიშანდობლივი თვისებები – აი, რა აინტერესებს ევროპელ მწერლებს. სწორედ ამ ინტერესს უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ ევროპის რამდენიმე ცნობილმა მწერალმა დრამატურგებმა თავიანთ ნაწერებში ქართველი ქალი დაასურათეს და მისი ფიზიონომია ასე თუ ისე ევროპიელ საზოგადოებას გააცნეს”. ამის შემდეგ ივ. რამიშვილი უშუალოდ თავისი კორესპონდენციის თემაზე გადადის: „ჩვენ გვსურს ამჟამად გავაცნოთ მკითხველს ერთ შესანიშნავ გერმანელი დრამატურგის დრამა, რომლის შინაარსი აღებულია ქართული ისტორიიდან და რომლის ობიექტს ქართველი ქალი შეადგენს”. კორესპონდენციის ავტორს გათვალისწინებული აქვს ის გარემოება, რომ 250 წლის წინ გერმანიაში შეიქმნა დრამა, რომლის მთავარი გმირი ქეთევან წამებულია, საქართველოში კი ამის შესახებ არაფერი იციან: „ქართველი საზოგადოების დიდ უმრავლესობისათვის, ვგონებ, ახალი ამბავი უნდა იყოს ის, რომ შესანიშნავმა გერმანელმა დრამატურგმა ანდრეას გრიფიუსმა მე-17 საუკუნეში დაწერა გერმანიის განათლებულ წრეებში ახლაც ცნობილი დრამა ეკატერინე საქართველოდან ანუ შენახული მუდმივობა”. გრიფიუსი გვიხატავს თავის პიესაში კარგად ცნობილ ქეთევან წამებულის ტანჯვა-წამებას სპარსეთში, რაც ჩვენი ავტორის სიცოცხლის დროს მოხდა. საქართველოში რომ ამ ისტორიული ხასიათის ტრაგედიის შესახებ არაფერი იცოდნენ, სხვაგან შენიშვნის სახით აღნიშნა: „როგორც გვახსოვს, ქართულ პრესაში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ შეგვხვედრია. ქართველ ისტორიკოსებს უნდა სცოდნოდათ ამის შესახებ, მაგრამ მათაც არაფერი უცნობებიათ (თუ არა ვსცდებით). თვით გერმანელ მწერალს ბ-ნ არტურ ლაისტს ეს საყურადღებო გარემოება აღუნიშვნელი დარჩა თავის მშვენიერ წიგნში “Das Georgische Folk” (1903)”.

ივ. რამიშვილმა საჭიროდ ჩათვალა მკითხველისათვის მიეწოდებინა ცნობები დრამის ავტორის შესახებ, რაც შენიშვნის სახით დაურთო

კორესპონდენციას. იგი მკითხველს აუწყებს, რომ „ანდრეას გრიფიუსი (1616-1664) გერმანელი დრამატურგია, რომელის ნაწერებმა წარუშლელი კვალი დაამჩნიეს გერმანული ლიტერატურის განვითარებას“. ქართველი მკითხველისათვის რომ გასაგები ყოფილიყო გრიფიუსის მნიშვნელობა გერმანული ლიტერატურისთვის, კორესპონდენციის ავტორმა შედარებას მიმართა: რადგან გოეთეს სახელი ქართული საზოგადოებისათვის კარგად იყო ცნობილი, ამიტომაც გრიფიუსის სახელი მას დაუკავშირა: „მე-17 საუკუნისათვის ის ისეთივე დიდი მწერალი იყო, როგორც მაგალითად, გეტე ახალი დროისათვის“. ავტორს ანდრეას გრიფიუსის შესახებ ცნობები ამოღებული აქვს გერმანული ლიტერატურის ისტორიკოსის – ვილმარის გამოკვლევებიდან (Wilmar, Geschichte der Nationallitteratur, 1874) და შესაბამისად იმოწმებს მას: „გრიფიუსი ითვლება მამად ჩვენის დრამატიულ ხელოვნებისა“, „ისეთმა ნაციონალურმა უბედურებამ, როგორიც იყო გერმანიისათვის მეოცდაათე წლების ომი, წარმოშობა პირველად ისეთი ნამდვილი პოეტები, როგორიც არიან ანდრეას გრიფიუსი და ფრიდრიხ შპრეე“. იქვე ივ. რამიშვილი წერს, რომ „ეკატერინე საქართველოდან“ დაიბეჭდა 1647 წელს, და რომ „ავტორს საქართველო გაუცვნია ცნობილი მოგზაურის შარდენის ფრანგული წიგნიდან “Voyages en Perse”. ეს ორი ბოლო ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ესაა პირველი ცნობა ქართულ ენაზე გრიფიუსის შესახებ ისტორიულ წყაროთა შესახებ.

ამ კორესპონდენციით ივ. რამიშვილმა ქართველ საზოგადოებას გრიფიუსის ტრაგედიის შინაარსი მოუთხრო და საგანგებო ყურადღება დაუთმო ქეთევან დედოფლის მხატვრული სახის გრიფიუსისეულ წარმოსახვას: „პიესაში დახატულია გმირი ქალის თავგანწირვა იდეისათვის, რწმენისათვის წამების გმირულად და რაღაც სიამოვნებით ატანა, საკვირველი ენთუზიაზმი, საკვირველი ზნეობრივი სტოიციზმი და საუცხოვო ზნეობრივი სიძლიერე. აი, ასეთი თვისებით არის შემკული ქართველი ქალი ანდრეას გრიფიუსის პიესაში. ქეთევანი – ეს ძლიერი, ეს დიდი ნებისყოფის მქონე პიროვნებაა, ეს წმინდა იდეისათვის წამებულის ღვთაებრივი არსებაა“. ბოლოს კი ივ. რამიშვილი ასკვნის, რომ ქეთევანის მხატვრული სახის გრიფიუსისეული წარმოსახვა სავსებით შეესაბამება წამებული დედოფლის ისტორიულ პიროვნებას: „და რომ მაინც დრამატურგის მიერ დახატული ქართველი ქალის სურათი ისტორიულ სინამდვილეს სავსებით შეეფერება, ამაზე ქართველ მკითხველთან საუბარი მეტი უნდა იყოს“. პირველმა ივ. რამიშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ გრიფიუსის ტრაგედია ქართულად თარგმნილიყო.

ივ. რამიშვილის ეს კორესპონდენცია მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი: მან პირველმა ამცნო ქართველ საზოგადოებას, რომ XVII საუკუნეში

ქართულ თემაზე – ქეთევან დედოფლის ცხოვრებასა და მოწამებრივ აღსასრულზე – გერმანიაში დაიწერა დრამა; რომ ამ დრამის ავტორი არა უმნიშვნელო მწერალი, არამედ „გერმანული დრამატიული ხელოვნების მამა“, რომ გრიფიუსის ტრაგედია საქართველოს ისტორიიდან აღებულ მასალაზეა დამყარებული; რომ ტრაგედიის მთავარი გმირის – ქეთევანის – მხატვრული სახე შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს; რომ საჭიროა ამ ტრაგედიის ისტორიული მხარეების შესწავლა; აქვე არაპირდაპირ დასმულია გრიფიუსის ტრაგედიის წყაროთა საკითხიც.

ივ. რამიშვილის წერილის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის ფაქტიც მოწმობს, რომ მას იმავე წელს გამოეხმაურა ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1904: 775-776); დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა საგანგებოდ აღნიშნა გერმანელი დრამატურგის ტრაგედიის მნიშვნელობა საქართველოსათვის, ტრაგედიისა, რომლის თემაც საქართველოს ისტორიიდან არის აღებული და ეხება სამშობლოსა და რწმენისათვის ქეთევან დედოფლის მოწამებრივ სიკვდილს.

1938 წელს პარიზში ცნობილმა იურისტმა, დიპლომატმა, ისტორიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ, ზურაბ ავალიშვილმა (1876-1944) გამოაქვეყნა წიგნი „თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელსაც მანამდე საფრანგეთში ემიგრანტად მყოფი მეცნიერი ცალკეული თავების სახით აქვეყნებდა ჟურნალში „კაკასია“ (1937, № 3, 4, 5). წიგნად გამოცემულ გამოკვლევას ერთვის წინასიტყვაობა, რომელშიც ფართოდაა მიმოხილული ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია, მისი შინაარსი და ის სავარაუდო წყაროები, რომლებიც გერმანელი მწერლის თხზულებას დაედო საფუძვლად.

ზ. ავალიშვილი თავის წიგნში თეიმურაზის პოემასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს ეხება და თავის მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებებს გამოთქვამს, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. იგი არა მხოლოდ განიხილავს თეიმურაზის პოემას, არამედ მას იმდროინდელი ისტორიული რეალიების ფონზეც აშუქებს; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იგი იყენებს ყველა იმ ევროპულ წყაროს, რომელზედაც მას ხელი მიუწვდებოდა და ფაქტების შეპირისპირებით გვთავაზობს იმ ისტორიულ სურათს, რომლის ფონზედაც წარიმართა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი დრამა – ქეთევან დედოფლის წამება შაჰ-აბასის მიერ.

ზ. ავალიშვილი პირველ რიგში ეხება ცნობილი გერმანელი დრამატურგის, ანდრეას გრიფიუსის მიერ დაწერილ ტრაგედიას „ქეთევან ქართველი, ანუ გაუტყეხელი სიმტკიცე“; იგი მას უწოდებს „ეკატერინე ქართველს“. ავტორი წერს, რომ ქეთევანის წამების ამბავი გრიფიუსს 1647-1648 წლებში უნდა სცოდნოდა და მაშინვე შესდგომია ამ თემის

დამუშავებას. ქეთევანზე შექმნილ ტრაგედიას გერმანელი დრამატურგი 1650 წელს იხსენიებს თავისი სხვა დრამის – „ლეო არმენიუსის“ შესავალში. თავად „ქეთევან ქართველი“ დაიბეჭდა დაგვიანებით, 1657 წელს ბრესლაუში (გერმ. reslau, სილეზიის ისტორიული დედაქალაქი, დღევანდელი ვროცლავი, პოლონეთი).

როგორც მკვლევარი წერს, XVII საუკუნის გერმანიაში ეს დრამა ხშირად სრულდებოდა სცენაზე. ცნობილია მისი სამი გამოცემა გრიფიუსის ნაწერთა კრებულში (1657, 1663, 1698). ქართულ თემაზე დაწერილი პიესის ცალკე გამოცემაც ყოფილა დაგეგმილი და ჩვენამდე მოაღწია ამ მიზნით შეკვეთილმა სურათებმა. ეს არის სპილენძზე შესრულებული გრავიურები, მათ შორის ერთი, სასათაურო – წარმოადგენს ქეთევანს, რომელზეც ზევდან გადმოდის უკვდავების გვირგვინი და ასევე შაჰ-აბასს, რომელიც თავისი სიყვარულის ნიშნად სპარსეთის გვირგვინს უძღვნის დედოფალს. ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, რომ შემდეგ პერიოდში ეს ნაწარმოები მიუვიწყებიათ და მხოლოდ 1882 წელს გამოსცა იგი ჰერმან პალმმა გრიფიუსის სხვა თეატრალურ ნაშრომებთან ერთად. მისი უკანასკნელი გამოცემა კი 1928 წელს განხორციელებულა გერმანული თეატრის ისტორიკოსის ვილი ფლემინგის მიერ. სწორედ ამ დროს მიუქცევიათ ყურადღება ქართველი დედოფლის შესახებ დაწერილი ტრაგედიისათვის და მისი დიდი ღირსებებიც უცვნიათ. გრიფიუსის ეს პიესა XVII საუკუნის გერმანიაში ბაროკოს თეატრალური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად ითვლებოდა (ავალიშვილი 1938: 15; 8-13).

გრიფიუსის პიესის ანალიზისას იგი დაწვრილებით ეხება ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების საკითხს. ზ. ავალიშვილი ზოგადად მიმოიხილავს გრიფიუსის შემოქმედებას და წერს: ანდრეას გრიფიუსს ანუ გრიფს (1616-1664) მოღვაწეობა მოუხდა იმ პერიოდში, როდესაც გერმანიაში ოცდაათწლიანი ომი მძვინვარებდა. ომის საშინელებები მას პირადად ჰქონდა განცდილი ახალგაზრდობაში და არც არის საკვირველი, რომ მან ასე ღრმად იგრძნო საქართველოს შეუპოვარი ბრძოლა სპარსელების ძალადობის წინააღმდეგ, ხოლო საქართველოში დატრიალებული სისხლიანი ამბები შესანიშნავ მასალას იძლეოდნენ ტრაგედიის შესაქმნელად. ამ საკითხს კი უშუალოდ უკავშირდება კითხვა, თუ საიდან ამოიღო გრიფიუსმა ის ვრცელი ისტორიული მასალა, რომელიც ამ დრამაში გამოიყენა. გრიფიუსი თავის თხზულებაში გადმოსცემს არა მარტო ქეთევანის წამებას, არამედ შაჰ აბასის დროინდელ სხვა უმთავრეს სისხლიან ამბებს საქართველოს ისტორიიდან. ეს არის ალექსანდრე კახელის მკვლელობა 1605 წელს, კონსტანტინე ბატონიშვილის – მამის მკვლელობის თავგადასავალი, ქართლის მეფის – ლუარსაბის და თეიმურაზის კავშირი და ბრძოლა, შაჰ აბასის შემოსევა, შემდეგ გიორგი სააკაძის – დიდი მოურავის – მიერ მოწ-

ყობილი ძლევაძმოსილი აჯანყება. ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, რომ გრიფიუსის ტრაგედიების გამომცემელს ჰერმან პალმს 1882 წელს მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ ვინაიდან ქეთევანი 1624 წელს ეწამა, ხოლო გრიფიუსმა კი ეს ამავი 1647 წელს შეიტყო, მას ხელთ უნდა ჰქონოდა რაღაც უცნობი მიმოხილვა, რომელიც შედგენილი უნდა ყოფილიყო 1624-1647 წლებში. ჟან შარდენის მასალა ამ შემთხვევაში არ გამოდგებოდა, ვინაიდან მისი მოგზაურობის დროს გრიფიუსი უკვე გარდაცვლილი იყო. ამის შემდეგ გაჩნდა ვარაუდი, რომ გრიფიუსის ტრაგედიას საფუძვლად დაედო იტალიელი მოგზაურის, პიეტრო დელა ვალეს ნაშრომი, 1628 წელს ვენეციაში გამოცემული წიგნი - “Delle condizioni di abbas re de persia”. ამ ნაშრომში ვალე ცდილობს ევროპის წინაშე გაამართლოს შაჰ აბასის პოლიტიკა ქართველების მიმართ მისი „სახელმწიფო მოსაზრებით და საჭიროებით“, მაგრამ ქეთევანის წამებას, რა თქმა უნდა, დასაძრახის საქციელად მიიჩნევს. კვლევის საფუძველზე აშკარა გახდა, რომ გრიფიუსს ამ ნაშრომიდან ძალიან მცირედ შეეძლო ესარგებლა, რადგან ვალე ქართველ ისტორიულ პირებს თავისი ნამდვილი სახელით იხსენიებს (ქეთევან, თეიმურაზ, ლუარსაბ), გრიფიუსს კი ნაცვლად ქეთევანისა აქვს კათარინა, ნაცვლად თეიმურაზისა — თამარას, ნაცვლად ლუარსაბისა — ალოვას და სხვა. ვერც ვალეს სხვა ნაშრომით — „საქართველოზე ინფორმაციით“ და მისი მოგვიანებით გამოსული წერილებით ისარგებლებდა გრიფიუსი, თუმცა დაშვებულია ვარაუდი, რომ 1646 წელს, გერმანელ დრამატურგს რომში ყოფნის დროს შეეძლო გაეცნო დელა ვალე და უშუალოდ მისგან მიეღო ცნობები (ავალიშვილი 1938: 14-15).

როგორც ზ. ავალიშვილი წერს, 1932 წელს ერთ პოლონელ სწავლულს აღმოუჩენია ის წყარო, რომლითაც გრიფიუსმა ისარგებლა თავის დრამის წერისას. ეს არის ფრანგი მწერლის — კლოდ მალენგრის წიგნი „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“. წიგნი პირველად 1635 წელს დაიბეჭდა პარიზში და ავტორად დასახელებულია „კ. მ. ბატონი სენ ლაზარ, ისტორიოგრაფი“. ამ კრებულში იმდროინდელი სენსაციური და საზარელი ამბების მთელი გალერეა არის წარმოდგენილი. მაგალითად, საფრანგეთის მეფის ანრი ანუ ჰენრიხ მეოთხის მკვლელობა (1610), ცრუ-დიმიტრის ცნობილი ისტორია, რომელიც 1606 წელს დაიღუპა მოსკოვში, ვალენშტაინის ტრაგიკული სიკვდილი 1634 წელს და სხვა. ამ წიგნშივეა წარმოდგენილი ქეთევან დედოფლის ამბავიც შემდეგი სათაურით: „საქართველოს დედოფლის ეკატერინესი და სხვა ქართველ მეფეთა, შაჰ აბასის სპარსეთის მეფის ბრძანებით დახოცილთ ამბავი“.

მკვლევარი წერს, რომ სწორედ ამ მასალაზე არის აგებული გრიფიუსის ტრაგედია. აქედან ამოუღია მას მოქმედ პირთა სახელებიც და ბუნებრივია, რომ გრიფიუსი ამ წყაროს შეცდომებსაც იმეორებს: მასაც

აქვს ალოვას ლუარსაბის ნაცვლად, მეკრებ — მოურავი, თამარას — თეიმურაზი და სხვა. როგორც მალენგრი, ისე გრიფიუსიც ხმარობს ტერმინებს: გურჯისტან, გეორგია, ივერია, თვით ქეთევანის სახელიც — კათარინა, რომლითაც გრიფიუსი იხსენიებს მას თავის ნაწარმოებში, მალენგრის ამ წიგნიდან არის ამოღებული (ავალიშვილი 1938: 13-16).

როგორც ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, გრიფიუსი ემყარება კლოდ მალენგრის მოთხრობას, მაგრამ მისი შემოქმედება საკმაოდ თავისუფალი და ძლიერია, რის საბუთადაც მას მოჰყავს ფრანგული წყაროს ერთი ადგილი და შემდეგ გრიფიუსის მიერ მხატვრულად გადათქმული იგივე ეპიზოდი. ეს ეხება სპარსელთა ჯარის მეთაურების ამოწყვეტას. მალენგრი ამ ამბავს წარმოადგენს მოურავის მიერ გამართული ნადიმის სახით, გრიფიუსი კი იგივე ამბავს ქართველ ელჩს ათხრობინებს და მის მიერ გადმოცემულ ამბავს ალავერდი-ხანის სადღეგრძელოს ფორმა აქვს მიცემული (ავალიშვილი 1938: 17-18).

ზ. ავალიშვილი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მალენგრის ნაშრომი გრიფიუსის ტრაგედიის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. ამას მკვლევარი იმით ასაბუთებს, რომ ეს ჩანს ზოგიერთ პირთა სახელებიდან, რომლებიც მალენგრთან არ გვხვდება და იქიდანაც, რომ გრიფიუსს სცოდნია იმამ-ყული ხანის დაღუპვის ამბავი 1633 წელს, რომელიც ფრანგი მწერლისათვის უცნობი ყოფილა. ისიც საყურადღებოა, რომ მას საქართველო სომხეთის ნაწილი ეგონა და სხვა (ავალიშვილი 1938: 24). ზ. ავალიშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მალენგრის თხზულებაში ზოგიერთი რამ გაზვიადებულია და ტენდენციურად არის წარმოდგენილი, იგი მაინც მნიშვნელოვან მასალას იძლევა, მაგალითად, გიორგი სააკაძის ისტორიის გამოსარკვევად.

ნაშრომი შეიცავს 20-30 წლის განმავლობაში ქართლში მომხდარი ამბების ზერელე მიმოხილვას. აქ ლაპარაკია საერთოდ სიყვარულის ძალაზე და მოყვანილია ისტორიული მაგალითები — სემირამიდასი, ელენესი, და სხვა (1-5). საქართველოს დაღუპვის მიზეზად შაჰ-აბასის ტრობა არის მიჩნეული (6). შემდეგ აღნუსხულია მოურავის გამგებლობა თბილისში ზონთქრის დასტურით და კახეთის სამეფოს სპარსული გეზი; ალექსანდრე კახელის მიერ თავისი ვაჟის — დავითისა და ქეთევანის დაქორწინება; თეიმურაზის — მათი შვილის აღზრდა შაჰ-აბასის კარზე, ალექსანდრესა და გიორგის მკვლელობა; კონსტანტინეს ცდა, ხელში ჩაეგდო მათი სამეფო. მისი დამარცხება და სიკვდილი და თეიმურაზის დაბრუნება თავის დედასთან (7-20). შემდგომში მოთხრობილია ლუარსაბისა და თეიმურაზის კავშირის შესახებ, შაჰ-აბასის მტრული განზრახვა, მათი ცდა ზონთქართან დაახლოებისა (21-25), შაჰ-აბასის მიერ სიყვარულის გამჟღავნება ქეთევანისათვის (26), ორმოცდაათი კეთილშობილის დახოცვა

შაჰ აბასის მიერ, დედოფლის ტყვედ წაყვანა, მოურავის გამაჰმადიანება, რითაც იგი ხდება ყაენის იარაღი ქართველების წინააღმდეგ (27-30). მოურავის მიერ მოწყობილი აჯანყების ისტორია (31-35), ქეთევანის წამება (36). ამ უკანასკნელი მუხლების სათაურია: „37. (ყენი) მოითხოვს რათა უარყოს სარწმუნოება, 38. მისი ქველი პასუხი, 39. სპარსეთის მეფე უბრძანებს პრინც იმამ-ყული ხანს მოაკვლევინოს იგი, 40. დედოფლის უკანასკნელი ტანჯვა, 41. მისი გვამის დაწვა ხორაზე, 42. მისი ძვლების შეგროვება ქრისტიანთა მიერ, 43. თეიმურაზის მიერ წმინდა ნაწილების ოქროს ლუსკუმში მოთავსება” (ავალიშვილი 1938: 26-27).

შემდეგ ზ. ავალიშვილი სვამს კითხვას, თუ რას ემყარება თვით ეს ფრანგული მოთხრობა. მალენგრის თხზულება დაიბეჭდა 1635 წელს და უმთავრესად 1600-1628 წლებში მომხდარ ამბებს ეხება. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ როდესაც დედოფლის წამებას შესდგომიან, მას „სწრაფად მოუთხოვია პორტუგალიელ აგვისტინიან მამათა სავანედან ერთი მღვდელი გამოეგზავნათ”; უფროსი მამა ამბროზიო ყოფილა, მეორე კი – ანტონი (ავალიშვილი 1938: 27). აქვე მალენგრი შენიშნავს, რომ დედოფალი „აქამდე ქრისტიანი განდგომილი (სქიზმატიკი) და მწვალებელი იყო, სარწმუნოებით ბერძენი (ე.ი. მართლმადიდებელი), აწ კი მოიქცა კათოლიკობაზე მამა ამბროზიოს ხელში და აღსარების შემდეგ უკანასკნელი კურთხევაც მიიღოვ” (527-28) (ხაზი ჩემია - მ. ნ.). იქვეა ნათქვამი (531), რომ „მამა ამბროსიმ, აღსრულებული დედოფლის აღმსარებელმა მისი თავი შვილს, თეიმურაზს გაუგზავნა, რომელმაც იგი მწუხარების ცრემლით მიიღო და ამ საშუალებით აგვუსტინიანმა მამებმა კარი გააღებინეს ივერიის (ე. ი. კახეთის) სამეფოში შესასვლელადო” (ავალიშვილი 1938: 27-28).

ზ. ავალიშვილის აზრით, ეს ცნობები ამოღებულია აგვუსტინელი კათოლიკე მისიონერის რომელიმე მოხსენებიდან, საიდანაც მომდინარეობს თვით ქეთევანის მარტვილობის აღწერა და მისი ძვლების ხსენება. ის, რასაც მალენგრი ამბობს მამა ამბროზიოზე, ნაწილობრივ სხვა საბუთებიც ადასტურებენ. მაგალითად, თეიმურაზ პირველის ლათინური წერილი, დათარიღებული 1629 წლის 5 იანვრით, სადაც ისპაჰანიდან ქეთევანის ნაწილების მოტანაა მოხსენიებული 1628 წელს და სწორედ მალენგრის მიერ დასახელებული ამეროსი ანუ მამა ამბროზიო იხსენიება.

ზ. ავალიშვილი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ მალენგრის მიერ გადმოცემული ცნობები ზოგ შემთხვევაში ტენდენციურია: ამის მაგალითად მას მოჰყავს მალენგრის ცნობა, თითქოს ქეთევანმა უკანასკნელ წუთებში კათოლიკობა მიიღო. მკვლევარის აზრით ეს სინამდვილეს არ შეეფერება და სრულიად სამართლიანად დასძენს, რომ ამ ნაშრომში ქეთევანი იმიტომ არის წარმოდგენილი კათოლიკედ, რომ კათოლიკე მკითხველისათვის

უფრო საგრძნობი გამხდარიყო მისი წამება. აქ ზ. ავალიშვილი ეყრდნობა 1640 წელს მამა ამბროზიოს მიერ გაკეთებული მოხსენებას, სადაც ნათქვამია, რომ ქეთევანი მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი იყო, მეტად მეგობრულად ექცეოდა კათოლიკეებს (ავალიშვილი 1938: 27-29).

როგორც ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, გამიჯნურების მოტივი გრიფიუსის ტრაგედიის მთავარი კვანძია: გრიფიუსის შაჰ-აბასი საქართველოსა და თეიმურაზის მტერია, რომლის დედაც მრისხანე შაჰ-აბასს ტყვედ ჰყავს შირაზში, მის გულში კი ღვივის სიყვარული საქართველოს დედოფლის მიმართ. მკვლევარი ხაზს უსვამს ამ გარემოებას და აღნიშნავს, რომ სწორედ ეს არის ამ ნაწარმოების მთავარი წინააღმდეგობა, რომელიც ქმნის ტრაგედიას, ხოლო თვით შაჰ აბასი ტრაგიკულ გმირად გვევლინება. ამ ნაწარმოებში არსებული ტრფობის მოტივი კი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია, გამოგონილი არ არის. იგი მალენგრის ნაშრომიდან არის აღებული. ავალიშვილი წერს, რომ გრიფიუსმა სწორედ მაშინ მოინდომა ქეთევანის ისტორიის ტრაგედიად გადაშუშავება, როდესაც მალენგრის წიგნში შემდეგი ამოკითხა: „...ხოლო აი ჩვენი ღრრის ერთი მაგალითიც, სხვებთან შედარებით არა ნაკლებად სახსოვარი, ეს ის მოქმედებაა, რომელიც საქართველოს თეატრზე გაიშალა და ამ ქვეყნის დედოფლის, კატრინის (ქეთევანის) სახით, სპარსეთის მეფის შაჰ-აბასის უპატიოსნო და სასტიკი ვნებების მიზეზით“. ავალიშვილი დასძენს, რომ რადგანაც გრიფიუსის პირველი ტრაგედია – „ლეო არმენიუსი“ – უსიყვარულო ტრაგედია იყო, მან მაშინვე ამოიცნო, რომ ქართველი დედოფლის ამბავი კარგ თეატრალურ მასალას იძლეოდა, სადაც სიყვარულს დიდი ადგილი ეთმობოდა (ავალიშვილი 1938: 23-24).

როგორც ზ. ავალიშვილი ვარაუდობს, ეს ტრფობის მოტივი მალენგრის გამოგონილი არ იქნებოდა. მაგრამ მან, როგორც ჩანს, გადააჭარბა იმას, რაც გაგონილი ან სადმე ამოკითხული ჰქონდა. „ჩვეულებრივი მკითხველისათვის“ დაწერილი მისი კრებული სენსაციური წიგნი იყო და მსუბუქი წასაკითხი უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ მალენგროს ეს მოტივი „უპატიოსნო და სასტიკი ვნება იყო“, გრიფიუსთან იგი უფრო „ღრმა და პატიოსან“ გრძნობად იქცა. როგორც ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, შაჰ-აბასის სიყვარული დედოფლის მიმართ არ ემყარება სანდო ისტორიულ საბუთებს. ამაზე არც თეიმურაზი და არც დელა ვალე არაფერს ამბობენ. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ეს გადმოცემა თუ ჭორი ძველია. მკვლევარს მიაჩნია, რომ იგი ბუნდოვანი სახით არსებობდა ერთ დოკუმენტში, კერძოდ კი 1629 წლის 27 აპრილით დათარიღებულ პატრი ამბროზიოს მოხსენებაში რომის პაპის, ურბანოს მიმართ. ეს ის პატრია, რომელმაც თეიმურაზს ისპაჰანიდან ქეთევანის წმინდა ნაწილი მიუტანა. მისი თქმით, შაჰმა ქეთევანი იმიტომ აწამა, რომ იგი სარწმუნოებას და ნამუსს ანუ უბიწოებას იცავდა. ეს კი სა-

ფუძვლიან მოწმობად ვერ ჩაითვლება. ეს გადმოცემა შემდეგ არაქელ თავრიზელსაც გაუმეორებია. მკვლევარი აღნიშნავს, რომ იგივე ვერსია შარდენსაც სცოდნია, თუმცა იგი მას არ ამტკიცებს. ზ. ავალიშვილი წერს, რომ არსენ კათალიკოსი, რომელმაც იტალიელებისა და სომხების მოწმობანიც იცოდა, ამ საკითხში თეიმურაზის ღუმელს ანიჭებს მნიშვნელობას და თვით მკვლევარსაც მიაჩნია, რომ ეს ვერსია გამოგონილად უნდა ჩაითვალოს და საბუთად ის მოჰყავს, რომ 1624 წელს ქეთევანი უკვე ხანშიშესული მანდილოსანი იყო (ავალიშვილი 1938: 24-25).

1949 წელს არსენ ბიბიჩაძემ გამოაქვეყნა სტატია გრიფიუსის „საქართველოს დედოფლის“ ერთი ეპიზოდის მნიშვნელობა” (ბიბიჩაძე 1949). თუმცა ა. ბიბიჩაძის ნაშრომი ამ ტრაგედიაში ერთი ისტორიული რეალიის ასახვასა და მხატვრული ხორცშესხმის საკითხს ეხება, სინამდვილეში გაცილებით უფრო ფართო მიზანდასახულება აქვს: გრიფიუსის ტრაგედიაში ასახული მოვლენებისა და რეალური ისტორიული ფაქტების ურთიერთმიმართების გარკვევა შუქს ჰფენს როგორც XVII საუკუნის გერმანული ბაროკოს განსაკუთრებულ ხასიათს, ასევე გრიფიუსის შემოქმედების თვითმყოფადობას და დამოუკიდებლობას.

როგორც ა. ბიბიჩაძე აღნიშნავს სათანადო მასალაზე დაყრდნობით, დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში გრიფიუსის შემოქმედებითი დამოუკიდებლობის საკითხი ან პრობლემის სახით იყო დასმული რიგ მკვლევართა ნაშრომებში, ანდა „... უარეს შემთხვევაში წყდებოდა გრიფიუსის დამოუკიდებლობის უარყოფით და მასზე ევროპული ლიტერატურის ძლიერ ავტორიტეტთა გავლენის აღიარებით” (ბიბიჩაძე 1949: 312). რაც შეეხება გავლენას, დასახელებული იყო მწერალი, რომელსაც თითქოს ბაძავდა ანდრეას გრიფიუსი. აზვიადებდნენ რა იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდობაში იგი ჰოლანდიაში, ლეიდენში სწავლობდა, მიიჩნიეს, რომ იგი ჰოლანდიელი კლასიკოსის, იოსტ ვან ვონდელის ლიტერატურული გავლენის ქვეშ მოექცა და მისი ტრაგედია „ქეთევან ქართველი” ვონდელის ერთ-ერთი ცნობილი დრამის “Maeghden”-ის მიბაძვით არის შექმნილი. ეს აზრი იმდენად იყო განმტკიცებული, რომ „... დაიწყო ძებნა არა მარტო ე.წ. „საერთო იდეის” და სიუჟეტის ნასესხობის დასამტკიცებელი საბუთებისა, არამედ სიტყვიერი სამკაულების და პოეტურ გამოთქმათა იმიტაციაც ეჭვს გარეშე მდგომ საკითხად მიიჩნიეს”, „ქეთევან ქართველის” სიუჟეტი იმიტირებულ სიუჟეტად იქნა გამოცხადებული ისე, რომ არავინ დაინტერესებულა იმ ისტორიული წყაროებით, რომელიც ამ ტრაგედიას დაედო საფუძვლად; გამოდიოდა, რომ ქართულ თემაზე შექმნილი სიუჟეტი გამოგონილია და ვონდელის მიბაძვით გერმანელმა დრამატურგმა შეთხზა: „... ძაღვს კომპარატივისტული მანერა და დამაჯერებელი საბუთების გარეშე ერთხმად აღიარებენ გრიფიუსზე ვონდელის უშუალო გავლენას”

– წერს ა. ბიბიჩაძე. ამგვარი ვითარების სათავეს ქართველი მკვლევარი „... გრიფიუსის ტრაგედიის წყაროების რეალურ სინამდვილესთან ურთიერთობის გაუთვალისწინებლობაში” (ბიბიჩაძე 1949: 313) ხედავს. ეს პრინციპული საკითხია, რადგან გრიფიუსის ტრაგედიაში აღწერილია რეალურად მომხდარი ამბები, რომლებშიც ჩანს გრიფიუსის დამოკიდებულება ისტორიული სინამდვილის მიმართ და ამავე დროს მისი შემოქმედებითი და პოეტური თავისთავადობა. ა. ბიბიჩაძისთვის სავსებით ცხადია, რომ მასალა ტრაგედიისათვის გრიფიუსმა ახლო ისტორიული წარსულიდან აიღო – „ქეთევან ქართველის” მხატვრული ჩანაფიქრი და ასახვა სულ ორი ათეული წლით არის დაცილებული რეალურად მომხდარი ამბისგან.

ისტორიული ფონის ნათელსაყოფად ა. ბიბიჩაძე საგანგებოდ გამოჰყოფს ტრაგედიის ერთ-ერთი მოქმედი პირის – რუსეთის ელჩის მხატვრულ სახეს და ხაზს უსვამს მისი როლის კომპოზიციურ მნიშვნელობას ტრაგედიის მოქმედების განვითარებაში (ბიბიჩაძე 1949: 312): „... გარდატეხის მომენტი მაინც რუსეთის ელჩის მშვიდი და თვითდარწმუნებული ფიგურის გამოჩენაა სცენაზე. მისმა კეთილშობილურმა მისიამ ახალი აზრი განამტკიცა იქ მყოფთა (იგულისხმება ქეთევან დედოფალი და ქართველი ელჩები – მ. ნ.) შორის: დიდი მთავარი სრულიად რუსეთის მფარველობას კისრულობს უსაზღვრო ჭირში ჩავარდნილი დაუძლურებული, მტრებისაგან აოხრებული საქართველოსი და ტყვედ მყოფ შეურაცხოფილ დედოფალს თავისუფლებას ჰპირდება” (ბიბიჩაძე 1949: 3018). მკვლევარი დეტალურად აანალიზებს რუსეთის ელჩის მხატვრულ სახეს და მის დანიშნულებას ამ ტრაგედიაში. პირველყოვლისა, ა. ბიბიჩაძის ყურადღებას აპყრობს იმ გარემოებას, რომ მოსკოვის ელჩის სპარსეთში ყოფნა არსებული ისტორიული საბუთების წყალობით „საკმაოდ გამაგრებულია”, თუმცა, მაშინაც კი, თუკი ლიტერატურული ფაქტი კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს არ დაემთხვეოდა, ტრაგედიაში ამ პერსონაჟის შემოყვანა „ეპოქის ზოგად ვითარებას მაინც ასახავს”. ყოველივე ეს მოწმობს, რომ გრიფიუსმა გულმოდგინედ შეისწავლა ისტორიული საბუთები და „კონდელის ზღაპრულ-პოპქეზურ თავგადასავალთა აღწერის გზას” კი არ გაჰყვა, არამედ „დააყენა რა სპარსეთ-საქართველოს ურთიერთობის გადაწყვეტის ვითარებაში ქართველი დედოფლის ბედის გადაჭრის საკითხი, როგორც აქტიური ფიგურა ამ ალტერნატივის გადაწყვეტაში, რუსეთის ელჩი გამოიყვანა და ამით ეს უკანასკნელი გაჰხადა ტრაგედიის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად” (ბიბიჩაძე 1949: 328). მკვლევარის მიერ დეტალურადაა გაანალიზებული რუსეთის ელჩის მხატვრული სახის როლი გრიფიუსის ტრაგედიაში და მიჩნეულია, რომ ეპოქის სულისკვეთება ამ პერსონაჟის შემოქმედებაში შეყვანით არ ირღვევა, რადგან საქართველო ამ დროს „... ეწეოდა პოლიტიკურ თამაშს სპარსეთსა და ოსმალეთს

შორის, რათა ამ ორომტრიალში საკუთარი დამოუკიდებლობა როგორმე შეენარჩუნებინა, – მაინც არ კარგავდა იგი ამავე დროს იმედსა და მტკიცე გადაწყვეტილებით ზრუნავდა, რათა დაკავშირებოდა ძლიერ რუსეთს ისლამის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის საწარმოებლად” (ბიბიჩაძე 1949: 316).

მოსკოვის ელჩთან დაკავშირებული ეპიზოდების ანალიზით ა. ბიბიჩაძე ხაზს უსვამს გრიფიუსის ტრაგედიის პოლიტიკურ ქვეტექსტს: თუკი რუსეთის ელჩის გამოჩენამდე შაჰი განრისხებული იყო იმით, რომ ქართველმა დედოფალმა უარყო მისი გვირგვინი და ზელი, რუსეთის ელჩის მიერ დედოფლისათვის მფარველობით შაჰის მრისხანებას „დაემატა ახალი მიზეზი, რომელიც ინტიმურს გარდა აშკარა პოლიტიკურ ინტერესებსაც მოიცავს თავის ორბიტაში” (ბიბიჩაძე 1949: 338).

ყოველივე ეს მოწმობს ანდრეას გრიფიუსის რეალისტური აღქმის უნარს და ამ ნიშნით მას არსენ ბიბიჩაძე „ბაროკოს პლეადის ყველა წარმომადგენელზე მაღლა” აყენებს.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ 50-იან წლებში ბაროკო ჯერ კიდევ გაგებული იყო, როგორც „დადმაგალი არისტოკრატიული ფენის გემოვნების გამომხატველი სტილი” (ბიბიჩაძე 1949: 316), რაც ბაროკოს – როგორც ეპოქალური სტილური მოვლენის – მნიშვნელობას ზღუდავს და აკნინებს. ბოლოდროინდელი ინტერესი, გამოვლენილი ამ მიმართულების მიმართ მოწმობს მის დიდ მნიშვნელობას საერთოდ ქრისტიანული კულტურის შესწავლისთვის და გამოჰყავს იმ ვიწრო ჩარჩოებიდან, რაც კვლევის საწყის პერიოდს ახასიათებდა.

ა. ბიბიჩაძის ეს ნაშრომი ორი თვალსაზრისით არის საყურადღებო: პირველი – მკვლევარი გრიფიუსის ტრაგედიის დეტალური ანალიზით და წყაროების მითითებით ამტკიცებს, რომ გრიფიუსის ტრაგედიას ისტორიული მასალა უდევს საფუძვლად; მეორე – რადგან გრიფიუსმა თავის ტრაგედიას ისტორიული სინამდვილიდან აღებული მასალა დაუდო საფუძვლად, იგი რომელიმე ცნობილი მწერლის მიმბაძველი კი არა, ორიგინალური შემოქმედია.

1958 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „გრიფიუსის „ქეთევან დედოფლის” ისტორიულ წყაროთა შესახებ (ბიბიჩაძე 1958) ა. ბიბიჩაძემ იმ ისტორიული მასალის საკითხი დასვა, რომელიც გერმანელ დრამატურგს თავისი ტრაგედიის შესაქმნელად შეეძლო გამოეყენებინა. მან ისიც აღნიშნა, რომ თუმცა გრიფიუსის დრამატულ თხზულებათა შესახებ გერმანიაში ბევრი რამაა დაწერილი, „წყაროების კვლევით, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, არავინ დაინტერესებულა” (ბიბიჩაძე 1958: 69). ეს საკითხი იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ გრიფიუსი, როგორც „სწავლული პოეზიის” წარმომადგენელი, ჩვეულებრივ, ისტორიულ წყაროთა გათ-

ვალისწინებასა და გადმოცემას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა. მაგალითად, „ლეონ არმენიუსისა“ და „კარლ სტიუარტის“ გამოცემებში „... იგი არა მარტო წყაროებზე მიუთითებს, არამედ დამაჯერებლობისათვის მათ ციტირებასაც ახდენდა“ (ბიბიჩაძე 1958: 75). ამ ვითარების ფონზე ქეთევანისადმი მიძღვნილ ტრაგედიაში კი არც წინასიტყვაობასა და არც ბოლოს დართულ განმარტებაში ავტორი არ ასახელებს დრამის წყაროს და არც იმას ამბობს, მართლა მოხდა თუ არა ასეთი ფაქტი. ა. ბიბიჩაძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეს გრიფიუსის შემოქმედებაში ერთადერთი შემთხვევაა, როცა იგი თითქოს განზრახ უვლის გვერდს მისი თხზულების ისტორიულ სინამდვილესთან დამოკიდებულებისა და წყაროს საკითხს (ბიბიჩაძე 1958: 74). ამ ვითარების ფონზე კიდევ უფრო განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ამ ტრაგედიის წყაროთა საკითხი.

გრიფიუსის „ქეთევან ქართველის“ კვლევის ისტორია ევროპაში მკვლევრს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული:

1884 წელს გრიფიუსის თხზულებები გამოსცა ჰ. პალმმა, (A. Griphius, Trauerspiele. (Bild des Lit. Vereins, Bd. 162) Stutthart), რომელმაც სცადა ქეთევანის თემისადმი მიძღვნილი ტრაგედიის სიუჟეტის წყაროთა გარკვევა: მან მის ისტორიულ წყაროდ ჟან შარდენის ნაშრომი ივარაუდა, თუმც თავისი ვარაუდის სიმართლეში არ იყო დარწმუნებული. ჰ. პალმის ეჭვი გამართლებულია, რადგან აქ აშკარა ანაქრონოზითან გვაქვს საქმე: გრიფიუსის ტრაგედია 1647-48 წწ დაიწერა და 1657 წელს იქნა წარმოდგენილი სცენაზე, შარდენის მოგზაურობის წიგნი კი 1685 წელს გამოიცა ლონდონში.

1892 წელს ლ. პარიზერმა (L. Pariser. Quellenstudien zum A. Griphius Trauerspil “Catherina von Georgien. Zeitschrift für vergel. Literaturgesch., v. V.H.I.II, 1892, Berlin) გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც გამოთქვა მოსაზრება, რომ გრიფიუსის ტრაგედიის წყაროს ცნობილი იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს შრომები წარმოადგენენ, თუმც თავად ლ. პარიზერი ამ შრომებს არ იცნობდა.

1932 წელს ც. ციგულსკიმ (Z. Zygulski. A. Griphius. “Catharina von Georgien nach ihrer französischen Quellen untersucht”. Lwow, 1932) გრიფიუსის ტრაგედიის წყაროდ კლოდ მალენგრის მიერ შედგენილ წამებულთა ცხოვრების აღწერილობა მიიჩნია.

ასეთი იყო დასავლეთში „ქეთევან ქართველის“ წყაროების კვლევის მოკლე ისტორია.

არსენ ბიბიჩაძე გამართლებულად თვლის აზრს, რომ გრიფიუსი „საქართველოს ამბებს „იცნობდა, უთუოდ, მოგზაურობათა აღწერილობებით ანდა ევროპაში მოგზაურობის დროს, შეიძლება თვით ჰქონდა პირადი ნაცნობობა რომელიმე მოგზაურთან“ (ბიბიჩაძე 1958: 70).

ამ საკითხის გასარკვევად მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კათოლიკური რომის საეკლესიო პოლიტიკის მქადაგებელთა აქტიურ მოღვაწეობას საქართველოში XVII საუკუნეში, რომელთა შორის დიდი კულტურის მქონე, ფრიად განათლებული პირები იყვნენ. ისინი საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ სათანადო ინფორმაციას აწვდიდნენ რომის ეკლესიას, საიდანაც „... ეს ცნობები ევროპის საზოგადოებრიობის ყურადღებად აღწევდა. მათი ცნობები თავისი მრავალმხრივობით არის საყურადღებო, მაგრამ მათ შორის გრიფიუსის ტრაგედიის წყაროს ძიებისას ა. ბიბიჩაძე საგანგებოდ გამოჰყოფს იმ აღწერილობებს, რომლებშიც ასახულია გრიფიუსის ტრაგედიაში აღწერილი ისტორიული სურათები, სახელდობრ: შაჰ-აბასის მიერ საქართველოს აოხრება, ქეთევან დედოფლის წამება, ქართველ მეფეთა ტრაგიკული ბედი.

უშუალო წყაროს თვალსაზრისით ა. ბიბიჩაძე უპირატესობას იტალიელ კათოლიკე მოძღვართა აღწერილობას ანიჭებს.

მიხეილ თამარაშვილის ნაშრომზე დაყრდნობით მკვლევარი წერს, რომ ლომინიკანელი ბერის – გრიგორიო ორსინოს სპარსეთში ყოფნისას მოხდა ქეთევანის წამება შაჰის ბრძანებით, რომელმაც სხვა ამბებთან ერთად ესეც აღწერა თავის 1626 წელს რომის პროპაგანდისათვის წარდგენილ მოხსენებაში, მაგრამ ეს საბუთი ა. ბიბიჩაძისათვის ხელმოუწვდომელი აღმოჩნდა (ბიბიჩაძე 1958: 71).

როგორც კიდევ ერთ შესაძლებელ წყაროს, მკვლევარი „ავგუსტინის წესის მოძღვრის ამბროზიოს“ მოხსენებასაც ახსენებს, რომელიც მაშინ, 50-იან წლებში ქართველ მკვლევართათვის ასევე უცნობი იყო.

მთავარია ის დასკვნა, რომელიც მ. თამარაშვილის ნაშრომიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოაქვს ა. ბიბიჩაძეს: იგი თვლის, რომ ამ წყაროებით ა. გრიფიუსი ვერ ისარგებლებდა, რადგან „როგორც ორსინოს, ასევე ამბროზიოს ინფორმაციები კერძო დანიშნულებისა ყოფილა და მათი წიგნად გამოცემა არსად იხსენიება არ მომხდარა მათი თარგმნა ევროპის სხვა ენებზე“.

სამაგიეროდ, მას განსაკუთრებულ ყურადღების საგნად მიაჩნია იტალიელი პატრიციუსის, ცნობილი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს შრომები, რომელნიც იმდენად შეესატყვისებოდნენ მაშინდელი საზოგადოებრივი აზრის მიმართულებას, რომ მკითხველ საზოგადოებაში ფრიად პოპულარულნი გამხდარან, რასაც მოწმობს მათი თარგმნა ევროპის სხვადასხვა ენებზე (ბიბიჩაძე 1958: 72). დელა ვალეს ამ ნაშრომთაგან მკვლევარი ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ორ ნაშრომს, რომელშიც შაჰ-აბასის დროინდელი ამბებია აღწერილი. ესაა „Della conditioni di Abbas Re die Persia“, გამოცემული ვენეციაში 1628 წელს. ეს წიგნი ა. ბიბიჩაძეს იმიტომ მიაჩნია გრიფიუსის ტრაგედიის წყაროდ, რომ „შაჰ-აბასის პიროვნების

დახასიათებისას ამ შრომაში ვალე იგონებს მის მიერ ჩადენილ სისასტიკეთა მაგალითებს, რომელთა ნაწილი გრიფიუსის ტრაგედიაში აისახა” (ბიბიჩაძე 1958: 73).

სხვა მდიდარ და საინტერესო მასალად, „რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს გრიფიუსის ტრაგედიის მრავალრიცხოვან დეტალთა წყაროს რაობა, არის ამავე ავტორის „ინფორმაცია საქართველოს შესახებ”, რომელიც 1626 წელს წარუდგენია დელა ვალეს ურბან მერვისათვის.

როგორც ვხედავთ, გრიფიუსის ტრაგედიის შესაძლო წყაროდ მისაჩნევ ნაშრომთაგან ა. ბიბიჩაძე უპირატესობას დელა ვალეს ნაშრომებს ანიჭებს, რადგან „იმ ისტორიულ დოკუმენტთაგან, რომლებიც გრიფიუსის დრამაში მოცემულ საკითხებზე ცნობებს იძლევა, ყველაზე საყურადღებო მაინც ვალეს შრომებია” (1958: 84). მკვლევარისთვის მთავარი ისაა, რომ გრიფიუსის ტრაგედიაში აღწერილ გმირთა, მოქმედებათა და ვითარებათა აბსოლუტურ უმრავლესობას თავისი ანალოგი მოეძებნება დელა ვალეს შრომებში. ეს დამთხვევანი, რომელნიც არის დელა ვალეს შრომებსა და გრიფიუსის ტრაგედიაში, შემდეგია: „ჩვენ აქ ვხვდებით დედოფლის მეფობის, მისი დატყვევებისა და დასჯის ისტორიას, აქ არის დედოფლის ქმრისა და ამ უკანასკნელის მამის, მეფე ალექსანდრეს საკუთარი შვილის მიერ მკვლელობის ამბავი; აქ ჩანს თეიმურაზის მთელი ისტორია, (ლუარსაბის) ტყვეობის, ტუსაღად ყოფნისა და მუხანათურად მკვლელობის ამბები, თვით შაჰ-აბასის ქცევა და თავგადასავალი, საქმეში რუს დესპანთა ჩარევის, შუამდგომლობისა და სხვათა მრავალი მსხვილმანი თუ წვრილმანი ამბები” (ბიბიჩაძე 1958: 88).

დელა ვალეს „ინფორმაციაში” ქეთევან დედოფლის წამების მიზეზი მისი სარწმუნოებრივი ერთგულებაა, მიუხედავად იმისა, რომ შირაზის ხანგრძლივ ტყვეობაში მრავალგზის ცდილობდნენ აეძულებინათ იგი უარეყო ქრისტიანობა (ბიბიჩაძე 1958: 75). რაც შეეხება გრიფიუსის ტრაგედიას, მისი ქვესათაური — როგორც საგანგებოდ აღნიშნავს ა. ბიბიჩაძე — “Bewährte Restandungskiet” თავად მიგვანიშნებს, რომ „აქ ლაპარაკი უნდა იყოს გმირის რწმენის სიმტკიცეზე და მისი ნებისყოფის შეურყევლობაზე, მაგრამ გრიფიუსი ამ წმინდა რელიგიური მოტივით არ შეიზღუდა მოქმედებისათვის მეტი დრამატული სიმახვილის მიცემის მიზნით ცალმხრივი სიყვარულის მოტივი ჩააქსოვა დრამის ძირითად კონფლიქტში” (ბიბიჩაძე 1958: 77).

ამის გათვალისწინებით მკვლევარი სვამს კითხვას: საიდან უნდა აეღო სიყვარულის ეს მოტივი გრიფიუსს, რომელიც დელა ვალესთან საერთოდ არ იხსენიება? მართალია, დელა ვალე ჩამოთვლის შაჰის პირად თვისებებსა და ჩვევებს და განსაკუთრებით უსვამს ხაზს „მის მიდრეკილებას ქალთა სქესისადმი” (ბიბიჩაძე 1958: 82, 86), „მაგრამ დედოფლისადმი შაჰის

სიყვარულის ამბის აღება გრიფიუსს დელა ვალეს შრომებიდან უშუალოდ არ შეეძლო, თუმცა ვალეს ნაშრომებში ცალკე რეალიები შემდგომი პოეტური ლიცენციის საშუალებას იძლეოდა” (ბიბიჩაძე 1958: 83). რა არის ეს „ლიცენციის საშუალების მომცემი „დასაყრდენი წერტილები”, „ცალკე რეალიები”? ა. ბიბიჩაძეს ასეთებად მიაჩნია ზემოთ უკვე ნახსენები მიდრეკილება შაჰისა ქალთა სქესის მიმართ და ვალეს მიერ აღწერილი ისტორიული ამბავი თეიმურაზის მიერ ხორეშანის შერთვისა, როდესაც შაჰმა თავისი პრეტენზიები წამოაყენა ხორეშანის მიმართ და განაცხადა, „თითქოს მას და ხორეშანს ერთმანეთი ჰყვარებოდათ და თეიმურაზს თვითნებურად წაერთმიოს ქალი მისთვის” (ბიბიჩაძე 1958: 82). მკვლევარის აზრით ეს ცალკეული დეტალები „შაჰ-აბაზის პირადი თვისებების აღწერიდან და ქეთევან დედოფლის თავგადასავლიდან საჭირო მასალას ქმნიდნენ პოეტის თავისუფალი ფანტაზიისთვის, რომ დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის სამწუხარო ისტორია ინტიმურ განცდათა მიმზიდველი საღებავებით შემკობილიყო” (ბიბიჩაძე 1958: 83). ამრიგად, დელა ვალეს ნაშრომი, როგორც სიყვარულის სავარაუდო წყარო გრიფიუსისათვის, გამორიცხულია, რადგან „ვალეს თვით არ სწამდა შაჰის სიყვარულის ამბავი” (ბიბიჩაძე 1958: 82), და „არც ისტორიაში, არც ვალესთან არ არის მოცემული დედოფლისადმი შაჰის სიყვარული” და აქვე მკვლევარი აზუსტებს, რომ „ეს დეტალი მალენგრს აქვს მხოლოდ” (ბიბიჩაძე 1958: 86).

ა. ბიბიჩაძე იმ ვარაუდსაც მისაღებად თვლის, რომ კონდელის ისტორიული ხასიათის დრამაში „ასულები” ძირითადად დრამატული კონფლიქტის საფუძველს ურსულასადმი ატილას ცეცხლოვანი სიყვარული წარმოადგენს, რაც მიმზიდველი სურათი იქნებოდა გრიფიუსისათვის და ამიტომაც კონდელის პიესის მსგავსად თავის ტრაგედიაშიც, რათა წარმოდგენილი მოქმედების მიმართ ინტერესი უფრო გაეძლიერებინა, სიყვარულის მოტივი შეიტანა, რითაც ტირანი შაჰ-აბაზის ტიპი საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა (ბიბიჩაძე 1958: 83).

საერთოდ, ა. ბიბიჩაძე, ისევე, როგორც წინა წერილში, გადაჭრით უარყოფს გრიფიუსის შემოქმედების მიმბაძველურ ხასიათს და დეტალთა კონკრეტული ანალიზით ამტკიცებს, რომ ქართულ თემაზე შექმნილი ტრაგედიის მასალა გერმანელ დრამატურგს ისტორიული სინამდვილიდან აქვს აღებული. მკვლევარის დაასკვნით, „ტრაგედიის უშუალო სიახლოვე იმ ისტორიულ წყაროებთან, რომლებიც მასში გადმოცემული ამბები გახდნენ, დღის წესრიგიდან ხსნის ლიტერატურული ნასესხობის საკითხს და ავტორის უშუალობის, თვითმყოფობის, ორიგინალობის დამადასტურებელია” (ბიბიჩაძე 1958: 84).

საბოლოოდ, იმ ისტორიული მასალიდან, რაც გრიფიუსმა ამ ტრაგედიის შესაქმნელად გამოიყენა, ა. ბიბიჩაძე ყველაზე მნიშვნელოვნად და საყურ-

ადლებოდ დელა ვალეს შრომები მიიჩნია (ბიბიჩაძე 1958: 85), მაგრამ, არც იმ ვითარებას უვლის გვერდს, რომ გერმანელი ავტორის თხზულებაში არის ისეთი დეტალები, რაც არც ვალესთან გვხვდება, არც მალენგრთან და არც ოლგარიუსთან. მკვლევარი სვამს კითხვას: „მაშ, საიდან უნდა სცოდნოდა გრიფიუსს ეს დეტალები?“ (ბიბიჩაძე 1958: 87) და მის ვარაუდს კვლავ დელა ვალესთან მიეყვართ. აქ ბიბიჩაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ გრიფიუსი და დელა ვალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს საერთო ნაცნობის, იეზუიტ ათანასე კირხერის მეშვეობით გრიფიუსის რომში ყოფნისას, რაც უნდა მომხდარიყო 1652 წლამდე, რადგან ამ წელს დელა ვალე გარდაიცვალა. ამ ვარაუდს ა. ბიბიჩაძე იმაზე ამყარებს, რომ ვალეს ქართველი მეუღლე, ქეთევან დედოფალთან დაახლოებული პიროვნება, თინათინ ციბა იყო, ხოლო „ვალლეს წრე ითვლებოდა მაშინ რომში არა მარტო საქართველოს საქმეების საუკეთესო მცოდნედ, არამედ საქართველოსადმი სამართლიანი სიმპატიით განწყობილ გარემოდ“. ამ ორი გარემოების გათვალისწინებით ა. ბიბიჩაძე თვლის, რომ ტრაგედიაში ასახული წვრილმანი ამბები საქართველოს ცხოვრებიდან შეიძლება სწორედ ვალეს ოჯახში შეეცყო გრიფიუსს (ბიბიჩაძე 1958: 88-89).

ნ. ორლოვსკაიამ თავის ნაშრომში „საქართველო XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში“ (ორლოვსკაია 1965) ა. გრიფიუსის ტრაგედია შეაფასა, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში საქართველოს ისტორიული სინამდვილის გამოყენებისა და ასახვის ადრეული და მეტად მნიშვნელოვანი ნიმუში. თვით გრიფიუსი დახასიათებულია, როგორც XVII საუკუნის გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, რომლის სახელითაც ამაყობს გერმანია. ხოლო მისი ტრაგედია „ქეთევან ქართველი“ კი მის უმთავრეს ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელშიც აისახა გრიფიუსის დროინდელი გერმანიის მძიმე, ტრაგიკული განწყობილებები. მათ გამოსახატად გერმანელი დრამატურგი სხვადასხვა ქვეყნების ისტორიიდან აღებულ მასალას მიმართავდა, ამჯერად კი საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობიდან აღებულ იმ ისტორიულ ფაქტს მიმართა, რაც XVII საუკუნის პირველ მეოთხედში მოხდა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ გრიფიუსის ტრაგედია მაჩვენებელია იმ შთაბეჭდილებისა, რომელიც თანამედროვეებზე მოახდინა ქართული ხალხის გმირულმა ბრძოლამ და დედოფლის მოწამებრივმა სიკვდილმა (ორლოვსკაია 1965: 106-107).

რაც შეეხება გრიფიუსის თხზულების ლიტერატურულ წყაროებს, ნ. ორლოვსკაია იზიარებს ა. ბიბიჩაძის მოსაზრებებს და ეთანხმება იმასაც, რომ გერმანულ დრამატურგს შეეძლო გამოეყენებინა არა მხოლოდ მშრალი წიგნური მასალები, არამედ იმ პირთა უშუალო შთაბეჭდილებებიც, რომელნიც კარგად იცნობდნენ იმდროინდელ სპარსეთს. იგი თვლის, რომ

ამ შემთხვევაში გრიფიუსის პიესა წარმოადგენს იმ იშვიათ შემთხვევას, როდესაც ნაწარმოებში თავისი გამოხატულება ჰპოვა ავტორის უშუალო ურთიერთობამ იმ პირებთან, რომლებიც თავად იყვნენ აღმოსავლეთში (ორლოვსკაია 1965: 107-108).

6. ორლოვსკაია საგანგებო ყურადღებას უთმობს იმ ფაქტს, რომ ისტორიული ვითარება ტრაგედიაში ძირითადად სწორადაა გადმოცემული; სინამდვილეს შეეფერება ცალკეულ ისტორიულ პირთა დახასიათება, მაგრამ მიუხედავად ამისა, გრიფიუსის თხზულება არაა დაზღვეული ზოგიერთი უზუსტობისაგან, რადგან ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ ვერ ჰპოვა სრული ასახვა, ხოლო ის ისტორიული მასალა, რომელსაც გერმანელმა დრამატურგმა მიმართა, თვით გრიფიუსის შემოქმედების ხასიათსა და მისი ეპოქის განწყობილებების შესაბამისია. სხვა ხალხის ისტორიიდან აღებულ თემაში გრიფიუსმა ჩააქსოვა თავისი მწარე ფიქრები საკუთარი სამშობლოს მდგომარეობის შესახებ, რომელიც გაუთავებელი მრავალწლიანი ომებით იყო გაპარტახებული. ამას გარდა, გრიფიუსის პიესაში მხილებულია რელიგიური დესპოტიზმი, რომელიც გერმანიისათვის აქტუალური თემა იყო კათოლიკეთა და პროტესტანტთა დაპირისპირების გამო (ორლოვსკაია 1965: 108-109).

ტრაგედიის ცენტრალური კოლიზია სპარსეთის შაჰისა და მისი ტყვეის შეჯახებაა, რაც ქართველი დედოფლის მორალური გამარჯვებით მთავრდება. „სწორედ თავისი სიმტკიცით, თავისი გმირული სულით და სიწმინდით იწვევს მკითხველის სიმპათიას მთავარი გმირის სახე, რომელიც ტირანის ძალაუფლებისა და მისი ქვეშევრდომის წინააღმდეგ მგზნებარე პროტესტს განასახიერებს” – წერს მკვლევარი. გრიფიუსი მიიმედ განიცდის თავისი სამშობლოს ტრაგიკულ მდგომარეობას, მაგრამ მის თხზულებებში ტირანიისა და ტირანების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა კი არ არის წარმოდგენილი, არამედ წინა პლანზე წამოწეულია გმირთა ზნეობრივი სიდიადე, მათი პასიური სიმტკიცე. ასევეა გადაწყვეტილი მთავარი გმირის მხატვრული სახეც „ქეთევან ქართველში”, მაგრამ მასში ზნეობრივი გმირობის თემა უკავშირდება სამშობლოსადმი სიყვარულის თემას და სწორედ მასშია ამ ნაწარმოების მიმზიდველობა.

6. ორლოვსკაიას დასკვნით, საქართველოს ისტორიიდან აღებული მასალის დამუშავების თვალსაზრისით გრიფიუსის ტრაგედიას განსაკუთრებული ადგილი უკავია XVII-XVIII სს ევროპელ ავტორთა მიერ საქართველოს თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის (ორლოვსკაია 1965: 109-110).

გრიფიუსის ტრაგედიის ქართული თარგმანი პირველად 1975 წელს გამოიცა, იგი აკაკი გელოვანმა თარგმნა. წიგნს ერთვის შოთა რევიშვილის შესავალი სტატია „ანდრეას გრიფიუსი და მისი ქეთევან ქართველი” და მთარგმნელის წერილი „ქეთევან წამებულის პოეტური აპოლოგია”.

შ. რევიშვილმა ფართოდ მიმოიხილა ანდრეას გრიფიუსის შემოქმედება, როგორც გერმანული ბაროკოს ეპოქის უდიდესი მწერლისა. მან უკვე ადრეულ ასაკში – ჩვიდმეტი წლისამ ლათინურ ენაზე შეთხზა პოემა ბიბლიურ სიუჟეტზე, რაც ასე დამახასიათებელია ბაროკოს ეპოქის ლიტერატურისთვის.

ეპოქა, რომელშიც ა. გრიფიუსი მოღვაწეობდა, ოცდაათწლიანი ომების საშინელებებით იყო დამძიმებული: ამ დროს თავი იჩინა ცხოვრებაზე გულგატეხილობისა და უნდობლობის სულისკვეთებამ, როდესაც ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ უაზრობად, ამაოებად ეჩვენებოდათ. ყოველივე ეს აისახა ა. გრიფიუსის პოეზიაში, მაგრამ უფრო მძლავრად გამოვლინდა მის ტრაგედიებში, რომლებიც ბაროკოს სტილის საუკეთესო ქმნილებებად ითვლებიან. მათში დაყენებულია მწერლის თანამედროვეობისათვის მტკიცეული პოლიტიკური და ეთიკური საკითხები, როდესაც რელიგიური საბურველით შემოსილი ომი სინამდვილეში პოლიტიკური გაძლიერებისა და ახალ-ახალი მიწების მიტაცების მიზნებს ემსახურებოდა. ამ ფონზე იჩინა თავი გრიფიუსის დაინტერესებამ საქართველოს თემით და ქართველი დედოფლის ბედით, რასაც საკუთარი ქვეყნის მდგომარეობა კარნახობდა. შ. რევიშვილს პირდაპირი პარალელის სახით გამოაქვს დასკვნა, რომ შაჰ-აბასის ვერაგული პოლიტიკის მხილებით გრიფიუსმა სააშკარაოზე გამოიტანა საკუთარი სამშობლოს დესპოტებისა და ევროპის მონარქების უკეთურება და ამავე დროს დაგმო რელიგიური ფანატიზმი (1975: 5-10).

რაც შეეხება „ქეთევან ქართველის“ ტრაგიკულ კოლიზიას, რომელიც სიყვარულის გრძნობაზეა აგებული, შ. რევიშვილი აღნიშნავს, რომ წამების დროისათვის ისტორიული ქეთევანი უკვე შუახნისა იყო და მისი ცოლად შერთვის განზრახვაში გამორიცხულია როგორც ეროტიული, ასევე ამალღებული და სათუთი გრძნობები: „ქეთევანის გამაჰმადიანებით და გადედოფლებით სპარსეთის მბრძანებელს სურდა განემტკიცებინა თავისი პოლიტიკური ზეგავლენა თეიმურაზზე, საერთოდ, თავისი უფლება აღმოსავლეთ საქართველოზე და შეძლებისდაგვარად გაემაჰმადიანებინა მისი მოსახლეობა“ (რევიშვილი 1975: 11).

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ტრაგედიაში აისახა ბაროკოს დრამატურგიის ნიშანდობლივი თვისებები: მაგალითად, ტრაგედიაში დაცულია სამი ერთიანობის – დროის, ადგილისა და მოქმედების – ერთიანობის კანონი, რაც კლასიციზმში ეპოქის დოგმატური ნორმა იყო და ბაროკომაც გადაიღო; ხასიათები სქემატური და ფერმკრთალია, მაგრამ მეტყველება მაღალფარდოვნებასთან ერთად ხშირად აღგზნებული და პათეტიურია, დატვირთულია ანტითეზებითა და ოქსიმორონებით; პიესაში მოქმედებენ ალეგორიული სახეები, მიცვალებულთა აჩრდილები, ხოლო ქორო დადაბებს ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობასა და ამაოებაზე.

ქეთევანის დრამატული სახე მწერლის მორალური იდეალის განსახიერებაა – იგი უდრეკი ნებისყოფისა და მაღალი ზნეობის პიროვნებაა, რომელიც ვერ ეგუება დესპოტურ ძალაუფლებასა და ამორალურ სურვილებს; მართალია, იგი იღუპება, მაგრამ მისი მოწამებრივი აღსასრული მისი გამარჯვებაა. გრიფიუსმა ტრაგედიაში ამხილა შაჰ-აბასის კერაგული პოლიტიკა მისი მხატვრული სახის შექმნით: „იგი პატივმოყვარე, ორპირი, დაუნდობელი, მოღალატე, გონებაშეზღუდული და ეჭვიანი პიროვნებაა, რომელიც ქვენა გრძნობებსაა აყოლილი და ხალხთა შორის გაუტანლობას, შუღლს, ღალატს და მლიქვნელობას ნერგავს” (რევიშვილი 1975: 11-16).

შ. რევიშვილი საგანგებოდ შენიშნავს, რომ გრიფიუსის ტრაგედიაში ჩანს მწერლის დაინტერესება საქართველოთი, რომელიც გმირულ წინააღმდეგობას უწევდა მაჰმადიანურ სამყაროს, რომელიც ევროპისთვისაც არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ამ თემის დამუშავებაში თავი იჩინა ევროპელთა დაინტერესებამ აღმოსავლური ქვეყნებით. სწორედ მათი ნაწერებით ისარგებლა ა. გრიფიუსმა თავისი ტრაგედიის შესაქმნელად. ამ თვალსაზრისით განხილულია ა. ბიბიჩაძის ნაშრომები, რომლებიც „ქეთევან ქართველის” ისტორიულ წყაროებს ეხება.

შ. რევიშვილი წერს, რომ „ა. გრიფიუსის პიესის დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე ა. ბიბიჩაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ტრაგედიის მასალა გამოყენებულია ისტორიული სინამდვილის ამსახველი წყაროებიდან. დრამაში დახატული ამბავი არ არის ავტორისათვის შორეული წარსულიდან აღებული უბრალო შემთხვევა, ან რომელიმე ისტორიული ამბის ეფექტის მქონე ცალკეული ეპიზოდის თავისუფალი დამუშავება. იგი არის აქტუალური და დრამატურგის თანამედროვე ისტორიული ვითარების ანარეკლი; დრამის ისტორიულობა და აქტუალობა თვალსაჩინო ხდება, როგორც პერსონაჟთა ხასიათების და მოქმედებების, ასევე სიტუაციათა გარჩევის დროს, მაგრამ დრამისათვის გრიფიუსი ზერელედ როდი იღებდა ისტორიულ მასალას. მაშინ, როდესაც ზოგიერთი საკითხი ლიტერატურულ წყაროებში ზერელედაა ნახსენები, გრიფიუსის დრამაში იგივე ამბავი გადმოცემულია ვრცლად და სხვა ვითარებებთან დაკავშირებით. გრიფიუსი დაწვრილებით აგროვებდა, დაბეჯითებით სწავლობდა, არკვევდა სიტუაციების სირთულეს, იმუშავებდა საკუთარ შეხედულებებს ცალკეულ საკითხებზე, უფარდებდა მოცემულ ისტორიულ მასალას და ასეთი ღრმა ანალიზის შემდეგ ახორციელებდა მას პოეტურ ფორმაში” (რევიშვილი 1975: 25).

შ. რევიშვილი აღნიშნავს, რომ არსენ ბიბიჩაძემ ივარაუდა „ქეთევანის“ სხვა, აქამდე უცნობი წყაროების არსებობა და ეს ვარაუდი გამართლდა. იგი წერს: „უკვე მიკვლეულია სპარსეთში მყოფი და ქეთევანის წამების დამსწრე ავგუსტინელი ბერების ჩანაწერები და ჩანახატები. ამ ბერების ერთ ჯგუფს მონაწილეობა მიუღია საქართველოში ნეშტის გად-

მოსვენებასა და დაკრძალვაში, რის გამოც მათ წერილობითი ცნობები გაუგზავნიათ ვატიკანის სარწმუნოების გამავრცელებელი კონგრეგაციის სამდივნოში. ამ წერილებში ზუსტადაა აღწერილი ქეთევანის ყოფისა და მისდამი შაჰის დამოკიდებულების სურათი. ამავე ბერების მონათხრობის საფუძველზე იმჟამად საქართველოში მყოფმა მისიონერმა, პალერმოელმა აზნაურმა კრისტოფო დე კასტელიმ, რომელმაც ჩვენში თითქმის მეოთხედის საუკუნე დაჰყო, შემდეგი ჩანაწერი გააკეთა: „როცა აღმოსავლეთში (ე.ი. საქართველოში – შ. რ.) ვიმყოფებოდი, იქ იყო ცნობილი დიდებული ქალბატონი, თვითმპყრობელ და სასოებიან თეიმურაზ მეფის დედა – ქეთევანად წოდებული. თავისი ქვეყნიდან იგი მაცნედ იყო გაგზავნილი შაჰ-აბასის სამფლობელოში სამშვიდობო მოლაპარაკების საწარმოებლად. როცა იგი ეახლა შაჰს და თავისი ჩასვლის მიზანი აუწყა, მისმა კეთილშობილებამ, სილამაზემ და მჭევრმეტყველებამ შაჰი მოხიბლა და მისდამი სიყვარულით აღაგზნო. დედოფლის კდემამოსილების დასაუფლებლად შაჰმა სხვადასხვა საშუალებას მიმართა; ქეთევანი კი უმწიკვლო ქალი იყო, რის გამოც უვნებელიყო შაჰის ყოველი მცდელობა. ამით განრისხებულმა ხელმწიფემ დედოფალი შირაზის ციხეში გამოამწყვდია და მასზე სხვადასხვა ხერხებით ზემოქმედება იწყო. შაჰი შეეცადა, რომ დედოფალს დაეგდო ქრისტიანული სარწმუნოება, რომელსაც ქეთევანი ურყევად იცავდა. მრავალი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მრისხანე ხელმწიფემ გასცა საზარელი ბრძანება – დედოფალს დაუყოვნებლივ მიუგზავნეს ჯალათი. ქეთევანის წამებას ესწრებოდნენ ავგუსტინელი მისიონერები, რომელთაც, – დასძენს დე კასტელი, – აღწერეს და ჩაიხატეს მარტვილობის მომენტები“ (რევიზილი 1975: 26-27).

შ. რევიზილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობები დღემდე არ გამოქვეყნებულა, თავის ღროზე ისინი ცნობილნი იყვნენ ევროპის საზოგადოებისათვის და სწორედ იმ მხრივ წარმოადგენდნენ ინტერესს, რომ ადასტურებენ ქეთევანისადმი შაჰ-აბასის სიყვარულს და დედოფლის ბრწყინვალე ინტელექტუალურ და ფიზიკურ მონაცემებს (რევიზილი 1975: 27).

შ. რევიზილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ანდრეას გრიფიუსს ხელთ ექნებოდა 1633 წელს ინგლისში, ოქსფორდში გამოცემული შრომა, რომლის სახელწოდებაა: „წერილი ქართველთა ხელმწიფის თეიმურაზის დედის ქეთევანის წამებასა და ამ შემთხვევის გამო იეზუიტთა იშვიათ ვერაგობაზე“ (რევიზილი 1971: 27). „წერილში დადასტურებულ ქეთევანის სიმტკიცის, მისი მარტვილობისა და შაჰის მუხანათობის ამბავს იგი შეიტყობდა და გამოიყენებდა კიდევ“ (რევიზილი 1975: 30).

ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში არსებული დოკუმენტები და მასალები, რომელნიც 1600-1628 წწ ეხება, ილია ტაბაღუამ გამოაქვეყნა 1986

წელს, როგორც II ტომი ვრცელი გამოკვლევისა „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“ (ტაბალუა 1986). ამ წიგნის მესამე თავი მთლიანად ქეთევან დედოფლის შესახებ არსებული ევროპული მასალის განხილვას მოიცავს: აქ წარმოდგენილია საქართველოში მანამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი დოკუმენტური მასალა, რომელშიც აღწერილია ქეთევან დედოფლის ელჩობა შაჰ-აბასთან, მისი ტყვეობა, მოწამებრივი სიკვდილი და წმინდა მოწამის ნეშტის ბედი. ესაა კათოლიკე მისიონერების, დიპლომატებისა და მოგზაურების – ამბროზიო დუშ ანჟუშის, არქანჯელო ლამბერტის, ბართოლომეო ფეროს, გრეგორიო ორსინის, პიეტრო დელა ვალეს, გარსია დე სილვა ფიგეროას ცნობები ქეთევან დედოფლის შესახებ. ნაშრომში მოყვანილია ვრცელი ციტატები ამ ავტორთა ნაწერებიდან: მკვლევარი მათ უდარებს ერთმანეთს და გამოაქვს თავისი დასკვნები.

ქეთევანის შაჰ-აბასთან ელჩობის საკითხთან დაკავშირებით მოყვანილია ვრცელი ციტატა ქეთევან დედოფლის სიტყვისა, რომლითაც მან მიმართა შაჰს (ტაბალუა 1986: 103-104). იგი საგრძნობლად განსხვავდება იმ ტექსტისაგან, რომელიც 1987 წელს გამოქვეყნდა (გულბენკიანი 1987: 28-29). როგორც ი. ტაბალუა წერს, შაჰ-აბასი „დიდი სიამოვნებით უყურებდა თეიმურაზ მეფის მშვენიერ დესპანს, რომლის სილამაზის ქება-დიდებაზე ხმებმა სპარსეთშიც შეაღწია და შაჰი დიდი ხანია მასთან შეხვედრაზე ოცნებობდა, ზოლო დაინახა რა საკუთარი თვალით დედოფალი, იგი მისმა სილამაზემ იმდენად შეიპყრო, რომ უსირცხვილოდ შესთავაზა დამორჩილებოდა მის წამხდარ, აუღაგმავ ვნებას“ (ტაბალუა 1986: 105). შემდეგ მკვლევარი იმოწმებს არქ. ლამბერტის სიტყვებს, რომ დედოფალმა „შაჰის უხამს წინადადებაზე მტკიცე უარით უპასუხა“ (ტაბალუა 1986: 105). ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარი არ ეთანხმება ზ. ავალიშვილს, რომელიც ქეთევანისადმი შაჰ-აბასის ტრფობას გამოგონილ, მონაჭორ ამბად თვლის (ავალიშვილი 1938: 25); მას დასაშვებად მიაჩნია, რომ ზოგიერთ უცხოურ წყაროში გამოჩენილი ეს ცნობა სინამდვილეს შეეფერება, რადგან „შაჰ-აბასის ტრფობაზე“ ლაპარაკია არა 1624 წელს, არამედ 1614 წელს, როდესაც ქეთევან დედოფალი წარსდგა შაჰის წინაშე. მაშინ იგი დაახლოებით 40 წლის ასაკში იყო; მეორე, ქეთევანი არაჩვეულებრივად ლამაზი იყო და სულაც არაა გამორიცხული შაჰის მისდამი ასეთი დამოკიდებულება“ (ტაბალუა 1986: 105).

რაც შეეხება ქეთევან დედოფლის ტყვეობასა და მოწამებრივ სიკვდილს, განიხილავს რა დუშ ანჟუშის, გრეგორიო ორსინისა და დელა ვალეს ცნობებს, მკვლევარი წერს, რომ „არც პიეტრო დელა ვალესა და არც გრეგორიო ორსინის ცნობები შეიძლება ჩაითვალოს პირველწყაროდ სპარსეთში ქეთევან დედოფლის ტყვეობისა და მისი მოწამებრივი სიკვდი-

ლის ყველა საკითხში” (ტაბალუა 1986: 110), რადგან ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ორსინის ცნობა, თითქოს შაჰ-აბასს ქეთევან დედოფალი სხვა ტყვე ქალებთან ერთად წაეყვანა საქართველოდან, მიემართა მისთვის, როგორც დედისთვის, რადგან დედოფალი შაჰზე ახალგაზრდა იყო; ასევე უსაფუძვლოა, თითქოს ქეთევანს ეთქვას: „უღირსო ადამიანო“, „ავაზაკო“ და სხვა, ისევე, როგორც ორსინის ცნობები ქეთევანის წმინდა ნაწილების შესახებ, ტაბალუა 1986: 109-110). რაც შეეხება შაჰ-აბასის მიერ ქეთევან დედოფლის წამებას ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ ერთგულების გამო, მკვლევარი ამგვარ დასკვნას აკეთებს: „ვერაგი შაჰ-აბასის სურვილი ცხადი იყო: კახეთის სამეფოს კანონიერ დედოფალს უნდა მიეღო მაჰმადიანობა და შაჰის ერთ-ერთი ცოლი უნდა გამხდარიყო. ამის შემდეგ შაჰ-აბასს უკვე სულ სხვა პრეტენზიები ექნებოდა კახეთის სამეფოს მიმართ” (ტაბალუა 1986: 119).

ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრულის შესახებ ი. ტაბალუა ყველა სხვა წყაროსთან შედარებით უპირატესობას ამბროზიოს ცნობებს ანიჭებს: „ყველა ავტორიდან, ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერის წმ. მამა ამბროზიო დუშ ანჟუმის აღწერას, ვინაიდან იგი ამ პერიოდში შირაზში იყო, ქეთევან დედოფალთან ახლო კონტაქტები ჰქონდა და როგორც საბუთებიდან ჩანს, ქეთევან დედოფლის წამების საშინელ სურათს საკუთარი თვალით უყურებდა” (ტაბალუა 1986: 124-125).

დუშ ანჟუმის „ნამდვილი ცნობა სახელოვანი მოწამებრივი სიკვდილისა ბრწყინვალე დედოფალ დოპოლისა, რომელიც 1624 წლის 22 სექტემბერს სპარსეთის სამეფო ქალაქ შირაზში შაჰ-აბასის ბრძანებით მოკლეს” და ასევე „ასლი წერილისა, რომელიც მორჩილმა ძმამ ამბროზიო დუშ ანჟუმმა 1628 წლის 29 ივნისს საქართველოდან რომში გაგზავნა” გამოქვეყნებულ იქნა 1630 წელს, ამასთან მეორე გამოქვეყნდა მთლიანად, პირველი კი – შემოკლებით (ტაბალუა 1986: 107-108), ასე რომ ევროპისთვის მალე გახდა ცნობილი ეს ტრაგიკული ამბავი.

რაც შეეხება ქეთევან დედოფლის კათოლიკური ეკლესიის წმინდანად აღიარების საკითხს, ი. ტაბალუა წერს, რომ „ქეთევან დედოფლის წმინდანად აღიარებაზე რომის ეკლესიამ თავი შეიკავა” (ტაბალუა 1986: 129).

ილია ტაბალუას აღნიშნული გამოკვლევის მესამე ტომში (ტაბალუა 1987) განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვრცელი მიმოხილვა კლოდ მალენგრის ნაშრომისა „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები” (Malingre Claude, *Histoires Tragiques de notre Temps, per sieur de S Lazare Historiographe, á Paris, 1635*), რომელშიც ერთი თავი ეძღვნება ქეთევან დედოფალს სათაურით: „სპარსეთის ხელმწიფის შაჰ-აბასის ბრძანებით მოკლულ საქართველოს დედოფალ კატერინას და ქართველი მეფეების შესახებ”.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ ქეთევან დედოფლის სახელის გადაღებაზე ამ ფრანგულ ნაშრომში, რადგან ღუშ ანჟუმის, გრეგორიო ორსინის და სხვათა ნაწერებში სახელი „ქეთევან“ ტრანსკრიბირებულია, კლოდ მალენგრი კი, ჩვენთვის ცნობილ ავტორთაგან პირველია, ვინც ქეთევანი „კატერინათი“ შეცვალა (შევნიშნავ, რომ ასევე მოიხსენიებენ მას მის შესახებ მხატვრული ნაწარმოებების შემქმნელნი ანდრეას გრიფიუსი და სკალიცელი იეზუიტი).

ი. ტაბალუა წინასწარ შენიშნავს, რომ კლოდ მალენგრი საქართველოს ისტორიის ბევრ საკითხში ვერ ერკვევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი თხზულება საყურადღებოა, რადგან ქართველი მკითხველისათვის საინტერესოა, თუ როგორ გააცნო ავტორმა იმ დროის საქართველოს ამბები ევროპელ მკითხველს, მითუმეტეს, დღეს ეს წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

როგორც ადრე ზ. ავალიშვილმა აღნიშნა, კლოდ მალენგრის ეს ნაშრომი ავტორის მიერ წინასწარ შემუშავებული შეხედულების მიხედვითაა დაწერილი. ესაა უპატიოსნო სიყვარულის ძალა, რომელიც, დაეუფლება რა ტირანულ ადამიანს, საქვეყნო უბედურებას იწვევს. როგორც ი. ტაბალუა წერს, „კლოდ მალენგრი შაჰ-აბასის მიერ საქართველოს აოხრებისა და ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილით დასჯის მთავარ მიზეზს ხედავს შაჰის აღვირახსნილ ვნებაში, უპატიოსნო სიყვარულში, მის ავხორცობაში და აღნიშნავს, რომ მსოფლიო ისტორიაში არა ერთი ასეთი ფაქტია ცნობილი“ (ტაბალუა 1987: 51).

მალენგრი „სიყვარულის ძალის“ ანუ, როგორც თვითონ უწოდებს „უპატიოსნო სიყვარულის“ მაგალითების სახით ჩამოთვლის იმ უბედურებებს, რასაც იგი იწვევს; ასეთებია ტროადის ათწლიანი ომი, რომელიც პარიზის მიერ მშვენიერი ელენეს მოტაცებამ გამოიწვია და დაამხო ტროა, ბაბილონის დედოფლის – სემირამიდას – ავხორცული ცხოვრება, ტარკვინიუსის ძალადობა ლუკრეციას მიმართ, რამაც რომის მონარქიის დამხობა და კონსულატად გადაქცევა გამოიწვია და სხვა. ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ქეთევან დედოფლის ამბის აღწერისას ფრანგი ავტორის მიზანია მკითხველს დაანახოს, რომ შაჰ-აბასის ვნება კახეთის დედოფლის მიმართ გახდა დედოფლის წამებისა და კახეთის აოხრების მიზეზი.

რაც შეეხება შაჰ-აბაზის სიყვარულს ქეთევანი მიმართ, ეს მალენგრის მოთხრობის მთავარი თემაა.

მალენგრის წინასწარ შემუშავებული სქემის თანახმად, სიყვარული ღრმა ფესვებს იდგამს ადამიანის გულში ისე ძლიერად, რომ თვით ეს ადამიანი სიყვარულის ტირანიის მსხვერპლი ხდება და ყოველივე გმირული, მამაცური, კეთილშობილი, რაც კი მას აქვს, იფანტება ამ გრძნობების უღელქვეშ. მაგრამ, როგორც ფრანგი ავტორი წერს, „ყველაზე უფრო ეს

შეეფერება უპატიოსნო სიყვარულს, რომელიც იმდენად ძლიერად იმონებს ადამიანის ნებისყოფას, რომ ართმევს მას გონიერების თავისუფლებას, წარმართავს მას და წარმოუდგენელ უბედურებაში აგდებს” (ტაბაღუა 1987: 51). ამ ბოროტი ვნების თანამედროვე ნიმუშად მალენგრს მოჰყავს საქართველოში დატრიალებული ტრაგედია „სპარსეთის ხელმწიფის შაჰ-აბასის უნამუსო და სასტიკი ვნების გამო საქართველოს დედოფლის ქეთევანის მიმართ” (ტაბაღუა 1987: 53).

საერთოდ, მალენგრის ნაშრომში ბევრი უზუსტობაა დაშვებული; ი. ტაბაღუა აღნიშნავს, ფრანგ ავტორს ჰგონია, რომ კახეთის მეფეს ალექსანდრეს ანუ ალექსანდრე მეორეს მხოლოდ ორი ვაჟიშვილი ჰყავდა – კონსტანტინე და დავითი („დავუდ-მირზა”), ხოლო ქართლის მეფის – სიმონის („სიმონ შმაგი”) ვაჟი თითქოს იყო ლუარსაბი, რომელიც სინამდვილეში მისი შვილიშვილი იყო (ტაბაღუა 1987: 54); თითქოს თეიმურაზსა და ლუარსაბს ერთიდაიგივე ქალი უყვარდათ და სხვა.

კლოდ მალენგრი, ვიდრე უშუალოდ თხრობის საგანზე გადავიდოდეს, საკმაოდ ვრცლად აცნობს მკითხველს საქართველოს და მის უახლოეს ისტორიას, ქართველთა ბრძოლას მაჰმადიანური სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ: „რამდენადაც ქართველი მეზობელები ქრისტიანები არიან, მათ სრულებითაც არ სურთ ემსახურონ არც თურქს და არც სპარსელს, ამიტომ ქართველები ხშირად მოიშორებდნენ ხოლმე მათ უღელს, რის შედეგადაც იწყებოდა მათ შორის ომები” (ტაბაღუა 1987: 54).

მალენგრი თხრობის დასაწყისიდანვე ამბობს, რომ საქართველო დაყოფილია ოთხ სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო), მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს მეფეთა და ქეთევან დედოფლის ამბები დაკავშირებულია იმ ავბედით ტრაგედიასთან, რომელიც გათამაშდა თბილისის ანუ ქართლის და იბერიის ტერიტორიებზე, აქ მომხდარ მოვლენებს ამიტომ მოუთხრობს მკითხველს.

ეს ამბებია: ალექსანდრეს უფროსი ვაჟის – კონსტანტინეს ბავშვობიდანვე შაჰის კარზე აღზრდა და მისი გამაჰმადიანება, შემდეგ მისი გაგზავნა სპარსული ჯარით კახეთში, რათა დახოცოს მამა და ძმა; ამასთან შაჰი კონსტანტინეს პირდება, რომ დააქორწინებს მისი ძმის – დავითის ქვრივზე, ე.ი. ქეთევანზე. აღწერილია კონსტანტინეს მიერ მამისა და ძმის ვერაგული მკვლელობა და ქეთევანის სიმაძაქე და გამჭირაზობა ამ რთულ ვითარებაში: „ამ ცნობას ქეთევან დედოფალში უნდა გამოეწვია ცრემლები და ენით გამოუთქმელი ტანჯვის გრძნობა, მაგრამ მან აღშფოთების გარეშე მოიწვია სახელმწიფო საბჭო და კახეთის ღიდებულები. ისინი ერთხმად შეთანხმდნენ, ჩასაფრებოდნენ მამისა და ძმის მკვლელს. ქეთევან დედოფალმა ზუსტად ჩამოაყალიბა გეგმა, თუ როგორ ჩასაფრებოდნენ ” (ტაბაღუა 1987: 58). კახელთა მიერ გამაჰმადიანებული

კონსტანტინეს მოკვლის შემდეგ მოთხრობილია ქეთევანისა და თეიმურაზის ამბები, თეიმურაზის დაქორწინება, რომელიც მალენგრმა ისტორიული ფაქტების დამახინჯებით გადმოსცა, ისევე, როგორც, მაგალითად, გიორგი სააკაძის ამბები. გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო ქეთევან დედოფლის ელჩობას შაჰთან მალენგრი ასეთ დასკვნას ურთავს: „შაჰ-აბასმა დაინახა რა დედოფალი – თეიმურაზის დედა ქეთევანი, თავი მოაჩვენა უფრო შეყვარებულად, ვიდრე განრისხებულად” (ტაბალუა 1987: 64).

მალენგრის ამ ფრაზასთან დაკავშირებით ი. ტაბალუა შენიშნავს, რომ საკითხი იმის შესახებ, ნამდვილად მოსწონდა თუ არა შაჰ-აბასს ქეთევან დედოფალი, ზოგიერთ მკვლევარის, მაგალითად, ზ. ავალიშვილის – ეჭვს იწვევს. ი. ტაბალუა თვლის, რომ დედა ვალესა და თეიმურაზის ღუმილი ამ საკითხის შესახებ საბუთად ვერ გამოდგება, რადგან პირველმა ამის შესახებ არაფერი იცოდა, მერე კი ვერ დაწერდა თავის პოემაში, რომ მისი დედა შაჰს მოსწონდა, სამაგიეროდ ამის შესახებ წერენ ის კათოლიკე მისიონერები და შაჰის კარზე მოღვაწე პირები, რომლებიც იმ პერიოდში იქ იყვნენ. საბუთად მოჰყავს დუშ ანჟუშის ფრაზა ურბან მერვისადმი მიწერილი წერილიდან, რომ ქეთევან დედოფალი „იცავდა სარწმუნოებას და უმწიკვლობას”. რაც შეეხება დედოფლის ასაკს, აქ კვლავ გამეორებულია II ტომში უკვე მოხსენიებული აზრი, რომ 1613 წელს (II ტომში 1614 წელი წერია – მ. ნ.), როდესაც შაჰმა პირველად ნახა ქეთევან დედოფალი, იგი 40 წლის იქნებოდა და, „ნამდვილად საინტერესო შესახედავი ქალბატონი იქნებოდა. ამაში ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს” (ტაბალუა 1987: 65).

ქეთევან დედოფლის წამებას შაჰის ბრძანებით მალენგრი უშუალოდ „მოსკოვის იმპერატორის ელჩის” სპარსეთში ჩასვლასა და შაჰთან ქეთევანის განთავისუფლების შუამდგომლობას უკავშირებს: იმამ ყული ხანმა „დედოფალს ... უჩვენა შაჰის ბრძანება, რომელიც ჰპირდებოდა მას ოქროს მთებს და ცოლად შერთვას, თუ უარს იტყოდა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და მაჰმადიანობას მიიღებდა, ხოლო აღნიშნულზე უარის თქმის შემთხვევაში მას მკაცრი წამება მოელოდა” (ტაბალუა 1987: 70-71).

შემდეგ აღწერილია დედოფლის მკაცრი უარი გამაჰმადიანებაზე, შაჰის ცოლობაზე და ამის შემდეგ მისი წამება.

რაც შეეხება კათოლიკური ეკლესიის მიერ ქეთევანის წმინდანად შერაცხვას, ი. ტაბალუა აღნიშნავს, რომ წმინდა კონგრეგაცია მოითხოვდა საბუთებს, რომლებიც დაადასტურებდნენ ქეთევანის კათოლიკედ მოქცევას. ავგუსტინელ მისიონერებს ამ საკითხში საკუთარი მიზნები ჰქონდათ, რადგან ქეთევან დედოფლის კათოლიკური ეკლესიის წამებულად გამოცხადება მათ დიდად შეუწყობდა ხელს საქართველოში ავგუსტინელთა მისიონის დაარსებაში. იმის გამო, რომ აქ ავგუსტინელ და „ფეხშიშვე-

ლა კარმელიტ” მისიონერთა ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა, რომმა ამ უკანასკნელთ დაუჭირა მხარი, როგორც „პაპის ელჩებს”. ი. ტაბალუა თვლის, რომ დუშ ანჟუმის „ცნობებში” საკმაო საბუთები არსებობს, რათა მიჩნეულ იქნას, რომ ქეთევანი იყო „ავგუსტინეს ორდენის სულიერი და და ქალიშვილი”. როგორც მკვლევარი წერს, „იქნებ, ქრისტიანობასა და სამშობლოსათვის შირაზში წამებულ ქეთევან დედოფლის წმინდანთა თანამერაცხვისთვის სრულიად საკმარისი იყო ყოველივე ზემოთ აღნიშნული”, მაგრამ რადგან პაპის კარდინალთა კოლეგიას არ სურდა ეს გაკეთებულიყო ავგუსტინელ მისიონერთა ინიციატივით, ამიტომ არ მოხდა ქეთევანის კანონიზაცია: „ქეთევან დედოფალი, სამწუხაროდ, ავგუსტინელი მისიონერებისა და ვატიკანის კარდინალებს შორის ინტრიგის საგანი გახდა” – წერს ი. ტაბალუა (ტაბალუა 1987: 77-79).

გრიფიუსის ტრაგედიის „ქეთევან ქარველის” წყაროების საკითხს შეეხო თამაზ ნატროშვილი თავის წიგნში „წელი ერთი და წელი ათასი” (ნატროშვილი 1988). მას განხილული აქვს იმ მეცნიერთა ნაშრომები, რომლებიც გრიფიუსის ამ ნაწარმოების წყაროებისადმი მიძღვნილი. იგი დაწვრილებით განიხილავს ზ. ავალიშვილის წიგნს – „თეიმურაზ პირველი და მისი პოემა წამება ქეთევან დედოფლისა” და გერმანისტი არსენ ბიბიჩაძის გამოუქვეყნებელ სადისერტაციო ნაშრომს „ანდრეას გრიფიუსი და მისი ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კათარინა” და ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს. იგი აღნიშნავს, რომ საკითხის ისტორია თითქმის ამომწურავად არის გაშუქებული ამ ორ, უკვე დასახელებულ ნაშრომსა და შ. რევიშვილის ნარკვევში – „ანდრეას გრიფიუსი და მისი ქეთევან ქართველი”.

ზ. ავალიშვილის ნაშრომის განხილვისას ჩვენ უკვე ვთქვით, თუ უცხოელი ავტორების რომელ ნაშრომებს მიიჩნევდა მკვლევარი ანდრეას გრიფიუსის ტრაგედიის ძირითად წყაროდ. ეს არის კლოდ მალენგრის ქრონიკა, სათაურით „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები”. მას მიაჩნდა, რომ დელა ვალეს ნაშრომიდან გერმანელმა დრამატურგმა მხოლოდ ძალიან ზოგადი მონაცემებით ისარგებლა.

ა. ბიბიჩაძე კი გრიფიუსის თხზულების წყაროებად ასახელებს გრეგორიო ორსინის მოხსენებას (1624) და ავგუსტინელი ბერის, ამბროზიოს მოხსენებას გორში დედოფლის ნეშტის გადმოსვენების თაობაზე. მაგრამ თხზულების ძირითად წყაროდ მას პიეტრო დელა ვალეს „ინფორმაცია” და „რელაციები” მიაჩნია; რაც მთავარია, ამას გარდა, გრიფიუსის პირადი ნაცნობობა ვალესთან და მის ქართველ მეუღლესთან.

თ. ნატროშვილი აღნიშნავს, რომ ა. ბიბიჩაძეს ვარაუდის გასამაგრებლად არ გააჩნია ხელმოსაკიდი საბუთები და მისი მტკიცება დამყარებულია ზოგადი ხასიათის დამთხვევებზე გრიფიუსსა და დელა ვალეს

შორის. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ა. ბიბიჩაძეს არ აქვს მხედველობაში მიღებული ზ. ავალიშვილის გამოკვლევა, თუმცა იგი ნაწილობრივ იზიარებდა გრიფიუსის დამოკიდებულებას კლოდ მალენგრის თხზულებაზე. თ. ნატროშვილი ჭეშმარიტების გამოსავლენად მიმართავს ავსტრალიელი მკვლევარის, კ. ლეოპოლდის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომს (1967 წ.), რის საფუძველზეც ნათელი ხდება თუ რომელი მკვლევარის აზრს უნდა მიენიჭოს უპირატესობა – ზ. ავალიშვილისას თუ ა. ბიბიჩაძისას (ნატროშვილი 1988: 253).

თ. ნატროშვილს მოჰყავს ვრცელი ციტატა კ. ლეოპოლდის სტატიიდან, რომელიც შეიცავს კლოდ მალენგრის თხზულების დაწვრილებით შინაარსს. შემდეგ მკვლევარი წერს, რომ საკმარისია გრიფიუსის ტრაგედიისა და მალენგრის თხზულების შედარება, რომ ნათელი ხდება მათი იშვიათი მსგავსება. მკვლევარი იზიარებს კ. ლეოპოლდის აზრს იმის თაობაზე, რომ გრიფიუსი ზედმიწევნით მისდევს მალენგრის თხზულებას. მთავარ განსხვავებას გრიფიუსსა და მალენგრს შორის წარმოადგენს შაჰის სიყვარულის ამბავი ქეთევან დედოფლის მიმართ. მალენგრის მიხედვით შაჰი დედოფალთან პირველი შეხვედრისას თვალთმაქცობს, რომ სიყვარულით არის შეპყრობილი, გრიფიუსმა კი სწორედ ეს მოკლე ცნობა განავრცო თავის ტრაგედიაში, სადაც შაჰი გულწრფელად განიცდის თავის ავზორცულ ვნებას და სიყვარულში დამარცხებული აღიგზნება შურისძიების სურვილით (ნატროშვილი 1988: 253).

მგვარია ანდრეა სრიფუისის „ქეთევან ქართველის“ წყაროთა კვლევის თითქმის ასწლოვანი ისტორია.

თავი VII.

ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ანდრეას გრიფიუსის ქეთევან წამებული ამაღლებით მიძღვნილი ტრაგედია ბაროკოს ეპოქის ლიტერატურას განეკუთვნება.

ანდრეას გრიფიუსის დრამატული ნაწარმოები „ქეთევან ქართველი, ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“ ისტორიული სინამდვილის ამსახველ წყაროთა საფუძველზეა დაწერილი, მაგრამ ქეთევან დედოფლის მხატვრულმა სახემ პიესაში ღრმა ცვლილება განიცადა. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება სიყვარულის თემას, რაც გერმანელმა დრამატურგმა საფუძვლად დაუდო თავის თხზულებას. პოლიტიკური კონფლიქტი გრიფიუსმა სასიყვარულო კოლიზიის შეტანით გაამძაფრა. როგორც უკვე ითქვა, ეს სასიყვარულო კოლიზია მას არ შეუთხზავს, იგი მის ერთ-ერთ წყაროში, მალენგერის ნაშრომში უკვე იყო, გრიფიუსმა კი თავისი მხატვრული მიზანდასახულების შესაბამისად იგი წინ წამოსწია. როგორც გრიფიუსის მკითხველისადმი მიმართვაშია ნათქვამი, სპარსეთში დატყვევებულ ქართველ დედოფალს შებმია დაკარგული ტახტის, შვილისა და სამეფოს დარდი, რასაც ემატება ის, რომ სუსტმა არსებამ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს თავის მტერს და დამტყვევებელს – საძულველ შაჰ-აბასს, რომელსაც მისი ცოლად შერთვა სურს. სიყვარული თემა, განსხვავებით „ლეო არმენიუსისაგან“, რომელიც მანამდე დაიწერა, აქ დრამატული კონფლიქტის საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ ქართველი დედოფლისა და სპარსეთის შაჰის დაპირისპირება ამით არ ამოიწურება: ქეთევანის მიმართ შაჰის ცალმხრივ სიყვარულს აქ პოლიტიკური კონფლიქტი ამძაფრებს. გრიფიუსმა ზუსტად განჭვრიტა საქართველო-სპარსეთის დაპირისპირების რეალური ვითარება: ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრული მისი – საქართველოს განსახიერების – მორალური გამარჯვებაა დამპყრობელზე.

გრიფიუსის ტრაგედია ისტორიული ქრონიკის ტიპის დრამატული ნაწარმოებია, რომელშიც ზედმიწევნით არის წარმოდგენილი საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა იმ წყაროთა თანახმად, რითაც გრიფიუსი, გერმანული ბაროკოს ეს ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ხელმძღვანელობდა.

ანტიკური ტრაგედიისათვის აუცილებელი „სამი ერთიანობის“ პრინციპის თანახმად, რაც გულისხმობს დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანობას, გრიფიუსის ტრაგედია „იწყება მზის ამოსვლისას და თავდება დღის მიწურულს“; მოქმედების ადგილიც ერთია – შირაზი და ყველა დრამატული სიტუაცია დედოფლის სიცოცხლის უკანასკნელ დღეშია ჩატეული. თუ რა უძლია ქეთევანის ტანჯვას სპარსეთში და მის ტყვეობას კუმტ დილეგში, ამის შესახებ საქართველოს ელჩების პროკოფისა და დემეტრეს ვრცელი მონოლოგებიდან იტყობს მაყურებელი თუ მკითხველი: ვერაგმა შაჰმა მოაკვლევინა კახეთის ტახტის მფლობელნი – მამა და ძე – ქეთევანის მეუღლე, რის შემდეგაც, გრიფიუსის ტრაგედიის მიხედვით, ქეთევან დედოფალი თავისი ნებით მიდის შაჰთან, რათა იხსნას ქვეყანა. ქეთევანის, როგორც სახელმწიფოს მმართველის, დახასიათება მისი ქვეშევრდომების – ელჩების და მხლებლების მონოლოგებში და დიალოგებშია გადმოცემული. პირველივე მოქმედებაში გამოკრთის იმედის სხივი, რომ რუსთა ელჩის მეშვეობით შესაძლებელი გახდება დედოფლის გამოსხნა შაჰ-აბასის ტყვეობიდან. გამაჰმადიანებული კონსტანტინეს მიერ მამისა და ძმის ვერაგული მკვლელობა კიდევ ერთხელ გაისმის ქეთევანის პირველ ვრცელ მონოლოგში, სადაც საქვეყნო განსაცდელს ემატება თვით ქეთევანის პირადი ტრაგიკული განცდა, რომ ქრისტეს რჯულის უარყოფელმა მაზლმა მისი ცოლად შერთვაც კი მოიწადინა და ამით შეურაცყო.

გრიფიუსის ტრაგედიის მიხედვით ქეთევანის წამება გაზაფხულზე მოხდა. მას შემოაქვს ერთი დეტალი, რაც ამას მოწმობს: სალომე, ქეთევანის მოახლე, დედოფალს გაზაფხულის ვარდებს მიართმევს. ეს ვარდები, ბაროკოს სტილისათვის დამახასიათებელი ალეგორიულობით, გრიფიუსს ცხოვრების სიმბოლოდ აქვს გამოყენებული. დედოფალი თავის უნუგეშო, განწირულ ყოფას ტყვეობაში მოწყვეტილ, დასაჭკნობად განწირულ ვარდს ადარებს, რომელიც მალე ჭკნება და მხოლოდ მჩხვლეტავი ეკლებიღა რჩება. გრიფიუსს თავის ტრაგედიაში შემოაქვს ბაროკოს ისეთი გავრცელებული მოტივიც, როგორიცაა სიზმარი. სიზმრის მოტივი ბაროკოს ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი მხატვრული ხერხია, რომელსაც ბევრი ავტორი მიმართავს. ფართოდაა გავრცელებული ბაროკოსთვის დამახასიათებელი წარმოდგენა, რომ ცხოვრება – სიზმარია, რომ ცხოვრება ისეთივე ილუზორული და წარმატება, როგორც სიზმარი (სოფრონოვა 1982: 89, 93). მაგრამ სიზმრის მოტივს სხვა გააზრებაც ჰქონდა ბაროკოს ლიტერატურაში: იგი პოეტთა შემოქმედებაში რეალური ცხოვრების ანარეკლადაც იყო მიჩნეული. სწორედ ამ მნიშვნელობით გვხვდება გრიფიუსის ტრაგედიაში ქეთევანის სიზმარი, რომელსაც იგი თავის მოახლეს მოუთხრობს: დედოფალმა ძილში იხილა, თითქოს საქართველო-

შია, სასახლეში და სამეფო ტახტზე ზის, მაგრამ დაჯდა თუ არა ტახტზე, ციხე-დარბაზს ცეცხლი მოედო, თვალმარგალიტი, რომელიც მის სამოსს ამკობდა, სპეკალ ცრემლად ექცა, გვირგვინი თავზე სალტესავით ისე შემოეჭდო, რომ საფეთქლებიდან სისხლმა გადმოფეთქა, ხელთ დამჭკნარი ვარდი შემორჩა, სკიპტრა დაემსხვრა, გვირგვინი ნაცრად ექცა, ტახტის ნაცვლად ეკლებზე იჯდა, ვიღაც უცხო კაცმა გულმკერდი დაუსერა და ცნობა დაკარგა. მაგრამ ამ საზარელი ჩვენების შემდეგ იხილა საკუთარი თავი, სპეტაკი კაბა ეცვა, უფრო მაღლა იჯდა, ვიდრე ადრე სამეფო ტახტზე, ერი ადიდებდა და მის ფერხთით მტკერში ცახცახებდა შაჰ-აბასი. ასე შთამბეჭდავად გადმოსცემს გრიფიუსი ქეთევანის სიზმარს:

„ქეთევანი

მე კი ზამთარი დამდგომია! ამ ვარდის ნახვამ
მე მომაგონა წუხანდელი სიზმარი ახლა.
აღმართულიყო ისევ ჩვენი სასახლეები,
თვალს იტაცებდნენ გურჯისტანის სიმაღლეები.
ოქროთი მორთულ თაღებს ჯანღი ველარ ბურავდა,
და მე კი დამსვეს ისევ ტახტზე ძველებურადა.

სალომე

რა სანუკვარი სიზმარია!

ქეთევანი

დავჯექ თუ არა,
გაქრა ყოველი, დარბაზს ალმა გადაუარა.
თვალ-მარგალიტი, ჩემს სამოსზე რაც რომ ელავდა,
ანაზღეულად მექცა ბედშავს სპეკალ ცრემლად.
და სადღეოფლო ჩემი თავი, ვიგრძენი წამსვე,
უფრო უმეტეს, სალტესავით მიჭერდა თავზე,
ვიდრე გადმომსკდა საფეთქლებზე სისხლი ღვარადა...
ჩამოდიოდა გვირგვინიდან, დაწვებს ღარავდა,
დამჭკნარი ვარდი შემრჩა ხელში გვირგვინის ნაცვლად,
თმას არ მიმკობდა ჩემი თავი, ქცეული ნაცრად.
ზეზი გაიხა, მინასავით დაიმსხვრა სკიპტრა,
ტახტიც განქარდა და ეკლებზე ვიჯექი სიზმრად.
ბევრი ლამობდა დაწყნარებას, ნუგეშიც ცემით,
და მატულობდა უსაშველო წამება ჩემი.
ბოლოს უცნობი უცხო კაცი მოვარდა ერთი,
იძალა, ხელით დამისერა გული და მკერდი.
ცნობა დავკარგე, მაგრამ როცა განქარდა შიში,
უფრო ლამაზად ვიჯექ მაღლა! ხელახლა ვიშვი!
სპეკალს აფრქვევდა თეთრი კაბა, ქუხდა დარბაზი

და ფერხთით მტვერში ცახცახებდა შაჰი აბასი,
„დიდება შენდა! — ქუხდა ერი, — დიდება სრული,
ვინც აგამაღლა!“ — ამ ძახილში გამიკრთა რული“

(გრიფიუსი 1975: 77-78)

გრიფიუსმა ამ ტრაგედიაში სიზმრის მოტივი გამოიყენა, როგორც წინასწარმეტყველური ჩვენება ქეთევანის მომავალ ბედზე. ჩემის აზრით, აქ გრიფიუსმა მიმართა ჰომეროსის ცნობილ მხატვრულ ხერხს, რომელსაც ეწოდება „უბედურების წარმოდგენა მაშინ, როდესაც უბედურება ჯერ კიდევ შორსაა“ (ბერაძე 1965: 53).

ეს სიზმარი, გრიფიუსის მიერ შეთხზული, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ გაჩენილა მის ტრაგედიაში. იგი ქეთევან დედოფლის მხატვრული სახის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ელემენტია. ამ სიზმრის შემოტანით დრამატურგი გვამცნობს, რომ ქეთევანი შინაგანად ემზადება იმ საშინელი აღსასრულისათვის, რაც მას ელის. ეს ქართველი დედოფლის გაუტეხელი სიმტკიცის ერთ-ერთი მანიშნებელია. ამ მხრივ საინტერესოა ის მხატვრული გაფორმება იმ სასათაურო გრავიურისა, რომელიც გრიფიუსის ტრაგედიის ცალკე წიგნად გამოცემას უნდა დართვოდა. იგი „წარმოდგენს ქეთევანს — მასზე ზეციდან უკვდავებისა (და წამების) გვირგვინი გადმოდის — და შაჰ-აბაზს: იგი დედოფალს მიწიერი ბედნიერების და თავისი სიყვარულის ნიშნად სპარსეთის გვირგვინს უძღვნის“ (ავალიშვილი 1938: 9). როგორც ვხედავთ, ეს სიზმარი თავისებური პოეტური კამერტონია მთელი ტრაგედიისა, რომელიც რჯულისა და მამულისათვის თავგანწირული ქართველი დედოფლის ცხოვრებას ეძღვნება.

პირველ მოქმედებაშივეა გადმოცემული სხვადასხვა პერსონაჟთა ვრცელი მონოლოგებისა და დიალოგების მეშვეობით იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარება, ისტორიულ პირთა — გიორგი სააკაძისა და ლუარსაბ მეფის ამბები (ჩანს, მალენგრის მიხედვით). საქართველოს ელჩებს, პროკოპის და დემეტრეს მეშვეობით გრიფიუსი მაყურებელს აცნობს პოლიტიკურ ვითარებას და მათ ათქმევინებს:

„დემეტრე

.....

დემეტრე ინებოს, დავვიბრუნოს დიდების დღენი!
მტერი ცოფსა ყრის, აწყდება სპარსი ძლიერი
და გურჯისტანი მას დასცინის ლაღის იერით.
ახლა რუსეთი მოგვეშველა ძმური მარჯვენით,
რომ დაასრულოს შაჰის კარზე ტყვევნა მტანჯველი.
აგერ მიიღეთ, დედოფალო, ამის დასტური —
უსტარი, რასაც ვერ დაწერდა ცრუ და მაცდური.

ეს თქვენი შვილის ნაწერია, თქვენი ერთგულის,
და მოურავის, განა ვინმე ორპირ შეთქმულის!“ (გრიფიუსი 1975: 85)

„დემეტრე

თუკი ინება,
მონახავს ღმერთი უცხო გზებს და ღონისძიებას.
ვის არ სმენია საქართველოს ჟამთა სიავე,
ახლად რომ დაგვწვა აგვიყარა და ჩაკლა სიამე!
ვაი იმ დროსა! ანთებულმა გიჟური ბრაზით
ჯერ ითარეშა და ქვეყანა შემოსა ფლასით,
მერე მუხთალმა სიტყვა მოგვცა, ფიცი მზაკვრული,
დილეგში ჩაგსვა, დააობლა ერი ჩაგრული!
დასდევდა ლტოლვილ თეიმურაზს და ქართველობას!
უარსაბს შესწყრა, არ იშლიდა ძარცვა-მკვლელობას.

ქეთევანი

ვაი, მამულო!“ (გრიფიუსი 1975: 86)

ამავე პირველ მოქმედებაში ვიგებთ, რომ შაჰ-აბასს ქეთევანი უყვარს და მას სპარსეთის გვირგვინს სთავაზობს, თუკი მის ცოლობას ისურვებს. ეს გადმოცემულია უმეტესად მოკლე, თითო სტრიქონიანი დიალოგით, რომელშიც შაჰი ერთდროულად მიმართავს თხოვნასაც და მუქარასაც, თუ ქეთევანი მის წინადადებას არ დაეთანხმება:

„შაჰ-აბასი

გეყოფათ გლოვა! დაუამეთ განცდები მწველი
ხელმწიფეს, თქვენს გულს რომ დაეძებს ამდენი წელს!

ქეთევანი

დიდო მეფეო, შეგახვედრებთ უჩემოდ ღმერთი
მაღალს და ნათელს!

.

შაჰ-აბასი

ასეთი ხართ მხოლოდ თქვენ ერთი!
მე ხელმწიფობა დამიტკბება მხოლოდ თქვენგანა!

ქეთევანი

არ გვიჩანს თავი ეგზომ პატივის ღირსად.

შაჰ-აბასი

ჩვენ კი გთხოვთ მალე დაიკავოთ სპარსეთის ტახტი.

ქეთევანი

სხვისთვის ხალისით დაგვითმია ასეთი ბედი!

შაჰ-აბასი

ჰოი, ქალღმერთო, ვინა მყავდეს სხვა შენი ტოლი?

ქეთევანი

ქრისტეს კანონ მხოლოდ ერთა კანონს აკურთებს.

.....

შაჰ-აბასი

ნუ მაიძულებთ, სიყვარულზე რომ ჯვარი დავსვა.

.....

ქეთევანი

უმწეოს იხსნის თვით სიკვდილი და ჯალათობა.

.....

შაჰ-აბასი

შეცახცახდება, რომ მოისმენს სიკვდილის ხმასა!

ქეთევანი

არა ის, ვინც ცივ სამარეში დაეძებს ხსნასა.

.....

„შაჰ-აბასი

ჩვენ გაგავაჩნია ჯიუტობის წამალი კარგი!

ქეთევანი

ცეცხლი და რკინა!“ (გრიფიუსი 1975: 98-105).

ქეთევანი მზადაა მიიღოს „ცეცხლი და რკინა“, მაგრამ მრისხანე და ვერავი შაჰის სურვილს ამაყად უარჰყოფს.

მეორე მოქმედება კვლავ ქეთევანის დახასიათებას გადმოგვცემს, ახლა შაჰისა და მისი საიძედო მრჩევლის – ზაინელხანის დიალოგში. აქ ქართ-ველი დედოფალი დახასიათებულია, როგორც პიროვნება, რომელსაც არც გონიერებით, არც მშვენებით, არც სახელ-დიდებით ტოლი არ ჰყავს:

„შაჰ-აბასი

რა არ ვიღონე! უნაყოფო გახდა ყოველი.

ვიცნობ დედოფალს: უმაღ ირავს ცეცხლოვან ისარს,

ვიღრე ღერი თმაც მოაკვეცონ ღირსებას მისას.

უჯობს, გაგუდონ, დაწვან, ტანჯონ, გაუწყდეს ქანცი,

ვიღრე წაართვან ძვირფასი განძი“ (გრიფიუსი 1975: 117).

აქ სიყვარულის მოტივში პოლიტიკური მოტივიც იჭრება, რადგან შაჰს ქეთევანის ტყვეობიდან განთავისუფლებას სთხოვს რუსეთის ელჩი. შაჰი ელჩს ორაზროვან დაპირებას აძლევს, რომ ქეთევანს – სატროფოს და მტერს ერთდროულად – უთუოდ დასვამს ტახტზე, მაგრამ იგი სამეფო ტახტს კი არა, ცეცხლის ტახტს ანუ წამების ტახტს გულისხმობს იმ შემთხვევაში, თუ ქართველი დედოფალი კვლავ უარს ეტყვის ცოლობაზე:

„შაჰ-აბასი

მოხდეს, რაც ჩვენს ძმას, რუსთა მეფეს ასე სწადია!
ჩვენის მხრივ მტკიცედ აღვასრულებთ სიტყვას, ცხადია,
როგორც ყოველთვის. თქვენი ჯაფა, გარჯა, თავაზი
მეტის ღირსია, ვიდრე ზღვევას შეძლებს აბასი.
ცოცხლობდეს რუსთა მძლე ხელმწიფე მრავალჟამიერ!
ტახტიც, ქვეყანაც, თავიც თუმცა ქართველთა მიერ
განუსჯელობით დაკარგულა, მაგრამ ვის თავსაც
მეფე მთხოვს, დღესვე თავისუფლად ტახტზე მსურს დავსვა –
დღესვე საღამოს! ტახტზე-მეთქი! მას შაჰის ნებით
ტახტზე იხილავთ, როგორც ითხოვთ მას დაჟინებით, –
თქვენს უზენაესს ნახავს, როგორც მეფემ ინება!

(გრიფიუსი 1975: 122).

მთელი ტრაგედიის მანძილზე ქეთევანი დახატულია, როგორც პიროვნება, რომელიც მხოლოდ მამულის თავისუფლებაზე და რჯულის სიწმინდეზე ფიქრობს და ქელს არ უზრის ტირანს, ირანის უძლიერეს შაჰს, რომლის ხელთაა მისი სიცოცხლეც და სიკვდილიც.

ტრაგედიის მეოთხე მოქმედებაში არის ქეთევანის ვრცელი მონოლოგი, რომელშიც იგი იხსენებს მთელ თავის განვლილ და ამჟამინდელ ცხოვრებას. ამ მონოლოგში გამოკრთის მცირეოდენი იმედი, რომ რუსეთის ელჩი შესძლებს მის გამოხსნას ტყვეობიდან, მაგრამ ეს იმედიც მალე ქრება. განსაკუთრებით მკვეთრად იხატება ქეთევან დედოფლის მტკიცე ხასიათი მეოთხე მოქმედებაში, როდესაც იმამყული ხანი შაჰის ბრძანებით ცდილობს ათასნაირი ამქვეყნიური სიამის დაპირებით აცთუნოს დედოფალი, რათა უარჰყოს ქრისტი, ირწმუნოს მაჰმადი და სპარსეთის დედოფალი გახდეს. გვირგვინი ან წამება, ბედნიერი სიცოცხლე ან ტანჯვით სიკვდილი – ასეთია ალტერნატივა, რომელიც შაჰის ბრძანებაშია. ქეთევან დედოფლისა და იმამყული ხანის დიალოგი ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობის, ორი სხვადასხვა ეთიკური პოზიციის შეჯახებაა, სადაც გამარჯვება სუსტი არსების მხარეზეა: დედოფალი მარადიულ ციურ დიდებას არჩევს ამქვეყნიურ წარმატებულ დიდებას, რომელიც რწმენის ღალატის ფასად მოიპოვება:

„ქეთევანი

ღმერთი ერთს ითხოვს, მოწამედაც მარტო მე ვრჩები.
ხალისთ მივალთ, რომელს ძალუმს მოგვაგოს წყენა?
ვინ შეგვაფერხოს უმიზეზო ტირილით ჩვენა?
ვის სურს გვირგვინი? ჩვენ ცხოვრებას ვიწყებთ თავიდან.
სპარსსა და სიკვდილს რა გაუკათ ჩვენთან დავითა?
მხნედ შევხვდეთ უფალს! მძიმე წამი შეგვარყევს განა?
მარადისობის ქურა, ჯვარი, ცეცხლი და დანა
გვიახლოვდება, წუხანდელი ახდა სიზმარი,
რამაც მოიცვა ზრუნვა, ძილი, დილა ცისმარი...“

(გრიფიუსი 1975: 179).

სპარსელი ტირანი დაამარცხა ქართველმა დედოფალმა თავისი ზნეობრივი სიმტკიცით. დედოფლის წამება ჯალათების მიერ მის მხლებელთა დიალოგებით არის გადმოცემული.

როგორც ცნობილია, ბაროკოს ეპოქაში შემოქმედთა საგანგებო ყურადღება მიპყრობილი იყო პიროვნების ცხოვრების ყველაზე დაძაბული, კულმინაციური მომენტისადმი. ერთ-ერთი ასეთია წამების სცენა, რომელმაც ბაროკოს ეპოქაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. რეალისტურ კონკრეტულ დეტალთა დაწვრილებით აღწერა განსაკუთრებით იზიდავდა დრამატურგებს იმ შემთხვევაში, როდესაც დრამატული მოქმედება დაძაბული და ტრაგიკული ხდებოდა. პიესები სავსე იყო მკვლელობათა და წამებათა უსასტიკესი სცენებით (სოფრონოვა 1978: 195-196). გრიფიუსს აქ თვით ისტორიულად დამოწმებული ფაქტები აძლევდა უზე მასალას ქართველი დედოფლის წამების აღწერისათვის და მან სრულად გამოიყენა იგი: დედოფლის მოახლე სერენე, რომელმაც თავისი თვალთა იხილა დედოფლის წამება, დეტალურად გადმოსცემს მას:

„სერენა:

უმანკო ქალი,
ამ საუკუნის სასწაული, სამყაროს თვალი,
მარადისობის წილხედომილი, არსთა მშვენება,
ტანჯვას და სიკვდილს შეუპოვრად შეხვდა, შეება,
იწვოდა მისი გულ-ღვიძლი და იწვოდა ტანი,
თანაუგრძნობდნენ ტანჯულს ბრბონი თვით ჯალათთანი,
ძრწოლით უმზერდნენ გაუტეხელს, და ის სულმნათი
გეგონებოდათ დაისის მზის სახის სურათი,
შორით საამოდ რომ ციმციმებს ფერნამკრთალები

(გრიფიუსი 1975: 192).

დედოფლის უკანასკნელი სიტყვებია, რომ მან სიკვდილით ჰპოვა მარადიული სიცოცხლე და გაიმარჯვა. შაჰ-აბასიც უკანასკნელ მოკლე მონოლოგში დედოფლის გამარჯვებას აღიარებს.

ბაროკოს მხატვრული მეთოდისათვის დამახასიათებელია მოქმედებაში განყენებულ იდეათა, აჩრდილთა, მოკვდინებულთა სულების სიმბოლურ სახეთა შემოტანა. „ქეთევან ქართველი“ იწყება „მარადისობის“ გრცელი მონოლოგით, რომელიც მთელი ტრაგედიის კვინტესენციას გადმოსცემს და მაყურებელთ მოუწოდებს მიბადონ ქეთევან ქართველს და შესწირონ თავი მამულს, ღმერთს და პატიოსნებას. ქეთევანის წამების წინ სიკვდილისა და სიყვარულის დიალოგის სცენები კომენტარს ურთავენ ტრაგედიას, ისევე, როგორც ქოროები. მთლიანად ტრაგედია სტატიკურობით არის აღბეჭდილი.

თავი VIII.

ანონიმი სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესა „კატერინა ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული“

სლოვაკური ბაროკოს ლიტერატურის ეპოქა მოიცავს ასოცდაათწლიან პერიოდს 1650-დან 1780 წლამდე და სამ ეტაპად არის დაყოფილი: ბაროკოს ლიტერატურის საწყისები (1650 - 1680 წლები), ბაროკოს ლიტერატურის აღმავლობისა და აყვავების ხანა (1680-1750 წლები) და ბაროკოს ლიტერატურის უკან დახვევის ხანა (1750-1780 წლები) (მინარიკი 1985: 207). ბაროკოს ეპოქა ჰაბსბურგთა მონარქიაში, რომლის შემადგენლობაშიც სლოვაკეთი შედიოდა, უაღრესად მოღუშული და უიმედო იყო: ქვეყნის დაქვეითებაზე დიდი გავლენა იქონია ოსმალთა შემოსევებმა, ჰაბსბურგების ჯარების თარეშმა, შლიახტის აჯანყებებმა და კონტრრეფორმაციულმა ბრძოლებმა. კონტრრეფორმაციის ცენტრი კი სლოვაკეთში ქალაქი ტრნავა იყო, სადაც კათოლიკური უნივერსიტეტი და სტამბა მოქმედებდა, ხოლო პროტესტანტების საეკლესიო-პოლიტიკურ და კულტურულ საყრდენს პრეშოვის ლიცეუმი წარმოადგენდა.

ბაროკოს ეპოქის სლოვაკურ ლიტერატურაში ცალკეული ჟანრებიდან წინ წამოიწია სასულიერო პოეზიამ და სხვადასხვა სახის პოლემიკური და დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებებმა. ძველ მდგომარეობას ინარჩუნებდა სასკოლო თეატრი, განსაკუთრებით იეზუიტების დამსახურებით. სასკოლო დრამის აღმოცენება დაკავშირებულია ჰუმანიზმის პერიოდთან და თავდაპირველად იგი პროტესტანტულ სკოლებში ვითარდებოდა; მალე იგი იეზუიტებმა და სხვა ორდენებმაც გადაიღეს. ჰუმანიზტები ასწავლიდნენ ძველი დროის დრამატურგებს იმ მიზნით, რომ მოწაფეები ლათინურსა და რიტორიკაში გაეწაფათ. სასკოლო თეატრს მხარს უჭერდა მარტინ ლუთერი და იცავდა მას პურიტანების თავდასხმებისაგან, რომლებიც თეატრს ცოდვილ გართობად მიიჩნევდნენ. ამ პიესების მნიშვნელობასა და სარგებლობას ლათინურსა და რიტორიკაში გაწაფვის გარდა, იმაშიც ხედავდნენ, რომ, სცენაზე წარმოდგენილი ადამიანის ტიპი გაკიცხვის ან მიბადვის საგანი ხდებოდა. მოგვიანებით სასკოლო პიესები იეზუიტებმაც შეიყვარეს. პროტესტანტულ და იეზუიტურ სკოლებში თეატრალური წარმოდგენები სასკოლო აღზრდის დანამატს წარმოადგენდა, სწორედ ამიტომ სჭარბობდა ამ პიესებში აღმზრდელობითი ტენდენცია. იეზუიტები წარმატებას მხოლოდ ძალის გამოყენებით არ აღწევდნენ, კონტრრეფორმაციის პროცესში

ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კულტურულ მხარეს – სკოლებს, სასკოლო წარმოდგენებს, გამომცემლობების დაარსებას, წიგნების გამოცემას, რიტუალების ფუფუნებას, საეკლესიო ხელოვნების მიმზიდველობასა და ბაროკოს ესთეტიკური იდეალების გავრცელებას. განახლებული კათოლიკობის სარწმუნოებრივ და კულტურულ ცენტრს ტრნავა წარმოადგენდა, სადაც 1635-1773 წლებში მოქმედებდა მნიშვნელოვანი კათოლიკური უნივერსიტეტი. იქ ისწავლებოდა თეოლოგია და ფილოსოფია, მოგვიანებით კი იურისპრუდენცია და მედიცინა.

თუმცა უდავოა, რომ სლოვაკური სასკოლო თეატრი მნიშვნელოვან ლიტერატურულ, კულტურულ და ისტორიულ ფენომენს წარმოადგენს, როგორც საპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, მისი შესწავლა ჯერ კიდევ ბოლო დრომდე არ იდგა სათანადო დონეზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, კერძოდ კი სლოვაკურ ლიტერატურათმცოდნეობაში ამ საკითხის ჩრდილში მოქცევა XX საუკუნის შუა წლებიდან იდეოლოგიური მომენტებითაც აიხსნება. საერთოდ, სასკოლო თეატრის საკითხი მეცნიერული კვლევის თვალსაწიერში საუკუნეზე მეტია რაც მოექცა. ბოლო ასი წლის მანძილზე სასკოლო თეატრის შესწავლა ძირითადად ნაწარმოებთა რაოდენობისა და ცალკეული ტექსტების სათაურების დადგენაზეა იყო ორიენტირებული (შტაუდი 1984). როგორც ამ საკითხის უნგრელი მკვლევარი გეზა შტაუდი აღნიშნავს, ძალზე ცოტა საპეციალისტი უთმობს ყურადღებას ცალკეული დრამატული ნაწარმოებების – პიესების – გმირთა შესწავლას, სიუჟეტის ანალიზს, თუმცა სავსებით ცხადია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ყოველივე ამას ეპოქის კულტურისა და ლიტერატურის შესასწავლად და იმდროინდელი ატმოსფეროს გასაშუქებლად.

2005 წელს პოლ შორმა ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა სასკოლო დრამას ცენტრალურ ევროპაში და მიუთითა, რომ იეზუიტებმა შექმნეს მათთვის დამახასიათებელი ვიზუალური სტილი და უდავოა, რომ გაავრცელეს იმ კულტურის ელემენტები, რომლებიც ბაროკოს სახელით არის ცნობილი, ხოლო ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო და მნიშვნელოვანი იყო იეზუიტური სასკოლო პიესები, რომლებიც გიმნაზიის მოწაფეების აკადემიური პროცესის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. პიესებს უამრავი მაყურებელი ჰყავდა, რომლებიც ამ გზით ეცნობოდნენ იდეოლოგიას, რომელიც მოიცავდა რელიგიას, კულტურასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. ისინი ხელოვნების, რიტორიკის და ზნეობრივი აღზრდის ინტეგრირებას ახდენდნენ (შორი 2005: 146).

ბაროკოს პერიოდი ჰაბსბურგთა მონარქიაშიც მწვავე კრიზისით, ქაოსითა და მოღუშული და უიმედო ატმოსფეროთი იყო აღბეჭდილი, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამახასიათებელი იყო ბაროკოს ეპოქისთვის მთელ ევროპაში. ავსტრია-უნგრეთის მონარქიაში ბაროკოს ჩამოყალიბება

განპირობებული იყო ჰაბსბურგთა მონარქიის ანტიხალხური პოლიტიკით, რომელიც მიზნად ისახავდა ჰაბსბურგების ძალაუფლების სტაბილიზაციას, მათი აბსოლუტისტური მონარქიის გაძლიერებას და ფეოდალიზმის განმტკიცებას, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების გამწვავებას იწვევდა. ამ დაქვეითებაში დიდი როლი ითამაშა თურქების შემოსევებმა და რელიგიურმა ომებმა. სარწმუნოებრივი დევნა განსაკუთრებით გაძლიერდა ჰაბსბურგების წინააღმდეგ შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ, 1610-1677 წლებში. პროტესტანტებს ბრალად დასდეს შეთქმულებაში მონაწილეობა — მათ ასამართლებდნენ, აპატიმრებდნენ და გალერებით ნეაპოლში აგზავნიდნენ. სოციალური და რელიგიური შევიწროვება, გაუთავებელი ლაპარაკი ომზე, დიდი გაჭირვება, შავი ჭირის ეპიდემია და ბუნებრივი კატასტროფები ხალხში პესიმიზმს, უიმედობას და ამქვეყნიური ცხოვრებისადმი უნდობლობას იწვევდა. ხალხი ერთადერთ იმედს მისტიურ, ღვთიურ, არამქვეყნიურ ცხოვრებაში ხედავდა. საზოგადოებაში ვრცელდებოდა ხილიასტური განწყობილებები და აზრები. ამ მძიმე გარემოში განაპირობა ის, რომ ბაროკოს ეპოქის ავტორი, რომელიც ვერ პოულობდა გამოსავალს, ლიტერატურაში ასახავდა ამ წინააღმდეგობრიობას გაორების, კონტრასტის, პოლარულობის, ანტითეზის მეშვეობით. აქედან მომდინარეობდა სწრაფვა განუწყვეტელი ცვლილებებისაკენ, მოძრაობისაკენ, მგზნებარებისაკენ. ამ რიგის თვისებებს ეკუთვნის მოუსვენრობა და გმირული პათოსიც. ასეთი დინამიური ელემენტებისაგან ყალიბდებოდა ბაროკოს ტიპიური ატმოსფერო, რომელიც ძლიერი შინაგანი დაძაბულობით იყო აღბეჭდილი.

ბაროკოს ცენტრალურ გმირად იქცა წმინდანი და მოწამე, მხედართმთავარი, თავგადასავლების მოყვარული და დამპყრობელი. მოწამესა და წმინდანის შემთხვევაში ეს იყო ასკეტიზმი, საკუთარი თავის უარყოფა, ამქვეყნიურ ბედნიერებაზე უარის თქმა, ღრმა მორჩილება, საკუთარი არსებობისა და ცხოვრების წარმავლობის აღქმა. საგულისხმოა, რას წერს იტალიური ლიტერატურის მკვლევარი დე სანკტისი, რომელიც ადარებს ქრისტიანობისთვის თავდადებულს და საგმირო რომანის რაინდს. რაინდს იგი ახასიათებს, როგორც ადამიანს, რომლის ცხოვრებაც სავსეა თავგადასავლებითა და უჩვეულო მოვლენებით, მისი მიზანია ბრძოლა სამართლიანობის გამარჯვებისათვის. ამ სახის ლიტერატურამ, რომელიც იტალიაში უცხოელების მიერ იყო შემოტანილი, ფესვები ვერ გაიდგა და არც ორიგინალური ნაწარმოებები შექმნილია. რელიგიურ იდეათა საქმე კი სულ სხვაგვარად იყო — მათით იყო გაჟღერებული გრძნობები, ყოველდღიური ცხოვრება, ზნე და წეს-ჩვეულებები, რომლებიც ადამიანს თან სდევდნენ მისი ცხოვრების ყველა საფეხურზე. ქრისტიანულ გმირსაც **რაინდს** და **ქრისტეს რაინდს** (ხაზი ჩემია — მ.ნ.) უწოდებდნენ. როგორც წესი, ის იყო ბერი, განღვდილი ან წმინდანი. ისიც,

მოხეტიალე რაინდივით, უარს ამბობდა ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე და ამრეხით უყურებდა მას. მაგრამ პირველი იბრძოდა, მეორე კი ჭკრებდა. პრინციპში, ორივე ერთიდაიგივე იდეისათვის იბრძოდა, ოღონდ ერთი მას ემსახურებოდა როგორც რაინდი, მეორე კი – როგორც ქურუმი. ეს ორი სახე ხშირად ერთმანეთში გადადის (დე სანკტისი 1963: 105). ვფიქრობთ, დე სანკტისის ეს დაკვირვება თვალსაჩინოს ხდის ამ ორი სახის – რაინდისა და მოწამის იდეის მნიშვნელობას შუა საუკუნეებში. ჩვენი აზრით ბაროკოში ეს ორი სახე ერთიანდება, წმინდანი, მოწამე აქტიური ფიგურა ხდება.

სლოვაკიის ისტორიაში უძველესი დროიდან თეატრის განვითარება ორი ძირითადი მიმართულებით ხდებოდა: ეს იყო საეკლესიო და საერო თეატრები. ეს ორივე ხაზი გადაჯაჭვული იყო, ვინაიდან შუა საუკუნეებისათვის უცხო იყო ჟანრის სიწმინდე. XI-XII საუკუნეებში ეკლესია კრძალავდა ხალხური მომღერლების, მუსიკოსებისა და მსახიობების გამოსვლებს ეკლესიებში. ახალი დრამატული ფორმები სლოვაკიაში დასავლეთ ევროპიდან, განსაკუთრებით კი გერმანიიდან შემოვიდა, სადაც შუასაუკუნეობრივი რელიგიური დრამა დიალოგური ტროპიდან განვითარდა, რომელიც სააღდგომო წირვის ნაწილს წარმოადგენდა. იგი შეიცავდა ქრისტეს ჯვარცმის ამბების გადმოცემას სახარების მიხედვით. მისი ერთ-ერთი ვარიანტული ფორმა, მკვდრეთით აღდგომის ტროპი – “Quem quaretis in sepulchro...” („ვის ეძებთ საფლავში”) – შემონახულია XII საუკუნის „საკრამენტარში”, ე. წ. „პრაიოვის კოდექსში”. ეკლესია წინ ვერ აღუდგა საერო ელემენტების შემოჭრას ლიტურგიულ წეს-ჩვეულებებში. ლიტურგიული დრამა თანდათან თავისუფლდებოდა საკულტო ცერემონიებისაგან, მას დრამატული გმირები ემატებოდა და მასში იჭრებოდა ყოველდღიური ცხოვრება და საერო სულისკეთება. წარმოდგენები უფრო მასობრივი გახდა და ლათინური ენა შეცვალა ეროვნულმა ენამ, რადგან მაყურებლებს მოქმედების არსის გაგება სურდათ. სლოვაკიაში ეს გერმანული ენა იყო, რომელიც ჩამოსახლებული შლიახტის ენას წარმოადგენდა. XIII-XIV საუკუნეებში საერო ტენდენცია დრამის განვითარებაში იმასთან იყო დაკავშირებული, რომ დაიწყო კულტურის საერთო „გასაეროება”. XV საუკუნეში მწვერვალს მიაღწია ქალაქების ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა განვითარებამ (ცესნაკოვა ... 1967: 183).

საშობაო წარმოდგენის შესახებ ბრატისლავაში პირველი ცნობა 1439 წლიდან მოგვეპოვება, ხოლო XV საუკუნის პირველ ნახევარში წარმოდგენილი იყო მისტერია ბარდეიოვში. შემონახულია ნუსხა, რომელშიც აღრიცხულია ამ მისტერიის მოქმედ პირთა და მათ შემსრულებელთა სახელები, მათი საერთო რიცხვი ორმოცდათოთხმეტს აღწევს. სლოვაკმა მკვლევარმა მ. მიხალცოვა-ცესნაკოვამ მოახდინა ამ წარმოდგენის

რეკონსტრუქცია და აღმოჩნდა, რომ იგი შეიცავდა საკმაოდ ვრცელ ინტერმედიას. საშობაო, საყველიერო და სააღდგომო წარმოდგენები ბარდეიოვში ჯერ კიდევ XVI საუკუნის პირველ ნახევარში იმართებოდა. მათი ნუსხები მოთავსებულია საქალაქო წიგნებში. სათაურების მიხედვით დადგენილია, რომ 1536 წლიდან არსებობდა წარმოდგენა ადამიანის ცხოვრების ათი ასაკის შესახებ “Der spil vo den zehen altern”. მისი ავტორი, როგორც ჩანს, იყო პამფილ ზენგენბახი. 1544-1545 წლებში წარმოდგენილი იყო ბიბლიური დრამა ივდიოსა და ხუთ ბრძენზე – “De quinque virginibus fatuis et prudentibus” (ცესნაკოვა... 1967: 184-185).

XVI საუკუნის შუა წლებიდან XVIII საუკუნემდე სლოვაკიაში თეატრის ერთადერთი ფორმა სასკოლო თეატრი იყო. მართალია, ალტერნატივის სახით არსებობდა *Commedia del’arte*, რომელსაც ძირითადად იტალიური მოხეტიალე დასები და ასევე სამეფო კარზე მოწყობილი პომპეზური თეატრალური სპექტაკლები წარმოადგენდნენ, მაგრამ სასკოლო თეატრის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ მან საგრძნობი გავლენა მოახდინა ეროვნული თეატრის განვითარებაზე: მოამზადა ნიადაგი ეროვნული დრამატული ნაწარმოებების და პროფესიონალური სახალხო თეატრის შესაქმნელად. ეს ტენდენცია მოცემულ პერიოდში ასევე მჟღავნდებოდა საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში და ავსტრიაში. სასკოლო თეატრის მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიის ფონზე კიდევ უფრო ცხადად ჩანს: XVII საუკუნის ბოლომდე სლოვაკეთის ტერიტორიის ორი მესამედი თურქების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, დანარჩენი ნაწილი კი ფაქტობრივად მოხეტიალე სამხედრო ნაწილების ანაბარა იყო მიტოვებული. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამგვარ რთულ ვითარებაში ზნეობრივი ღირსების შესანარჩუნებლად სკოლებში სარწმუნოებრივი პოზიციების გამომხატველი თეატრის არსებობა საკითხის საუკეთესო და ერთადერთი გადაწყვეტა იყო.

მისტერიები, რომლებშიც დრამატულად იყო წარმოდგენილი ქრისტეს ვნებანი და აღდგომა, წარმოადგენდა ტიპიურ შუასაუკუნეობრვ ჟანრს, რომელიც XVI საუკუნის პირველ ნახევარში მიინავლა. შუა საუკუნეთა მნიშვნელობა სასკოლო პიესების ჟანრის ჩამოყალიბებაში ხაზგასმულია ბოლოდროინდელ გამოკვლევაშიც, სადაც სტატიის ავტორი წერს, რომ სასკოლო პიესებმა, რომლებიც თავისი გენეზისით არ ჰგავდნენ არც ერთ თეატრალურ ტრადიციას და რომლებიც თითქმის „თავისთავად“ გაჩნდნენ, ვიდრე საბოლოო სახეს მიიღებდნენ, განვითარების გარკვეული ეტაპი გაიარეს. ამ განვითარების საწყისები მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ რიტუალებთან, რომლებსაც ქრისტიანული დრამატურგია ბაძავდა და რომლის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებას შუა საუკუნეთა მისტერიები წარმოადგენს (კოპასი 2013: 62).

შემდგომ, უკვე ჰუმანიზმის ეპოქაში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ერთის მხრივ ინტერესი ხელოვნებისა და მეცნიერებისადმი, რაც ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული, მეორეს მხრივ კი — ინტერესი ანტიკური კულტურისადმი, რომელიც შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. ჰუმანიტური განათლების მთავარი კერად ქალაქის რეფორმისტული სკოლები იქცა. მათმა რექტორებმა გერმანიიდან სლოვაკიაში შემოიტანეს ახალი დრამატული ჟანრი — სასკოლო პიესები — დრამები. სასკოლო პიესა ჰუმანიზმის ნაყოფი იყო, თავდაპირველად იგი პროტესტანტულ სკოლებში აღმოცენდა, მაგრამ მან სწრაფად დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი იეზუიტებისა და სხვა ორდენებში. მათმა პედაგოგებმა შეიცნეს სასკოლო პიესების არა მარტო პედაგოგიური მნიშვნელობა, არამედ იმასაც მიხვდნენ, რომ ისინი შეიძლებოდა გამოეყენებინათ როგორც იარაღი რეფორმაციასთან ბრძოლის წინააღმდეგ (ცესნაკოვა... 1967: 185). მაშასადამე, იმ სარწმუნოებრივ ბრძოლაში, რომელიც ავსტრია-უნგრეთში მიმდინარეობდა, რეკათოლიზაციას ანუ კონტრრეფორმაციას მხარს უჭერდნენ უნგრეთის თავად-აზნაურობა და ჰაბსბურგები, ხოლო თავად რეკათოლიზაციას გამავრცელებელნი სხვადასხვა ორდენები იყვნენ, განსაკუთრებით კი იეზუიტები და პიარისტები. თავისი მიზანდასახულებისათვის მათ თეატრალური წარმოდგენებიც გამოიყენეს. იეზუიტურ სასწავლებლებში ეს ე.წ. „სასკოლო თეატრი“ იყო.

რომ არ ყოფილიყო ჰუმანიზმის და რენესანსის პერიოდი, რომლებმაც ძველი ლათინელი ავტორების ტექსტების შესწავლის შედეგად ხსენებული ქრისტიანული დრამა გარდაქმნა თავისებურ წარმონაქმნად, შეუძლებელი იქნებოდა სასკოლო პიესების ისტორიაზე საუბარი, რომელიც სწორედ ამ პროცესის შედეგად გაჩნდა. საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ სასკოლო პიესების განვითარება ევროპულ სივრცეში მნიშვნელოვანწილად დეტერმინირებული იყო მოცემული ეპოქის საზოგადოებრივ პოლიტიკური და კულტურულ-იდეური ფაქტორებით, რომელსაც მთელი თავისი ხანგრძლივობის განმავლობაში ემორჩილებოდა სასკოლო პიესებისა და თეატრალური პროდუქციის ფუნქცია და ხასიათი, რომელიც სრულად ასახავდა ამ ფენომენის ევროპული განვითარების ცოდნასა და ტექნიკას. სლოვაკეთში გერმანიიდან შემოსული სასკოლო დრამა, ეს ახალი სააზროვნო მოძრაობა რეფორმაციასთან ერთად ვრცელდებოდა. სპეციფიური ფორმით იგი არა მხოლოდ ქალაქის მოსახლეობამ, არამედ შლიახტამ და სასულიერო წრეებმაც შეითვისა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პერიოდში სლოვაკეთში მთავარ კულტურულ ცენტრად იქცა ქალაქის რეფორმისტული სკოლები, რომლებსაც უძღვებოდნენ ევროპის ქალაქებში განათლებამ-იღებული რექტორები, რომელთა წყალობითაც ამ სკოლებს არა მხოლოდ კარგი დონე ჰქონდათ, არამედ სწორედ მათი წყალობით გავრცელდა

სასკოლო პიესები სლოვაკეთის მეთელ ტერიტორიაზე. ამიტომაც, ოდითგანვე, სასკოლო პიესების განვითარება დაკავშირებული იყო კარგად განვითარებულ განათლების სისტემასთან. სასკოლო თეატრის ისტორიული განვითარების კონტექსტში მთელ სლოვაკეთში, სწორედ ბაროკოს ეპოქაში განვითარდა სასკოლო პიესის ფენომენი, ისევე როგორც ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებში, რომელზეც პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა ასპექტებმა გაცილებით მეტი გავლენა მოახდინა, ვიდრე მანამდე ახდენდა ყოველდღიურ საზოგადოებრივ მოვლენებზე. 1648 წელს ოცდაათწლიანი ომის დასრულებამ შესაძლებელი გახადა, რომ ჰაბსბურგებს ყურადღება გაამახვილებინათ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილზე კონტრრეფორმაციის გავრცელების მიზნით. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი ითამაშეს კათოლიკურმა რელიგიურმა ორდენმა, განსაკუთრებით იეზუიტებმა, პიარისტებმა და ფრანცისკანელებმა. შუა საუკუნეების მჭვრეტელობითი ორდენებისგან განსხვავებით, ეს ორდენები მოსახლეობის ძალიან აქტიურ ჯგუფებს წარმოადგენდა, რომლებიც მთელი კათოლიკური განათლების სისტემას აკონტროლებდნენ (კოპასი 2013: 62-64).

სასკოლო პიესების თემატიკა არსებითად განსაზღვრული იყო, იგი ზნეობრივი აღზრდის საქმეს ემსახურებოდა და თემების შერჩევაც შესაბამისად ხდებოდა: პიესების მასალას იღებდნენ ძველი ან ახალი აღთქმის წიგნებიდან; ხშირად იყენებდნენ ეპიზოდებს ქრისტეს ცხოვრებიდან, ასევე, ყურადღებით სარგებლობდა პიესები ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებებიდან; პიესების წყაროს აგრეთვე წმინდანთა ცხოვრება წარმოადგენდა, იყენებდნენ ეპიზოდებს ანტიკური და როგორც ევროპული, ისე აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან.

ამიტომ, იეზუიტურ სასკოლო დრამასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გიმნაზიის საგანმანათლებლო სისტემის საკითხი. იეზუიტურ გიმნაზიაში მიღებისას განმსაზღვრელი იყო მისაღები გამოცდები. გამოცდების ფარგლებში ყმაწვილებს უნდა გამოეგვლინათ თავისი მანამდელი განათლება და ცოდნა, მაგალითად, ლათინურ ენაზე თარგმანის და ტექსტის ინტერპრეტაციის მეშვეობით. სტუდენტების ნუსხაში შეტანის შემდეგ ყმაწვილებს ცოდნის დონის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებში ანაწილებდნენ. ამბიციურ სტუდენტებს საშუალება ეძლეოდათ სწავლა გაეგრძელებინათ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამწლიან კურსებზე ან ოთხწლიანი განათლება მიეღოთ იეზუიტების ორდენის რომელიმე უნივერსიტეტის თეოლოგიურ ფაკულტეტზე. ისინი, ვინც მღვდლობის გზას ირჩევდნენ, იეზუიტთა ორდენში, გიმნაზიის ზედა საფეხურზე რიტორიკის ორწლიან კურსს გადიოდნენ. სასწავლო პროგრამა შეიცავდა გრამატიკას, პოეტიკას და რიტორიკას. ამ კურსების საკვანძო სახელმძღვანელოები და საბაზისო პედაგოგიური საშუალებები იეზუიტების სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში იყო მასწავლებლების ან სტუდენტების ჩანაწერები, რომლებსაც ჰქონდათ ხე-

ლნაწერი სახელმძღვანელოების ანუ გზამკვლევისა თუ ცნობარების და დამზ-
მარე სასწავლო წიგნების სახე. მათი შემადგენელი ნაწილი ხშირ შემთხვევაში
იყო დრამატული პოეტიკაც ან სტატიები, რომლებიც შეიცავდნენ ტექსტებს
დრამის თეორიის შესახებ. ეს თავები იქმნებოდა, როგორც ყველაზე ცნობილი
ბეჭდური იეზუიტური პოეტიკების კომპილაცია, რომლების მითითება ხდებოდა
არა მხოლოდ რომელიმე ლიტერატურულ-თეორიული ნაშრომის სათაურით,
არამედ აღნიშნავდნენ გვერდსაც. ჩვეულებრივ, ისინი სანიშნოვო დრამებსაც შეი-
ცავდნენ, თუმცა არა სრული მოცულობით, არამედ მათი პროლოგის, მოკლე
შინაარსის, ცალკეული მოქმედებების, ინტერმედიების და ეპილოგის სახით ანუ,
პერიოხის, სინოფსისის სახით. მაგალითად, სლოვაკეთის ტერიტორიაზე იხსე-
ნიება 1734 წელს სკალიცის აღმზრდელობითი ინსტიტუტის სასწავლო კურსი
სახელწოდებით “Collegium repetentium humaniorum”. მისი შემადგენელი ნაწილია
აგრეთვე რეკომენდირებული ლიტერატურის სია, სადაც ცნობილი დრამატურგე-
ბისა და ისტორიკოსების სახელებისა და ნაშრომების გარდა იხსენიება თეორი-
ული ნაშრომები (ხაზი ჩემია – მ.ნ.) (კოპასი 2020: 62-64).

1701 წელს სლოვაკიის ქალაქ სკალიცაში დაიდგა ანონიმი სკა-
ლიცელი იეზუიტის სასკოლო პიესა „კატერინა, ქართველთა დედოფალი,
თავისივე სისხლით შემეკული, სცენაზე წარმოდგენილი“, რომელიც სლო-
ვაკური ბაროკოს ეპოქას განეკუთვნება. სკალიცის იეზუიტური გიმნაზია,
სადაც 1701 წელს წარმოდგენილი იყო ეს პიესა, 1659 წელს დაარსდა.
მატერიალურად უზრეუნველყოფილმა იეზუიტებმა ენერგიულად მოკიდეს
ხელი აღმზრდელობით მუშაობას, სწრაფად ამოიცნეს თეატრის აღმზრდე-
ლობითი მნიშვნელობა და მას აღზრდის ერთ-ერთ ორგანულ ელემენტად
მიიჩნევდნენ. თეატრი მათთვის სიამოვნების წყარო კი არ იყო, არამედ
მნიშვნელოვან დამხმარე ელემენტს წარმოადგენდა აღზრდის პროცესში.
სასკოლო პიესები ძალიან სასარგებლო იყო იმ მხრივაც, რომ ისინი სა-
შუალებას იძლეოდნენ სლოვაკური ენის წარმატებით გამოყენებისათვის.

ანონიმი სკალიცელი იეზუიტის პიესის ტექსტის სინიფსისის პირვე-
ლი, და როგორც ჩანს, ერთადერთი გამოცემა განხორციელდა ტრნავაში
პიესის წარმოდგენის წელს (1701). სინოფსისის თავფურცელი ასეთია:
“Katerina, georgianum regina, proprio sanguine purpurata, theatro data”, / “Kateri-
na, kralovna gurzianska, vlastni krvi ozdobena, na divadlo predstavena” და იგი
ბრატისლავის ჰრადის მოხელეს, ვინმე ფრანცისკ ანტონ გიოსინგერს
ედღენებოდა – (Honorii Francisci Antonis Gossinger). სინოფსისის სლოვაკი-
ზირებულ ჩეხურ ენაზე შესრულებული ტექტი გამოქვეყნებულია ძველი
სლოვაკური ლიტერატურის ანთოლოგიაში (ანთოლოგია 1981: 605-610),
ქართული თარგმანი ამ ტექსტიდან შევასრულეთ⁴. ამ სასკოლო პიესის

⁴ პიესის შესახებ პირველი სტატია, რომელიც სასკოლო დრამის ქართულ თარგმანსაც შეიცავს,
გამოქვეყნებულია 1992 წელს: მ. ნაჭყებია. უცნობი სლოვაკური პიესა ქეთევან დედოფლის შესახებ.
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1992 №1.

წარმოდგენის ფაქტი 1701 წელს სკალიცაში დადასტურებულია უნგრელი მკვლევარის შტაუდ გეიზას მიერ გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ ცნობარშიც, სადაც მითითებულია ისიც, რომ სინოფსისის ორი ცალი არსებობს, ერთი დაცულია ავსტრიაში, ვენის ერთ-ერთ არქივში: *Katerina, georgianum regina, proprio sanguine purpurata, theatro data. Fo. Per Frequentem spectatorum ... novus scenarum apparatus splendoris hunc modicum conciliavit IHC Szak. Cod. AB 107. 1701.3. R. _ LAW cod 12096, 1701. 42 p. _ LAR _ cod Austr. 158. 1701 67r*. ამას გარდა, მითითებულია, რომ ეს ტექსტი მოიძევაბა იესოს საზოგადოების ინსტიტუტში იტალიაში, ქალაქ რომში (პოლგარი 1957).

გ. შტაუდის მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიაში აღრიცხულია სკალიცაში წარმოდგენილი სასკოლო პიესები 1660-დან 1772 წლის ჩათვლით (როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკალიცის გიმნაზია 1659 წელს დაარსდა). 1601-1773 წლებში იეზუიტებმა მთელს ავსტრია-უნგრეთის მონარქიაში წარმოადგინეს ათი ათასზე მეტი პიესა; აქედან უდიდესი წილი დღევანდელი სლოვაკეთის ტერიტორიაზე მოდის. სლოვაკი მკვლევარი მ. ცესნაკოვა-მიხალცოვა აღნიშნავს, რომ ცნობილია სკალიცაში დადგმული ასცხრამეტი პიესის სათაური (ცესნაკოვა...: 1967). ჩანს, ეს ნუსხა არ არის სრული, ვინაიდან უნგრელი მკვლევარის გ. შტაუდის ბიბლიოგრაფიაში აღნუსხულია სკალიცაში წარმოდგენილი პიესების 151 სათაური, რომლებიც 1660-1772 წლებში დაიდგა.

ჩვეულებრივ სასკოლო პიესები იდგმებოდა სასწავლო წლის დაწყებისას ან დამთავრებისას, მნიშვნელოვან საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებით ან საპატიო სტუმრის, ხშირად სკოლის მეცენატის პატივსაცემად. თუ გადავხედავთ პიესების სიას, ვნახავთ, რომ საერთოდ წელიწადში ერთიდან ოთხ პიესამდე იდგმებოდა, მაგრამ ძირითადად მაინც ერთ ან ორ პიესას წარმოადგენდნენ ხოლმე (საყურადღებოა, რომ ოთხ პიესას წელიწადში უკვე XVIII საუკუნის პირველ მეოთხედიდან დგამდნენ—1723, 1740, 1749 და 1751 წლებში; მხოლოდ ერთხელ—1763 წელს იქნა წარმოდგენილი ხუთი პიესა).

როგორც უკვე ვთქვით, სკალიცაში აღრიცხულია პიესები 1660 წლიდან. საყურადღებოა, რომ 1701 წლამდე 40 წლის მანძილზე წარმოდგენილი იქნა 24 სასკოლო პიესა. აქედან ორი-ორი პიესა წარმოადგინეს 1672, 1674-1677 წლებში, სამ-სამი პიესა ორჯერ — 1673 და 1697 წლებში. ოცდაერთი წლის მანძილზე კი — 1698 წლიდან 1719 წლამდე, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც „კატარინა, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შეძკული, სცენაზე წარმოდგენილი“ იქნა დადგმული, სკალიცაში მხოლოდ თერთმეტი სასკოლო პიესა გაიმართა. სასკოლო პიესები საერთოდ არ წარმოუდგენიათ 1702, 1708, 1710-1715 წლებში. იმ ვითარებაში,

როდესაც წელიწადში საშუალოდ მხოლოდ ერთი პიესა იდგმებოდა, ცხადია, თემის შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სასკოლო თეატრის, როგორც ფენომენის შესასწავლად მეტად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს *Historiae Domus* (შინაური ქრონიკები) და *Litterae Annuae* (წელიწადეულები), ვინაიდან ისინი სანდო ინფორმაციას შეიცავენ პიესის წარმოდგენის ადგილსა და დროზე, ავტორის ვინაობაზე, თვით პიესის შინაარსსა და მაყურებელთა შთაბეჭდილებაზე. როგორც ჩანს, მსგავსი დოკუმენტაციის წარმოებას ავალდებულებდა გენერალ აქვავივას მიერ 1580 წელს გამოცემული “*Regulae Societatis Jesu*” წესების ერთი ნაწილი – *Formula Scribendi* (წერილობითი ინსტრუქცია), რომელიც ამ ორი სახის დოკუმენტაციის თემატიკას განსაზღვრავდა.

Historiae Domus – შინაური ქრონიკები შეიცავდნენ შემდეგ თემატურ სარტყლებს: *Catalogus personarum* (მოქმედ პირთა კატალოგი), *Converciones* (მიმართვები, საუბრები), *Cultus Sanctorum* (წმინდანთა კულტი), *Festivitates* (ზეიმები), *Festum sancti Ignaci* (წმინდა ეგნატეს დღესასწაული), *Schola* (სკოლა), *Convictus Nobilium* (კეთილშობილთა შეკრება), *Logium efunctorum* (მოკლე გამონათქვამები).

თეატრისა და სასკოლო პიესების თემა დროდადრო თავს იჩენს განყოფილებაში: *Schola* (სკოლა) და *Festivitates* (ზეიმები). თეატრალურ წარმოდგენებთან იხსენიება სათაური, თემა და კლასი, რომელმაც პიესა დადგა. აქ არის აგრეთვე ინფორმაცია სასკოლო სამოსელის, სცენისა და მისი ქირის გადახდის თაობაზე, წარმოდგენის ადგილზე.

მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ის, თუ რა ენაზე იყო წარმოდგენილი პიესა. თუ ლათინური ენის ნაცვლად სხვა ენაზე იყო შესრულებული პიესა, ეს ფაქტი ყოველთვის აღინიშნებოდა: *Lingua Hungarica* (უნგრული ენა), *Germanica* (გერმანული ენა), *Gallica* (გალური ენა), *Italica* (იტალიური ენა), *Slavonica* (სლავური ენა), *Valachica* (ვალახური ენა), ქრონიკებში ზოგჯერ აღნიშნულია *Lingua Vernacula* (ადგილობრივი ენა) ან *Idioma Vulgarae* (ადგილობრივი დიალექტი).

Litterae Annuae – წელიწადეული – მნიშვნელოვანი წყაროა იეზუიტების საქმიანობის შესასწავლად; ამასთან ერთად იგი შეიცავს შესაბამისი პროვინციის შინაური ქრონიკების შინაარსს. წელიწადეულები მზადდებოდა ორ, მოგვიანებით კი მეტ ეგზემპლარებად. ერთი ეგზემპლიარი იგზავნებოდა რომში გენერალთან, ორი ან სამი ინახებოდა პროვინციების რეზიდენციებში, რის შემდეგაც წელიწადეული ისევ ბრუნდებოდა შესაბამის პროვინციაში. არქივებში შემონახულია ასევე *Diarium* – დღიურები, სადაც რამდენიმე წინადადებით არის გადმოცემული ყოველდღიური ცხოვრება.

რაც შეეხება უშუალოდ თეატრალურ პუბლიკაციებს, არსებობდა ორი ტიპის ნაბეჭდი ტექსტი: სასკოლო პიესები და თვით ტექსტთა წიგნები.

სინოფსისი (პროგრამა, პერიოხა, არგუმენტუმი) – წარმოადგენდა ორ-ოთხ- და რვაგვერდიან ნაბეჭდ ტექსტს, რომელიც შეიცავდა ნაწარმოების სათაურს, სკოლის მეცენატის სახელს და ტიტულს, ინფორმაციას პიესის წარმოდგენის ადგილსა და დროზე, კლასზე, რომელმაც იგი მოამზადა. ამას გარდა სინოფსისი შეიცავდა ორ მნიშვნელოვან წყაროს: როლების განაწილებას, სცენების თანამიმდევრობასა და შინაარსს. სინოფსისები ლათინურად იწერებოდა, მაგრამ მაყურებლის მხრივ ლათინურის უცოდინრობის გამო ისინი სრულდებოდა გერმანულ, უნგრულ და სლოვაკურ ენებზეც. ტექსტთა წიგნები, ანუ პიესების სრული ტექსტები არ იყო გათვალისწინებული საკითხავად, არამედ – მხოლოდ რეჟისორის, მოკარნახისა და მსახიობისათვის, ამიტომაც ვერ მოაღწია ჩვენამდე ქეთევანის შესახებ დაწერილმა სასკოლო პიესის სრულმა ტექსტმა.

ამ საკითხის სლოვაკი მკვლევარი, ლ. კოპასი აღნიშნავს, რომ სლოვაკეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილი სასკოლო პიესების დიგიტალიზაციამ შესაძლებელი გახადა სასკოლო პიესებთან დაკავშირებული საკვანძო საკითხის შესწავლა და კვლევის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ სინოფსისი ანუ პრიოხა წარმოადგენს იეზუიტური სასკოლო პიესის მყარი სტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილს, ეს არ არის მხოლოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული შინაარსი, რომელმაც მკითხველს უნდა გააცნოს სპექტაკლის მოქმედება, არამედ იგი თავისი არსით წარმოადგენს ან ბიბლიური იგავის ან რომელიმე ისტორიული ნაწარმოების ფრაგმენტის ციტირებას, რომლის სიუჟეტზეც გაჩნდა სასკოლო დრამა. ნიმუშად მოყვანილია შვეკლის სასკოლო დრამა (1734, ტრნავა), სადაც სტატიის ავტორი მიუთითებს, რომ წყაროს შესახებ ინფორმაციას ვხვდებით შვეკლას ტრაგედიის პერიოხის სიუჟეტში, რომლის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ სასკოლო დრამის თემა წარმოადგენს ფრაგმენტს ბონფინის „უნგრეთის ისტორიის დეკადების“ ოცდამეთერთმეტე წიგნიდან, სადაც მატეი კორვინის კარის ისტორიოგრაფი, ანტონიო ბონფინი, აღწერს 1467 წლის იანვრის მიწურულის მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს (კოპასი 2016: 6).

სლოვაკიაში სასკოლო პიესების განვითარებასთან მჭიდრო კავშირშია ენის საკითხი. იმ დროს სლოვაკიაში სალიტერატურო ენები იყო ლათინური, გერმანული და ჩეხური (სლოვაკიზირებული ჩეხური). სლოვაკური ეროვნული და ენობრივი დამოუკიდებლობის შეგნება ჩეხური ენის ძლიერ გასლოვაკურებაში გამოიხატა. ეს ტენდენცია ძირითადად კათოლიკეებთან შეიმჩნეოდა, რომლებიც ცდილობდნენ რელიგიურ ბრძოლაში, რომელსაც პროტესტანტების წინააღმდეგ აწარმოებდნენ, ეროვნული ენის დახმარები-

თაც დაახლოებოდნენ ხალხის ფართო ფენებს. ამ ეპოქაში შეიქმნა სლოვაკი ერისა და სლოვაკური ენის მრავალი „დაცვა“ და „ქებანი“, რომლებიც განვითარდა როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟანრი. ისინი განმანათლებლობის მოახლოების ერთგვარ სიგნალს წარმოადგენდნენ. საერთაშორისო უნივერსალიზმმა თანდათან ადგილი დაუთმო ეროვნულ ნაციონალიზმს, რომელიც ეროვნულ თვითშეგნებას განამტკიცებდა. ეს კიდევ აისახა „დაცვებსა“ და „ქებებში“, სადაც დაყენებული და თავისებურად იყო გადაჭრილი სლავებისა და სლოვაკების წარმოშობის საკითხი; პროპაგანდა ეწოდა უნგრელების სტუმართმოყვრულად მიღების იდეას სლოვაკიის ტერიტორიაზე, სლავებისა და სლოვაკების აუტოქტონურობის საკითხის უნგრეთში; სლოვაკური ენა კი ცხადდებოდა სლავური ენების დედად. ამ ჟანრის ნაწარმოებთაგან მნიშვნელოვანია იან მაგინის „აპოლოგია“ (1728 წ.) და მატეი ბელის ნაშრომები, განსაკუთრებით კი – პაველ დოლეჟალის სლოვაკურ-ჩეხური გრამატიკის შესავალი, რომელიც მატეი ბელის კალამს ეკუთვნის. სადაც იგი წერს: „... (სლოვაკური ენა – მ. ნ.) არაფრით არ ჩამორჩება არც ამალღებულ ესპანურს, არც მომხიბლავ და დახვეწილ ფრანგულს, არც ამალღებულ და ძლიერ ინგლისურს, არც მნიშვნელობითა და მახვილებით მდიდარ გერმანულს, არც სასიამოვნოდ მჟღერად იტალიურს და ბოლოს, არც ღიღებულად მკაცრ უნგრულს“.

ენა ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. სასკოლო პიესები ძირითადად ლათინურ ენაზე იწერებოდა, რაც სავსებით შეგნებულად ხდებოდა, რადგან ამგვარი სპექტაკლების მიზანს მოწაფეების ლათინურ ენაში გავარჯიშება, მისი საფუძვლიანი შესწავლა შეადგენდა. სკალიცაში წარმოდგენილ პიესათა სინოფსისებიც ძირითადად ლათინურ ენაზეა დაწერილი, სწორედ ამიტომ საგანგებოდ უნდა იქნას აღნიშნული, რომ ქართულ თემაზე შესრულებულ პიესას ორენოვანი სინოფსისი ახლდა – როგორც ლათინურ, ისე სლოვაკურ (სლოვაკიზირებულ ჩეხურ) ენებზე. ამ ფაქტის მნიშვნელობას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ სასკოლო პიესების სინოფსისთა შორის სკალიცელი იეზუიტი სინოფსისი ერთადერთია, რომელიც შემონახულია არა მხოლოდ ლათინურ, არამედ სლოვაკურ ენაზეც, რაც სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდაა აღნიშნული (პოლგარი 1956). ჩანს, ამ არაორდინალური ფაქტის ახსნა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ეროვნული თვითშეგნების აქტიურ გაცნობიერებაში უნდა ვეძიოთ, ხოლო ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, რომ ეროვნული მეობის ამგვარი გამოხატულება ქართულ თემას უკავშირდება.

სასკოლო პიესების ენასთან დაკავშირებით საყურადღებოა 2015 წელს გამოქვეყნებული სტატია, სადაც ჩეხი ავტორი წერს: „თეატრალური წარმოდგენების ენა ძირითადად ლათინური იყო, მაგრამ ხშირად ისინი ასევე

სრულდებოდა ეროვნულ ენებზე - უნგრულზე, გერმანულზე და ხშირად სლოვაკურზე. დღემდე ცნობილი და გამოკვლეული წყაროების მიხედვით, პირველი ნაწილობრივ სლოვაკური თეატრალური წარმოდგენა მოეწყო ქალაქ ჰუმენეში 1615 წელს. პირველი თეატრალური პროგრამა, რომელიც ნაწილობრივ ჩეხურ ენაზეა დაწერილი, დაიბეჭდა ტრნავაში 1701 წელს იეზუიტების გიმნაზიისთვის უნგრეთის (ჰაბსბურგთა მონარქიის) ქალაქ სკალიცაში, სადაც წარმოდგენილი იყო სასკოლო პიესა იმავე წლის ივლისში ბრატისლავის კაპიტნის, ანტონიუს გოსინგერის პატივსაცემად. პიესის სათაურია: Catharina gurzianorum [!] regina, proprio sanguine purpurata / Katerina kralowna gurzianska [!] vlastni krwe odzobena” (კოვაჩი 2015: 42).

სლოვაკური ენის საკითხი ბაროკოს ეპოქის სლოვაკეთში მეტად მნიშვნელოვანი და ფაქიზი იყო, ვინაიდან სწორედ მაშინ დაიწყო ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების პროცესი. ამიტომ აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სლოვაკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ქეთევანის შესახებ შექმნილი პიესის ენებად დასახელებულია ლათინური და სლოვაკიზირებული ჩეხური, რომელსაც ბოლო პერიოდში ბოჰემიზირებულ სლოვაკურ ენასაც უწოდებენ. იეზუიტური სასკოლო პიესების ჩეხი მკვლევარი ესტერ კოვაჩი კი ჩვენთვის საინტერესო სასკოლო პიესას პირველ ჩეხურ ენაზე დაწერილ პიესად მოიხსენიებს. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ საკითხის სიღრმისეულად შესწავლა და ქეთევანის შესახებ დაწერილ პიესის ენად მოვიხსენიებთ სლოვაკიზირებულ ჩეხურ ენას, როგორც ეს სლოვალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია მოცემული. ვინაიდან ჩვენი მონოგრაფიის განუყოფელ ნაწილს თავად პიესის სინოფიზის ჩვენს მიერ შესრულებული თარგმანი წარმოადგენს, საჭიროს მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თარგმანზე მუშაობისას ვიყენებდით როგორც სლოვაკური ენის, ისე ჩეხური ენის ცოდნასაც, რაც, ცხადია, ძველ ენაზე შესრულებული ტექსტის თარგმანში გვეხმარებოდა.

აწონიმი სლოვაკი იეზუიტის დრამა „კატერინა, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული” მესამეა იმ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის, რომელიც ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის თემაზე შეიქმნა. ეს მოწმობს, რომ საქართველოს ისტორიული ცხოვრების დრამატიული პერიპეტიებით გამოწვეული ეს რეალური ტრაგიკული კოლიზია კვლავ, სამი მეოთხედი საუკუნის შემდეგაც, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ქართველი დედოფალი სარწმუნოებისა და მამულის ერთგულების სიმბოლო და მაგალითი უნდა ყოფილიყო მაყურებლისათვის, ხოლო ახალგაზრდობისათვის – მისაბადი ნიმუში მაღალი ზნეობისა. ამჯერად ქართული თემა სასკოლო პიესის ავტორმა განსაკუთრებული აღმზრდელობითი ფუნქციით გამოიყენა.

ანონომი სლოვაკი იეზუიტის პიესა „კატერინა, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი“, როგორც უკვე ვთქვით, 1701 წელს იქნა წარმოდგენილი სკალიცის იეზუიტური გიმნაზიის სცენაზე. გასაოცარი მსგავსება შეიმჩნევა ევროპაში ქეთევანის თემაზე დაწერილი დრამატული თხზულებების ორიგინალობის საკითხთან დაკავშირებით. თავის დროზე გრიფიუსის „ქეთევან ქართველი“ ვონდელის ერთ-ერთი ცნობილი დრამის – „Maeghden“-ის მიბადვით შექმნილად მიიჩნევდნენ. ამ ვერსიის სიმცდარე დაასაბუთა თავის გამოკვლევაში არსენ ბიბიჩაძემ. სლოვაკური პიესის ორიგინალობის საკითხსაც იგივე ბედი ეწვია. სლოვაკურ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმული იყო მოსაზრება, თითქოს სლოვაკი იეზუიტის დრამა ანდეას გრიფიუსის „ქეთევან ქართველის“ თავისუფალ, საგულდაგულოდ გადმოკეთებულ თარგმანს წარმოადგენს (მინარიკი 1985: 281), სინამდვილეში კი იგი თვით ავტორის მიერ დოკუმენტურად დამოწმებულ მასალაზეა დამყარებული და სავსებით ორიგინალური პიესაა. წიგნში „თარგმანის ისტორია“ ავტორი განიხილავს ნათარგმნ ლიტერატურას და იმოწმებს ი. მინარიკის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შემონახული ლათინურ-სლოვაკური სინიფსისი მიხედვით შეუძლებელია დაბეჯითებით იმის დადგენა, ქეთევანის თემაზე შექმნილი პიესა ორიგინალური ნაწარმოებია თუ გერმანელი პოეტისა და დრამატურგის, ანდრეას გრიფიუსის საგულდაგულოდ გადმოკეთებულ თარგმანი (ბედნაროვა 2015: 48). სასკოლო პიესის უცნობი ავტორი „მოკლე ისტორიულ მიმოხილვაში“, რომელიც წინ უძღვის პიესას, თავად იმოწმებს იმ წყაროებს, რომლებიც პიესის წერის დროს გამოიყენა, ესენია „Illustres ruinae, Decas IV, და ოლეარიუსი De rebus gestis Schach-Abae, გვ. 645. ჩვენმა კვლევამ ამ მიმართულებით და სასკოლო პიესის წყაროების საგულდაგულო შესწავლამ აჩვენა, სლოვაკური პიესა თვით ავტორის მიერ დოკუმენტურად დამოწმებულ მასალაზეა დამყარებული და სავსებით ორიგინალური პიესაა, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სლოვაკური პიესა მდიდარია სათავგადასავლო მოტივებით და საკმაოდ დინამიურია, ამის თქმის საფუძველს სინოფსისიც კი იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ თავად პიესის ტექსტი არ არის შემორჩენილი.

ავტორი პიესაში ქეთევანს ახალგაზრდა ქალად წარმოგვიდგენს, აქ, რა თქმა უნდა, ისტორიული სინამდვილე დაცული არ არის, არც ქეთევანისა და თეიმურაზის დედა-შვილობის ამბავია ნახსენები. პიესაში შემოტანილია სასიყვარულო ისტორია – ქეთევანისა და გამოგონილი პერსონაჟის – კავადას ამბავი. საინტერესოა, რომ როგორც ძირითადად მთელი ისტორიული მასალა, თვით სახელი კავადაც სლოვაკ იეზუიტს ბისელიუსის ნაშრომიდან აქვს აღებული.

ბაროკოს სტილის შესაბამისად პიესაში ორი პლანია: ერთი წარმოადგენს რეალურ პირებსა და მოვლენებს, ხოლო მეორე – მათ გააზრებას მითოლოგიურ ასპექტში. ეს მეორე პლანი ნაწარმოებში წარმოდგენილია წინათქმის, ორი ქოროსა და ეპილოგის სახით. პიესის მითოლოგიურ ასპექტებზე ცალკე გვექნება საუბარი, ახლა კი მის ძირითად პლანს განვიხილავთ.

მოკლე ისტორიული წინათქმა ერთგვარ ექსპოზიციას წარმოადგენს, მაგრამ მას ერთდროულად ორი ფუნქცია აქვს, იგი ექსპოზიციაც არის და ამავე დროს პიესის მოკლე შინაარსსაც გადმოგვცემს წინასწარ. მასში აღწერილია ის ისტორიული მოვლენები, რომელთა ფონზეც შემდეგ პიესაში მიმდინარეობს მოქმედება. წინათქმა მაყურებელს აცნობს მთავარ გმირებსა და მათ დახასიათებას იძლევა რამოდენიმე შტრიხით; აგრეთვე იძლევა ზოგად წარმოდგენას მაყურებლისათვის იმ შორეული ქვეყნების, ანუ საქართველოსა და სპარსეთის შესახებ, სადაც მოქმედება ვითარდება ან საიდანაც არიან პიესის გმირები. ექსპოზიციიდან ვიგებთ, რომ ერთ-ერთი სპარსელი მონარქი, რომელიც ქრისტიანობის დროს მეფობდა, შაჰ-აბასი იყო, ხოლო მისი ერთ-ერთი ცოლი კი ქრისტიანი. აქვეა დახატული შაჰის ცბიერი სახე, რომელიც თავს აჩვენებდა, თითქოს ქრისტიანულ მოძღვრებას პატივს სცემდა, სინამდვილეში კი საშინლად სდევნიდა და ავიწროვებდა ქრისტიანებს. სანამ საქართველოს ამბებზე გადავა, ავტორი საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს, რომ შაჰმა კუნძული ორმუზი იმიტომ წაართვა ესპანეთის მეფეს, რომ იქ მუჰამედი არ დაევიწყებინათ. აქ ავტორი უკვე ნელ-ნელა უახლოვდება თავისი ნაწარმოების მთავარ თემას და ეხება საქართველოს. იგი წერს, რომ შაჰი ხშირად ავიწროვებდა ომებით ქართველებს, დაამარცხა მათი მეფე თეიმურაზი, გაანადგურა ქვეყანა და მრავალი შებორკილი ქართველი ისპაჰანს გარეკა. ექსპოზიციის იხატება მთავარი გმირის – ქეთევანის სახე. ავტორი წერს, რომ სხვა ნადავლთან ერთად იყო ქეთევანი, „წარჩინებული და დიდი სილამაზის ქალი, მეტად კეთილშობილი და ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული“. აქვე ცხადდება შაჰის განზრახვა ქეთევანის ცოლად შერთვისა. მოკლე ისტორიული წინათქმის ბოლოში კი ავტორი აცხადებს: „ასე წერს ბისელიუსი, *Illustres ruinae, Decas IV*, და ოლევარიუსი *De rebus gestis Schach-Abae*, გვ. 645. სხვა ყველაფერი, რაც ამის გარდა არის ტექსტში, პოეტური ფანტაზიის ნაყოფია“. სასკოლო პიესის წყაროების ამგვარად მითითება ადასტურებს იმას, რასაც წერს სლოვაკი მკვლევარი იმის შესახებ, რომ დრამის წყაროების მითითებას ვხვდებით პიეიოზაში ანუ სინოფისისში და რომ ასევე აღნიშნავდნენ არა მხოლოდ სათაურს, არამედ გვერდსაც (კოპასი 2016: 6; კოპასი 2020: 64), როგორც ეს მითითებული აქვს სლოვაკ ავტორს პიესაში ქეთევან დედოფლის შესახებ.

კვანძი იკვრება პირველი მოქმედების პირველ სცენაში, როდესაც შაჰი ცდილობს ქეთევანისაგან მისი აზრი გაიგოს მისთვის ცოლად გაყოლის თაობაზე. შემდეგ თანდათან სხვა გმირებიც ერთვებიან პიესაში და სიუჟეტს სხვადასხვა პერიპეტეიებით ამდიდრებენ. პიესაში რამდენიმე სიუჟეტური ხაზია, ძირითადი, რა თქმა უნდა, ქეთევანისა და შაჰის დაპირისპირებაა, მაგრამ პარალელური ხაზებიც არანაკლებ საინტერესოა, ისინი პირთა გარკვეულ ჯგუფებად წყვილდებიან: ესენია ქეთევანი – ბასილინდა, ქეთევანი – კაკადა, ბასილინდა – ჰორმისდასი – უსთაზანი – კარიფუსი. ყველა მათგანს ერთი რამ აერთიანებს: ისინი ქრისტიანული და მუსლიმანური რელიგიის შორის არსებული კონფლიქტის გარშემო ტრიალებენ.

ქართველთა მიერ წმინდანად შერაცხული დედოფლის სახელი XVII საუკუნის დასავლეთ ევროპაში კარგად იყო ცნობილი. რწმენისათვის თავდადებული დედოფლის ბედით დაინტერესება თვით ეპოქის სულისკვეთებამ განაპირობა, რაც ზნეობრივი გმირის ძიებით იყო ნაკარნახევი. საქართველოს ისტორია კი ამგვარი ზნეობრივი გმირობის არაერთ მაგალითს იცნობდა.

ამ პერიოდში ბაროკო გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და სრულადაც ასახავს ეპოქას, ვიდრე კლასიციზმი. სწორედ ამიტომ XVII საუკუნეს „ბაროკოს საუკუნესაც“ უწოდებენ. ზნეობრივი გმირის ძიება ბაროკოს ძირითად პრინციპს წარმოადგენდა. ისტორიული მასალისა და ეპოქის სულისკვეთების ურთიერთდამთხვევამ ქეთევან დედოფლის სახელთან დაკავშირებული მხატვრული ნაწარმოებები სწორედ ბაროკოს სტილის ნაწარმოებებად წარმოაჩინა. რენესანსის ეპოქას ბაროკო და კლასიციზმი მოჰყვა, რომელშიც რენესანსის იდეალთა კრიზისი გამოვლიანდა. ბაროკოში ძალზე მძლავრად გამოიხატა ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის დისჰარმონია, სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს მიერ ადამიანის დათრგუნვა. დასავლეთ ევროპის იმდროინდელი ვითარების პოლიტიკურმა ქარიშხალმა ადამიანი რთული ფილოსოფიური და ეთიკური პრობლემების წინაშე დააყენა, რომელთა შორის ძირითადი აბსოლუტური მონარქიისა და ხალხის ურთიერთობის პრობლემა იყო. თავისთავად გამოიკვეთა პიროვნების თავისუფალი ნებისა და სარწმუნოების საკითხი. სარწმუნოების საკითხი კი იდეოლოგიური საკითხი იყო ბაროკოს პერიოდის სლოვაკეთშიც.

როგორია ქეთევანის მხატვრული სახე, წარმოდგენილი სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესაში? – პირველ ყოვლისა, ეს არის წმინდანი, რომელიც თავისი სარწმუნოებისადმი ერთგულებით ებრძვის ტირანიას. იეზუიტების სასკოლო თეატრის უპირველესი მიზანი მოსწავლეთა რელიგიური აღზრდა იყო და ამიტომაც ქართველი დედოფალი დახატულია როგორც ქრისტიანული ეკლესიის წმინდანი. მიუხედავად ამ მიზანდასახ-

ულებისა, ანონიმი ავტორის მიერ გამოყენებული ისტორიული მასალა ისეთი ხასიათისა იყო, რომ პიესაში ქეთევანი-კატერინა მაყურებლის წინაშე ამავე დროს წარმოდგა, როგორც თავისი ქრისტიანული ქვეყნის პატრიოტი. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოსმალთა უღელქვეშ მყოფი სლოვაკებისთვის ახლობელი და გასაგები იყო ქრისტიანი დედოფლის საწრწმუეობისადმი ერთგულება და დაპირისპირება მუსლიმ შაჰთან, რომელიც მისგან ქრისტიანობის უარყოფას მოითხოვდა.

როდესაც ხელთ არ გვაქვს თვით პიესის ტექსტი და მსჯელობა გვიხდება მხოლოდ სინოფსისის მიხედვით, ბუნებრივია, შეზღუდულნი ვართ ამ მხატვრული სახის სრულად წარმოდგენით. მიუხედავად ამისა, არსებული მასალა მაინც გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ იგი ისე, როგორც განახორციელა ანონიმმა ავტორმა.

პირველ ყოვლისა, ქეთევანი ახალგაზრდა, ლამაზი და წარჩინებული პიროვნებაა. მისი სახის ამგვარად დახატვას ისიც უწყობს ხელს, რომ პიესაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ქეთევანის გაყიშვილი ქართველი მეფეა. ამას გარდა, ქეთევანი მან გაუთხოვარ ქალწულად წარმოადგინა, რომლის დაუფლებაც სურს შაჰ-აბასს. გარდა ამისა, ქეთევანის ახალგაზრდა ასაკს და გაუთხოვრობას ხაზს უსვამს ისიც, რომ ქეთევანი ცოლად გაყოლას ჰპირდება შაჰთან ტყვედ მყოფ ქართველ დიდებულს. ამ გამოგონილ პერსონაჟს ანონიმმა ბისელიუსის თხზულებაში სხვა ადგილას ამოკითხული სახელი კავადა უწოდა. აქ კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: კავადას სიუჟეტში შემოყვანით ქართველი დედოფლის პარტიოტიზმს კიდევ უფრო ნათლად ესმება ხაზი. პირველსავე მოქმედებაში (სცენა 4) კატერინა პირობას აძლევს კავადას, რომ ცოლად გაჰყვება, თუკი ის სპარსელებს შეებრძოლება, დაამარცხებს მათ და გამარჯვებულის დიდებით შეიმოსება.

რატომ უნდა წარმოედგინა სკალიცელ იეზუიტს ქართველი დედოფალი ახალგაზრდა და გაუთხოვარ ქალად? ჯერ ერთი, ამისთანა ინტერპრეტაციის საშუალებას მას ბისელიუსის ნაშრომი აძლევდა და ეს შესაძლებლობა მან სრულად გამოიყენა. მეორეც – ამისთანა სახის შექმნა, სადაც ახალგაზრდა, ლამაზ, ტყვედ ჩავარდნილ, უმწეო წარჩინებულ ქალწულს უპირისპირდება ყოველგვარი უზნეობისა და ბოროტების განსახიერება დესპოტი შაჰ-აბასი, მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა მოზარდებზე, რომლებიც ამ პიესის შემსრულებელნი და მაყურებელნი იყვნენ.

როგორც სინოფსიდან ირკვევა, სლოვაკური პიესა მეტად დინამიური იყო, მასში უხვადაა საკარო ინტრიგები, ბრძოლა თანამედრობისათვის და სხვა. კატერინას შაჰ-აბასთან ტყვეობის ამბავს ანონიმმა, როცა პიესად გადააკეთა, სათავგადასავლო ხასიათი მისცა, იგი შეიცავს სათავგადასავლო ჟანრის დამახასიათებელ ელემენტებს. ასეთია დასთან მოულოდნელი

შეხვედრა და ისეთი შაბლონური სცენები, როგორიცაა ახლობლის ამოცნობა სახეზე რაღაც დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით, დების შეთანხმება გაქცევაზე, მათი გაქცევა, გაცემა და უკან, შაჰ-აბასთან კატერინას ძალით დაბრუნება. წარუმატებელი გაქცევის შემდეგ დატყვევებული კატერინა მეფეს მიჰგვარეს, რომელიც მისგან სპარსთა რჯულის მიღებას ან იმას მოითხოვს, რომ გარეგნულად მაინც მოიქცეს ასე, მაგრამ კატერინა ამას უარყოფს. შაჰი კატერინას დაყოლიებას ათასგვარი დაპირებით და საჩუქრებით ცდილობს. მიუხედავად ამისა, იგი ვერაფერს გახდა, ქართველი დედოფალი მტკიცედ იცავს თავის სარწმუნოებას. ამის შემდეგ შაჰი ბრძანებს მას ბორკილები დაადონ და ციხეში დაამწყვდიონ. ღვთაებრივი სასოებით გამხსნევებული კატერინა თავად მოითხოვს სიკვდილს, რასაც ამაყად ამცნობს მეფის მოციქულს. შაჰის ბრძანებით კატერინას თავს მოჰკვეთენ.

კატერინა ანონიმს დახატული ჰყავს ძლიერ, კლდესავით უტეხ პიროვნებად, რომელიც მზადაა მიიღოს მოწამებრივი სიკვდილი, მაგრამ არ უღალატოს რჯულსა და მამულს. საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ რეალური ისტორიული ამბავი სკალიცელ ანინიმს საკუთარი ფანტაზიით აქვს გადაკეთებული, უნდა ითქვას, რომ თავად დედოფლის სახე სავსებით შეესაბამება წმინდანის იდეალს, რომელსაც ყველა ქრისტიანი თაყვანს სცემდა.

სასკოლო პიესის ეპილოგში ავტორს კატერინა კათოლიკური ეკლესიის წმინდანად ჰყავს წარმოდგენილი, რაც იქიდან ჩანს, რომ გიოსინგერების ოჯახს (სასკოლო პიესა ფრანცისკ ანტონ გიოსინგერს ეძღვნებოდა) „ცისკენ ღიდებული ტრიუმფით მიმავალ წამებულს აბარებენ, რათა ამ წამებულმა მარადიული მფარველობა გაუწიოს ამ ოჯახს და ილოცოს მისთვის თავის ციურ ღიდებაში, რასაც ის შეისმენს“.

რაც შეეხება ამ პიესის მეორე პლანს – მითოლოგიურ ასპექტს, იგი მეტად საინტერესოა. სკალიცელი იეზუიტის ეს დრამა მრავალი ასპექტით აღძრავს ინტერესს, თუმცა ახლა შევეხებით მხოლოდ ერთ ასპექტს – დრამაში ჩართულ ინტერმედიებს და მათ დანიშნულებას ამ პიესაში. ამასთანავე გასარკვევია, თუ რისთვის დასჭირდა დრამის ავტორს მითოლოგიური სახეებისათვის მიმართვა.

ბაროკოს დრამატული კულტურა ურთიერთსაწინააღმდეგო სახეების შერწყმით ხასიათდება: აქ ერთმანეთის გვერდით თანაარსობდა ისეთი განსხვავებული, პოლარულად დაპირისპირებული სისტემები, როგორებიცაა, ერთის მხრივ – ქრისტიანული, მეორეს მხრივ კი – ანტიკური მითოლოგიისათვის სპეციფიკური სახეები და მოტივები. „არაფერი არ უშლიდა ხელს, რომ ერთ ნაწარმოებში ერთმანეთს შეხვედროდნენ ანტიკური ღმერთები და იესო ქრისტე, ალეგორიული ქრისტიანული სათნოებანი და

წარმართული პანთეონის წარმომადგენლნი. უფრო მეტიც – ისინი ერთ მთლიან მხატვრულ სისტემას ქმნიდნენ. ამასთანავე ანტიკური ფილოსოფიის მოტივები ჩვეულებრივ ქრისტიანულ იდეოლოგიას ემორჩილებოდნენ” – შენიშნავს ბაროკოს ეპოქის პოლონური და რუსული დრამის მკვლევარი ლ. ა. სოფრონოვა (სოფრონოვა 1978: 67). ამ გარეგნულად ჭრელ, ეკლექტიკურ მთლიანობაში მთავარი და განმსაზღვრელი ის იყო, რომ ძველი აღთქმა და ანტიკური მითოლოგია ქრისტიანულ სარწმუნოებას ემორჩილებოდა და სრულიად ახალ გააზრებას ლეებულობდა. სწორედ ეს იდეოლოგიური ინტერპრეტაცია ქმნიდა ბაროკოს მხატვრული სისტემის ერთიანობას კათოლიკურ სამყაროში. ძველ მითოლოგიურ სახეებს ბაროკოს დრამატურგიაში სიმბოლოთა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. მაგალითად, ბიბლიური აბრაამი და ისაკი (დაბადება, 22, 2-13) ქრისტეს მიერ მოტანილ მსხვერპლად აღიქმებოდნენ. ქრისტეს განასახიერებდა აგრეთვე ბიბლიური აბელიც, კაენის მიერ მოკლული, სადაც კაენი ცოდვილი კაცობრიობის სიმბოლოს წარმოადგენდა; ქრისტეს სიმბოლო იყო ძმების მიერ გაყიდული იოსებ მშვენიერიც. დავითის და გოლიათის ცნობილი ბიბლიური მითი ბაროკოს მხატვრულ სისტემაში გააზრებული იყო, როგორც ბრძოლა სატანასთან – ბიბლიური დავითის სახით წარმოდგენილი ქრისტე ამარცხებდა გოლიათს, ანუ სატანას და სხვა (სოფრონოვა 1978 : 69-70). ბიბლიურ პერსონაჟთა სიმბოლიზაცია და ახლებური გააზრება ბაროკოს დრამატურგიაში სრულიად ბუნებრივ ელემენტს შეადგენდა. XVII საუკუნის ბაროკოს დრამატურგიაში ანტიკური მითოლოგიის პერსონაჟებს და სიუჟეტებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კონტრეფორმაციის დროს კათოლიკურ სამყაროში ანტიკური მითოლოგიისათვის მიმართვა ბაროკოს წინააღმდეგობრივი ხასიათის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია, რომელიც ამ მხრივ ბაროკოს სპეციფიკურ მხატვრულ სამყაროს ქმნის.

საერთოდ, ახალი ევროპული მხატვრული ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ანტიკურმა მითოლოგიამ მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მისი სიუჟეტები, თემები, სახეები და პერსონაჟები სხვადასხვაგვარი ვარიაციით, ამ ლიტერატურაში თითქმის განუწყვეტლად ირეკლებოდა. მართალია, ზოგჯერ მეტად, ზოგჯერ ნაკლებად, მაგრამ მათი სისტემატიური გამოყენება და გადააზრება თან ახლდა ამ ლიტერატურას მთელი მისი ისტორიის მანძილზე: ანტიკური ლიტერატურა განსაკუთრებით აქტუალური იყო რენესანსის ეპოქაში, რომლის შემკვიდრეც ბაროკო და კლასიციზმი იყო.

იმდროინდელი განათლებული ადამიანისათვის ანტიკური კულტურის ცოდნა სავალდებულო იყო: ამ ცოდნას იგი სკოლაში იღებდა. სასკოლო პროგრამაში ერთ-ერთ წამყვან საგანს წარმოადგენდა ანტიკურ ავტორთა

თხზულებების კითხვა და ანალიზი, ამდენად გასაგებია, რომ ანტიკური მითოლოგიის ცოდნა პიროვნების კულტურის დონეს განსაზღვრავდა. მართალია, კათოლიკური სამღვდელოება თვლიდა, რომ ძველი საბერძნეთის პარნასი და გმირთა საკრებულო მორწმუნე ქრისტიანის სულისათვის, შესაძლოა, სახიფათოც ყოფილიყო, მაგრამ ინტერესი მსოფლიო კულტურის ამ საგანძურისადმი გაცილებით უფრო მძლავრი აღმოჩნდა.

ანტიკური მითოლოგია განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ბაროკოს დრამატურგიაში. მთავარი ის იყო, რომ ინტერესს იწვევდა არა მითი თავისთავად, არამედ მისი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. მითის ათვისება ბაროკოს დრამატურგიაში ამ ეპოქის ესთეტიკის შესაბამისად ხდებოდა – მითი სიმბოლოს, ალეგორიის უშრეტ წყაროს წარმოადგენდა და ამ თვალთახედვიდან ხდებოდა მისი ინტერპრეტაცია. მითის ამგვარი შინაარსობრივი გადააზრება სხვადასხვა ხასიათისა იყო: საერო, ისტორიულ-კულტურული, და, რაც მთავარია, რელიგიური. სწორედ ანტიკური მითის ქრისტიანული ინტერპრეტაცია იყო ყველაზე მეტად გავრცელებული XVII საუკუნის დრამატურგიაში. ამრიგად, ანტიკურობა ახალი მხატვრული და იდეოლოგიური მიზნებით იქნა გამოყენებული, ხოლო ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟები – გააზრებულნი ალეგორიული მნიშვნელობით. მაგალითად, პროთევსი, ზღვათა ღმერთის, პოსეიდონის ვაჟი – მატერიის ალეგორიას წარმოადგენდა, იუნონა – მეხსიერებისას, იუპიტერი – ცეცხლისას, მაგრამ შეიძლება ყოფილიყო როგორც ბრძნული მმართველობის, ასევე სიხარბის ალეგორიაც (სოფრონოვა 1978: 75-76). ამრიგად, სახის ალეგორიულობა მკაცრად დაფიქსირებული არ იყო. ბაროკოს ეპოქაში, მითოლოგიურ პერსონაჟთა ალეგორიული გააზრების უმთავრეს საგანს მაინც ქრისტიანული ინტერპრეტაცია შეადგენდა, სადაც ანტიკური ღმერთები და გმირები სახარების პერსონაჟებს და ასევე ფილოსოფიურ კატეგორიებს განასახიერებდნენ: არიადნა ღვთისმშობლის სიმბოლოს წარმოადგენდა, მერკური – იესო ქრისტეს, არტემიდა – ღვთაებრივ სიყვარულს, ფერიები და ევმენიდები – ცოდვილთა ჯოჯოხეთურ წამებას, სამართლიანობისა და შურიანობის ქალღმერთი ნემეზიდა – ღვთაებრივი სამართლიანობის პარაბოლას, პარკები – განგებას. ზომალდის ანძა, რომელზეც მიაბმევინა თავი ოდისევსმა, გააზრებული იყო როგორც გოლგოთის ჯვარი, სირინოზების გალობა კი ამქვეყნიურ სიამოვნებათა ალეგორიას წარმოადგენდა; ჰერაკლეს მოგზაურობანი იყო ალეგორია ადამიანის ხეტიალისა ცხოვრების გზებზე. ასეთივე ალეგორიული გააზრება განიცადა ცნობილმა მითმა დიანასა და აქტეონის შესახებ: აქტეონი ცოდვილი კაცის სიმბოლო იყო, ხოლო ტყეში მისი ხეტიალი – ადამიანის სულის ცდომილებანი (სოფრონოვა 1978: 77). ალეგორიულ-სიმბოლურ სემანტიკაში გააზრებული ეს ანტიკური თემები და მოტივები ბაროკოს

დრამის მეტად თავისებურ ელემენტს წარმოადგენდნენ: ისინი იმავე ფუნქციას ასრულებდნენ, რასაც მორალიტეები.

სკალიცელი ანონიმის დრამის შთამბეჭდავ თავისებურებას ქოროთა და პროლოგ-ეპილოგის ანტიკური (ელინურ-რომაული) ანტურაჟი ქმნის, რაც ავტორის ფართო ერუდიციაზე მეტყველებს და ეპოქის შესაბამის მხატვრულ გემოვნებასაც ამჟღავნებს. ეს ოთხი მითოლოგიური ინტერმედია თავისი თანამიმდევრობით, როგორც მთლიანობა, თითქოს დამოუკიდებელ პიესას ქმნის. პიესაში ავტორს დრამის სიმბოლური შინაარსის გადმოსაცემად საგანგებოდ შეურჩევია ანტიკურ-მითოლოგიური სახეები, რომელთა სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობა იმდროინდელი მაყურებლისათვის გასაგები და ცხადი იყო; ანტიკური მოტივები, ამ შემთხვევაში, დიდაქტიკურ ფუნქციასთან ერთად, სიმბოლოთა როლშიც გამოდიან და დრამაში მოქმედების განვითარების კომენტარს წარმოადგენენ.

თავად ის გარემოება, რომ პროლოგში ანტიკური მითოლოგიის ღმერთი – ვულკანი კატარინას საგანგებო საჭურველს უჭედავს, ხაზს უსვამს კატარინას მხატვრული სახის მნიშვნელობას, როგორც მორალური გმირისას. იგი ჭეშმარიტი სარწმუნოების სახელით ურწმუნოთა წინააღმდეგ სამომრად ემზადება, რაც სიუჟეტური სიტუაციის სიმბოლიზაციას წარმოადგენს და მთელი თავისი შემდგომი მოქმედებისათვის კამერტონის ფუნქციას ასრულებს. ვულკანის (რომელსაც ხშირად, სხვა დრამებში რომაული მითოლოგიის მარსი ენაცვლება) მიერ საჭურველის გამოჭედავად ომის ალეგორიაა. კატერინას საბოლოო მორალური გამარჯვების საწინდარია ირისის (სლოვ. დუჰა – მ. ნ.) – ციურ ქალღმერთთა მაცნის მიერ კატერინას გამხნეება ამ ბრძოლის წინ. პროლოგში მოქმედებს რომაული მითოლოგიის ქალღმერთი მინერვა, რომელიც ბერძნული მითოლოგიის ათენას ანალოგიური ფუნქციითაა აღჭურვილი. იგი აქ ომის ქალღმერთის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც მფარველობს კატერინას მის სამართლიან ბრძოლაში ურწმუნოთა წინააღმდეგ.

ქოროებში გამოყენებულია მითი პოლიფემეს, გალათეას და აკიდის შესახებ. ეს მითი პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის „მეტამორფოზების“ XIII წიგნში არის შეტანილი, ტროას ციკლის თქმულებათა შორის. ქოროებში ისტორიული პირების ნაცვლად ალეგორიული პერსონაჟები გვევლინებიან მოქმედ პირებად: კატერინა, შაჰი და კავადა უკვე მითოლოგიურ სახეებად არიან გადააზრებულნი. მითი პოლიფემეს, აკიდისა და გალათეას შესახებ მოგვითხრობს, რომ ნერეიდა გალათეა უყვარდა სიმეფიდას ვაჟს, ახალგაზრდა აკიდს და გალათეასაც უყვარდა აკიდი, მაგრამ გალათეას მიმართ სიყვარულით აენთო უზარმაზარი ციკლოპი პოლიფემე. ერთხელ პოლიფემემ ზღვის პირას, მღვიმეში, აკიდი და გალათეა დაინახა, შემინებული გალათეა ზღვაში გადაეშვა, სადაც იგი მშობლიური ზღვის

ტაღლებმა დაიცვეს, აკიღმა კი ვერ დააღწია თავი პოლიფემეს, რომელმაც მთიდან კლდე მოგლიჯა და აკიღს ესროლა, რომელმაც ყმაწვილი ქვეშ მოიყოლა. მაშინ კლდიდან პატარა ნაკადულმა ამოხეთქა, აკიღი კი მდინარის ღმერთად იქცა (ოვიდიუსი 1980: 320-326). პიესაში პოლიფემე შაჰ-აბასზე განასახიერებს, ქეთევანი გალათეა, ხოლო აკიღი კი კავადაა. ნიმუშად მოგვყავს პიესის პირველი და მეორე ქორო: „ლაპარაკია გაქცევაზე, რომელიც მომავალში მოხდება. გალათეას (კატარინას განსახიერება) უყვარს კეთილშობილი ახალგაზრდა აკიღი (რომელიც ჭეშმარიტი სარწმუნოების ალეგორიაა) და მასთან ერთად მახლობელ კორომზე ადის. პოლიფემოსი (სპარსეთის მეფის განსახიერება), ასევე გალათეაზე შეყვარებული, უძღვნის მას სიმღერას და თავისთან იხმობს. თუ მისი სურვილის წინააღმდეგი არ იქნება, ქებას ჰპირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – შერცხვენას. თავის სიმდიდრეს (სამეფოს) და სილამაზეს აქებს, რათა მოხიბლოს იგი. მიუხედავად ყველაფრისა, გალათეა მისგან გარბის”.

მეორე ქორო ერთგვარი რემინისცენციაა ოდისევსის მოგზაურობისა. ხომალდით მოგზაურობა ცხოვრების გზაზე სვლის განსახიერებაა, ხოლო სირინოზთა გალობა – ამქვეყნიურ სიამეთა ალეგორიაა, რომელნიც თავისკენ იზიდავენ ადამიანს. მითის ალეგორიული გააზრება ნათელია: კატერინა თავს აღწევს ამქვეყნიურ სიამითა ცდუნებას, რასაც შაჰი ათასგვარი ვერაგული ხერხებით ესწრაფვოდა.

ეპილოგში კვლავ გამოჩნდება ირისი, რომელიც კატერინას საფლავს ამარანტის ქვით ფარავს. ამარანტის ქვა, თავისი სიმკვრივის წყალობით, მარადიულობის სიმბოლოს წარმოადგენს.

ქართულ თემაზე დაწერილ ამ პიესასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: „სასკოლო თეატრში,” სრულიად გარკვეული მიზეზის გამო, აკრძალული იყო იესო ქრისტეს ან ღვთისმშობლის სცენაზე წარმოდგენა. ეს ღვთაებრივი სიდიადის შელახვად აღიქმებოდა. მით უფრო საინტერესოა ერთი მომენტი: სკალიცელი იეზუიტის დრამის მე-3 მოქმედების მე-4 სცენაში იესო ქრისტე კავადას სახით გამოეცხადება კატერინას და მას ღვთაებრივი სასოებით ამხნევებს. კავადა – კატერინაზე შეყვარებული ქართველი დიდებული, ავტორის ფანტაზიის ნაყოფი – ქრისტეს ფუნქციას ასრულებს. ამგვარი სიმბოლიკა „ქრისტე – სიძის” მოტივზე ჩანს აღმოცენებული, რაც, საერთოდ, დამახასიათებელია ბაროკოს ეპოქის ლიტერატურისთვის.

ამრიგად, დრამის ავტორი მთლიანად ბაროკოს ესთეტიკური კატეგორიებით აზროვნებს და ქართულ ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით შექმნილი ეს პიესა თავისთავში ბაროკოს ესთეტიკის ყველა ძირითად ელემენტს შეიცავს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ თემაზე შექმნილ პიესასთან დაკავშირებით ბალეტიც კი იხსენიება. XVII საუკუნეში დაიწყეს ილიუზიონისტური დეკორაციების, ტექნიკური საშუალებების, სხვადასხვა სასცენო ხერხების, განსაკუთრებით კი ე.წ. „მფრინავი მანქანების“ გამოყენება. მათი საშუალებით პერსონაჟებს შეეძლოთ ღრუბლებში აჭრა და სცენაზე დაშვება. მექანიკურ სასწაულთა რიცხვს ეკუთვნოდა ჯოჯოხეთში ჩავარდნაც, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით მართავდნენ ზღვის ღელვას და მიწისქვეშა ღვთაებების გამოჩენის სცენებს. გარდა ზღვაზე ცურვისა, ჩვენთვის საინტერესო პიესაში სცენაზე ხორციელდებოდა წყალდიდობა, ქარიშხალი, ელვა, ომი, სამეფო ნადიმები და სხვა (მატეკი... 1965: 15).

თავი IX.

მორალური გმირის ძიება ქართული და ევროპული ბაროკოს ლიტერატურაში

წინამდებარე თავი ეხება იმას, თუ როგორ აისახა ქეთევან წამებულის ღვაწლი ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში და რა ადგილი ეკავა მორალური გმირის პრობლემას XVII საუკუნეში, ბაროკოს ლიტერატურაში. მარტვილი და სულიერი სიმტკიცე განუყოფელი ცნებებია; მათ შესახებ წმინდა ავგუსტინე წერდა: „მარტვილები ისინი არიან, ვინც ღვთისაგან ჯილდოდ სიმტკიცე მიიღო: მათ გამოიყენეს თავისუფლება... განმტკიცებული და გამოწრთობილი სიმტკიცის ძლევით, რათა გამარჯვება მოეპოვებინათ ამა სოფელზე” (ბრაუნი 2004: 85-86).

მარტვილს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი უკავია ერის სულიერ ცხოვრებაში. ამას ისიც მოწმობს, რომ როგორც კი XVII საუკუნეში გარკვეული რელიგიური თუ პოლიტიკური კატაკლიზმების გამო გაჩნდა საჭიროება და აუცილებლობა საზოგადოებაში მისაბადი ადამიანის ნიშნები დანერგილიყო, მარტვილმა და მოწამემ სასულიერო ლიტერატურიდან მხატვრულ ლიტერატურაში გადაინაცვლა. რელიგიურმა დაპირისპირებებმა და ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა წინა საუკუნეების ევროპაში განაპირობა XVII საუკუნეში რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ კათოლიკური სამყაროს საზღვრების გაფართოებისკენ სწრაფვა. ამის შესახებ ვაინშტაინი და ბელი წერენ, რომ XVI-XVII საუკუნეების ევროპაში მარტვილობამ თითქმის ისეთივე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა, როგორც ეს ადრეული ქრისტიანობის პერიოდში იყო. ამჯერად მან გადაინაცვლა იმ ახალ მიწებზე, რომლებიც ევროპამ ოკეანის გადაღმა დაიპყრო. აფრიკასა თუ აზიაში, სამხრეთ თუ ჩრდილოეთ ამერიკაში სხვადასხვა რელიგიურ ორდენტა წარმომადგენლები წარმართთა ხელით იხოცებოდნენ და მარტვილის გვირგვინს იდგამდნენ (ვაინშტაინი... 1982: 161). ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც თავის წიგნში „წმინდანები და საზოგადოება” შეისწავლიან ვაინშტაინი და ბელი, არის წმინდანები არ ჰკვანან თავის თანამედროვეებს რელიგიური თავდადებისა და სარწმუნოებისთვის ერთგულების არც სიღრმით და არც ხარისხით და არც ღვთისმოსაობის გამოვლენის ფორმით, მათი რელიგიურობის განზოგადება მათივე თანამედროვეებზე ან თუნდაც მათ მცირე ჯგუფზე არ შეიძლება,

მაგრამ შეიძლება მათი რელიგიურობის გავლენაზე საუბარი, რომელიც უფრო სტიმულს წარმოადგენს, ვიდრე საპასუხო მსგავს ქმედებას (ვაინ-შტაინი... 1982: 7). კ. პირსონის მონოგრაფია „შინაგანი გმირი“, სადაც ავტორი არქეტიპულ სახეებს განიხილავს, თანამედროვეობას ეხება, მაგრამ უდავო ფაქტია, რომ ეს არქეტიპები საერთოა ყველა დროისათვის, თუმცა იგი წერს, რომ თანამედროვე ლიტერატურა თავისუფლდება მარტვილის თავგანწირვის ძველი იდეალისაგან (პირსონი 1986: 5). არქეტიპულ სახედ განიხილავს მარტვილს კ. პირსონი და წერს, რომ კულტურაში ასახული ერთი ადამიანის ცხოვრებისეული მოვლენა ან ამბავი წარმოშობს ნიმუშს, კაცობრიობის ისტორია და კულტურა ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ რომელი არქეტიპი იქნება დომინანტური გარკვეული ეპოქის ცხოვრებაში. არქეტიპები შეიძლება არ იყოს დამოკიდებული დროზე და კულტურის მიღმაც არსებობდეს. თავის წიგნში იგი აღნიშნავს, რომ ადამიანის უამრავი არქეტიპული სქემა არსებობს, მაგრამ გამოყოფს მხოლოდ ექვსს, რადგან დანარჩენები არ ახდენენ კაცობრიობის განვითარებაზე ისეთ გავლენას, როგორც შემდეგი ექვსი მთავარი არქეტიპი: უდანაშაულო, ობოლი, **მარტვილი**, მწირი (მგზავრი), მეომარი, ბრძენი. მკვლევარს მოცემული აქვს თვითოეული არქეტიპის ცხოვრებისადმი მიდგომების, დამოკიდებულების ერთგვარი რეზიუმე სქემის სახით (პირსონი 1986: XXII-XXIII). გამოკვლევის შესავალში ავტორს მოჰყავს ჯოზეფ კემბელის აზრი, რომელიც თავის წიგნში „ათასსახოვანი გმირი“ ამბობს, რომ გმირი „მსოფლიოს პატრონია“ და რომ სწორედ პატრონები – მეფეები, უფლისწულები და მათი პოეტები არიან ისინი, ვინც დაადგინა, თუ რა არის გმირული იდეალი და ვისია იგი, ამასთანავე დასძენს, რომ, მათ ეს საკუთარი წარმოდგენების მიხედვით განსაზღვრეს და განიხილავდნენ გმირობას, როგორც მხოლოდ მცირერიცხოვანთა ზვედრს (პირსონი 1986: 2). ქვეთავში – „სწრაფვა მთლიანობისაკენ სპირალისებური გზით“ – ავტორი აღნიშნავს, რომ სათნოებას, რომელსაც გმირი სწავლობს, არასოდეს იკარგება: გმირი-მებრძოლი სწავლობს ჭეშმარიტების დაცვას ისე, რომ იგი გავლენას ახდენს და ცვლის სამყაროს, ხოლო გმირი-მარტვილი – სწავლობს სიყვარულსა და თავგანწირვას (პირსონი 1986: 13-15). გმირის ამოცანას ყოველთვის წარმოადგენდა სიკვდილის პირას მყოფი კულტურის გამოცოცხლება (პირსონი 1986: 151). როგორც უკვე აღინიშნა, წიგნი დღევანდელობას ეხება და სხენებული საკითხები სწორედ ამ ასპექტშია განხილული, მაგრამ დროთა კავშირის უწყვეტობის თვალსაზრისით საინტერესოა ერთი ფრაზა: „რომელ გზასაც არ უნდა ადგეთ, გწამდეთ მისი აბსოლუტურად, რადგანაც არქეტიპები არსებობენ იმისათვის, რომ დაგეხმარონ“ (პირსონი 1986: 151-156).

ზემოთ დაწვრილებით გვქანდა საუბარი თეიმურაზ პირველის პოემაზე „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელიც 1628 წლით არის და-

თარიღებული. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში იგი მიჩნეულია თხზულებად, რომლითაც საისტორიო პოემათა რიგი იწყება და იგი პირველად იყენებს ქართულ მწერლობაში ისტორიულ-ნაციონალურ ფაბულას და ე.წ. ისტორიულ-ნაციონალური მიმართულების დამწყები ხდება (ბარამიძე 1934: 217). თეიმურაზის თხზულების სხვადასხვა ასპექტები განსაკუთრებით სიღრმით გაიოზ იმედაშვილს აქვს შესწავლილი. იკვლევს რა საისტორიო ეპოსის წარმოშობის საფუძვლებს, მკვლევარი მიუთითებს, რომ „აღორძინების“ ხანის წინა პერიოდის ქართული ლიტერატურა თითქმის მოკლებული იყო საკუთარი სინამდვილის შეცნობის უნარს და ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ძირითადად უცხო სინამდვილიდან აღებული თემატიკისადმი ინტერესი. **ეროვნული კატასტროფით გამოწვეულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ დიდ გავლენა იქონია საზოგადოებრივ განწყობილებაზე, რომელიც შეიპყრო ყოფიერების ამაოების განცდამ და საერო მწერლობაში დიდხანს ვერ პოულობდა ადგილს საკუთარი სინამდვილიდან აღებული ეროვნული გმირის სახე.** მკვლევარის თვალსაზრისით, საერო პოეზიაში ისტორიული ჟანრის გაჩენა აიხსნება აგიოგრაფიაში არსებული ისტორიული ნაკადის ტრადიციების გადასვლით საერო მწერლობაში (იმედაშვილი 1964: 124). იგი ამ ეტაპს **მსოფლმხედველობის თვალსაზრისით ახალ საფეხურად მიიჩნევს, რომელიც მწერლობაში აყენებს რეალობის შეცნობის პრინციპს და ფანტასტიკური გმირის ნაცვლად მწერლობაში შემოჰყავს საკუთარი ყოფის ადამიანი.** საერო და სასულიერო ნაკადების ურთიერთობის თვალსაზრისით თეიმურაზის თხზულებას საინტერესო ძეგლად მიიჩნევს, რადგანაც მასში ერთიანდება სასულიერო მწერლობის თემატურ-კომპოზიციური ტრადიციები საერო მწერლობის სტილსა და ლექსიკის შედარებით უბრალოებასთან” (იმედაშვილი 1964: 128).

მკვლევარი მიუთითებს „ქეთევანის წამების” ორმაგ ხასიათზე, როდესაც წერს, რომ თეიმურაზის პოემა სასულიერო და საერო ლიტერატურული ტრადიციების ურთიერთობის ის საფეხურია, რომელიც თემატურად და იდეოლოგიურად აგიოგრაფიული ანუ სასულიეროა, ფორმის მხრივ კი საერო. **საერო მწერლობას მკვეთრად შემუშავებული ეროვნული იდეალი აგიოგრაფიამ უანდერძა – ესაა მოწამე გმირი და „თეიმურაზს შეიძლება მიეკუთვნოს მისი ნაკადის მხოლოდ საერო პოეზიაში შეტანის პრიორიტეტი”** (იმედაშვილი 1964: 148).

XVII საუკუნის ევროპაში წამებულის, როგორც მორალური გმირისადმი ყურადღების გამახვილების თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი პარალელი: ესპანეთში ქრონოლოგიურად ამავე პერიოდში შეიქმნა კალდერონის დრამა – „მტკიცე უფლისწული” (1628-1629). ნაწარმოები მოგვითხრობს უტეხი პორტუგალიელი უფლისწულის – დონ ფერნანდოს

გმირულ ცხოვრებასა და მოწამებრივ სიკვდილზე, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა მკერებს და უარი განაცხადა მეგობრის და სამშობლოს ღალატის ფასად თავისუფლების მიღებაზე. დრამატურგი, ხატავს რა ღონ ფერნანდოს ბედს, წარმოსახავს მას როგორც „წმინდანის ცხოვრებას“ (ისტორია... 1987: 47-48). ზოგიერთი მკვლევარი მას აგიოგრაფიული ტიპის ნაწარმოებად მიიჩნევს, ზოგიერთი კი რელიგიურ-ფილოსოფიურ დრამად თვლის. მაგალითად, ესპანური ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი მენენდეს-ი-პელაიო „მტკიცე უფლისწულს“ აგიოგრაფიული ტიპის ნაწარმოებებს მიაკუთვნებდა, ხედავდა რა მასში დრამატიზირებულ „ცხოვრებას“ (ტომაშევსკი 1969: 30).

ქრისტიანული თემატიკის და მასთან დაკავშირებული გმირის – მარტვილის, მებრძოლის, მხედართმთავრის – ბაროკოს ლიტერატურაში ასახვასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა საფრანგეთის მაგალითი. იქ ბაროკოს ეპოქის მიწურულს, 1654-1657 წლებში გამოქვეყნდა რამდენიმე „ჰეროიკული პოემა“ ანუ ეპოპეა. მათთვის ნიმუშს ჰომეროსისა და ვირგილიუსის პოემები წარმოადგენდნენ, მაგრამ გადამწყვეტი და პრინციპული იყო ის, რომ მათში თანამედროვეობის ხაზგასმა ხდებოდა წმინდა წერილიდან, წმინდანთა ცხოვრებიდან და საერთოდ ქრისტიანობის ისტორიიდან აღებული სიუჟეტების დამუშავებით. მოხდა წარმართული სიუჟეტების ჩანაცვლება ეროვნული ისტორიიდან აღებული სიუჟეტებით, ჰეროიკული პოემის მთავარი გმირები იყვნენ ფრანგი ერის შემქმნელი გმირები. სენ სორლენის პოემაში „ხლოდვიგი, ანუ გაქრისტიანებული საფრანგეთი“ (1657) ხლოდვიგი, საფრანგეთის პირველი ქრისტიანი მეფე, წარმოდგენილია, როგორც მისაბადი ქრისტიანული გმირი, რომელის მოქმედებაც ეროვნულ თვითშეგნებას ემყარება. საგულისხმოა ამ ნაწარმოების აღმზრდელობითი დანიშნულება იმ ეპოქის კონტექსტში, გამოხატული თანამედროვეის მიერ: „ახალგაზრდა ლუდოვიკო XIV-ს უნდა მიეხადა ხლოდვიგის გმირული სათნოების ნიმუშისათვის და უნდა ესწავლა სიყვარული დედა ეკლესიისა. ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშად კი შაპელენის „ქალწული“ მიიჩნეოდა. მისი გმირი – ჟანა დ'არკი ის საერთო-ეროვნული მნიშვნელობის ფიგურა იყო, რომელმაც თავისი სიმტკიცით მტერზე გაიმარჯვა (შევო 1997: 105).

მამასადამე, საქართველოსა და ევროპაში მსგავსი ლიტერატურული პროცესები მიმდინარეობდა, მორალური გმირის ლიტერატურაში წარმოჩენის აუცილებლობა მათში ერთდროულად, თითქმის პარალელურად გაჩნდა. ევროპაშიც და საქართველოშიც მსგავსი სიტუაცია იყო, თუ დასავლეთში რელიგიური ომები მძვინვარებდა, საქართველოს გარეშე მტრები ესხმოდნენ თავს, და ამ მსგავსმა მდგომარეობამ მსგავსი ასახვა ჰპოვა ლიტერატურაში. საქართველოსა და საფრანგეთში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები თავისი არსით იდენტურია, რაც იმაში მჟღავნდება, რომ თუ

მანამდე საქართველოში ხდებოდა უცხო სინამდვილიდან აღებული თემატიკის დამუშავება და საერო მწერლობაში დიდხანს ვერ პოულობდა ადგილს საკუთარი სინამდვილიდან აღებული ეროვნული გმირის სახე, თეიმურაზის თხზულება პირველია, სადაც ეროვნული გმირი – ქეთევან წამებულია გამოყვანილი; საფრანგეთში კი ანტიკური გმირების ადგილი ეროვნული ისტორიიდან აღებულმა გმირებმა დაიკავეს; მაშასადამე, ორივე ქვეყანაში მოხდა უცხო გმირისა და თემატიკის ჩანაცვლება ნაციონალური გმირითა და შესაბამისად ნაციონალური თემატიკით.

ამ პარალელების საფუძველზე ვხედავთ, რომ ევროპული ბაროკოს ლიტერატურას თემისა და გმირის შერჩევის თვალსაზრისით ეხმაურება იმავე პერიოდის ქართული ლიტერატურა (ნაჭყებია 2005: 82-83).

XVII საუკუნეში განსაკუთრებით გამოჩნდა ევროპის დიდი დაინტერესება საქართველოთი, რაც პოლიტიკური-რელიგიური მოტივებით იყო განპირობებული, ეპოქის სულისკვეთებამ, ბაროკოს ეპოქის მსოფლმხედველობამ და მსოფლადქმამ კი განაპირობა ის, რომ იმ პერიოდის რეალური ფაქტი ქართული სინამდვილიდან, ქეთევან დედოფლის წამება სარწმუნოების ერთგულებისთვის შაჰ-აბასის ბრძანებით, საფუძველი გახდა იმისა, რომ ამ ამბით შეძრწუნებულ და ამავე დროს – აღფრთოვანებულ ევროპელ ავტორებს ქართველი დედოფლის ეს თავდადება თავისი თხზულებების შესაქმნელად გამოეყენებინათ.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ქეთევანის სახე აისახა გერმანელი დრამატურგის – ანდრეას გრიფიუსის ტრაგედიაში – „ქეთევან (კატერინა) ქართველი, ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“ (1647), რომლის სათაურიც უკვე შეიცავს იმ ზნეობრივ პოტენციალს, რომელიც გამოხატავს მწერლის დამოკიდებულებას მთავარი გმირის მიმართ. 1701 წელს კი სლოვაკეთის ქალაქ სკალიცაში, რომელიც კონტრრეფორმაციის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, დაიდგა ანონიმი სკალიცელი იეზუიტის პიესა ქეთევან დედოფლის შესახებ სათაურით – „კატერინა (ქეთევანი), ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი“, რომლის სათაურიც მიუთითებს იმაზე, რომ ნაწარმოების მთავარი გმირი მოწამეა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ აირჩია ორმა ევროპელმა ავტორმა თავისი ნაწარმოების თემად ქართველი დედოფლის ტრაგიკული ისტორია. ამაზე პასუხს ის მშფოთვარე ატმოსფერო იძლევა, რომელიც XVII საუკუნის ევროპაში სუფევდა.

ბაროკოს ეპოქის ადამიანი იცნობდა სამ მეთოდს, რომელსაც მისი შინაგანი განხეთქილება უნდა გაემთლიანებინა – **ეს იყო გრძნობების, ნებისყოფის და აზროვნების გზა**. ერთიანობის მიღწევის ამ სამ საშუალებასთან იყო დაკავშირებული ბაროკოს ადამიანის სამი ტიპი: **მისტიკოსი, მორალური გმირი**

და უნივერსალური ბრძენი. მისტიკოსი მიდიოდა გრძნობის გზით (სიყვარული), მორალური გმირი – ნებისყოფის გზით (მოქმედება) და უნივერსალური ბრძენი – აზროვნების გზით (სიბრძნე). შესაბამისად, ბაროკოს ცენტრალურ გმირად წმინდანი, მოწამე, მხედართმთავარი, თავგადასავლების მოყვარული და დამპყრობელი იქცა და ეს იმით იყო განპირობებული, რომ ამგვარი გმირების საქციელი მომდინარეობდა ერთი მხრივ მოწინააღმდეგეზე გამარჯვებიდან, მეორე მხრივ კი – თვითღაძლევიდან (მინარიკი 1985: 198-199).

ის საერთო სიტუაცია და განწყობილება, რომელიც ევროპაში სუფევდა, ნათელს ხდის ქეთევან წამებულის მოწამებრივი აღსასრულის მიმართ იმ ინტერესს, რომელიც ევროპელებმა გამოიჩინეს ქართველი დედოფლის პიროვნებისადმი: ქეთევანის პატრიოტული სულისკვეთება და სარწმუნოებისადმი ერთგულება პასუხობდა იმ იდეალს, რომელიც ამხნევებდა განუწყვეტელ რელიგიურ ომებში ჩაბმულ ბაროკოს ადამიანს, რამაც მის ცნობიერებაში მარტვილი-გმირის არქეტიპის ხელახალი გააქტიურება გამოიწვია. ამიტომაც ქართველი წმინდანის, ქეთევან დედოფლის სახელი XVII საუკუნის დასავლეთ ევროპაში კარგად იყო ცნობილი – რწმენისათვის თავდადებული დედოფლის ბედით დაინტერესება თვით ეპოქის სულისკვეთებამ განაპირობა, რაც ზნეობრივი იდეალის, მორალური გმირის ძიებით იყო ნაკარნახევი.

ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია – „ქეთევან (კატერინა) ქართველი, ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“, რჯულისა და მამულისათვის თავგანწირული ქართველი დედოფლის ცხოვრებას ეძღვნება. იგი ისტორიული სინამდვილის ამსახველ წყაროთა საფუძველზეა დაწერილი და ისტორიული ქრონიკის ტიპის დრამატულ ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელშიც ზედმიწევნით არის წარმოდგენილი საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება იმ წყაროთა თანახმად, რითაც ხელმძღვანელობდა გრიფიუსი, გერმანული ბაროკოს ეს ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. გატანჯული საქართველოს ყოფის დახატვით მინიშნებებით თავისი სამშობლოს გავერანებულ ყოფაზე საუბრობდა.

პიესაში ნაჩვენებია სპარსეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ერთი ეპიზოდი. ქართველმა დედოფალმა ქეთევანმა არაერთხელ დაიცვა სამშობლო და სამეფო ტახტი შაჰ-აბასის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო როდესაც სპარსეთის შაჰი ხელახლა დაესხა თავს საქართველოს, ქეთევან დედოფალი თავისი ნებით წავიდა შაჰთან, რათა ეხსნა სამშობლო. მაგრამ ელჩად მისული დედოფალი დაატყვევეს და სპარსეთის ქალაქ შირაზში გაგზავნეს, რის შემდეგაც შაჰ-აბასმა ქეთევანს ცოლობა და სპარსეთის დედოფლობა შესთავაზა და მოსთხოვა მას ქრისტეს რჯული დაეგდო და მაჰმადიანობას მიეღო. ქართველმა დედოფალმა უარი განაცხადა ამგვარ შეურაცხყოფელ წინადადებაზე. მიუხედავად შაჰის თხ-

ოვნისა და მუქარისა, ქეთევანმა შაჰს განუცხადა, რომ იგი მზადაა მიიღოს „ცეცხლი და რკინა“ და მრისხანე და ვერაგი შაჰის სურვილი ამაყად უარყო. შაჰმა დაუმორჩილებელი დედოფალის წამება ბრძანა. მთელი ტრაგედიის მანძილზე ქეთევანი დახატულია, როგორც პიროვნება, რომელიც მხოლოდ მამულის თავისუფლებაზე და რჯულის სიწმინდეზე ფიქრობს და ქედს არ უხრის ტირანს, ირანის უძლიერეს შაჰს, რომლის ხელთაა მისი სიცოცხლეც და სიკვდილიც. განსაკუთრებით მკვეთრად იხატება ქეთევან დედოფლის მტკიცე ხასიათი მეოთხე მოქმედებაში, როდესაც იმამყულიხანი შაჰის ბრძანებით ცდილობს ათასნაირი ამქვეყნიური სიამის დაპირებით აცთუნოს დედოფალი, რათა მან უარყოს ქრისტე, ირწმუნოს მაჰმადი და სპარსეთის დედოფალი გახდეს. გვირგვინი ან წამება, ბედნიერი სიცოცხლე ან ტანჯვით სიკვდილი – ასეთია ალტერნატივა, რომელიც შაჰის ბრძანებაშია. დედოფალი მარადიულ ციურ დიდებას არჩევს ამქვეყნიურ წარმატებულ დიდებას, რომელიც რწმენის ღალატის ფასად მოიპოვება. სპარსელი ტირანი ქართველმა დედოფალმა თავისი ზნეობრივი სიმტკიცით დაამარცხა. მტკიცედ და უდრტვინველად გაუძლო დედოფალმა გაგარვარებული მარწუხებით მიყენებულ საშინელ ტანჯვას და ცხოვრება საზარელი წამებით დაასრულა. ქეთევანმა გმირულად არჩია მოწამებრივი სიკვდილი და არ უღალატა თავის სარწმუნოებასა და ერს. გრიფიუსის ტრაგედიის ცენტრში მოწამის სახეა, რომელიც ყოველთვის მარადიულ ღირებულებათა შესაბამისად მოქმედებს.

ისევე, როგორც დანარჩენ ევროპაში, ავსტრია-უნგრეთის მონარქიაშიც, რომლის ნაწილსაც სლოვაკეთი შეადგენდა, მწვავე კრიზისი იდგა. რელიგიურ ბრძოლაში, რომელიც იქ მიმდინარეობდა, კონტრარეფორმაციას მხარს განსაკუთრებით იეზუიტები უჭერდნენ. თავისი მიზანდასახულებით თავის მათ თეატრალური წარმოდგენები გამოიყენეს, რომლის აღმზრდელობითი მნიშვნელობა სწრაფად ამოიცნეს და დააფასეს. სასკოლო პიესების თემატიკა არსებითად განსაზღვრული იყო, იგი ზნეობრივი აღზრდის საქმეს ემსახურებოდა და თემების შერჩევაც შესაბამისად ხდებოდა: პიესების მასალას იღებდნენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, ხშირად იყენებდნენ ეპიზოდებს ქრისტეს ცხოვრებიდან, ასევე ყურადღებით სარგებლობდა პიესები ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებიდან, ამ ნაწარმოებთა წყაროს წმინდანთა ცხოვრებებიც წარმოადგენდა, იყენებდნენ ეპიზოდებს ანტიკური და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან.

ანონიმი სლოვაკი იეზუიტის სასკოლო პიესაში – „კატერინა (ქეთევანი), ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი“. ქართველი დედოფალი სარწმუნოებისა და მამულის ერთგულების სიმბოლოს წარმოადგენს და მაყურებლისათვის იგი სარწმუნოებისადმი

ერთგულების მისაბაძი მაგალითი უნდა გამხდარიყო, რასაც ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ (ნაჭყეია 1992: 58-67).

პიესის მიხედვით, როდესაც შაჰ-აბასმა დაამარცხა ქართველთა მეფე თეიმურაზი, ააოხრა ქვეყანა და მრავალი ქართველი ტყვე ისპაჰანში გარეკა, ტყვეთა შორის იყო ქართველთა დედოფალი ქეთევანი (კატერინა), მეტად კეთილშობილი და ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული. შაჰ-აბასს განზრახული ჰქონდა ქეთევანის ცოლად შერთვა, მაგრამ ქართველი დედოფლის წმინდა ცხოვრების წესისა და ქრისტიანული მოძღვრების ერთგულების გამო შაჰმა საწადელს ვერ მიაღწია, თუმც იგი ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რათა ჭეშმარიტი ქრისტიანის გონებიდან ქრისტე განედევნა და მაჰმადიანობაზე მოექცია. შაჰ-აბასის ყველა ცდა ამო აღმოჩნდა, რადგანაც დედოფლის სიმტკიცე კლდესავით უტეხი იყო. შაჰმა ვერ შეძლო ქართველი დედოფლის დამორჩილება ვერც მუქარით, ვერც მზაკვრობით და ვერც პირმოთნეობით, რათა მას უარყო თავისი მხსნელი სარწმუნოება. ურყევი თავის გადაწყვეტილებაში, ქართველი დედოფალი თავად მოითხოვს დასაჯონ სიკვდილით, რასაც ამაყად ამცნობს შაჰის მოციქულს.

მთავარი სლოგაკი ავტორისათვის ის იყო, რომ ეჩვენებინა, ქეთევანი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე უარის თქმას სიკვდილს ამჯობინებს, ანუ უმთავრეს ღირებულებას ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულება წარმოადგენს.

უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა თეიმურაზისა და გრიფიუსის თხზულებათა ესთეტიკაზე. ბაროკოს მხატვრული რეალიზაცია ხდებოდა ემოციურ ატმოსფეროში, რომელსაც უნდა განეცვიფრებინა და აელელებინა ადამიანის წარმოსახვა. ბაროკოს ნაწარმოებებში ხშირია ჯვარცმისა და მოწამებრივი სიკვდილის დეტალური აღწერები და ფიზიკური ტანჯვის საგანგებო ხაზგასმა. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან, როგორც ცნობილია, ბაროკოს ეპოქაში შემოქმედთა საგანგებო ყურადღება მიჰყრობილი იყო პიროვნების ცხოვრების ყველაზე დაძაბული, კულმინაციური მომენტისადმი: სწორედ ასეთია წამების სცენა, რომელსაც ბაროკოს ეპოქაში მთავარი როლი მიენიჭა. როგორც ბაროკოს ლიტერატურის მკვლევარნი აღნიშნავენ, რეალისტურ კონკრეტულ დეტალთა დაწვრილებითი აღწერა განსაკუთრებით იზიდავდა დრამატურგებს და პიესები სავსე იყო წამებათა უსასტიკესი სცენებით (სოფრონოვა 1982: 195-196).

თეიმურაზის პოემაში განსაკუთრებული განცდითა და ემოციურობით არის აღწერილი ქეთევანის წამების მომენტები: მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად თეიმურაზი ჯერ დეტალურად აღწერს წამების იარაღებს და უკვე ამით წინასწარ ახდენს მკითხველზე მძაფრ ემოციურ ზემოქმედებას და შიშის, შეძრწუნების გრძნობას იწვევს:

„პირველად ცეცხლთ დააგზნეს, მაშინ ჩაყარეს რკინანი,
მაშინ რაღაცა მოეხენეს საწველნი სისხლთა მდინანი.
უთხრეს, თუ: „რჯულზედ მოექცე, დააგდე იგი წინანი
თვარე სასველი ეს არის, რა ნახო, შენცა ინანი“ (50).

„ქვეშ დაუფინეს, დახურეს ზედა ლურსმისა რკინანი,
ქვე წაიარეს, გააპეს ბროლი, ლალი და მინანი (68).

ან

„ვიღად ქვაბი, ყამჩად ბარი, ამბარჩებად საჯებიან,
ვარდად ცეცხლი, ქინძისთვებად შამფურებით ირჯებიან,
ჩქიფად გაზი, ბუნბულ-საბნად ლურსმის წვერი ჯაჯებიან,
ყოლ ბაღებად გაძაბული თოკით ჰქონდა მაჯებიან“ (69).

საინტერესოა ამ სტრიქონების შედარება გრიფიუსის თხზულებასთან, სადაც ეპოქის ესთეტიკის თანახმად, გრიფიუსიც ნატურალისტურად აღწერს ამ სცენებს:

„ორსავ თეძოზე მარწუხები ეკიდა ახლა,
მძიმე შანთები ძუბუბებში ჩასჭიდეს მალა.
სისხლი სდიოდა, ცეცხლს აქრობდა – ცეცხლსა და რკინას;
გახსნეს ფილტვები, გზა გაუხსნეს სიკვდილის ყინვას,
მკერდში რკინების გაყრით სულსაც გაუღეს კარი“

(გრიფიუსი 1975: 195).

ორივე შემთხვევაში ავტორებს წამების აღწერის პარალელურად მოჰყავთ ქრისტეს ჯვარცმის ამბავი:

თეიმურაზი:

„იცი ხომ, ქრისტეს რა უყვეს, ამ სასწაულსა ღვთისასა,
ლერწამნი ფრჩხილსა დაავლეს დამხსნელსა ადამისასა,
ლურსმნითა ძელსა მიაკრეს, ჰყოფენ ნებასა მისასა,
რად არ იჭირვი, ეღირსო საქმესა წამებისასა?“ (63)

გრიფიუსი:

„ხომ იყო მისი მაცხოვარიც ასე ჯვარცმული,
ხელფეხშეკრული და შიშველი, განა ჩაცმული!
ჯაჭვით შებოჭეს და აწამეს ჯვარზე გაკრული,
ასე განშორდა ამ გლოვის ველს ქრისტეც ჩაგრული“

(გრიფიუსი 1975: 194).

მაშასადამე, გარდა მორალური გმირის პრობლემის დაყენებისა, თეიმურაზის პოემა ევროპულ ბაროკოს თავისი პოეტიკითაც ეხმაურება.

დაბოლოს, თუ XVII საუკუნის ევროპაში მორალური გმირის ძიებაში მწერლები წარსულისაკენ მიმართავდნენ მზერას და იდეალს წარსულში ეძებდნენ, ან სხვა ქვეყნის ისტორიას იშველიებდნენ, საქართველოში ამგვარი პიროვნება რეალურად არსებობდა. საგანგებო მნიშვნელობის ფაქტია, რომ ქეთევანის პიროვნება აისახა გერმანულ და სლოვაკურ ლიტერატურაში და სამუდამოდ დაიმკვიდრა იქ ადგილი, როგორც პატრიოტმა და სარწმუნოებისათვის თავდადებულმა პიროვნებამ, წამებულმა, მორალური გმირის განსახიერებამ.

თავი X.

ოლქარიუისის და ბისელიუსის წყაროების შედარება ანონიმი სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესასთან

სლოვაკმა იეზუიტმა თავისი პიესის წყაროდ ორი ავტორი დაასახელა – იოჰანეს ბისელიუსი და ადამ ოლქარიუსი. ბისელიუსის ვრცელ წიგნს – “Illustes ruinae” მივაკვლიეთ მოსკოვში, ყოფილი ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის „წიგნთა მუზეუმში“ და ვთარგმნეთ ის მონაკვეთი, რომელიც საქართველოსა და ქეთევანზე ცნობებს შეიცავს. ოლქარიუსის ნაშრომი “De rebus gestis Schach-Abae” ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა, მაგრამ არსებობს ოლქარიუსის ერთ-ერთი წიგნის რუსული თარგმანი, ეს არის „მოსკოვში და მოსკოვის გავლით სპარსეთში და უკან მოგზაურობის აღწერა“ წიგნში შენიშვნის სახით არის აღნიშნული, რომ მე-18 და მე-19 თავები, რომლებიც საქართველოს ეხება, თარგმნილი და წიგნში შეტანილი არ არის (ოლქარიუსი 1906: 416). რამ გამოიწვია ამ თავების გამოტოვება, განმარტებული არ არის. მაგრამ ქართველმა მკვლევარმა – შოთა რევიშვილმა მიაკვლია ოლქარიუსის ამ წიგნს გერმანულ ენზე “Ausführliche Beschreibung der kundbaren Reise nach Moscou und Persien, so durch Gelegenheit einer Holsteinischen. Gesoandtschaft von Gottorft auss an Michael Fedorintz, der Grossen Zaarn in Moscou und Schach Sefi, König in Persien, Geschechen Schleswig, 1659” – „დაწვრილებითი აღწერა მოსკოვსა და სპარსეთში საყოველთაოდ ცნობილი მოგზაურობისა, რომელიც მოეწყო მოსკოვის დიდი მეფის მიხეილ თევდორეს ძისა და სპარსეთის მეფის შაჰ-სეფის კარზე გოტტარიფიდან ჰოლშტეინის საელჩოს გაგზავნასთან დაკავშირებით“. იმ მონაკვეთის თარგმანი, რომელიც საქართველოსა და ირანის ურთიერთობებს ეხება, გამოაქვეყნა თავის სტატიაში, რომელიც 1971 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“ (რევიშვილი 1971).

მიუხედავად იმისა, რომ სლოვაკურ წყაროში მითითებული სათაური არ ემთხვევა არც რუსულად თარგმნილი წიგნის სათაურს და არც შ. რევიშვილის მიერ გადმოქართულებული ნაშრომის სათაურს, მაინც მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს წიგნი უნდა ყოფილიყო სლოვაკი ავტორის მიერ მითითებული. ამ დასკვნამდე იმის საფუძველზე მივედით, რომ პირველ რიგში ერთმანეთს შევუდარეთ ჩვენს ხელთ არსებული ბისელიუსის და ოლქარიუსის ინფორმაციები ჩვენთვის საინტერესო თემაზე. ამ შედარების ნიადაგზე ისიც ირკვევა, რომ ბისელიუსმა სწორედ ოლქარიუსის

ნაშრომით ისარგებლა, როდესაც თავის კომპილატორული ხასიათის წიგნს წერდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და ქეთევანის შესახებ წერისას მას რაღაც სხვა წყაროც გააჩნდა. ჩვენი ნაშრომი მიზნად არ ისახავს ბისელიუსის წიგნის წყაროების კვლევას, ჩვენ მხოლოდ იმის გარკვევა გვინტერესებს, თუ რომელი ისტორიული ფაქტი საიდან აიღო სლოვაკმა იეზუიტმა თავისი პიესის წერისას. ერთი კი აშკარად ნათელია: ქეთევანის ტყვეობის, შაჰ-აბასის მისდამი მიჯნურობის და მისი სიკვდილით დასჯის ამბის გადმოცემისას ბისელიუსს რაღაც სხვა წყაროთი უსარგებლია, ვინაიდან ოლეარიუსის ნაშრომი, როგორც ირკვევა, ამ ინფორმაციას არ შეიცავს. ბისელიუსს შეიძლება ხელთ ჰქონოდა 1664 წლამდე გამოცემული ნებისმიერი წყარო, რომელიც ქეთევანის ამბავს შეიცავდა, არც გერმანელ იეზუიტ – ათანასე კირხერთან არის გამოსარიცხი მისი ნაცნობობა. ქვევით ერთმანეთის პარალელურად მოგვყავს ის ფრაგმენტები, რომლებიც ორივე ავტორთან გვხვდება.

ცნობები შაჰ აბასის ბრძანებით მისი ვაჟის – სეფი-მირზას მკვლელობის შესახებ

ოლეარიუსი

„გარდა იმისა, რომ [შაჰ-აბას-მა – მ. ნ.] სიკვდილით დასაჯა მის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილე მახლობელი ადამიანები, ურჩობისა და უზიარებლობისათვის დააბრმავა თავისი მეორე და მესამე ვაჟი (გვ. 652), ხოლო პირველი, ქართველი ქალისაგან გაჩენილი, – სეფი მირზა, – სულაც მოაკლევინა. ადამ ოლეარიუსი საკმაოდ დაწვრილებით ყვება დედით ქართველი უფლისწულის ცხოვრებისა და მკვლელობის ამბავს: „რადგანაც უფრო ადრე შაჰ-აბასმა ბრძანა მოეკლათ მისი შვილი, ტახტის მემკვიდრე, სეფი მირზა, ერთადერთი ყოვლად უსაფუძვლო ეჭვის გამო (გვ. 649). ოლეარიუსი საჭიროდ მიიჩნევს დაწვრილებით ილაპარაკოს ამ უნიადაგო ეჭვზე და მის

ბისელიუსი

„ის, რომ მან ვაჟიც კი არ დაინდო, რომელიც მმართველობის მემკვიდრედ იყო დანიშნული, სეფი-მირზა, ჭაბუკი, შემკული მრავალი თანდაყოლილი და შეძენილი ღირსებით, შობილი ქრისტიანი ქალის მიერ (ბისელიუსი 1663: 1059). სეფი მოკვდა, იგი წარჩინებული სპარსელის, ბებუთბეგის ხელით იქნა ჩამოგდებული ცხენიდან და განგმირული მახვილით, ხოლო მისი გვამი მოფარებული ადგილიდან გამოიტანა დასანახად და არ მოასვენა; მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მისი სხეული დამარხული იქნა მაღალი წრის პირების ზრუნვის შედეგად.

მირზას დაღუპვას არ ჰქონდა სხვა მიზეზი, გარდა უდანაშაულობისა და კეთილგონიერი გულუბრყვი-

სავალალო შედეგებზე. იგი წერს: მოხუცი შაჰ აბაზისაგან განაწყენებულმა დიდებულებმა სცადეს მისი ტახტიდან ჩამოშორება და ხელმწიფედ სეფი მირზას დასმა. უფლისწულს ამ შინაარსის წერილიც კი მიუგდეს. სეფი მირზამ, როგორც მართალმა და პატიოსანმა ადამიანმა, ამის შესახებ აცნობა მამას. შაჰ აბასი ერთ დროს კმაყოფილიც კი იყო შვილის ერთგულებით, მაგრამ შემდეგ დაეჭვდა მის გულწრფელობაში. იგი შეიპყრო შიშმა და გამოსავალი შვილის სიკვდილში ნახა. მეფემ თავისთან იხმო ყორჩიხა-ხანი და უბრძანა სეფი მირზას მოკლა. ყორჩიხა ხანმა მოიხსნა ხმალი, ფეხებში ჩაუვარდა შაჰს და დაუწყო მუდარა ასეთი მძიმე დავალებისაგან განთავისუფლების თაობაზე (გვ. 649-650). გულქვა შაჰმა შეიწყნარა მისი ვედრება, ხოლო მკვლელობის საქმე დაავალა ერთ თავადს, სახელად ბებუთ ბეგს (Bebut-bek). მან მოკლა დედით ქართველი სეფი მირზა”.

ლობისა: ვიღაცამ დიდგვაროვანთა ბანაკიდან, რომელსაც სურდა მირზა რაც შეიძლება სწრაფად მოსულიყო ძალაუფლების სათავეში, მისწერა წერილი და შეუგდო ოთახში. მან კი მაშინვე მამას გადასცა, რათა ამით გაექარწლებინა ასეთი მეამბოხური და ვერაგული წერილის შინაარსი. ამის შემდეგ მეფის გულში ჩაისახა ეჭვი, ხომ არ სურს ვაჟს დროზე ადრე დაეპატრონოს ძალაუფლებასო; ამგვარად მამობრივმა სიყვარულმა ნელ-ნელა დაიწყო გადაზრდა ორგულობასა და ღალატი-სადმი სიძულვილში. ამრიგად მან მოკლა ის, ვისაც ბედისწერისა და სხვა ვითარებათა გამო, როგორც მშობელმა, სიცოცხლე უბოძა, თუმცა იგი მისთვის ძვირფასი იყო. შემდეგ მისი გვამი მოკვეთილი ხელებით, მოათავსა თავისთან ნათელ და წყნარ ადგილას (ბისელიუსი 1663: 1060). ამგვარად, იყო რა საზარელი, თავის მემკვიდრედ კიდევ უფრო საზარელი ვინმე აირჩია, შაჰ-სეფი, მირზას შვილი და თავისივე შვილიშვილი”.

შაჰ-აბაზის ლაშქრობები საქართველოზე

ოლეარიუსი

„პირველი მოსვლისას, გერმანელი მწერლის ცნობით, საქართველოში შაჰ-აბასმა დაჰყო ცხრა თვე. სადღაც ზაგემის (Seggen) მხარეში (საქართველოს შუაში რომ მდებარეობს). იქ მას ლაშქრითურთ შეეგება მეფე თეიმურაზი (Temeras Chan) და განიცადა დიდი მარცხი,

ბისელიუსი

„(ბისელიუსი 1663: 1061) ამას გარდა, ქართველებს (Georgianos), რომლებიც ქრისტიანობას აღიარებდნენ, როგორც ზემოთ ვთქვით, ტომს, რომელიც არმენიის მთებს იქით ცხოვრობს, ხშირად და ხანგრძლივად ტანჯავდა იარაღით; მან ჯარი დაძრა მათი მეფის, ტამერ

რის გამოც დაკარგა ბევრი თანამებრძოლი (გვ. 645; 854).

შემდეგ შაჰი კილანში (გილანში – შ. რ.) წავიდა (გვ. 645), – გვამცნობს მწერალი, – მაგრამ როცა გაიგო, რომ თეიმურაზმა ხელახლა „დაიპყრო“ შაჰ აბაზის მიერ წართმეული ადგილები, მაშინ საქართველოში მეორედ გაგზავნა თავისი ლაშქარი ალიყული ხანის, მეჰმედ ხან ყაჯარის და მურთაზა ყული ხანის მთავარსარდლობითა და მეთაურობით. ხანები უკან დაბრუნდნენ დავალების შეუსრულებლად და განაცხადეს, მტერი მეტად ძლიერიაო, განრისხებულმა შაჰმა ბრძანა დაესაჯათ ეს დიდი მეთაურები.

მომდევნო წელს იგი თავად წავიდა დიდი ლაშქრით თეიმურაზის წინააღმდეგ და დაიფიცა, თუ გავიმარჯვებ, თითო აბაზად გავყიდი საქართველოს ყველა მაცხოვრებელს, ყოველ კაცსო (ოლეარიუსი აქ საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს: აბაზი უდრის ერთ ლიუბეკურ მარკას, ან 8 გროშს – შ. რ.). შაჰ აბასმა გაიმარჯვა და ხელთ იგდო აურაცხელი რაოდენობის ტყვე” (გვ. 688).

ხანის (Tamer Chan), სიმონ არმენის შვილის წინააღმდეგ, პირველად სათავეში ჯარს ძლიერი მებრძოლი ჯარისკაცი ედგა; მეორედ, თავისი არყოფნის დროს მან გასცა ბრძანება, რომელიც შეუსრულებელი აღმოჩნდა ტამერის დაუმარცხებელი სიძლიერის გამო; სპარსეთში დაბრუნების შემდეგ მან მოკლა ყველა, თუმცა მათი ერთადერთი ბრალი ხომ იმაში მდგომარეობდა, რომ მათი იარაღი უიღბლო აღმოჩნდა: ესე იგი, თუ კიდევ იყო დანაშაული, ეს შემთხვევითობა იყო, და აბა ვინმემ სცადოს შემთხვევითობის დაძლევა.

ამის შემდეგ მან მესამედ დაიწყო ლაშქრობა, თვითონ ჩაუდგა მას სათავეში, შეიჭრა საქართველოში ჯარის კიდევ უფრო დიდი ნაწილით და დაეპატრონა მას; ცხრა თვის შემდეგ გააჩანაგა იგი, მანამდე კი ფიცის კანონის შესაბამისად დაიფიცა: რომ თუ შეძლებდა გამარჯვებული ჯარით დაბრუნებას, მაშინ ყველა ქართველი ტყვე, ორივე სქესისა, გაყიდულ იქნებოდა თითო აბად. ერთი (ბისელიუსი 1663: 1062) აბი – ეს არის სპარსული ფული, მოჭრილი მეფე აბის დროს, რომელიც უტოლდება რვა ევროპულ ლინარს. ცოდვილმა ფიცმა წარმატება ჰპოვა. საბოლოოდ ტამერი დამარცხდა; გაიმარჯვა შაჰ-აბასმა”.

დიდებულების მოწამვლა შაჰ-აბაზის მიერ

ოლქარიუსი

„ათი ღლის შემდეგ რეშტიდან შაჰი გაემგზავრა ქ. ყიზვანს. იქ სადილზე დაპატიჟა ყველა, შეთქმულებაში ეჭვმიტანილი და დამბეზღებელიც. ბრძანა, მისთვის სუფრაზე მორთმეულ ღვინოში ჩაერიათ საწამლავი და არ გაეშვათ გამომთვრალი სტუმრები, ვიდრე შხამი არ იზამდა თავისას“ (გვ. 651).

ბისელიუსი

„(ბისელიუსი 1663:1059) ამის შემდეგ მეფემ თავისთან დაპატიჟა სახელმწიფოს წარჩინებული ადამიანები, დასვა სამეფო სუფრასთან და შხამი შეასვა; და მაშინვე კითხულობდა, თუ რატომ კარდებოდა ძირს და კვდებოდა ყველა მათგანი“.

ბებუთ-ბეგი

ოლქარიუსი

„ბებუთ ბეგი (Bebut-bek) იმჟამად არ იყო წვეულთა შორის. იგი დააწინაურეს კიდევაც. რამდენიმე წლის შემდეგ კი მას შაჰი ესტუმრა ყაზვანში და უბრძანა ბებუთ ბეგს, მოეკვეტა თავი საკუთარი შვილისათვის და მიერთმია მისთვის. ბებუთ ბეგი იძულებული გახდა, შეესრულებინა თავისი შაჰის ეს სისხლიანი დავალება“ (გვ. 651).

ბისელიუსი

„ამავე გზით დაამხო მან ბებუთ-ბეგი (Bebutbeki), მირზას, მეფის შვილის მკვლელი, (როგორც ზემოთ ვთქვით) და მისი ქონება მიითვისა. ბრძანა მომდევნო შვილისათვის ყელი გამოეჭრათ, თავი და თავმოკვეთილი გვამი კი მეფის სამზერად უნდა გამოეფინათ“.

ფიცის დადება ქართველ ტყვეთა გაყიდვის თაობაზე, (სპარსული ფულის ერთეული)

ოლქარიუსი

„მომდევნო წელს იგი თავად წავიდა დიდი ლაშქრით თეიმურაზის წინააღმდეგ და დაიფიცა, თუ გავიმარჯვებ, თითო აბაზად გავყიდი საქართველოს ყველა მაცხოვრებელს, ყველა კაცსო (ოლქარიუსი აქ

ბისელიუსი

„ცხრა თვის შემდეგ გააჩანაგა იგი, მანამდე კი ფიცის კანონის შესაბამისად დაიფიცა: რომ თუ შეძლებდა გამარჯვებული ჯარით დაბრუნებას, მაშინ ყველა გეორგიანელი ტყვე, ორივე სქესისა, გაყ-

საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს: აბა-
ზი უდრის ერთ ლიუბეკურ მარკას,
ან 8 გროშს – შ. რ.)”.

იდულ იქნებოდა თითო აბად. ერთი
(ბისელიუსი 1663: 1062) აბი – ეს
არის სპარსული ფული, მოჭრილი
მეფე აბის დროს, რომელიც უტოლ-
დება რვა ევროპულ ლინარს”.

ქართველების ისპაჰანში გადასახლება

ოლეარიუსი

ა. ოლეარიუსი ლაპარაკობს
აგრეთვე სხვა ქართველებზე, რო-
მელთაც პირადად ხვდებოდა. შაჰ-
აბასის დროსო, – აღნიშნავს ავტო-
რი, – ბევრი ქრისტიანი საქარ-
თველოდან ისპაჰანში გადასახლეს,
რომელთა მემკვიდრეები ჩვენ იქ
ვიხილეთო (გვ. 646).

ბისელიუსი

„საბოლოოდ ტამერი დამარცხ-
და; გაიმარჯვა შაჰ-აბასმა; დამორ-
ჩილებულია ურჩი ტომი; პერსი-
აში, ქალაქში, რომლის სახელია
ისპაჰანი, წაიყვანეს შებოროტი
ქართველების უზარმაზარი რაოდე-
ნობა. იქ დღესაც შეიძლება მათი
შთამომავლების ნახვა და ასევე
ქრისტიანთა ნაშთებისა”.

როგორც შედარების შედეგად ირკვევა, ამ ორ ნაშრომის საერთო ეპი-
ზოდებია:

1. შაჰის ბრძანებით მისი ვაჟის – სეფი-მირზას მკვლელობა, რომელ-
იც მას ქრისტიანი ცოლოსგან ჰყავდა,
2. შაჰ აბაზის ლაშქრობები საქართველოზე,
3. შაჰის ბრძანებით დიდებულების მოწამვლა და მათი ამოხოცვა,
4. შაჰ-აბაზის მიერ ფიცის დადება ქართველ ტყვეთა გაყიდვის თაო-
ბაზე, სპარსული ფულის ერთეულის განმარტება,
5. ბებუთ-ბეგის ეპიზოდი. ამ უკანასკნელში ბისელიუსს ოლეარიუსი-
საგან საკმაოდ განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს.

ბისელიუსის ცნობები ქეთევანის შესახებ, რომელთა ანალოგიც არ მოიპოვება ოლეარიუსის ნაშრომში

(ბისელიუსი 1663: 1060): „შემდგომ შაჰ-აბასი დიდ ადგილს უთმობს
თავის ძალაუფლებას და ყოფას, იგი კეთილმოსურნედ ექცეოდა თავის
ქრისტიან საცოლეს, რომელიც ჩვენც წმინდანთა თანაა შერაცხილი; იგი
მას ნებას რთავდა ევლო ავგუსტინელთა ორდენის მიმდევრებთან, ის-
ფაჰანის რეზიდენციაში, სამეფო ქალაქ სადისში და თვითონაც ხშირად

ტრიალებდა მათ შორის, რათა თავისთვის და ასევე მათი უბიწო წმინდანებისათვის ყელზე ჩამოეკიდა მსგავსად გულქანდისა სახე მათი საერთო ქომაგისა”.

(ბისელიუსი 1663: 1062): „სპარსეთში, ქალაქში, რომლის სახელია ისპაჰანი, წაიყვანეს შებორკილი ქართველების უზარმაზარი რაოდენობა. იქ დღესაც შეიძლება მათი შთამომავლების ნახვა და ასევე ქრისტიანთა ნაშთებისა. იქ დღესაც დასტირიან დედოფალი კლემენციას (Clementiae) გალეულ ფეხს; აიძულებდნენ რა მონობას, იგი გამოემშვიდობა სიცოცხლეს, მაგრამ მისი სული დარჩა”.

(ბისელიუსი 1663: 1062): „მაგრამ მხსნელი სარწმუნოება ყველასათვის განურჩევლად არ დაუტოვებიათ: არამედ მხოლოდ იმ ტომთა პირველი პირებისათვის, რომლებიც მაშინ უღელქვემ გააგზავნეს. ჯერ ერთი, მათ რიცხვში იმყოფებოდა კეთილშობილი სახელის რამდენიმე წინამძღოლი, ასევე სხვა წარჩინებული პირებიც; ბევრი მათგანი გეორგიანელი. შაჰ-აბასმა ყველა მათგანი აიძულა დაეტოვებინათ მშობელი მიწა, მაგრამ ვერ აიძულა ჩვენს სიწმინდეთა მიტოვება; მან ბრძანა ზოგიერთის ვერაგულად მოკლა. ამ პირთა გარდა, ტყვეთა შორის იყო კატერინა, გურზიანელთა დედოფალი – ქრისტიანული კულტურის მტკიცე მიმდევარი, უფრო ზუსტად – ორთოდოქსულისა; გარდა ამისა, იგი გამოირჩეოდა თავისი სილამაზით, ჩამომავლობითა და ღირსებით.

„ამ მიზეზის გამო, შაჰ-აბასი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა იგი დაემორჩილებინა თავისი გავლენისათვის (ბისელიუსი 1663: 1063), იგი თავის მეოთხე ცოლად განეზრახა, პირველი სამის გარდა, მაგრამ მაშინ დაინახა, რომ იგი მის სურვილებს უპირისპირებს, ერთი მხრივ წმინდანობას და მეფურ ზნეობრივ სისპეტაკეს და, მეორე მხრივ – ქრისტეს კანონს ქორწინების შესახებ ერთისა ერთთან; მაჰმადიან მეფეს არ გამოჰპარვია კეთილშობილი მეგრძოლი ქალწულის არც ერთი ცდა ვედრებით მიემართა ქრისტესათვის: შაჰ-აბასმა უბრძანა „ალყურანის“ გადამწერს მისთვის მიეწერა. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო, რადგან დედოფლის სიმტკიცე მუდამ ურყევი რჩებოდა. ვერანაირი მუქარით, სიმღერებით ფლეიტის თანხლებით, ვერანაირი ზღაპრებით ან მოფერებით და დაფიცებით ვერ შეძლო შაჰ-აბასმა დაეყოლიებინა იგი უარი ეთქვა თავის აღთქმაზე, რომელიც მან ქრისტიანულ სარწმუნოებას მისცა. და, აი, სასტიკი წამებით იგი უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი; მაგრამ მას ძალას აძლევდნენ ასკეტი ავგუსტინელები, რომლებმაც იქ შეაღწიეს და ამხნევებდნენ წმინდა წამებულის გვირგვინით. ქრისტეს შობიდან 1617 წელს იგი ცად იქნა წაყვანილი. მისი სიცოცხლიდან განსვლის მეთორმეტე წელს მას მოჰყვა, (მაგრამ სხვა სამყაროში) ბოლოსდაბოლოს შაჰ-აბასიც”.

ბისელიუსს სხვადასხვა ადგილას (ბისელიუსი 1663: 1060, 1062, 1063) სამი ცნობა აქვს უშუალოდ ქეთევან დედოფლის სარწმუნოებრივი აღმსარებლობის შესახებ. ეს ცნობები ასეთი თანამიმდევრობით გვხვდება:

1. შაჰ-აბასი „... კეთილმოსურნედ ექცეოდა თავის ქრისტიან საცოლეს, რომელიც **ჩვენს წმინდანთა თანაა შერაცხული**” (ბისელიუსი 1663: 1060; (ხაზი ჩემია – მ.ნ.)). შაჰ-აბაზის „ქრისტიან საცოლედ” ბისელიუსთან ქეთევან დედოფალი იგულისხმება. მთავარი ისაა, რომ ამ ცნობის თანახმად ბისელიუსი თვლის, რომ ქეთევანი კათოლიკური ეკლესიის წმინდანადაა შერაცხილი.

2. „ტყვეთა შორის იყო კატერინა, ქართველთა დედოფალი, ქრისტიანული კულტის მტკიცე მიმდევარი, უფრო ზუსტად – ორთოდოქსულისა” (ბისელიუსი 1663: 1062).

ეს ფრაზა მოწმობს, რომ ბისელიუსმა ზუსტად იცის – ქეთევანი მართლმადიდებელია და არა კათოლიკე. როგორ შევათანხმოთ ერთმანეთთან ეს ორი ცნობა, რომელთაგან ერთის მიხედვით ქეთევანი მართლმადიდებელია, მეორეს მიხედვით კი – კათოლიკური ეკლესიის წმინდანადაა შერაცხული? რამ მისცა საფუძველი ბისელიუსს, რომ დაეწერა: „ჩვენს წმინდანთა თანაა შერაცხული?” მას, განათლებულ იეზუიტს, ხომ უნდა სცოდნოდა, რომ მართლმადიდებლური აღმსარებლობის პიროვნებას კათოლიკური ეკლესიის წმინდანად არ შერაცხდნენ? ამის გარკვევაში იქნებ ბისელიუსის მესამე ცნობა დაგვეხმაროს.

3. „... სასტიკი წამებით იგი [ქეთევანი – მ. ნ.] უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი, მაგრამ მას ძალას აძლევდნენ **ასკეტი ავგუსტინელები**, რომელთაც იქ შეაღწიეს და **ამხნეებდნენ წმინდა წამებულის გვირგვინით**” (ბისელიუსი 1663: 1063; (ხაზი ჩემია – მ.ნ.)).

ბისელიუსი აქ აღარაფერს ამბობს ქეთევანის მართლმადიდებლობის შესახებ, მაგრამ მნიშვნელოვანია ავტორის ფრაზა, რომ, „ასკეტი ავგუსტინელები ამხნეებდნენ წმინდა წამებულის გვირგვინით”: აქედან ასე გამოდის, თითქოს ქეთევანი წამების წინ მოექცა კათოლიკედ. როგორც ჩანს, იმ დროს გარკვეულ წრეებში გავრცელებული ხმების მიხედვით ბისელიუსი თვლიდა, რომ ქეთევანი კათოლიკური ეკლესიის წმინდანადაა შერაცხილი და სწორედ ეს ამბავი დაუდო საფუძვლად თავის პიესას სკალიცელმა იეზუიტმა.

ოლეარიუსის და ბისელიუსის წყაროების შედარება ანონიმი სლოვაკი იეზუიტის პიესასთან

სლოვაკი იეზუიტი თავისი პიესის შესავალში მიუთითებს იმ წყაროებს, რომლებითაც მან ისარგებლა პიესის წერის დროს. აი, რას წერს იგი: „ასე წერს ბისელიუსი, *Illustres ruinae*, Decas IV, 2, და ოლეარიუსი *De rebus gestis Schach-Abae*, გვ. 645” (ანთოლოგია 1981: 605). ოლეარიუსის და ბისელიუს-

სის ნაშრომების შესაბამისი მონაკვეთები ერთმანეთს უკვე შევადარეთ და ნათელი გახდა, რომ ბისელიუსს უსარგებლია ოლეარიუსის წიგნით, თუმც, როგორც ჩანს, მხოლოდ ოლეარიუსი არ ყოფილა მისი წყარო. ახლა კი ის უნდა გავარკვიოთ, თვით სლოვაკმა იეზუიტმა როგორ გამოიყენა ეს მასალა. ის ცნობები, რომლებსაც ანონიმი იეზუიტი გვაწვდის პიესის შესავალში, შეიძლება პირობითად ექვს თემად დაიყოს. ესენია: 1. შაჰ-აბაზის ქრისტიანი ცოლი, 2. ორმუზის წართმევა პორტუგალიელებისათვის, 3. შაჰ-აბაზის მესამე ლაშქრობა საქართველოზე და ქართველების ისპაჰანში გადასახლება, 4. ფიცის დადება შაჰის მიერ ქართველ ტყვეთა გაყიდვის შესახებ (სპარსული ფულის ერთეული), 5. ქეთევანის ტყვედ ჩაგდება, 6. ქეთევანის წამება. ფაქტიურად ყველა ამ ცნობას პარალელი ეძებნება ოლეარიუსისა და ბისელიუსის ნაშრომებში. ქვევით თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ სამივე ავტორის თხზულებიდან შესაბამის მონაკვეთებს.

შაჰის ქრისტიანი ცოლი სლოვაკი იეზუიტი

„იმ სპარსელ მონარქთა შორის, რომელნიც ქრისტიანობის პერიოდში მეფობდნენ, იყო შაჰ-აბასი. თავისი ერთი ქრისტიანი ცოლის გამო იგი ცბიერობდა, თითქოს მორწმუნე იყო და დიდ პატივს სცემდა ქრისტეს მოძღვრებას, სინამდვილეში კი ურჯულო ცხოვრებას ეწეოდა და ქრისტიანებს სდევნიდა“.

ოლეარიუსი

„ხოლო პირველი, ქართველი ქალისაგან გაჩენილი, – სეფი მირზა, – სულაც მოაკვლევინა“ (გვ. 642).

ბისელიუსი

„სეფი-მირზა, ჭაბუკი, შემკული მრავალი თანდაყოლილი და შეძენილი ღირსებით, შობილი ქრისტიანი ქალის მიერ“ (ბისელიუსი 1663: 1059).

ორმუზის წართმევა პორტუგალიელებისათვის სლოვაკი იეზუიტი

„კუნძული ორმუზი (Ormuz), სადაც მრავალი მდიდარი ვაჭარი ცხოვრობდა, პორტუგალიის მეფეს წაართვა, რადგან შიშობდა იქ მაჰმადი არ დაევიწყებინათ“.

ბისელიუსი

„კუნძული ორმუზია (ძველებთან მას ორმუზს უწოდებენ), სადაც მრავალი ვაჭარი იყო, მან ცოტა ხნის წინ წაართვა ლუსიტანელებს, რათა იქ შემდგომ ქრისტეს კულტს არ ეძლია მაჰმადიანთა საუკეთესო რაზმებისათვის“.

შაჰ-აბაზის ლაშქრობა საქართველოზე, ქართველების ისპაჰანში გადასახლება სლოვაკი იეზუიტი

ქრისტიან ქართველებს (Georgianiv) ხშირად ავიწროვებდა ომებით, როდესაც მესამედ დაიდრა მათ წინააღმდეგ, ტამერ ხანი (Tamer chán), იმ ქვეყნის მეფე ღამარცხა, ქვეყანა გაანადგურა და მრავალი შებორკილი ქართველი ისპაჰანში გარეკა.

ოლეარიუსი

„პირველი მოსვლისას, გერმანელი მწერლის ცნობით, საქართველოში შაჰ-აბასმა დაჰყო ცხრა თვე. სადღაც ზაგემის (Seggem) მხარეში (საქართველოს შუაში რომ მდებარეობს). იქ მას ლაშქრითურთ შეეგება მეფე თეიმურაზი (Temeras Chan) და განიცადა დიდი მარცხი, რის გამოც დაკარგა ბევრი თანამებრძოლი (გვ. 645; 854).

შემდეგ შაჰი კილანში (გილანში – შ. რ.) წავიდა (გვ. 645), – გვამცნობს მწერალი, – მაგრამ როცა გაიგო, რომ თეიმურაზმა ხელახლა „დაიპყრო“ შაჰ აბაზის მიერ წართმეული ადგილები, მაშინ საქართველოში მეორედ გაგზავნა თავისი ლაშქარი ალიყული ხანის, მეჰმედ ხან ყაჯარის და მურთაზა ყული ხანის მთავარსარდლობითა და მეთაურობით.

ხანები უკან დაბრუნდნენ დავალების შეუსრულებლად და განაცხადეს, მტერი მეტად ძლიერიაო, განრისხებულმა შაჰმა ბრძანა დაესაჯათ ეს დიდი მეთაურები.

მომდევნო წელს იგი თავად წავიდა დიდი ლაშქრით თეიმურაზის წინააღმდეგ და დაიფიცა, თუ გავიმარჯვებ, თითო აბაზად გავყიდი საქართველოს ყველა მაცხოვრებელს, ყოველ კაცსო (ოლეარიუსი აქ საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს: აბაზი უდრის ერთ ლიუბეკურ მარკას, ან 8 გროშს – შ. რ.). შაჰ აბასმა გაიმარჯვა და ხელთ იგდო აურაცხელი რაოდენობის ტყვე” (გვ. 688).

ბისელიუსი

(ბისელიუსი 1663: 1061) „... ამას გარდა, ქართველებს (Georgianos), რომლებიც ქრისტიანობას აღიარებდნენ, ხშირად და ხანგრძლივად ტანჯავდა იარაღით; მან ჯარი დაძრა მათი მეფის, ტამერ ხანის (Tamer Chan),

წინააღმდეგ, პირველად სათავეში ჯარს ძლიერი მებრძოლი ჯარისკაცი ედგა; მეორედ, თავისი არყოფნის დროს მან გასცა ბრძანება, რომელიც შეუსრულებელი აღმოჩნდა ტამერის დაუმარცხებელი სიძლიერის გამო;

ამის შემდეგ მან მესამედ დაიწყო ლაშქრობა, თვითონ ჩაუდგა მას სათავეში, შეიჭრა საქართველოში ჯარის კიდევ უფრო დიდი ნაწილით და დაეპატრონა მას; ცხრა თვის შემდეგ გააჩანაგა იგი, საბოლოოდ ტამერი დამარცხდა; გაიმარჯვა შაჰ-აბასმა”.

ფიცის დადება ქართველ ტყვეთა გაყიდვის შესახებ, (სპარსული ფული) სლოვაკი იეზუიტი

დადებული ფიცის თანახმად, თუ გამარჯვებული დაბრუნდებოდა, აპირებდა თითოეული მათგანი ერთ აბად ანუ სპარსულ გროშად გაეყიდა.

ბისელიუსი

„ცხრა თვის შემდეგ გააჩანაგა იგი, მანამდე კი ფიცის კანონის შესაბამისად დაიფიცა: რომ თუ შეძლებდა გამარჯვებული ჯარით დაბრუნებას, მაშინ ყველა გეორგიანელი ტყვე, ორივე სქესისა, გაყიდულ იქნებოდა თითო აბად. ერთი აბი – ეს არის სპარსული ფული, მოჭრილი მეფე აბის ღროს, რომელიც უტოლდება რვა ევროპულ დინარს“.

ოლგარიუსი

„მომდევნო წელს იგი თავად წავიდა დიდი ლაშქრით თეიმურაზის წინააღმდეგ და დაიფიცა: თუ გავიმარჯვებ, თითო აბაზად გაეყიდი საქართველოს ყველა მაცხოვრებელს, ყველა კაცსო (ოლგარიუსი აქ საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს: აბაზი უდრის ერთ ლიუბეკურ მარკას, ან 8 გროშს – შ. რ.)“.

შაჰის მიერ ქეთევანის ტყვედ ჩაგდება და მისი ცოლად შერთვის სურვილი სლოვაკი იეზუიტი

სხვა ნადავლთან ერთად მან მოიპოვა კატერინა (Kateřina), ქართველთა დედოფალი, წარჩინებული და დიდი სილამაზის ქალი, უაღრესად კეთილშობილი და ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული. კატერინა შაჰ-აბაზს ცოლად, მეოთხე დედოფლად უნდოდა (სხვა სამი უკვე ჰყავდა), ხოლო რადგან კატერინას წმინდა ცხოვრების, უმწიკვლო ქცევისა და ასევე ქრისტიანული მოძღვრების სახით, რომელიც მხოლოდ ერთი ცოლის ყოლის ნებას რთავდა, დიდ წინააღმდეგობას და დაბრკოლებას წააწყდა, ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რათა ამ წარმართს ჭეშმარიტი ქრისტიანის გონებიდან ქრისტე განედევნა და მის ადგილას ურჯულო მუჰამედი დაეყენებინა.

ბისელიუსი

ამ პირთა გარდა ტყვეთა შორის იყო კატერინა, გურზიანელთა დედოფალი – ქრისტიანული კულტის მტკიცე მიმდევარი, უფრო ზუსტად – ორთოდოქსულისა; გარდა ამისა, იგი გამოირჩეოდა თავისი სილამაზით, ჩამომავლობითა და ღირსებით. იგი (ქეთევანი – მ. ნ.) თავის მეოთხე ცოლად განეზრახა, პირველი სამის გარდა, მაგრამ მაშინ დაინახა, რომ იგი მის სურვილებს უპირისპირებს, ერთი მხრივ წმინდანობას და მეფურ ზნეობრივ სისპეტაკეს და, მეორე მხრივ – ქრისტეს კანონს ქორწინების შესახებ ერთისა ერთთან; მაჰმადიან მეფეს არ გამოჰპარვია კეთილშობი-

ლი მებრძოლი ქალწულის არც ერთი ცდა ვედრებით მიემართა ქრისტესათვის: შაჰ-აბასმა უბრძანა „ალყურანის“ გადამწერს მისთვის მიეწერა. მაგრამ ყველაფერი ამოიყვანა, რადგან დედოფლის სიმტკიცე მუდამ ურყევი რჩებოდა (ბისელიუსი 1663: 1062; 1063).

ქეთევანის წამება სლოვაკი იეზუიტი

მაგრამ ყველა ცდა ამოიყვანა, რადგან დედოფლის სიმტკიცე კლდედავით უტეხი რჩებოდა; შაჰმა ვერანაირი მუქარით, მზაკვრობითა და პირმოთნეობით ვერ დაიმორჩილა კატერინა, რათა თავის მხსნელ სარწმუნოებაზე უარი ეთქმევინებინა. დედოფალმა სასტიკი სიკვდილი ამჯობინა სისხლის სამოსით და გამარჯვებული, ტრიუმფით წარსდგა თავისი მხსნელის წინაშე”.

ბისელიუსი

ვერანაირი მუქარით, სიმღერებით ფლეიტის თანხლებით, ვერანაირი ზღაპრებით ან მოფერებით და დაფიცებით ვერ შეძლო შაჰ-აბასმა დაეცოლიებინა იგი უარი ეთქვა თავის აღთქმაზე, რომელიც მან ქრისტიანულ სარწმუნოებას მისცა. და, აი, სასტიკი წამებით იგი უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი; მაგრამ მას ძალას აძლევდნენ ასკეტი ავეუსტინელები, რომლებმაც იქ შეაღწიეს და ამხნევებდნენ წმინდა წამებულის გვირგვინით. ქრისტეს შობიდან 1617 წელს იგი ცაღ იქნა წაყვანილი.

გარდა იმ ცნობებისა, რომელსაც ანონიმი სლოვაკი იეზუიტი თავისი პიესის შესავალში ახსენებს და შემდეგ პიესაში ავრცობს, თავად სინოფსისშიც გვხვდება სხვა ცნობების ლიტერატურულ-მხატვრული გადამუშავება, რომლებიც აშკარად ოლეარიუსის და ბისელიუსის წიგნებიდან არის აღებული. პიესაში ასეთად უნდა ჩაითვალოს შაჰ-აბასის ქრისტიანი ცოლის ამბავი, რომელიც ოლეარიუსთანაც გვხვდება და ბისელიუსთანაც, სლოვაკი იეზუიტის ფანტაზიამ შაჰის ქართველი ცოლი ქეთევანის დად აქცია. ეს ეპიზოდი I მოქმედების II სცენაში შემდეგნაირად არის გადმოცემული: „ბასილინდა, წარმართთა მეფის უძვირფასესი მეუღლე, რომელიც ადრე ქრისტიანებს წაჰგვარეს და მას აჩუქეს, ფარულად ადევნებს თვალს დედოფალ კატერინას და სახეზე ნიშნით იცნობს, რომ იგი მისი დაა”. თავის პიესაში სლოვაკ ავტორს სეფი-მირზას მკვლელობაც შეუტანია, იგი ამას უკავშირებს ტამერის (თეიმურაზის) წინააღმდეგ საომრად გაგზავნილ კარისკაცთა დასჯას, რომლებმაც ვერ შეასრულეს შაჰის ბრძანება. აი, რას წერს პიესის ავტორი II მოქმედების I სცენაში: „მეფე თავისთან იხმობს კარისკაცებს, რომელნიც მეფე ტამერის წინააღმდეგ საომრად გაგზავნა, და იმის გამო, რომ ვერაფერს მიაღწიეს

და ისე დაბრუნდნენ, თუმც მათ ვერაფერი ბრალი ვერ უპოვა, საკუთარი ხელით ზოცავს; ასევე ვაჟიშვილ მირზასაც, ფრიად გონიერ ჭაბუკს, დედით ქრისტიანს, რაღაც უბრალო მიზეზით სიკვდილით სჯის”.

თავად პიესის მთავარ კონფლიქტს ორი მოტივი წარმოადგენს: ერთია შაჰ აბაზის სიყვარული კატარინას მიმართ, მეორეს კი კატერინას და ქართველი დიდებულის, კავადას მიჯნურობის ამბავი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სლოვაკ იეზუიტს კატარინა (ქეთევანი) ახალგაზრდა ქალად ჰყავს წარმოდგენილი. პიესის მთავარი კონფლიქტია ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის დაპირისპირება კატარინას (ქეთევანი) და შაჰ აბაზის სახით, რომელიც ტრაგიკული ფინალით მთავრდება. შაჰი კატარინას სიკვდილით სჯის, მაგრამ მორალურად გამარჯვებული არის კატარინა, რომელმაც ქრისტიანულ სარწმუნოებას არ უღალატა.

ბისელიუსის ნაშრომი, რომლითაც სლოვაკმა ავტორმა ისარგებლა, XVII საუკუნეში 25 წლის მანძილზე ორჯერ გამოიცა, პირველად 1654-1664 წლებში, მეორედ კი – 1679 წელს, რაც იმდროინდელ საზოგადოებაში მის პოპულარობას მოწმობს, ხოლო 1701 წელს კი სლოვაკიაში სკალიცელმა იეზუიტმა სწორედ ამ ნაშრომით ისარგებლა და კათოლიკური ეკლესიის წმინდანად მიჩნეულ ქართველ დედოფალზე პიესა დაწერა, რომელიც იმავე 1701 წელს წარმოდგენილი იქნა სკალიცის იეზუიტური გიმნაზიის სცენაზე. დაბეჯითებით იმის თქმა, თუ საიდან იცოდა იოჰანეს ბისელიუსმა ქეთევანის წამების ამბავი, შეუძლებელია, მაგრამ ვარაუდის სახით გვინდა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ შესაძლებელია იეზუიტმა ბისელიუსმა ეს ამბავი იეზუიტ ათანასე კირხერისაგან შეიტყო, რომელმაც თავის მხრივ იგი იტალიელი მოგზაურის, პიეტრო დელა ვალესგან ან მისი ქართველი მეუღლისგან – თინათინ ციბასგან გაიგო. არ გამოვრიცხავთ აგრეთვე სხვა წყაროებით სარგებლობის ვერსიასაც, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კვალს ავგუსტინელ მისიონერებთან და დუშ ანჟუმის მიერ შედგენილ „ნამდვილ ცნობებთან“ მივყავართ, ვინაიდან პიეტრო დელა ვალემ ყოველივე ეს შეიტყო დომინიკანელი ბერი მამა გრეგორიო ორსინისაგან, რომელსაც ავგუსტინელებმა „ნამდვილი ცნობები“ რომში გაატანეს.

თავი XI.

ქეთევან დედოფლის აღმსარებლობის საკითხი ევროპულ წყაროთა შუქზე

ქეთევან დედოფლის მიერ მართლმადიდებლური ეკლესიის მიტოვების და კათოლიკობის აღიარების მითი სრულიად კონკრეტულ ისტორიულ-პოლიტიკურ ფონზე აღმოცენდა და მის ავტორებად იმჟამად საქართველოში მისიონის დაარსებით დაინტერესებული, შირაზში მოღვაწე ავგუსტინელი ბერები გვევლინებიან. ეს მითი მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და იგი XVII საუკუნის მანძილზე არაერთმა ევროპელმა მწერალმა და მოგზაურმა გამოიყენა თავის მხატვრულ თუ ისტორიულ თხზულებაში. მაგრამ ვიდრე ამ კონკრეტული საკითხის განხილვაზე გადავიდოდით, მცირე ისტორიული ექსკურსი იქნება საჭირო, რომელიც იმდროინდელ საქართველო-ევროპის ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტს შეეხება.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, XVII საუკუნეში კათოლიკე მისიონერებისათვის ისევ ხელსაყრელი ხანა დადგა საქარველოში მისიონების დაარსებისათვის (თამარაშვილი 1902: 83); ეს ძირითადად ორი მიზეზით იყო განპირობებული: ერთის მხრივ ქართველ პოლიტიკოსებს სახელმწიფოებრივი აღორძინების ერთადერთ გზად ევროპასთან დაკავშირება ესახებოდათ და ამის განხორციელებას პაპის მეშვეობით ცდილობდნენ, ვინაიდან რომის პაპს ტრადიციულად ჰქონდა მორალურ-პოლიტიკური ძალაუფლება გავლენა მოეხდინა ევროპის სახელმწიფოთა მონარქებზე. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომის პაპის ურბან VIII-ის⁵ (1623-1644) დიპლომატიის გავლენა მიმდინარე მოვლენებზე მინიმალური იყო, მეორე მხრივ კი, რომის დიდი სურვილი იყო ქართველი ხალხის კათოლიკობაზე მოქცევა, სარწმუნოებრივად მათი რომისათვის დამორჩილება და კათო-

⁵ ურბან VIII, მათეო ბარბერინი დაიბადა 1568 წლის 5 აპრილს ფლორენციაში, დიდგვაროვანთა ოჯახში. წმ. პეტრეს ტახტის დაკავების შემდეგ გამოიჩინა ისეთი ნეპოტიზმი, რომ ყოვლისმნახველნიც გააოცა: თავის ნათესავებს უხვად დაურიგა კარდინალის ტიტულები და მასთან ერთად ყველაზე შემოსავლიანი თანამდებობები. მისი პონტიფიკატი ოცდაათწლიან ომს დაემთხვა: ამ ომმა სისხლისგან დაცალა ევროპა, მაგრამ პაპის დიპლომატიის გავლენა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ურბან VIII-ის პაპობას იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ ვითარებაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, მით უმეტეს, რომ პირადად პაპის მორალური ავტორიტეტი საყოველთაო კრიტიკის საგნად იქცა. უნდა აღინიშნოს, რომ ურბან VIII განათლებით იურისტი იყო და მის სახელს უკავშირდება წმინდანად შერაცხვის ახალი წესების შემუშავება და მიღება (კოვალსკი 1991: 194-195).

ლიკური სამყაროს ფარგლების გაფართოება. კათოლიკობის გავრცელება საქართველოში კი უკვე მისიონერების საქმე იყო. ამრიგად, ორივე მხარე ერთმანეთით იყო დაინტერესებული.

სწორედ ამ პერიოდში შემუშავდა ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის უზარმაზარი პროექტი – ესპანეთიდან პოლონეთამდე საომარი მზადება მიმდინარეობდა. ამ საბრძოლო გეგმის მიხედვით ქრისტიანთა ჯარი სამ ჯგუფად იყოფოდა: 1) გერმანია, პოლონეთი, უნგრეთი; 2) იტალია და ესპანეთი; 3) საფრანგეთი. დასავლეთის სახელმწიფოების აღნიშნული ჯარი ზღვითა და ხმელეთით ოსმალეთისაკენ უნდა დაძრულიყო; მას შეუერთდებოდნენ პერეკობისა და კაფას კაზაკები, რომლებიც ხშირად ესხმოდნენ თავს ოსმალებს და არბევდნენ შავი ზღვის სანაპიროზე მათ სამფლობელოებს. ოსმალეთზე ლაშქრობის ინიციატორები დიდ იმედს ამყარებდნენ ოსმალთა უღელქვეშ მყოფ ქრისტიანებზე. ამას გარდა ირანმაც ხუთი თუ ექვსი ელჩობა გაგზავნა პაპთან, ესპანეთისა და საფრანგეთის მეფეებთან და ატყობინებდა ოსმალეთზე თავდასხმის გადაწყვეტილებას; დახმარების შემთხვევაში კი პალესტინისა და იერუსალიმის დაბრუნებას პირდებოდა (გიორგაძე 1977: 4-5); ამ თვალსაზრისით საინტერესოა გეგმა, რომელიც იტალიელი მოგზაურის, პიეტრო დელა ვალეს ირანში ვიზიტის ძირითად მიზანს შეადგენდა: სეფიანთა ირანი უნდა შეკავშირებოდა დნებრის კაზაკებს – რომლებიც იმ დროს შიშის ზარს სცემდნენ ოსმალებს შავ ზღვაზე – და ასევე პოლონეთის სამეფოს საქართველოს შუამავლობით. ამ გეგმის თანახმად კაზაკებსა და ირანს შორის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი უნდა გამხდარიყო ოდიშისა და გურიის სამთავროები. კაზაკებს თავის პლაცდარმად უნდა გადაეციათ ოდიშისა და გურიის ზღვისპირა ტერიტორია, შემდეგ კი ირანის დახმარებით დაეჭირათ ტრაპიზონი და მისი მისადგომები. შაჰ აბასს მოეწონა ეს პროექტი და წერილი გაუგზავნა პოლონეთისა მეფეს, რომელსაც შემდეგს სთავაზობდა: ირანი თავისი ხარჯით ააგებდა ერთ ციხე-სიმაგრეს შავი ზღვის რომელიმე ნავსადგურთან, ტრაპიზონის მეზობლად მდებარე გურიაში, შიგ ჩააყენებდა ყიზილბაშთა გარნიზონს, რომელიც პოლონეთის მეფის განკარგულებაში იქნებოდა, შემდგომში კი ეს ციხე-სიმაგრე გადაეცემოდათ კაზაკებს; დასავლეთ საქართველოს სამთავროები დაემორჩილებოდნენ პოლონეთს, ხოლო საქართველოსა თუ ირანში მცხოვრები ყველა ქრისტიანი ქართველი – კათოლიკურ ეკლესიას. ამასთან დაკავშირებით პიეტრო დელა ვალე წერს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელი ქართველებისათვის ერთმორწმუნე პოლონეთის სამეფოს ფარგლებში მოქცევა სასარგებლო იქნებოდა მაჰმადიანური აგრესიისაგან თავის დასაცავად და იქვე დასძენს: „მაგრამ ისინი დამოუკიდებელნი არიან და ჰყავთ თავიანთი კანონიერი მეფე-მთავრები, ამიტომაც არ ეჭაშნიკებათ დაექვემდებარონ

უცხოელებს, თუნდაც ერთმორწმუნეთ, რაც ყველა ხალხში აღშფოთებასა და ზიზღს იწვევს“ (ნატროშვილი 1988: 127-128). მაგრამ ანტიოსმალურ კოალიციაში საქართველოს მონაწილეობა იმთავითვე გამორიცხული იყო ირანის მიერ კახეთის აოხრების გამო და იგი სწორედ ოსმალების დახმარებით ლაშობდა ყიზილბაშების განდევნას საქართველოდან.

ეს პროექტი თავისთავად სწორედ იმითაა საინტერესო, რომ მასში ჩანს კათოლიკური სამყაროს დამოკიდებულება საქართველოს მიმართ: საქართველო, როგორც ქრისტიანობის უკიდურესი ფორპოსტი აღმოსავლეთში თავისი მნიშვნელოვანი და უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ევროპას ესახებოდა კვანძად ევროპასა და აზიას შორის.

იმ პერიოდში კი შაჰს ევროპის დახმარება ესაჭიროებოდა თურქების წინააღმდეგ, ვინაიდან 1612 წელს მან დროებითი ზავი დადო ოსმალეთთან. 1613-1614 წლებში შაჰ-აბაზი ესპანეთის მეფეს და რომის პაპს აღუთქვამს, რომ ურჩევს ქართველებს, სომხებს და სხვა ქრისტიანებს მიიღონ კათოლიკობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შაჰ აბაზის მიერ ესპანეთის მეფისა და რომის პაპისათვის სერ ანტონიო სარლის ხელით გაგზავნილი წერილი, რომელშიც იკითხება: „(შაჰი) პირობას იძლეოდა, რომ ყველა თავის ქრისტიან ქვეშევრდომს – სომხებს, ქართველებს და სხვებს ურჩევდა, რომ მსოფლიოს სხვა ქრისტიანთა მსგავსად კათოლიკური ეკლესიის და რომის პაპის მიმდევარი გამხდარიყვნენ და რომის ეკლესიის განაწესი შეესრულებინათ“ (ფალსაფი 1978: 63). ხოლო „ესპანეთის ელჩმა, ანტონიო დე გოვეამ შაჰს სთხოვა, რომ თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომების, ქართველების, სომხების და ევროპელებისათვის ებრძანებინა, რომ ისინი რელიგიურ საკითხებსა და საქმეებში დამორჩილებოდნენ მაღალი წოდების სასულიერო პირს, რომელიც რომის პაპს მისთვის ისპაჰანში გამოეყოლებინა“ (ფალსაფი 1978: 59). ამით აიხსნება ისიც, რომ შაჰი ირანში ფაქტიურად არ ზღუდავდა კათოლიკეებს და მათ კათოლიკური მისიონების დაარსების უფლებას აძლევდა. გარკვეული მიზეზებით შაჰისათვის ხელსაყრელი იყო ქართველების გაკათოლიკება, ხოლო როდესაც საქართველო რომის სამფლობელოებს შეემატებოდა და რომის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცეოდა, ირანისათვის უფრო ადვილი გახდებოდა თავისი ინტერესების განხორციელება, რადგან საქართველოს და ევროპის ურთიერთობათა მარეგულირებელი თვითონ იქნებოდა. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც შაჰი თავის ქვეშევრდომ მართლმადიდებელ ქრისტიანებს ებრძოდა, კათოლიკე ქრისტიანებს იგი თავისივე სამეფოში საკმაოდ შემწყნარებლურად ექცეოდა. აქ ვარაუდის სახით გვინდა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ შესაძლებელია შაჰს უფრო შორს მიმავალი გეგმა ჰქონდა, რომლის თანახმადაც მისთვის ხელსაყრელი იყო ქართველების გაკათოლიკება: თუ კი ქართველი ერი უარს იტყვოდა მართლმადიდებლობაზე, რომელსაც

საუკუნეების მანძილზე, უმძიმესი ქართველების დროს იცავდა და კათოლიკობაზე მოექცეოდა, მისთვის უფრო ადვილი გახდებოდა საქართველოს გამაჰმადიანება. საქართველოსათვის ხომ მართლმადიდებლური ქრისტიანობა ის დულაბი იყო, რომელიც მას აერთიანებდა. მთავარი ამ დულაბში ბზარის გაჩენა იყო, ამ შემთხვევაში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, რომ სახელმწიფოს პირველ პირებს შეეცვალათ სარწმუნოება, რაც მთელი ერისათვის მისაბაძი მაგალითი უნდა გამხდარიყო. ეს ვერაგული ზრახვა ნათლად ჩანს წყაროებიდან, რომლებიც ქეთევანის წამების ერთ-ერთ მიზეზად იმას ასახელებენ, რომ იგი მტკიცედ იცავდა თავის სარწმუნოებას, ხოლო თავისი დედოფლის შემხედვარე ქართველი ქალები არ თათრდებოდნენ (ავალიშვილი 1938: 55). რომის პაპი კი თეიმურაზისაგან დაჟინებით მოითხოვდა კათოლიკობის მიღებას. ამას მოწმობს პაპ ურბან VIII-ის წერილი თეიმურაზისადმი, რომელიც მან ნიკიფორე ირბახს გამოატანა: „პაპი თავის წერილში სთხოვდა თეიმურაზს კათოლიკე სარწმუნოება დიდი ამბით საქვეყნოდ ეღიარებინა და მასთანვე ცდილიყო, რომ მისი სამეფოს ეპისკოპოსები, მღვდლები და ერიც მის მაგალითს შესდგომოდნენ” (თამარაშვილი 1902: 106).

რომს საქართველოს იდეოლოგიური დაპატრონება სწორედ სარწმუნოებრივი გზით ჰქონდა წარმოდგენილი და ამიტომაც გამოცოცხლდა ასე მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან. კათოლიკე მოგზაურები და მისიონერები თავის ანგარიშებსა და რელაციებში შემდეგს წერდნენ საქართველოს შესახებ: „დელა ვალემ გვაუწყა, რომ (ქართველები) კარგად მომზადებულნი არიან სამოციქულო საყდართან შესაერთებლად” (თამარაშვილი 1902: 89), „ქართველებს შორის კათოლიკე სარწმუნოების გავრცელება ძლიერ ადვილ საქმედ მიმაჩნია” (თამარაშვილი 1902: 86). შემდეგ მოგზაური ჩამოთვლის ამ მიზეზებს და ბოლოს დასძენს: „მთელს მსოფლიოში, სადაც კი სარწმუნოების გავრცელება საჭიროა, ხსენებული ქართველების ქვეყანა პირველი უნდა იყოს, ამიტომ მე ყველაზედ უმცირეს სამოციქულო მისიონერთაგანი, სიმდაბლით და ღიღის თხოვნით ვავედრებ მას ჩვენს უწმინდეს უფალს პაპს ურბანო მერვეს და პროპაგანდას, რადგანაც ქართველი ერი ღიდათ ღირსია სამოციქულო საყდრის მადლისა და წყალობისა ზემოხსენებული მიზეზების გამო, ესე იგი რომ ღიდი პატივი აქვთ პეტრესი და პავლესი, რომისა და რომის პაპისა” (თამარაშვილი 1902: 86-87).

სწორედ ამ პერიოდში, ასეთი დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე, 1624 წლის 22 სექტემბერს აწამა შაჰ-აბასმა შირაზში ელჩად წასული და ტყვედ ქცეული ქართველი დედოფალი. ეს ბარბაროსული აქტი მთელ იმდროინდელ ევროპაში გახდა ცნობილი წამების თვითმხილველი ავგუსტინელი ბერების მეშვეობით, რომლებიც ღიდი ხანია ოცნე-

ბობდნენ საქართველოში მისიონის დაარსებაზე და იმ მითს, იმ ისტორიულ ფიქციას, რომელიც მათ შექმნეს ქეთევანის მიერ კათოლიკობაზე მოქცევის შესახებ, ავგუსტინელი ბერებისათვის გზა უნდა გაეხსნა მათი სანუკვარი ოცნების ასასრულებლად, ანუ საქართველოში მისიონის დასაარსებლად.

შაჰ აბასის მიერ ქეთევან დედოფლის წამების ამბავი უმაღლეს გავრცელებულ იმდროინდელ ევროპაში და აქამდე ჩვენთვის უკვე ცნობილ ქვეყნებს: პორტუგალიას, იტალიას, გერმანიას, საფრანგეთსა და ინგლისს დღეს კიდევ ერთი ქვეყანა – ყოფილი ავსტრია-უნგრეთის მონარქიაში შემაჯავლი პროვინციული სლოვაკეთიც შეემატა. ამ ფაქტის გავრცელება, ევროპაში ასეთი გახმაურება და დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა: როგორც ჩანს ამის მიზეზი იმ გარემოებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ქეთევანის წამების აღწერას იმთავითვე თან ახლდა. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ წამების თვითმხილველის, ამბროზიო დუშ ანჟუმის ნაშრომი „ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი დედოფლის ქეთევანის, დოპოლის, სახელოვან მოწამებრივ სიკვდილზე სპარსეთის სამეფოს მთავარ ქალაქ შირაზში, შაჰ აბასის ბრძანებით 1624 წლის 22 სექტემბერს დაწერილი ჩვენი მამის, წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერის, ქალაქ შირაზში ხსენებული ორდენის მონასტერში მყოფი მამა, მორჩილი ძმა ამბროზიო დუშ ანჟუმის მიერ“ (გულბენკიანი 1987: 26-46) ისეთ ორაზროვან და ბუნდოვან ცნობებს შეიცავს ქეთევანის მიერ კათოლიკობის მიღებასა და მართლმადიდებლური ეკლესიის მიტოვებაზე, რომ არც არის გასაოცარი, ასე სახეშეცვლილი რომ მოედო ეს ფაქტი მთელ იმდროინდელ ევროპას. ძნელი სათქმელია, ამბროზიო დუშ ანჟუმს ქეთევანისათვის კათოლიკობის მიღება რომ არ მიეწერა, გამოიწვევდა თუ არა მისი მოწამებრივი აღსასრული ასეთ რეზონანსს ევროპაში. ალბათ არა. ევროპისათვის სწორედ ის იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ საქართველო კათოლიკობაზე მოქცეულიყო, ხოლო ქეთევანის მიერ კათოლიკობის მიღება და ისეთი მომგებიანი საბუთი იყო კათოლიკეების სასარგებლოდ, რომ მისი არგამოყენება კათოლიკეთა მხრივ სრულიად გამორიცხული იყო.

როდესაც ვამბობთ, ქეთევანისათვის კათოლიკობა რომ არ მიეწერათ, შესაძლოა მისი წამების ამბავს ევროპაში ასეთი რეზონანსი არ ჰქონოდა, მხედველობაში გვაქვს იმდროინდელი ევროპის მდგომარეობა, სადაც მაშინ გამძვინვარებული რელიგიური ბრძოლები მიმდინარეობდა კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის. ამგვარი რელიგიური ბრძოლებით იყო მოცული იმდროინდელი სლოვაკეთიც, ხოლო ქალაქი სკალიცა, სადაც ანონიმი სლოვაკი იეზუიტის პიესა დაიწერა ქეთევანის შესახებ, კათოლიკობის ცენტრს წარმოადგენდა სლოვაკეთში. ავტორი დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო იმაში, რომ ქეთევანი ნამდვილად კათოლიკური ეკლესიის წმინდანია, მას თავისი პიესის გმირად არ აქცევდა: სასკოლო პიესების ერთ-

ერთ მთავარ თემას ზომ წმინდანთა ცხოვრებების აღწერა წარმოადგენდა და, როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ გახდა ავტორის ინტერესის საგანი ქართველი დედოფლის თავდადება სარწმუნოებისათვის. თავის მხრივ ასე წარმოდგენილი ფაქტი სინამდვილეში კათოლიკობის პროპაგანდას ემსახურებოდა და მას სრულიად კონკრეტული მიზანი ჰქონდა დასახული, რათა ეჩვენებინა კათოლიკეთა უპირატესობა პროტესტანტებთან შედარებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქეთევანის წამების ამბის გავრცელების ქრონოლოგია და გეოგრაფია ევროპის ქვეყნებში. აქ ჩვენ მოვიყვანთ ყველა იმ ევროპულ წყაროს, სადაც ქეთევანის ამბავია მოთხრობილი და რომელიც დღეისათვისაა ცნობილი. წყაროების სიმრავლის გამო თვალსაჩინოებისათვის მართებულია მიგვაჩნია არსებული მასალის გარკვეული სისტემით დალაგება. წყაროებს დავყოფთ ორ ძირითად ჯგუფად: I. პირველწყარო და უშუალოდ პირველწყაროდან მიღებული ინფორმაცია და II. ინტერპრეტირებული წყაროები. ამ მხრივ შემდეგ სურათს ვლევულობთ:

I. პირველწყარო და უშუალოდ პირველწყაროდან მიღებული ინფორმაცია:

1. 1624 წლის 22 სექტემბერს შირაზში შაჰ-აბასმა აწამა ქეთევან დედოფალი. ამ წამების თვითმხილველი და აღმწერი იყო წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერი მამა ამბროზიო დუშ ანჟუში, რომელმაც შირაზში დაწერა 1625 წლის 5 იანვარით დათარიღებული „ნამდვილი ცნობები“ უბრწყინვალესი დედოფლის, ქეთევანის სახელოვან მოწამებრივ სიკვდილზე (გულბენკიანი 1987: 26-46).

2. 1625 წლის გაზაფხულზე დომინიკანელ მამა გრეგორიო ორსინის, რომელიც ისპაჰანში იმყოფებოდა და სახმელეთო გზით ბრუნდებოდა რომში, ავგუსტინელმა მისიონერებმა გადასცეს „ნამდვილი ცნობები“ ვატიკანში წასაღებად. ქეთევანის წამების ამბავი მამა გრეგორიო ორსინიმ უშუალოდ თვითმხილველისაგან – მამა ამბროზიო დუშ ანჟუშისაგან შეიტყო (გულბენკიანი 1987: 18).

3. 1625 წლის მაისში იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე სპარსეთზე გზად მიმავალი დომინიკანელი ბერისაგან – მამა გრეგორიო ორსინისაგან იგებს ქეთევან დედოფლის წამების ამბავს შაჰ-აბასის მიერ. „ჩვენ ერთმანეთს ბასაოში შევხვდით, წერს პიეტრო დელა ვალე, მან ეს ახალი ამბავი მამცნო და მითხრა, ამის შესახებ წერილიც მაქვსო“ (გულბენკიანი 1987: 18).

აქვე უნდა ვახსენოთ დელა ვალეს მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები „განახლდა ვალე!“, რომელიც 1629 წლის 17 დეკემბერს არის დაწერილი და რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამ თხზულებას ოფიციალური ხასიათი არ აქვს და იგი, როგორც ჩანს, მხოლოდ შინაურ წრეში იყო ცნობილი (სტურუა 1995). ეს ალევგორიული ხასიათის თხზულება, სად-

აც მოქმედ პირებად გამოყვანილნი არიან რომი, კავკასია, იბერია, ჰიმენოსი, წმინდა სიყვარული და სხვა, პირველად 1905 წელს გამოქვეყნდა იტალიაში; ასე რომ, იგი XVII-XVIII საუკუნეებში ფართო მკითხველისათვის ცნობილი არ იყო. აქ გვხვდება ჩვენთვის საყურადღებო საკითხის შესახებ შემდეგი აზრი, რომლის წარმოთქმა ავტორმა ალევორიულ პერსონაჟს – „კავკასიას“ – მიანდო: „... დედოფალი ქეთევანი, უიარალო, უსამართლოდ დაატყვევეს და შემდეგ სისხლიან გზაზე გაუყენეს. **მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ იგი ცად ავიდა, მაგრამ მე მჯერა, სპარსეთს ეს არ შერჩება. აქ, ვატიკანში, უწმინდესი და უნეტარესი ურბინუსი ცის სამყოფელს გაუხსნის და ზეციურ სასუფეველს დაუმკვიდრებს ქეთევანსო**” (ხაზი ჩემია – მ.ნ.) (სტურუა 1995: 158). აქ დასახელებული „უწმინდესი და უნეტარესი ურბინუსი“, რა თქმა უნდა, პაპი ურბან VIII. დელა ვალეს ეს მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები გვიჩვენებს, რომ საზოგადოების იმ წრეში, რომელიც მისი ავტორისა და მისი ქართველი მეუღლის გარშემო იყო შემოკრებილი, ტრიალებდა მოსაზრება, რომ ქართველი დედოფალი წამებულად უნდა შერაცხულიყო. როგორც ჩანს, ასეთი იყო საზოგადოებრივი აზრი.

მაგრამ ქეთევან დედოფლის წამების ამბავი კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა ევროპაში. ზოგიერთ შემთხვევაში ქართველმა მკვლევარებმა მიაგნეს იმ წყაროებს, რომლითაც ამა თუ იმ ავტორმა ისარგებლა, მაგრამ სხვა შემთხვევაში დაბეჯითებითი დასკვნის გამოტანა ჯერჯერობით შეუძლებელია. მივუბრუნდეთ ისევ ქრონოლოგიას:

II. ინტერპრეტირებული წყაროები:

4. 1626 წლის 16 მაისს დაიწერა მართლმადიდებელი ბერძენი ბერის გრეგორიოს „წერილი ქართველთა ხელმწიფის თეიმურაზის დედის წამებისა და ამ შემთხვევის გამო იეზუიტთა იშვიათ ვერაგობაზე“, რომელიც ბერძნულიდან ინგლისურად ითარგმნა და 1633 წელს ოქსფორდში გამოქვეყნდა (კენტოშვილი 1961: 163-168).

5. 1628 წლის 20 აგვისტოთია დათარიღებული ღონ დე მოსკოს წერილი: „ცნობები თეიმურაზზე და საქართველოზე“, სადაც ქეთევანის წამებაზეც არის ლაპარაკი (ტაბალუა 1986: 249-250).

6. 1635 წელს გამოვიდა ფრანგი ავტორის კლოდ მალენგრის ნაშრომი – „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“, სადაც ქეთევანის წამების ამბავი საკმაოდ ვრცელადაა მოთხრობილი.

7. 1627-1654 წლებში საქართველოში იმყოფებოდა იტალიელი მოგზაური კრისტოფო დე კასტელი, რომელიც თავის ნაშრომში საქართველოს შესახებ ქეთევანის წამების ამბავსაც შეეხო (კასტელი 1977: 214).

8. 1656 წელს დაიბეჭდა გერმანელი დრამატურგის, ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია – „ქეთევან ქართველი, ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“ (გრიფიუსი 1975: 57-214).

9. 1663 წწ ამბერგში გამოვიდა გერმანელი იეზუიტის იოჰანეს ბისელიუსის ნაშრომი – „Illustres Ruinae“, რომელიც მეორედ 1679 წელს გამოიცა. ეს ნაშრომი მითითებულია სლოვაკი იეზუიტის მიერ, როგორც მისი პიესის ერთ-ერთი წყარო (ბისელიუსი 1663: 1060-1065).

10. 1686 წელს ლონდონში პირველად გამოვიდა ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის წიგნი – „შარდენის მოგზაურობა“, რომელმაც 1672-1673 წლებში საქართველოში იმოგზაურა, აქ შეიტყო ქეთევანის წამების ამბავი და შეიტანა თავის წიგნში (შარდენი 1975: 306-307).

11. 1701 წელს ანონიმმა სლოვაკმა იეზუიტმა დაწერა პიესა „Katerina, královná gurziánská vlastní krví ozdobená, na divadlo predstavená / Cararina, georgianorum regina, proprio sanguinae purpurata, theatro data“ ანუ, „ქეთევანი, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით მორთული, სცენაზე წარმოდგენილი“, რომელიც იმავე წელს იქნა წარმოდგენილი სკალიცის იეზუიტური გიმნაზიის სცენაზე (ანთოლოგია 1981: 605-610).

I.1. რა სახის საბუთები არსებობს იმის თაობაზე, თითქოს ქეთევანმა მიიღო კათოლიკობა და მართლმადიდებლური ეკლესია მიატოვა

როდესაც ქეთევან დედოფლის კათოლიკედ მოქცევაზე და კათოლიკური ეკლესიის მიერ მისი წმინდანად შერაცხვის პრობლემაზე გვაქვს საუბარი, ერთადერთ საყრდენ და ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ავგუსტინელი ბერის, შირაზში მოღვაწე მისიონერის, მამა ამბროზიო ღუმ ანჟუმის „ნამდვილი ცნობები“, რადგანაც ყველა სხვა ევროპული ცნობა ქეთევანის მოწამებრივი აღსასრულის შესახებ, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, სწორედ „ნამდვილ ცნობებზე“ დაყრდნობით გავრცელდა. მამა ამბროზიო ღუმ ანჟუმის „ნამდვილი ცნობების“ ორი ხელნაწერი არსებობს. პორტუგალიაში მოღვაწე სომეხი ისტორიკოსის, რობერტო გულბენკიანის მიხედვით ეს არის „ნამდვილი ცნობები-1“ (ლისაბონი, აჟუდას ბიბლიოთეკა), და „ნამდვილი ცნობები-2“ (რომელიც აჟუდას ხელნაწერზე ორი წლით გვიანდელია. ეს არის ე.წ. ტორე დე ტომბოს ხელნაწერი.) რ. გულბენკიანმა უპირატესობა მიანიჭა ტორე დე ტომბოს ხელნაწერს, რაც განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: 1) „ნამდვილი ცნობები-1“ რამდენიმე ძნელად ამოსაკითხ ადგილს შეიცავს და 2) გარდა იმისა, რომ „ნამდვილი ცნობები-2“ მთლიანად შეიცავს „ნამდვილი ცნობები-1“-ის ექვსივე თავს უმნიშვნელო კითხვა-სხვაობით, მასში მოიპოვება დამატებითი ისტორიული ფაქტები. მოცემულ პრობლემაზე მსჯელობისას ვეყრდნობით „ნამდვილი ცნობების“ ტორე დე ტომბოს ხელნაწერს.

ამ თავში შევეცდებით ქეთევანის მიერ მართლმადიდებლობის მიტოვებისა და მის მიერ კათოლიკობის აღიარების ვერსია განვიხილოთ უშუ-

ალოდ მამა ამბროზიო ღუშ ანჯუშის ნაშრომზე – „ნამდვილ ცნობებზე“ – დაყრდნობით, საიდანაც ამოგვრით ყველა ის ადგილი, რომელიც ამ თვალსაზრისით შეიძლება საინტერესო იყოს:

1. „ჩემთვის ყველაზე დიდი ნუგეში ქეთევან დედოფალთან მისვლა იყო. ვსაუბრობდით მის ხსენებაზე, სასულიერო საკითხებზე. ეურჩევი, განსაცდელში მოთმინება გამოეჩინა, მოვუწოდებდი მას სიმტკიცეს ჩვენი უფლის, ქრისტეს რწმენაში, რაც ტანჯვის ფასად მტკიცედ შეინარჩუნა. **ხშირად ვსაუბრობდით კათოლიკურ ეკლესიაზე. ვუყვებოდი რომის პაპის სიდიადეზე, უმტკიცებელი, რომ იგი მსოფლიოს ყველა ეკლესიის ნამდვილი მეთაურია. დედოფალი სიხარულით მისმენდა და ჩანდა, რომ ჩემი სმენა დიდ შვებას გვრიდა. მეც მიხაროდა ასეთი მორწმუნის, ჩვენს წმინდა რწმენასთან ესოდენ დაახლოებული ადამიანის ხილვა და ვეთაყვანებოდი მის სათნოებას**” (ხაზი აქ და შემდეგაც ჩემია – მ. ნ.) (გულბენკიანი 1987: 34).

2. „ერთხელ, მარხვის დროს, თავისი მსახურის საშუალებით **მიხსოვდა მისი მსახური და მისიანებისაგან აღსარება მიმეღო. ისინი ჩვენს მონასტერში დადიოდნენ წირვის მოსასმენად და სალოცავად**” (გულბენკიანი 1987: 34).

3. „...ერთ-ერთი მათგანი [რელიქვია – მ. ნ.], ოთხი მტკაველის სიგრძის ხეზე გამოსახული ქალწული მარიამ ღვთისმშობელი გახლდათ. ახლა ამ უნიკალურ რელიქვიას ქრისტიანები დიდად ეთაყვანებიან, რადგან იგი დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის სიმბოლოა” (გულბენკიანი 1987: 35).

ეს ცნობები არაფერს გვეუბნება იმის თაობაზე, რომ ქეთევანმა კათოლიკობა მიიღო, სამაგიეროდ ერთი რამაა ნათელი, სახელდობრ ის, რომ ღუშ ანჯუში კათოლიკური სარწმუნოების ენერგიულ პროპაგანდას ეწევა: „**ხშირად ვსაუბრობდით კათოლიკურ ეკლესიაზე. ვუყვებოდი რომის პაპის სიდიადეზე, უმტკიცებელი, რომ იგი მსოფლიოს ყველა ეკლესიის ნამდვილი მეთაურია**”. ეს არც არის გასაკვირი: ავგუსტინელი მისიონერების სასიცოცხლო ინტერესს და მიზანს ხომ საქართველოში მისიონის დაარსება წარმოადგენდა და ამ მიზნისათვის იმ ქვეყნის დედოფლის კათოლიკობაზე მოქცევა, სადაც მათ მიზნად თავისი სარწმუნოების გავრცელება ჰქონდათ, შესანიშნავი პირობა იქნებოდა, რასაც მათთვის უპირატესობა უნდა მიენიჭებინა სხვა ორდენების წინაშე. ეს კი საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი იყო, ვინაიდან ამაზე იყო დამოკიდებული, თუ ვინ მოიკიდებდა ფეხს საქართველოში და დაეპატრონებოდა მას იდეოლოგიურად. რ. გულბენკიანი აღნიშნავს თავის გამოკვლევაში: „როგორც კი დედოფლის სხეულის ნაწილები იგდეს ხელთ, ავგუსტინელებმა გადაწყვიტეს, რომ დადგა დრო ძველი განზრახვა აესრულებინათ, განძის ნაწილი საქართველოში წაეღოთ. მათი აზრით, მისიონის წარმატებას დიდად შეუწყობდა ხელს ის ფაქტი, რომ **ვატიკანს ქეთევან დედოფალი რომაული კათოლიკური ეკლესიის წამებულიად ეცნო**” (გულბენკიანი 1987: 11). მაგრამ საბოლოოდ რომმა არჩევანი მაინც

თეანითელთა ორდენის ბერებზე შეაჩერა, რომელთაც „პაპის ელჩებს“ უწოდებდნენ და არა „პორტუგალიის მეფის ელჩებზე“, როგორც სპარსეთში მოღვაწე ავგუსტინელებს უწოდებდნენ.

რაც შეეხება ავგუსტინელების ვერსიას ქეთევანის მიერ კათოლიკობის მიღების შესახებ, მის სიმცდარეს თავისთავად ის გარემოებაც ადასტურებს, რომ „ნამდვილ ცნობებში“ არ არის აღწერილი უმთავრესი – ქეთევანის კათოლიკობაზე მოქცევის რიტუალი; ამ ფაქტს მართლაც რომ ჰქონოდა ადგილი, მისიონერები მას დეტალურად აღწერდნენ, ვინაიდან ეს მათ უშუალო ინტერესს შეადგენდა. შედარებისათვის საინტერესოა თუნდაც ის, თუ რა დაწვრილებით არის აღწერილი „ნამდვილ ცნობებში“ ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების ძიების ამბავი, უმთავრესზე, ანუ ქეთევანის კათოლიკობაზე მოქცევის ფაქტზე კი – რაც რიტუალს გულისხმობს – სიტყვაც კი არ არის დაძრული.

I.2. რა ცნობები მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ ქეთევანი კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ან საიდან შეიძლება წამოსულიყო ვერსია, რომ ქეთევანი კათოლიკური ეკლესიის წმინდანია?

ქეთევან დედოფლის მიერ კათოლიკობის მიღების ვერსიას ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში თავისი საკმაოდ ვრცელი ისტორია აქვს და აზრების განსხვავებულობაც ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ ქეთევანი კათოლიკედ აღესრულა, ზოგი საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს. ჩვენც გვაქვს ამ საკითხზე ჩვენი აზრი, რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ.

მართებულად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული ყველა მოსაზრება: პირველად ამ საკითხს შეეხო მიხეილ თამარაშვილი 1902 წელს გამოცემულ წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, სადაც იგი წერს, რომ წამებული დედოფალი ქეთევანი კათოლიკედ აღესრულა: „სხვა მისიონერებთან ერთად ისიც (დელა ვალე – მ. ნ.) მოწმობს, რომ ბოლო დროებში ქეთევან დედოფალს კარმელიტების წესის პატრები ეწეოდნენ სულიერად და მათი ჩაგონებით გამხრევებული კათოლიკედ აღესრულა“ (თამარაშვილი 1902: 88). მოგვიანებით მან მიაკვლია ავგუსტინელი ბერის, მამა ამბროჯიო დუშ ანაჟუშის მიერ 1640 წელს რომში გაკეთებულ განცხადებას, სადაც იგი წერს, რომ ქეთევანი მართლმადიდებლური ეკლესიის ერთგული დარჩა. ეს ცნობა მან 1910 წელს გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზე (ლანგი 1956: 172; გულბენკიანი 1987: 8).

კორნელი კეკელიძის ნაშრომში არსად სიტყვაც კი არ არის დაძრული ქეთევანის მიერ კათოლიკური სჯულის მიღება-არმიღების შესახებ: მკვლევარი ყოველთვის მტკიცედ და ურყევად ადგა იმ აზრს, რომ ქეთევან

დედოფალი ქართველთა ეროვნული წმინდანია და ეს დიდი პიროვნება მართლმადიდებლად აღესრულა. მისი ეს უდავო და მართებული აზრი სხვადასხვა დროს დაწერილ ნაშრომებშია დამოწმებული. გამოკვლევაში „მაკრინეს ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (კეკელიძე 1968: 26-54), ეხება რა ანტონ პირველის მოღვაწეობის დასაწყისს, მკვლევარი ახალიზებს ეპოქას და აღნიშნავს, რომ „საეკლესიო სფეროში ამ დროს შეინიშნება განსაკუთრებული მოძრაობა **ქართული ეროვნული დღესასწაულების მოგვარებისა** და მათთვის შესაფერისი საგალობლების შედგენისათვის. **ხდება გადასინჯვა ქართველ წმინდანთა კალენდრისა და მისი გაცხრილვა სარწმუნოებრივად მიუღებელ პირებისაგან** (1703 წლის მახლობლად) შემდგარ საეკლესიო კრებას **ქეთევანის ხსენება 13 სექტემბერს დაუდვია**“; ნაშრომი „ქართული სტამბის ისტორიიდან მეთვრამეტე საუკუნეში“ (კეკელიძე 1955: 108-115) მკვლევარს ერთ საკითხზე მსჯელობისას გამოტანილი აქვს დასკვნა: „სარკვევ წიგნში შეტანილია **საგალობლები შემდეგი მხოლოდ ქართველი წმინდანებისა: ქეთევან დედოფლის** (13 სექტემბერი), სვეტიცხოვლისა (1 ოქტომბერი), წმ. გიორგისა (3 ნოემბერი), კოსტანტიკახისა (10 ნოემბერი), ილარიონ ქართველისა (19 ნოემბერი)“, (კეკელიძე 1955: 109), თუმცა ეს ნაშრომები უშუალოდ ქეთევან დედოფალს არ ეძღვნება და სხვა საკითხთა შესახებაა დაწერილი, მკვლევარის სათანადო დებულებიდან ჩანს, რომ ქეთევანს იგი მხოლოდ ქართველ წმინდანად თვლიდა.

1938 წელს გამოცემულ თავის წიგნში ზურაბ ავალიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქეთევანს არ მიუტოვებია ქართული ეკლესია. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ მაღენგრის მიერ გადმოცემული ცნობები ზოგ შემთხვევაში ტენდენციურია, კერძოდ კი ის ცნობა, რომ თითქოს ქეთევანმა უკანასკნელ წუთებში კათოლიკობა მიიღო. მკვლევარის აზრით ეს სინამდვილეს არ შეეფერება და სრულიად სამართლიანად დასძენს, რომ ამ ნაშრომში ქეთევანი იმიტომ არის წარმოდგენილი კათოლიკედ, რომ კათოლიკე მკითხველისათვის უფრო საგრძნობი გამხდარიყო მისი წამება. აქ ზ. ავალიშვილი ეყრდნობა 1640 წელს მამა ამბროზიოს მიერ გაკეთებულ მოხსენებას, სადაც ნათქვამია, რომ ქეთევანი, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი იყო, მეტად მეგობრულად ექცეოდა კათოლიკეებს (ავალიშვილი 1938: 28-29).

1956 წელს გამოვიდა ინგლისელი ქართველოლოგის, დავიდ ლენგის წიგნი ქართველ წმინდანებზე, სადაც მან გამოაქვეყნა მამა ამბროზიოს განცხადების ინგლისური თარგმანი, მაგრამ თავისი კომენტარი არ დაურთავს (ლანგი 1956: 172).

მკვლევარი მერი გუგუშვილი, იზიარებს რა ზ. ავალიშვილის მოსაზრებას, წერს: „ქეთევანის გაკათოლიკება ისტორიული წყაროებით არ დას-

ტურდება. ფაქტი ერთია, მისი შემწყნარებლური და მეგობრული დამოკიდებულება კათოლიკე მისიონერებისადმი და ამ უკანასკნელთა, კერძოდ მამა ამბროზიოს ღვაწლი მისი ნეშტის ჩამოტანაში. ისიც უდავოა, რომ ამ აქტით კათოლიკე მისიონერებმა გარკვეული პოზიციები მოიპოვეს კახეთის სამეფოში” (გუგუშვილი 1981: 55).

ილია ტაბალუა თავის ვრცელ ნაშრომში „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში”, რომელიც 1986-1987 წლებში გამოიცა, ორჯერ შეეხო ქეთევანის კათოლიკური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხვის საკითხს. II ტომში რომელიც 1600-1628 წლებს მოიცავს, იგი წერს: რაც შეეხება ქეთევან დედოფლის კათოლიკური ეკლესიის წმინდანად აღიარების საკითხს, „ქეთევან დედოფლის წმინდანად აღიარებაზე რომის ეკლესიამ თავი შეიკავა (ტაბალუა 1986: 129). III ტომში კი, რომელიც 1628-1633 წლებს მოიცავს, ავტორი უფრო დაწვრილებით ეხება ამ საკითხს და თვლის, რომ „რომ დუშ ანჟუმის „ცნობებში” საკმაო საბუთები არსებობს, რათა მიჩნეულ იქნას, რომ ქეთევანი იყო „ავგუსტინეს ორდენის სულიერი და და ქალიშვილი”. როგორც მკვლევარი წერს, „იქნებ, ქრისტიანობასა და სამშობლოსათვის შირაზში წამებულ ქეთევან დედოფლის წმინდანთა თანაშერაცხვისთვის სრულიად საკმარისი იყო ყოველივე ზემოთ აღნიშნული”, მაგრამ რადგან პაპის კარდინალთა კოლეგიას არ სურდა ეს გაკეთებულიყო ავგუსტინელ მისიონერთა ინიციატივით, ამიტომ არ მოხდა ქეთევანის კანონიზაცია: „ქეთევან დედოფალი, სამწუხაროდ, ავგუსტინელი მისიონერებისა და ვატიკანის კარდინალებს შორის ინტრიგის საგანი გახდა” – წერს ი. ტაბალუა (ტაბალუა 1987: 77-79). თუ რა მიზეზით არ შერაცხდა წმინდანად ქეთევანს რომი და საერთოდ იმდროინდელი ვატიკანის კათოლიკური პრაქტიკის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

იმ მოსაზრებას რომ ქეთევანს კათოლიკობა არ მიუღია გამოთქვამს თამაზ ნატროშვილიც (ნატროშვილი 1988: 221, 269).

1994 წელს გამოვიდა გ. ჟორდანიასა და ზ. გამეზარდაშვილის წიგნი „რომაულ-კათოლიკური მისია და საქართველო”, სადაც ავტორები ცალსახად აღნიშნავენ, რომ მამა ამბროზიო დუშ ანჟუმის ყველა ცდა, რომს ქეთევანის კანონიზაცია მოეხდინა, წარუმატებლად დასრულდა (ჟორდანიას... 1994: 37).

მაგრამ ქეთევან დედოფლის მიერ კათოლიკობის მიღების ვერსიამ კვლავ იჩინა თავი 70-იან წლებში. ა. გრიფიუსის ტრაგედიის „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე” ქართული თარგმანისათვის დართულ სტატიაში მისი მთარგმნელი აკაკი გელოვანი რაიმე კონკრეტული მასალის დასახელების გარეშე წერს: „ხალხის გმირი (ე. ი. ქეთევანი – მ. ნ.) წმინდანად შერაცხეს უფრო ადრე დასავლეთ ევროპაში, ვიდრე საქართველოში” (გელოვანი 1975: 46).

ქართული ეროვნული ხასიათის არქექტიპულ მოდელებზე მსჯელობისას ზ. გამსახურდია საგანგებოდ ახსენებს თამარს და ქეთევანს, რომელნიც არიან „უპრეცედენტო გმირები ჩვენი ისტორიისა, რომელთა ბადალ მონარქ ქალებს ვერ იპოვნით ვერც ერთი ხალხის ისტორიაში... სად იყო შილერი, სად იყო ცვაიგი ან რომელიც გნებავთ დიდი ევროპელი, რატომ უნდა შეენიშნა მხოლოდ საშუალო დონის პოეტს გრიფიუსს ქეთევან დედოფლის წამება? ვთქვათ, ვერ შეამჩნიეს თამარ მეფე, ვინაიდან ევროპა მას არ იცნობდა, მაგრამ ქეთევანის წამება ხომ მთელი ევროპის წინაშე მოხდა? რატომ არ დასძრა ხმა ევროპამ ამ უპრეცედენტო გმირობისა და მარტვილობის გამო, ან რად არ შეიტანა იგი რომის ეკლესიამ თავის მარტიროლოგში? (ქეთევანი ხომ კათოლიკედ აღესრულა)” (გამსახურდია 1991: 565-566).

1993 წელს ამ საკითხს კიდევ ერთი მკვლევარი შეეხო; როსტომ ჩხეიძე ქეთევანისადმი მიძღვნილ თავის წერილში – „ზღუდე ბოროტების წინაშე“ წერს: ეკლესიამ წმინდანად რომ შერაცხა, უპირველესად ეროვნულ-პოლიტიკური ღვაწლი დაუფასა, თორემ მართლმადიდებლურ-კლერიკალური წრეების თვალში ქეთევანის მიერ მართლმადიდებლური რჯულის დაგდება და კათოლიკობის აღიარება ორთოდოქსიიდან აშკარა გადახვევას ნიშნავდა” (ჩხეიძე 1993).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში გამოცემულ წმინდანთა ლექსიკონში, სადაც ორი ათასამდე წმინდანია შეტანილი, შვიდ წმინდა კატერინას შორის ქეთევანი არ იხსენიება (ატვატერი 1983: 77-80).

ჩვენი დაინტერესება ამ საკითხით გამოწვია იმ ფაქტმა, რომ გერმანელი იეზუიტის ნაშრომში – „*Illustres Ruinae*“, ქეთევანი კათოლიკური ეკლესიის წმინდანად არის მიჩნეული. აი, რას წერს ამის შესახებ ბისელიუსი: „...იგი [შაჰ-აბასი – მ. ნ.] უხვად ტყეუბა ქრისტიან საცოლესთან [ქეთევან დედოფალი – მ. ნ.] ურთიერთობით, რომელიც ჩვენს წმინდანთა თანაა შერაცხული” (ბისელიუსი 1663: 1060). ეს ნაშრომი XVII საუკუნეში 25 წლის მანძილზე ორჯერ გამოიცა, პირველად 1654-1664 წლებში, მეორედ კი – 1679 წელს, რაც იმდროინდელ საზოგადოებაში მის პოპულარობას მოწმობს. ხოლო 1701 წელს კი სლოვაკიაში სკალიცელმა იეზუიტმა სწორედ ამ ნაშრომით ისარგებლა და კათოლიკური ეკლესიის წმინდანად მიჩნეულ ქართველ დედოფალზე პიესა დაწერა, რომელიც იმავე 1701 წელს წარმოდგენილი იქნა სკალიცის იეზუიტური გიმნაზიის სცენაზე. დაბეჯითებით იმის თქმა, თუ საიდან იცოდა იოჰანეს ბისელიუსმა ქეთევანის წამების ამბავი, შეუძლებელია, მაგრამ ვარაუდის სახით გვინდა გამოვთქვათ აზრი, რომ შესაძლებელია იეზუიტმა ბისელიუსმა ეს ამბავი იეზუიტ ათანასე კირხერისაგან შეიტყო, რომელმაც თავის მხრივ იგი

იტალიელი მოგზაურის, პიეტრო დელა ვალესგან ან მისი ქართველი მეუღლის თინათინ ციბასგან გაიგო. არ გამოვრიცხავთ აგრეთვე სხვა წყაროებით სარგებლობის ვერსიასაც. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კვალს ავგუსტინელ მისიონერებთან და ღუშ ანუშმის მიერ შედგენილ „ნამდვილ ცნობებთან“ მივყავართ, ვინაიდან პიეტრო დელა ვალემ ყოველივე ეს შეიტყო დომინიკანელი ბერი მამა გრეგორიო ორსინისაგან, რომელსაც ავგუსტინელებმა „ნამდვილი ცნობები“ რომში გაატანეს.

ქთევან დედოფლის კათოლიკური ეკლესიის წმინდანად შერაცხვის საკითხის შესახებ კვლევისას შემდეგი ისტორიული მასალა უნდა გავითვალისწინოთ:

1. 1627 წლის შემოდგომა – „ნამდვილი ცნობები-2“-სთვის დართულ ნაწილში მამა მანოელ მადრე დე დეუსი წერს: „**როგორც კი მისი უწმინდესობა ამ ცნობებს მიიღებს, ამ წმინდანს (ე.ი. ქთევანს – მ. ნ.) მთელი მსოფლიო აღიარებს**“ (გულბენკიანი 1987: 19-20).

2. 1627 წლის 14 ოქტომბერი – მამა მანოელი გოადან პიეტრო დელა ვალესადმი მიწერილ წერილში წერს: „იმედი მაქვს, რომ **თქვენი დიდად პატივცემული ბრწყინვალეობა**, რომელიც წმინდა დედოფლის ესოდენ დიდი მეგობარი გახდა, **იღვწის წამებულად გამოაცხადოს იგი**, ამაში მე ეჭვი არ მეპარება“ (გულბენკიანი 1987: 20). დელა ვალე იზიარებდა ამ აზრს, მაგრამ მიუხედავად ამისა „ინფორმაციაში საქართველოს შესახებ“, რომელიც მან 1627 წელს პაპ ურბან VIII-ს გადასცა, იგი ბუნწად შეეხო დედოფლის სახელოვან მოწამებრივ სიკვდილს და უფრო დაწვრილებით მამა ორსინის მიერ ჩატანილ სხვა ცნობებზე შეჩერდა“ (გულბენკიანი 1987: 20).

3. 1628 წელს დელა ვალე თავის ნაშრომში „სპარსეთის შაჰის აბაზის მდგომარეობის შესახებ“ წერდა: „მე მაინც ვფიქრობ იმ შემთხვევაზე, რომელიც დაუშვა ღვთის განგებამ არა დიდი სიკეთის სახით, არამედ იმისთვის, რომ სამაგიერო მიეზღო, ვინაიდან დიდი ხანია მის ღირსებებზე ლაპარაკობდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ ქთევანის განსაკუთრებულ სიმატაცესა და გონიერებას მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე დაერთო ამ ცხოვრების ღირსეული დასრულება, რაც **დაგვირგვინდა მისი მოწამებრივი სიკვდილითა და ციური დიდებით**, სადაც, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, იგი ამაღლდა“ (გულბენკიანი 1987: 20).

4. 1629 წლის 15 აგვისტო – „პროპაგანდა ფიდეს“ კარდინალებმა განაცხადეს: „რაც შეეხება სხვა უფლებებს, რომლებსაც ისპაჰანის ავგუსტინელები ითხოვდნენ საქართველოს დედოფლისა და სხვა მამების მოწამებრივი სიკვდილის პროცესის დასასრულებლად, ჩვენმა ბატონმა განაცხადა, რომ ამის უფლებას მაშინ მიიღებენ, როცა **რიტუალების წმინდა კონგრეგაციაში წარმოადგენენ ანგარიშებს მათი მოწამებრივი სიკვდილის**

შესახებ, საჭიროა გავაფრთხილოთ ისინი, რომ გულმოდგინედ და ჭეშმარიტების საფუძველზე შედგენილი ეს ანგარიშები ხსენებულ წმ. კონგრეგაციაში გამოგზავნონ” (გულბენკიანი 1987: 20-21).

როგორც სამართლიანად შენიშნავს რ. გულბენკიანი თავის გამოკვლევაში, პორტუგალიის პროვინციის ავგუსტინელებისათვის ნათელი იყო, თუ რა მოტივით მოქმედებდა რომი: **არ არსებობდა ქეთევანის კათოლიკელ მოქცევის საბუთები**. ეს იყო ის ერადერთი მიზეზი, რომელიც აფერხებდა და წინ ეღობებოდა ქეთევანის კათოლიკური ეკლესიის წმინდანად გამოცხადებას. ამიტომ ავგუსტინელებმა გადაწყვიტეს ვატიკანისათვის გაეცნოთ „ნამდვილი ცნობების” მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელსაც სათანადო ცვლილებების შეტანის შემდეგ ჩართავდნენ ნაშრომში „მოკლე ცნობები საქართველოს შესახებ”.

5. 1630 წელს ლისაბონში გამოქვეყნდა „მოკლე ცნობები ქრისტიანობის შესახებ”. ლისაბონელი მამები დედოფლის ტრაგიკული აღსასრულის აღწერის შემდეგ ასეთ კომენტარს იძლევიან: „ამგვარი იყო სახელოვანი სიკვდილი ქართველი დედოფლისა, რომელსაც **ჯერ-ჯერობით წამებულს ვერ ვუწოდებთ, რადგან „ცნობებიდან” არ ჩანს აღიარა თუ არა მან მორჩილება რომის პაპისადმი**, თუმცა, როგორც ზოგიერთი აღიშნავს, დედოფალმა ეს თავისი საქციელით მაინც მოიმოქმედა. დედოფალს სიხარულსა და ნუგეშს ჰკვრიდა წმინდა მამის საუბარი რომის ეკლესიის შესახებ, განმარტება იმისა, თუ რატომ იყო რომის პაპი მსოფლიო ეკლესიის მეთაური. უდიდეს კათოლიკეს ხედავდა მასში წმინდა მამაც. თავისი ამაღლის აღსარებისათვის დედოფალმა რომაელი მღვდელი მოიხმო, ჩვენს ეკლესიაში ისმენდა წირვას და ლოცულობდა, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა რომის პაპის მიერ ნაკურთხი ჯვრებისა და მედალიონების მიღება, თავისი სახლის სამკაულით ეხმარებოდა ჩვენს ეკლესიას დღესასწაულების ჩატარებაში. **ყოველივე ეს მიუთითებს მის სულიერ კათოლიკობას**, ჩვენთვის და მისთვის საერთო რჯულის აღიარებას, რომლისთვისაც იგი კვდებოდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მან მოისმინა და მიიღო” (გულბენკიანი 1987: 21).

ამ ნაწყვეტში საინტერესო ის არის, რომ ქეთევანის „სულიერ კათოლიკობაზე” საუბარი და არა ფაქტობრივზე. ლისაბონელი მამები ფრთხილობდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ, პირდაპირი თუ არა, ირიბი გზით მაინც მიეღწიათ თავისი მიზნისათვის. ამისათვის ისინი პრეცედენტს მოიხმობდნენ: „როცა გვინდა მას კათაქმეველი ვუწოდოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესიას მრავლად ჰყავს საკუთარი სისხლით მონათლული წამებული კათაქმეველები, როგორც იყო, მაგალიად, წმ. ინესას ტუტუმტე წმ. ემერეტიენი. იგი კათაქმეველი იყო, წმინდანის საფლავზე ლოცულობდა და ეწამა: მისი სისხლი, რომელშიც მან ნათელი იღო, ჩვენი აზრით, უნდა ემსახუროს მსურველთა შერიგებას და თანხმობას” (გულბენკიანი 1987: 21).

ამ საკითხზე მსჯელობისას ყურადღება უნდა მიექცეს ქეთევანის წამების ამბის თავად ფორმულირებას. აქაც მეტად საინტერესო სურათს ვღებულობთ:

მამა ამბროზიო ღუშ ანჟუშმა ასე დაასათაურა თავისი ნაშრომი: „ურ-წყინვალესი დედოფლის, ქეთევანის, ღობოლის, **სახელოვან მოწამეობრივ სიკვდილზე** სპარსეთის სამეფოს მთავარ ქალაქ შირაზში, შაჰ აბასის ბრძანებით 1624 წლის 22 სექტემბერს”. როგორც კონტექსტიდან ირკვევა, ფრაზას: **მოწამეობრივი სიკვდილი** ძალიან კონკრეტული მნიშვნელობა აქვს და სრულიად განსაკუთრებული დატვირთვაც ჰქონდა იმ ეპოქაში რელიგიური პლანის თვალსაზრისით. ეს ფრაზა უკვე იმაზე მიუთითებდა, რომ ლაპარაკი არის კონკრეტული სარწმუნოებისათვის, ამ შემთხვევაში – კათოლიკობისათვის მოწამე პიროვნებაზე და არა საერთოდ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებულზე, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს. 1628 წელს დელა ვალე თავის ნაშრომში „სპარსეთის შაჰის აბასის მდგომარეობის შესახებ” ქეთევან დედოფლის შესახებ წერს: „...**რაც დაგვირგვინდა მისი მოწამეობრივი სიკვდილითა და ციური ღიდებით**” (გულბენკიანი 1987: 20). 1630 წელს კი ზემოთ ხსენებულ „ცნობებში ქრისტიანობის შესახებ” კომპილატორმა სიფრთხილე გამოიჩინა და მამა ამბროზიო ღუშ ანჟუშისაგან განსხვავებით, რომელმაც თავისი თხზულების სათაურში დაწერა „ქეთევან დედოფლის სახელოვანი მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ”, რაც უკვე იმას ნიშნავდა, რომ ქეთევანი კათოლიკური ეკლესიის წმინდანადაა მიჩნეული, მან სიტყვა „მოწამეობრივი” გამოტოვა და დატოვა მხოლოდ სიტყვები: „ქეთევან დედოფლის სახელოვანი სიკვდილის შესახებ” (გულბენკიანი 1987: 7). სათაურში შეტანილი ეს ცვლილება რომ შემთხვევითი არ არის, ჩანს კომპილატორის სიტყვებიდან: „ჯერჯერობით ვერ ვუწოდებთ მოწამეობრივ სიკვდილს, ვინაიდან ცნობებიდან ცხადად არ ჩანს, თუ რამდენად ემორჩილებოდა იგი უზენაეს მწყემსს” (გულბენკიანი 1987: 8).

როგორც ფაქტობრივად დასტრდება, ავგუსტინელების ყველა მცდელობას, ვატიკანს ქეთევანი კათოლიკური ეკლესიის წმინდანად გამოეცხადებინა, წარმატება არ მოჰყოლია. როდესაც საქართველოში პაპმა თეათინელი მისიონერები გამოგზავნა, მამა ამბროზიო ღუშ ანჟუშმა უკვე ზედმეტად ჩათვალა გაეგრძელებინა ბრძოლა იმისათვის, რომ ქეთევან დედოფალი კათოლიკური ეკლესიას წმინდანად შეერაცხა და წერტილი დაუსვა წლების მანძილზე სადავო საკითხს.

6. 1640 წელს, რომში ყოფნის დროს, მამა ამბროზიო ღუშ ანჟუშმა პირდაპირ აღიარა, რომ ქეთევანს მართლმადიდებლური ეკლესია არ მიუტოვებია. მან განაცხადა:

„სავარაუდოა, რომ დედოფალი ზეცაშია და ღვთის ღიდებით ზარობს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წესჩვეულებას მისდევდა, იგი ღიდი სიყვარულით

ეკიდებოდა წმინდა კათოლიკურ ეკლესიას და ყველა ლათინელს. მსურვალედ უყვარდა ისინი და რითაც შეეძლო ემსახურებოდა მათ. გარდა ამისა, ჩვენთან ისეთ კარგ ურთიერთობაში იყო, რომ შეუძლებელია წმინდა კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგე ყოფილიყო” (გულბენკიანი 1987: 22).-

ეს განცხადება თავისთავად ხსნის იმ ეჭვებს, რომელიც ჩნდება ამ საკითხთან დაკავშირებით: 1) ავგუსტინელმა მისიონერებმა, რომლებმაც თეიმურაზს ქეთევანის წმინდა ნაწილები ჩამოუტანეს შირაზიდან, რატომ არაფერი უთხრეს მას იმის შესახებ, რომ ქეთევანმა მართლმადიდებლური ეკლესია მიატოვა და კათოლიკედ აღესრულა? 2) თუ ქეთევანმა კათოლიკობა მიიღო, სად და როდის მოხდა ეს? „ნამდვილ ცნობებში” მამა ამბროზიო დუშ ანჟუში წერს იმის შესახებ, რომ შირაზის ტყვეობაში მყოფ ქართველ დედოფალს ნახულობდა და ესაუბრებოდა მას რელიგიურ საკითხებზე, ძირითადად კი უმტკიცებდა კათოლიკობის უპირატესობას მართლმადიდებლობასთან შედარებით. ამ „ცნობებიდან” ჩანს, რომ ქეთევანს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო კათოლიკური ეკლესიისა, მაგრამ წყაროში არავითარი მინიშნება არ არის იმის თაობაზე, რომ იგი თავად აპირებდა კათოლიკობის მიღებას. მაშასადამე, თუ ქეთევანმა კათოლიკობა არ მიიღო შირაზის ტყვეობის დროს, მაშინ როდისღა, უშუალოდ წამების წინ? არც ამის დამადასტურებელი რაიმე საბუთები არსებობს. მაგრამ ვატიკანის არქივში დაცული ამ მოხსენებისათვის საუკუნეების მანძილზე ყურადღება არ მიუქცევიათ, ვიდრე XX საუკუნის დასაწყისში, 1910 წელს იგი მიხეილ თამარაშვილმა არ გამოაქვეყნა.

ქეთევან დედოფლის წამების აღწერის სხვადასხვა ვერსიები XVII საუკუნის ევროპულ წყაროებში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. ზოგიერთი მათგანი იმდენადაა დამოკიდებული სინამდვილეზე, რომ მათში მხოლოდ ერთი ფაქტი შეესაბამება ჭეშმარიტებას – ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრული. ყველა დანარჩენიდან გამოვყოფდი ორ ნაშრომს: კლოდ მალენგრის „ჩვენი დროის ტრაგიკულ ისტორიებს” რომელიც პარიზში 1635 წელს გამოიცა და სადაც ავტორი წერს: „...დედოფალმა, რომელიც ადრე იყო ქრისტიანი, სქიზმატიკოსი და ერეტიკოსი ბერძნული რჯულისა, წამების წინ კათოლიკური სარწმუნოება მიიღო” და გერმანელი იეზუიტის, იოჰანეს ბისელიუსის ნაშრომს: „მნიშვნელოვანი დამხილვის სამყაროს შექმნიდან”, სადაც იგი ქეთევან დედოფლის შესახებ წერს: „...იგი კეთილმოსურნედ ექცეოდა ქრისტიან საცოლეს [იგულისხმება ქეთევან დედოფალი – მ. ნ.], რომელიც ჩვენს წმინდანთა თანაა შერაცხული” (ბისელიუსი 1663: 1060). აქ საიტერესო ის არის, რომ ფრანგი მწერლის, კლოდ მალენგრის ნაშრომი 1635 წელს არის გამოცემული, ე.ი. 1640 წლამდე, ვიდრე ამბროზიო დუშ ანჟუში რომში გააკეთებდა განცხადებას იმის თაობაზე, რომ ქეთევანი მართლმადიდებლური ეკლესიის ერთგული დარჩა. ბისელიუსის

ნაშრომს კი თითქმის თხუშეტი-ოცი წელი აშორებს ამ განცხადებიდან და თუ კი მალენგრს არ შეიძლება სცოდნოდა ამის შესახებ, ბისელიუსს ამისი თეორიული შესაძლებლობა მაინც ჰქონდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ გარდა თავად ქეთევან დედოფლის წამების ფაქტისა, ორივე შემთხვევაში ავტორთა ყურადღება და ინტერესი გამოუწვევია ქართველი დედოფლის ვითომდა გაკათოლიკებას.

1.3. უცხოური წყაროები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ

ამ თავში მოვიყვან უშუალოდ იმ ფრაგმენტებს, რომლებიც ქეთევან დედოფლის წამებას შეეხება:

1. „ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი დედოფლის, დოპოლის, სახელოვან მოწამებრივ სიკვდილზე სპარსეთის მთავარ ქალაქ შირაზში, შაჰ აბასის ბრანებით 1624 წლის 22 სექტემბერს, დაწერილი ჩვენი მამის, წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერის, ქალაქ შირაზში ხსენებული ორდენის მონასტერში მყოფი მამა, მორჩილი მმა ამბროზიო დუშ ანჟუშის მიერ. 1625 წლის 5 იანვარი“. ქეთევანის წამება დეტალურად არის აღწერილი „ცნობების“ IV თავში – „ქეთევან დედოფლის სახელოვანი წამება და მშვენიერი სიკვდილი“. ავგუსტინელი ბერი, რომელიც ამ წამების თვითმხილველი იყო, ასე აღწერს მას: „როდესაც სპარსეთის შაჰის მსაჯულები ირანში ჩავიდნენ, ისინი მაშინვე დედოფლისკენ გაემართნენ, აცნობეს ხელმწიფის დანაბარები: დედოფალს ან სარწმუნოება უნდა დაეთმო, ან სიცოცხლე, ან უნდა გამაჰმადიანებულიყო, ან მომზადებულიყო საშინელი სიკვდილისთვის, რომლის შესახებაც, დედოფალის უარის შემთხვევაში, ხელმწიფემ უკვე გასცა ბრძანება. დედოფალი ჯერ გააოცა და ააღელვა ამ მოულოდნელმა ცნობამ, მაგრამ ყველაზე მეტად გასაოცარი ის თავდაჭერა გახლდათ, რომლითაც შაჰის მსაჯულებს უპასუხა, რომ შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი ხელმწიფის დანაბარები, რომ თავისი ღმერთის წყალობითა და შემწეობით იგი მზად არის ყოველგვარი წამება აიტანოს, რომ იგი დაიცავს და შეინარჩუნებს თავის სარწმუნოებას, რომელიც ჭეშმარიტად მიაჩნია და დარწმუნებულია მაჰმადის რელიგიის სიყალბეში. თან დასძინა, შაჰს შეუძლია ბევრი ჭრილობა მიაყენოს ჩემს სხეულს, ამით ჩემს სულს მხოლოდ სიკეთეს მოუტანსო. სახარებით შთაგონებულმა დედოფალმა წმ. მათეს სიტყვები წარმოთქვა: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცი თქუენნი, ხოლო სულსა ვერ ხელ-ეწიფების მოკლვად“.

ამ ღირსეული პასუხის შემდეგ დედოფალმა სთხოვა მათ მიეცათ ღრო თავის სამლოცველოში შესულიყო და აზრი მოეკრიბა. ისინიც დათანხმდნენ. სამლოცველოში დედოფალი მუხლებზე დაეცა, დიდი გულმოდგინებით რომ ელოცა. ღვთისმოსაობით აღვსილი, თვალცრემლიანი შეეკედრა ჩვენს უფალს, იესო ქრისტეს, მიეცა მისთვის ძალა და მხნეობა, რათა განეგრძო,

განეხორციელებინა და სრულყო ის საქმე, რომლის გაკეთებაც მას სურდა. უაღრესად მორწმუნე ქრისტიანმა დედოფალმა კარგად იცოდა, რომ ბედი ზეცის განგება იყო. ლოცვა რომ დაამთავრა, ადგა, სამლოცველოს კედლებზე განლაგებულ წმინდანთა გამოსახულებებს შეხედა, სიყვარულით შესთხოვა ჩვენი უფლის წინაშე ეშუამდგომლათ მისთვის ამ განსაცდელში, მიეცათ ძალა და გონება დიდი და მნიშვნელოვანი განსაცდელი დაესრულებინა. პირში ნაკურთხი პურის ნატეხი ჩაიდო, სწრაფად გამოვიდა სამლოცველოდან, შაპის მსაჯულებთან მივიდა და უთხრა, რომ შეეძლოთ შედგომოდნენ მათი ხელმწიფის ბრძანების შესრულებას. მისი სილამაზით გულაჩუყებულ მსაჯულებს მოაგონდათ, რომ სულგრძელი ადამიანის დაყოლიება კეთილი მოპყრობით უფრო შეიძლება, ვიდრე დასჯით. ტკბილი და სასიამოვნო საუბარი გაუბეს, ურჩევდნენ საკუთარი თავი შეებრალეზინა და გამაჰმადიანებულებო. შაპი ურიცხვ სიკეთესა და პატივს მიაგებდა და ისე მოექცეოდა, როგორც მისებრ დიდ ქრისტიანსა და დედოფალს შემვენოდა. შაპის მსახურებმა ბევრი სხვაც დასძინეს. მათი ნათქვამი ნაკლებ მორწმუნე, მერყევ სულს ააღელვებდა, დედოფალმა კი მიუგო, რომ ვერც დაპირებები, ვერც მუქარა, ვერც სიმდიდრე და ვერც წამება ვერ განაშორებდნენ უფლის რწმენას, რომელსაც ამქვეყნიურ ღიდებაზე მეტ პატივს სცემს; რომ იგი უკუაგდებს და უგულებელყოფს ყველაფერს და თავისი ღმერთის სიყვარულსა და რწმენას შეინარჩუნებს. შაპის მსახურები აღაფრთოვანა ასეთმა უძლეველმა სულმა, მაგრამ მაინც სცადეს დაერწმუნებინათ ყურად ელო მისი რჩევა, უთხრეს რომ ასეთი გადაწყვეტილება მას წამებამდე მიიყვანდა, რომ მათ შაჰმა უბრძანა, რაც შეიძლება სასტიკად ეწამებინათ იგი. შეუდრეკელმა დედოფალმა მიუგო, ასეთ წმინდა და სამართლიან საქმეში ჩარევა ზედმეტიაო და სთხოვა აღესრულებინათ შაპის ბრძანება, მე მზადა ვარ და ყოველგვარი ცდა საქმის გაჭიანურებად მიმაჩნიაო.

ამ პასუხში შაპის მსახურებმა დედოფლის უძლეველი სული დაინახეს. გადაწყვიტეს ხელმწიფის ბრძანება შეესრულებინათ. უხმეს ორ ჯალათს, დედოფლის აპარტამენტის ეზოში მოლაპარაკების დამთავრებას რომ ელოდნენ. ჯალათები შემოვიდნენ და თან მოგიზგიზე ნალვერდლით სავსე ორი მაყალი და ორი საზარელი მარწუხი შემოიტანეს. დედოფლის საწამებლად მოემზადნენ. სახლიდან გამოიყვანეს ყველა მისი ახლობელი, რომლებიც ცრემლითა და ოხვრით დასტიროდნენ პატრონის ბედს. არ ესმოდათ, რაოდენი ბედნიერება დაუკავშირა ზეცამ ამ საქმეს. ჯალათები ღვთისმოსავ დედოფალს სწვდნენ, ხელები ზურგს უკან რომ შეეკრათ. დედოფალმა უარი განაცხადა და დასძინა, მაჰმადიანივით უკან ნუ შემიკრავთ ხელებს, წინ შემიკარით, როგორც ქრისტიანებს უკრავენ, რათა შემეძლოს ხელები მაღლა აღვაპყრო, ჩვენი ღმერთისა და უფლისკენო.

(რაც მის ქვეყანაში სიკვდილმისჯილთა წესი უნდა ყოფილიყო). სასტიკ-მა ჯალათებმა ქეთევანის წამება დაიწყეს. ჯერ გაგარვარებული სპილენ-ძის ჭურჭელი დაადგას თავზე, შემდეგ ლამაზ სახეზე ჩამოუცურეს და გახურებული მარწუხებით სახიდან ხორცი მოაგლიჯეს. ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა ლოყიდან. დაუტოვეს გადმოდენილი სისხლი, რომელიც სიწმინდისთვის მოწყალების ნიშნად გამოუგზავნა ზეცამ. დედოფალი წელს ზემოთ გააშიშვლეს, გაგარვარებული მარწუხები ჩასჭიდეს და მის მკერდს წვალება დაუწყეს, დაუწყეს და მოაგლიჯეს ძუბუები. სპარსეთის შაჰი იქ რომ ყოფილიყო, ჩვენს წამებულს ნამდვილად შეეძლო ეთქვა ის, რაც წმ. წამებულმა სახელოვანმა ალათიამ უთხრა კვინტინს: „ულ-მერთო, სასტიკო და არაადამიანო ტირანო, შენ არც კი გრცხვენია ქალს მოაჭრა ის, რითაც დედაშენი გკვებავდა. გულქვა, ბრინჯაოს გული უნდა გედოს“. ჩვენმა წამებულმა ეს ვერ თქვა, რადგან სხვა სატანჯველით იტანჯებოდა. ამდენი მამაკაცის წინ შიშველი იდგა, ზოგი მათგანი სი-ცოცხლეს ართმევდა, საშიშროებას უქმნიდა მის პატიოსნებას, რომელსაც იგი ყოველთვის ყველაზე მაღლა აყენებდა. დედოფალმა პირველად ამო-იოხრა და ამან ცხადყო, რომ დაწვაზე მეტად სიშიშველისგან იტანჯებ-ოდა. მოულოდნელად მას უარესი წამება მიაყენეს; ჯალათები თავიანთი ნამოქმედართ არ დაკმაყოფილდნენ, მთლიანად გააშიშვლეს დედოფა-ლი, ქვედა საცვლისამარა დატოვეს (რომელსაც მისი ქვეყნის ქალები ჩვეულებრივ ტანისამოსის ქვეშ ატარებდნენ). ამრიგად, უფალმა ინება, რომ წმინდანი მის ძეზე მეტად არ დაეტანჯათ, რომელიც ჯვარს აცვეს სრულიად შიშველი, ყველას დასანახად და სხეულის არცერთი ნაწილი დაფარული არ ჰქონდა. ჯალათები გახურებული მარწუხებით აწამებდ-ნენ დედოფლის სხეულს. ასეთი წამებით ძალაგამოცლილი დედოფალი მიწაზე დაეცა. დაცემულს თოვლივით თეთრ სხეულზე ორივე მაყალი ზედ დააყარეს. ასეთი როზარიუმი ანგელოზებსაც კი შეშურდებოდათ, მს-გავსის შექმნის საშუალება რომ ჰქონოდათ. და ვინ იცის იქნებ ამ ბაღში სეირნობს საქმრო, ქალწულს რომ ეუბნება შრომანებისა ვარო, წამებულს კი – ვარდებისაო. დიდებული წამებული ერთხანს ასე იწვა. გასაოცარი სიმტკიცით ითმენდა ამ წვასაც (რომლის მსგავსიც ქვეყანაზედ არაფერი უნახავთ). ჯალათებს დამარცხებისა შეეშინდათ. მათ ზომ ვერც გაგარვა-რებული მარწუხებით და ვერც ნაღვერდლით ვერ წაართვეს სიცოცხლე დედოფალს. ისინიც ეცნენ და ხელებით დაახრჩვეს” (გულბენკიანი 1987: 38-40).

2. 1626 წლის 16 მაისით დათარიღებული ბერძენი ბერის – გრეგო-რიოს წერილი, რომელიც ბერძნულად დაიწერა, შემდეგ კი ითარგმნა და 1633 წელს ოქსფორდში გამოქვეყნდა: „შაჰი მოჰყვა საშინელ და საშიშ ქადილს, რასაც ქალისათვის სიმხნე და სიმტკიცე უნდა წაერთმია. მაგრამ

რაც დრო გადიოდა, ქეთევანს ეს სულ უფრო მეტ ძალას მატებდა, და იგი მტკიცედ ერთგულებდა ღვთაებას, რომელ არს ქრისტე... მაშინ შაჰმა ბრძანა, რომ ქეთევანი მღუღარე ქვაბში ჩაეგდოთ. ქეთევანი ამას მშვიდად შეხვდა, თითქოს საწოლ ოთახში მიჰყავდათ. და მანამდის აღუდეს, ვიდრე მისი სული უფალმა მიიბარა, და თავს წამებულის გვირგვინი დაადგა. მისი გვაში მიწაზე დააგდეს, და არ დამარხულა, ვით ეს ქრისტიანს ეკადრება” (კენჭოშვილი 1961: 165).

3. დონ კრისტოფო დე კასტელი, რომელიც 1627-1654 წლებში სამი-სიონერო საქმიანობას ეწეოდა საქართველოში, თავის ცნობებში საქართველოს შესახებ ქეთევანის ამბავსაც შეეხო. იგი წერს: „...ძრავალი მცდელობის მიუხედავად საშინელმა ხელმწიფემ შემარცხვენილი ბრძანება გასცა, სასწრაფოდ გაეგზავნათ სასტიკი ჯალათი ყოლსუშში. ავგუსტინელმა პატრებმა, რომელნიც იმ დროს იქ იყვნენ და ქრისტეს წმინდა სახელი შეჰქონდათ იმ ქვეყნის ხალხში, მომითხრეს ამბავი ქეთევანის ტანჯვისა დასაწყისიდან მის უკანასკნელ სიცოცხლემდე. ამ პატრებმა დახატეს მისი სურათი: ზემოთქმული წამებულის სურათი მათ ჰქონდათ თავიანთ ტაძარში. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ მოითხოვეს ცხედარი თავყვანის საცემად. შემდეგ ის გადმოასვენეს საქართველოში და გადასცეს მის შვილს თეიმურაზს. ასეთი უძვირფასესი ღვაწლის გამო ბერებმა მოიპოვეს უფლება მის სამეფოში შემოსვლისა და დამკვიდრებისა” (კასტელი 1977: 214).

4. არქანჯელო ლამბერტი თავის ნაშრომში „წმინდა კოლხეთი” – “Colchidae Sacra”, რომელიც ნეაპოლში 1657 წელს გამოვიდა შეეხო ქეთევან დედოფლის ამბავს. არქანჯელო ლამბერტის მიხედვით იმამ-ყული ხანმა „უბრძანა დიდი ცეცხლი დაენთოთ და დედოფალს ეშუქებოდა, რომ ამ ცეცხლში შიგ შეაგდებდა, თუ თავისას არ მოიშლიდა, ე.ი. რჯულზე უარს იტყოდა. რადგან ქეთევან დედოფალში არც ამან გამოიწვია შიში და იგი მაინც თავის გადაწყვეტილებებზე იდგა, იმამ ყული ხანმა „გასცა განკარგულება, რათა ჯალათები, ცეცხლში გავარვარებული მარწუხებით შესდგომოდნენ მის წამებას მკერდისა და ბეჭების მოგლეჯით”. ყოველივე ამას ქეთევან დედოფალი დამშვიდებით შეხვდა. მისგან კვნესაც კი არ ისმოდა. მაშინ სიბრაზით ანთებულმა იმამ-ყული ხანმა ბრძანა: „ცეცხლში შეაგდონ და მუგუზლებში ჩამარხონ იგი. ბრძანება შეასრულეს. ცეხლი წაეკიდა. ღვთის დიდების სიამოვნების მისაღებად ჩაიხრუკა მისი სხეული და სული განუტევა. ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე ქეთევან დედოფალმა” (ტაბაღუა 1986: 124).

5. 1628 წლის 20 აგვისტოთი დათარიღებული სწავლული ბერის დონ მიქელე მოსკოს წერილი – „ცნობები თეიმურაზზე და საქართველოზე” შეიცავს ქეთევანის წამების ამბავსაც: „ამით აღშფოთებულმა

სპარსელმა (შაჰ-აბას პირველმა – ი. ტ.) ბრძანა მასთან მოეყვანათ ქეთევან დედოფალი – თეოფილეს დედა, რომელიც დიდი ხანია იქ ტყვედ ჰყავდა. (ქეთევან დედოფალი იქ ჰყავდათ იმ დროიდან, როდესაც თეოფილე კონსტანტინეპოლში წავიდა). შაჰმა ქეთევანისაგან მოითხოვა გამაჰმადიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სიკვდილით დასჯა მოელოდა. ქეთევანმა ამაზე უპასუხა, რომ იგი დაბადებიდან ქრისტიანი იყო და ასეთად სურდა სიკვდილი, ამიტომ მასთან დაიბარეს წმ. ტერეზიის წესის მორჩილი მამა ფეხშიშველი კარმელიტი. ქეთევანმა აღსარება თქვა და ზიარება მიიღო. შემდეგ შაჰმა ბრძანა მისთვის ტანისამოსი გაეხადათ, ბეჭებზე ორ ადგილას ხორცი ამოეგლიჯათ და შიგ გახურებული რკინები ჩაერჭოთ. ასე შესვეს იგი აქლემზე და ქალაქში შემოატარეს. შემდეგ აქლემიდან ჩამოსვეს და ჩასვეს ქებაში, რომელშიც აღულებული ზეთი ესხა. თავზე სპილენძის გახურებული ჭურჭელი ჩამოაცვეს და სული ასე ამოხადეს” (ტაბალუა 1986: 249-250).

6. 1635 წელს პარიზში გამოვიდა კლოდ მალენგრის თხზულება – „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“, სადაც ქეთევან დედოფლის წამება შემდეგნაირადაა აღწერილი: „იმამ-ყული ხანმა უთხრა დედოფალს, თუკი გამაჰმადიანდები, ოქროს მთებს მოიხვეჭ, შაჰ-აბასის ცოლი გახდებიო და თუ უარს იტყვი, მაშინ სასტიკი წამება მოგელისო. ქეთევანმა იუარა გამაჰმადიანება და წარმოთქვა: სინამდვილეში ხელმწიფე არაფერს მთავაზობს, ვინაიდან ისედაც დედოფალი ვარ, ხოლო ჩემი ქვეყნის ქალებისათვის სამაგალითოდ უნდა მოვიქცეო. იმამყული-ხანმა უთხრა, ხელმწიფის ბრძანებას ვასრულებო და სთხოვა დედოფალს არ დაეკისრებინა მასზე პირადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რაც ახლა უნდა მომხდარიყო. ქეთევანმა მიუტევა მას და შეჰპირდა, არ დაგძრახავო. შემდეგ ითხოვა თავისი სარწმუნოების მღვდელი. ეახლა ორი პორტუგალიელი მისიონერი, ავგუსტინელთა ორდენის, მამა ამბროზიო და მამა ანტონიო. დედოფალმა, **„რომელიც ადრე იყო ქრისტიანი სქიზმატიკოსი და ერეტიკოსი, ბერძნული რჯულისა, წამების წინ კათოლიკური სარწმუნოება აღიარა.** ჯალათები შეუძღვნენ დედოფალს დიდ დარბაზში (შემდეგ აღწერილია მისი ბარბაროსული წამება). დედოფალმა მხოლოდ ეს წარმოთქვა: „ო, უფალო ჩემო, ო, იესე ჩემო!...“ წამებული ჯერ ისევ სუნთქავდა, როდესაც გარეთ გაასვენეს და ცეცხლში ჩამარხეს” (ნატროშვილი 1988: 258-259).

7. 1656 წელს დაიბეჭდა გერმანელი დრამატურგის, ანდრეას გრიფიუსის პიესა – „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე“. ის, თუ რა წყაროთი ისარგებლა გერმანელმა ავტორმა პიესაზე მუშაობისას, გახდა ქართველი და უცხოელი მეცნიერების კვლევის საგანი. როგორც ზევით უკვე ვთქვით, ზ. ავალიშვილის, ა. ბიბიჩაძის და თ. ნატროშვილის დასაბუთებული მსჯელობის საფუძველზე გაირკვა, რომ გრიფიუსის თხ-

ზულების ძირითადი წყარო იყო კლოდ მალენგრის თხზულება, თუმცა შესაძლებელია მას სხვა მასალებითაც ესარგებლა (პიეტრო დელა ვალესთან პირადი ნაცნობობა).

8. 1654-1663 წლებში, ამბერში გამოვიდა გერმანელი იეზუიტის, იოჰანეს ბისელიუსის წიგნი: „მნიშვნელოვანი დამხილვანი სამყაროს შექმნიდან“ ნაშრომი ერთი შეხედვით საკმაოდ ბუნდოვან ცნობებს შეიცავს ქეთევანის შესახებ, ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ავტორს ეს ამბავი გაგონილი ან წაკითხული აქვს სადღაც და კარგად არ არის გარკვეული სიტუაციაში. ტექსტის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ორ სხვადასხვა დედოფალზეა ლაპარაკი: დედოფალ კლემენციაზე (Clementiae) და „გურზიანელთა“ დედოფალ კატერინაზე, მაშინ, როდესაც ეს ერთიდაიგივე პიროვნება არის. აი, რას წერს ბისელიუსი თავის თხზულებაში: „შემდეგ შაჰ-აბასი დიდ ადგილს უთმობს თავის ძალაუფლებას და ყოფას. იგი კეთილმოსურნედ ექცეოდა ქრისტიან საცოლეს, რომელიც ჩვენს წმინდანთა თანაა შერაცხული; იგი მას ნებას რთავდა ევლო ავგუსტინელთა მონასტერში, სამეფო ქალაქ სადისში და თვითონაც ხშირად ტრიალებდა მათ შორის, რათა თავისთვის და ასევე მათი უბიწო წმინდანებისათვის ყელზე ჩამოეკიდა მსგავსად გულქანდისა სახე მათი საერთო ქომაგისა (ბისელიუსი 1663:1069).

„აიძულებდნენ რა მონობას, იგი გამოემშვიდობა სიცოცხლეს, მაგრამ მისი სახელი დარჩა“ (ბისელიუსი 1663:1060).

„...ვერანაირი მუქარით, სიმღერებით ფლეიტის თანხლებით, ვერანაირი ზღაპრებით ან მოფერებით და დაფიცებით ვერ შეძლო შაჰ-აბასმა დაეყოლიებინა იგი უარი ეთქვა თავის აღთქმაზე, რომელიც მან ქრისტიანულ სარწმუნოებას მისცა. და აი, სასტიკი წამებით იგი უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი, მაგრამ მას ძალას აძლევდნენ ასკეტი ავგუსტინელები, რომლებმაც იქ შეაღწიეს და ამხნევებდნენ წმინდა წამებულის გვირგვინით. ქრისტეს შობიდან 1617 წელს იგი ცად იქნა წაყვანილი“ (ბისელიუსი 1663: 1062-1063).

9. ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის წიგნი, „შარდენის მოგზაურობა“, რომელმაც XVII საუკუნის 70-წლებში იმოგზაურა საქართველოში. ეს წიგნი პირველად 1686 წელს გამოიცა ლონდონში. ფაქტებს, რომლებსაც ქეთევანის შესახებ იცნობს, შარდენი ასე გადმოგვცემს: „...უარით გაწბილებულმა აბასმა, ან კიდევ შესაძლოა, ეს მხოლოდ საბაბი იყო (რადგანაც ფიქრობენ, რომ ქეთევანის შერთვა მას თითქოს მხოლოდ და მხოლოდ თეიმურაზზე შურისძიებისათვის უნდოდა), დედოფალი დაატყვევა და ერთ დამორბეულ სახლში გაგზავნა, ხოლო მისი ორი შვილიშვილი, როგორც უკვე ვთქვი, თეიმურაზისაგან მძევლად გამოგზავნილები, დაასაჭურისა და მაჰმადიანობა მიალებინა. ამის შემდეგ იგი საქართველოსაკენ გაემურა.

ქეთევანმა მრავალი წელი დაჰყო საპყრობილეში, შემდეგ იგი შირაზში გადაიყვანეს, სადაც 1624 წელს აწამეს, აბასის მიერ საქართველოს დაპყრობის დიდი ხნის შემდეგ. ამ ქალაქის მმართველს, იმამ-ყული-ხანს აბასმა მისწერა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა ქეთევანი გაემძაპდიანებინა და თუ დაპირებები, მუქარა და თვით გვემაც კი არ გასჭრიდა, უკიდურესი წამებისათვის მიემართა. იმამ-ყული-ხანმა დედოფალს ბრძანება უჩვენა, რადგანაც ფიქრობდა, რომ ეს გასჭრიდა, მაგრამ უშედეგოდ. ამ ნამდვილად გმირულ და წმინდა სულზე თვით წამებამაც კი არ იმოქმედა. მან იგემა ჯოხი, ბორკილები, ცეცხლი და სული დალია გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე, რომლებზეც აწამეს მას შემდეგ, რაც რვა წლის განმავლობაში იესო ქრისტესათვის იტანდა წამებას, მით უფრო მტანჯველს იმით, რომ ყოველდღე ცვლიდნენ და აახლებდნენ მას. მისი გვამი შირაზე დაადგეს. შირაზში იმ დროს მყოფმა ავგუსტინელებმა ღამით მოიტაცეს გვამი, ბალზამირება გაუკეთეს, ჩადეს კუბოში და თეიმურაზს მადლობა გაუგზავნეს ერთ-ერთი მათი თანამოძმის საშუალებით” (შარდენი 1975: 307).

10. 1701 წელს სლოვაკიის ქალაქ სკალიცაში დაიდგა სასკოლო პიესა – „კატერინა, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით მორთული, სცენაზე წარმოდგენილი”, რომლის სრულმა ტექსტმაც ჩვენამდე არ მოაღწია; ხელთ გვაქვს მხოლოდ პიესის სინოფსისი, სადაც ავტორი მიუთითებს იმ ისტორიულ წყაროებზე, რომლებითაც ისარგებლა. ესენია ზემოთ ნახსენები ბისელიუსის და ოლეარიუსის ნაშრომები. ავტორი ზედმიწევნით მიყვება წყაროს და სარგებლობს იმ ისტორიული მასალით, რომელიც ბისელიუსის ნაშრომში მოიპოვება. ამ პიესის ეპილოგში ქეთევანი კათოლიკური ეკლესიის წმინდანად არის წარმოდგენილი. საინტერესო კი პიესაში ის არის, რომ შაჰ-აბასის ბრძანებით ქეთევანს თავს ჰკვეთენ. ეს შესაძლოა ავტორის ფანტაზიის ნაყოფიც იყოს, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის ზეპირი გადმოცემა დედოფლის შესახებ, რომელიც დღესაც არსებობს გოაში: „ისტორია გვამცნობს, აქ, ქალაქის ყველაზე მაღალ, თვალწარმტაც ადგილას მიწას მიაბარეს 1624 წელს სპარსეთის შაჰის ბრძანებით თავმოკვეთილი დედოფალი, რომელიც სპარსეთიდან გოაში ავგუსტინელებმა მონაზვნებმა ჩამოასვენეს. მზეთუნახავი ქართველი ქალი, ისტორიული ქრონიკების მიხედვით, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ შაჰის ჰარამხანაში ჩარიცხეს და ისლამი მიაღებინეს, მაგრამ იგი ფარულად მაინც ქრისტიანულ სარწმუნოებას მისდევდა, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს კიდევ” (ლატიშევი 1990).

უცნაურია თავისთავად ის ფაქტი, რომ სწორედ გოაში გაჩნდა ეს ვერსია, იქ, სადაც მოღვაწეობდნენ პორტუგალიელი მისიონერები და რომლებმაც პირველწყაროდან იცოდნენ ქეთევანის წამების ამბავი. შესაძლებელია, ეს გადმოცემა უკვე შემდეგ პერიოდს ეკუთვნის. გარკვეული მსგავსება

სლოვაკი ავტორის მიერ ქეთევანის წამების ინტერპრეტაციისა და ამ თქმულებას შორის მაინც საინტერესოა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბერძენი ბერი გრეგორიოს წერილშიც ქეთევანის თავმოკვეთილ სხეულზეა ლაპარაკი.

თვითმზილველის, მამა ამბროზიოს მიერ ქეთევან დედოფლის ცხოვრების ბოლო მონაკვეთის და თავად წამების აღწერისას პორტუგალიელი მისიონერი ბერი დაწვრილებით აღწერს მის ყოველ მოქმედებას. შაჰის ბრძანება რომ შეიტყო, დედოფალს განუცხადებია, „რომ იგი დაიცავს და შეინარჩუნებს თავის სარწმუნოებას, რომელიც ჭეშმარიტად მიაჩნია და დარწმუნებულია მაჰმადის რელიგიის სიყალბეში“ (გულბენკიანი 1987: 38). ქეთევანს კათოლიკობა რომ ჰქონოდა მიღებული, მამა ამბროზიო აუცილებლად აღნიშნავდა ამ ფაქტს. „ნამდვილი ცნობებიდან“ კი არ ჩანს, რომ ქეთევანს აღსარება ეთქვა ავგუსტინელი მამისათვის და მისგან ზიარება მიეღო. როგორც მამა ამბროზიო აღწერს, „სამლოცველოში დედოფალი მუხლებზე დაეცა, დიდი გულმოდგინებით რომ ელოცა. ღვთისმოსავლობით აღვსილი, თვალცრემლიანი შეევედრა ჩვენს უფალს, იესო ქრისტეს მიეცა მისთვის ძალა და მხნეობა, რათა განეგრძო, განეხორციელებინა და სრულეყო ის საქმე, რომლის გაკეთებაც მას სურდა. უაღრესად ქრისტიანმა დედოფალმა კარგად იცოდა, რომ ბედი ზეცის განგება იყო. ლოცვა რომ დაამთავრა, ადგა, პირში ნაკურთხი პურის ნატეხი ჩაიღო, სწრაფად გამოვიდა სამლოცველოდან, შაჰის მსაჯულებთან მივიდა და უთხრა, რომ შესდგომოდნენ ხელმწიფის ბრძანების შესრულებას“ (გულბენკიანი 1987: 38). ავგუსტინელი ბერისაგან რომ მიეღო ზიარება ქეთევანს, იგი აუცილებლად აღნიშნავდა ამას, რადგან სხვა შემთხვევაში მან საჭიროდ ჩათვალა დაეწერა, რომ „ერთხელ, მარხვის დროს, თავისი მსახურის საშუალებით მთხოვა მიესულიყავი მასთან და მისიანებისაგან აღსარება მიმეღო“ (გულბენკიანი 1987: 34).

მამასადამე, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თავად ევროპული წყაროების დაწვრილებითი შესწავლა-შედარების საფუძველზე იკვეთება, რომ ქეთევან დედოფალს კათოლიკობა არ მიუღია და მართლმადიდებლური ეკლესიის ერთგული დარჩა. ამას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მოწმობს 1640 წელს მამა ამბროზიო ღუშ ანჟუმის მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც მან აშკარად აღიარა: „სავარაუდოა, რომ დედოფალი ზეცაშია და ღვთის ღიღებით ხარობს, მიუხედავად იმისა, რომ ბერძულ წეს-ჩვეულებებს მისდევდა, იგი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა წმ. კათოლიკურ ეკლესიას და ყველა ლათინელს. მხურვალედ უყვარდა ისინი და რითაც შეეძლო, ეხმარებოდა მათ. გარდა ამისა, ჩვენთან ისეთ კარგ ურთიერთობაში იყო, რომ შეუძლებელია, წმ. კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგე ყოფილიყო“ (ლანგი 1956: 172, გულბენკიანი 1987: 22). მაგრამ ასეთი დოკუმენტიც რომ არ არსებობდეს, ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება მამა ამბროზიო ღუშ

ანჟუშის „ცნობებზე“ დაყრდნობითაც, ვინაიდან, როგორც აგიოგრაფი, იგი გადმოგვცემს მხოლოდ იმას, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი და რისი მოწმეც თავად იყო. ქეთევანის წამების ამბავი მას ისე დაწვრილებით აქვს აღწერილი, რომ არ ტოვებს არც ერთ უმნიშვნელო დეტალსაც კი. აქ უნებლიეთ იბადება კითხვა, თუკი ქეთევანი წამების წინ ავგუსტინელი მამების მიერ კათოლიკობაზე მოექცა, როგორც შემდგომ ამას თავის ნაწერებში აღნიშნავდა არაერთი უცხოელი მწერალი თუ მოგზაური, მაშინ რატომ არ უწერია არაფერი ამის თაობაზე თავად მამა ამბროზიო ღუშ ანჟუშს? არსებობს მხოლოდ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედით დათარიღებული პანო, სადაც გამოხატულია ქეთევანი მამა ამბროზიოსთან აღსარების მომენტში⁶ (გულბენკიანი 1987: 57). თავად მისიონერების თანამიმდევრულობა და ზედმიწევნითობა საეჭვოს ხდის ამ ფაქტის რეალურობას და ნათელს ხდის იმ ამბავს, რომ ასეთი პანო შეიძლება გაჩენილიყო მხოლოდ მთელი საუკუნის გასვლის შემდეგ, როდესაც ლევანდა ქეთევანის მიერ კათოლიკობაზე მოქცევის შესახებ უკვე ერთგვარ ტრადიციად იქცა და ჭეშმარიტების ძიება პანოს ავტორს არ მოეთხოვებოდა, მან მხოლოდ ის დახატა, რაც გადმოცემით იცოდა.

დავუბრუნდეთ ისევ ქეთევანის წამების წინა წუთებს: როდესაც ლოცვა დაამთავრა, მან **პირში ნაკურთხი პურის ნატეხი ჩაიღო**. მთელი ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, რომ ღუშ ანჟუში ქეთევანის ყოველ მოქმედებას ყურადღებით ადევნებს თვალს და ზედმიწევნით ზუსტად აღწერს. მაგრამ არ ჩანს, რომ იგი თვითონ რამენაირად მონაწილეობდეს ამ რიტუალში. ეს აშკარაა ზევით მოყვანილი ფრაზიდან, სადაც არ ჩანს ადამიანი, ვინც ქეთევანს ეს პურის ნატეხი მისცა, ხოლო მამა ამბროზიო რომ ყოფილიყო ეს ადამიანი, ნუთუ იგი ამას საგანგებოდ არ აღნიშნავდა? როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ღვთისმსახური ქეთევანის გარემოცვაში აღარ იყო, ქეთევანს კათოლიკე მამისათვის არ მიუმართავს აღსარებისა

⁶ როგორც ჩანს ამ პანოს გაჩენის საფუძველი გახდა მამა ზოსე დე სანტო ანტონიოს ნაშრომი „წმ. ავგუსტინელ წამებულთა მშენება“ (1721-1726). სწორედ ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ შეუქმნათ ლისაბონის ა გრასას მონასტრის მთავარი დარბაზის კედელი პანოთი – ტრიპტიხით – სადაც გამოსახულია ქეთევან დედოფლის წამება, რომელიც ამიერიდან იწოდებოდა როგორც „ღირსეული ქალბატონი ქეთევანი, საქართველოს დედოფალი, წმ. ავგუსტინეს ორდენის სულიერი და და ქალიშვილი“. ამ ვერსიის საფუძველი კი იქნებოდა მამა ანტონიო და პურიფიკასანოს მიერ 1642 წ. ლისაბონში გამოქვეყნებული „სამონასტრო ქრონიკები“, სადაც წერია: „ქეთევან დედოფალი, ავგუსტინელთა ორდენის მორჩილ მძათა მოწაფე და და“, (გულბენკიანი 1987: 23). ვფიქრობთ სწორედ ამის საფუძველზე ამტკიცებდა მამა ფრანცისკო პურიფიკასანო, რომ „დედოფალი განსწავლული და რომის ეკლესიაში შემოყვანილ იქნა მამა ამბროზიო ღუშ ანჟუშის მიერ“ (გულბენკიანი 1987: 23). თავად გულბენკიანი პანოს შემდგენიარად აღწერს: „უზარმაზარ, ცხრამეტრიანი ტრიპტიხის რეპროდუქციაზე აღბეჭდილია სცენები ავგუსტინელი მამების მიერ საქართველოს დედოფლის ქეთევანის კათოლიკობაზე მოქცევის, შირაზში რწმენის ერთგულებისათვის წამების და 1628 წ. მამა ამბროზიო ღუშ ანჟუშის მიერ დედოფლის სხეულის წმინდა ნაწილების გადაცემის შესახებ მისი ძის, კახეთის მეფე თეიმურაზისათვის, წამების სცენაზე იკითხება წამებულის ბავიდან წარმოთქმული ლათინური სიტყვები „ღმერთო შემეწიე ძუძუთა ჩემთა სატანჯველში“ (გულბენკიანი 1987: 57).

და ზიარებისათვის, რასაც აუცილებლად გააკეთებდა, კათოლიკობა რომ ჰქონოდა მოღებული.

მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის „ნამდვილი ცნობების“ მეოთხე თავი – „ქეთევან დედოფლის სახელოვანი წამება და მშვენიერი სიკვდილი“ – თავისი არსით აგიოგრაფიული ნაწარმოებია, და ამიტომ მისი ავტორიც, მამა ამბროზიო ქეთევანის აგიოგრაფად გვევლინება. როგორც ცნობილია, აგიოგრაფის მოვალეობა იყო „მოწმედ“ დასდგომოდა ადამიანს, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებას სიცოცხლეს სწირავდა და შემდეგ მისი მარტვილობა აღეწერა. აგიოგრაფიას, როგორც ყველა ჟანრს, თავისი კანონები აქვს; აგიოგრაფი, როგორც თვითმხილველი, აღწერდა მხოლოდ იმას, რასაც ხედავდა და იცოდა, ან რაც სხვებისაგან ჰქონდა გაგონილი და ეს ინფორმაცია საიმედო წყაროს წარმოადგენდა. „მარტვილობები“, „ცხოვრებებისაგან“ განსხვავებით, უმეტეს შემთხვევებში უშუალო მოწმეების მიერ იწერებოდა. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამიტომაც მოერიდა ამბროზიო დუშ ანჟუში თავის თხზულებაში ისეთი რამის შეტანას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ქეთევანის წამების შემთხვევაში სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მართლმადიდებელი მოწამის ცხოვრებას კათოლიკე ბერი აღწერს. ზევით უკვე ავღნიშნეთ, რომ ავგუსტინელ ბერებს საქართველოში დასამკვიდრებლად და მისიონის გასახსენლად განსაკუთრებით ხელს აძლევდათ ის, რომ ქეთევანი მათ მიერ ყოფილიყო მოქცეული კათოლიკობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ იმდროინდელი კათოლიკური რელიგიური პრაქტიკის ზოგიერთი ასპექტები.

უნდა აღინიშნოს, რომ ურბან VIII, რომლსაც 1623-1644 წლებში ეკავა წმინდა პეტრეს ტახტი, განათლებით იურისტი იყო და სწორედ მის სახელს უკავშირდება წმინდანად შერაცხვის ახალი წესების შემუშავება და მიღება (კოვალსკი 1991: 194-195). XVII საუკუნეში კატეგორიულად აიკრძალა არაკანონიზირებულ წმინდანთა თაყვანისცემა, ანუ ისეთი საკულტო ღონისძიებები, რომლებიც არ იყო სანქციონირებული პირადად პაპის მიერ (ვაინშტეინი... 1982: 162). ამ და სხვა საინტერესო საკითხებისადმი მიძღვნილი ინგლისელი მეცნიერების ვაინშტეინის და ბელის წიგნი – „წმინდანები და საზოგადოება“. როგორც გამოკვლევის ავტორები წერენ, პაპ ურბან VIII-ის მიერ დაწესებული კანონიზაციის ოფიციალური პროცედურის თანახმად, ყველა კანდიდატს – გარდა მარტვილისა – უნდა დაეკმაყოფილებინა სამი ძირითადი მოთხოვნა: 1) დოქტრინული სიწმინდე, 2) ჰეროიკული სათნოება (ზნეობრიობა) და 3) სასწაულებრივი მეოხება ანუ შუამდგომლობა სიკვდილის შემდეგ. პირველი პუნქტი, დოქტრინული სიწმინდე, იმისკენ იყო მიმართული, რომ წმინდანთა საზოგადოებაში არ მოხვედრილიყო ერეტიკოსი ან ჰეტეროდოქსულად მოაზროვნე ადამიანი

და ამიტომ იგი საკმაოდ ხანგრძლივ და რთულ პროცედურას წარმოადგენდა, რათა კათოლიკურ ეკლესიას, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ მას სული წმიდა წინამძღოლობის, თავიდან აეცილებინა შესაძლებელი წინააღმდეგობანი და გართულებანი. დოქტრინული სიწმინდის გამოძიება, როგორც ჩანს, XII საუკუნეში, ერეტიკული მოძრაობის ფართოდ გავრცელებასთან ერთად დაიწყო. მეორე მოთხოვნა, პეროიკული სათნოება ჩაფიქრებული იყო კეთილსინდისიერი სასწაულთმოქმედის განსახვავებლად შავი მაგიის მიმდევრისაგან. როგორც ეს თომას აქვინელმა და XIII საუკუნის სხვა თეოლოგებმა დაამუშავეს, არსებობდა შვიდი სიქველე: სამი თეოლოგიური სიქველე – რწმენა, იმედი, სათნოება და ოთხი ძირითადი სიქველე – კეთილგონიერება, ზომიერება, სამართლიანობა და სულის სიძლიერე (მორალური გამბედაობა). ყველა ეს თვისება ერთად წარმოადგენდა სანიმუშო ქრისტიანის ცხოვრებისათვის წაყენებულ მოთხოვნას. მესამე მოთხოვნა, სასწაულებრივი შუამდგომლობა, იმის საბუთი იყო, რომ „ღმერთის მსახური“ განისვენებდა ცაში წმინდანთა საზოგადოებაში და შუამდგომლობდა ქრისტეს წინაშე, რათა მას ეპასუხა მიწაზე მყოფთა ლოცვებისათვის (ვაინშტაინი... 1982: 141-142).

შუა საუკუნეების ევროპაში მაინცდამაინც არ სცემდნენ თავყანს პოლიტიკურ წამებულებს – გამონაკლისს ეპისკოპოსი თომას ბეკეტი, წარმოადგენს, რომელიც მეფე ჰენრი II-სთან მომხდარი უთანხმოების გამო საკათედრო ტაძრის სამლოცველოში იქნა მოკლული 1170 წლის 29 დეკემბერს. იგი მაშინვე გამოცხადდა მარტვილად და 1173 წელს იქნა კანონიზებული. დაახლოებით ოთხი საუკუნის მანძილზე მისი საფლავი პილიგრიმების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სალოცავი ადგილი იყო მთელ დასავლეთ ევროპაში (ატვატერი 1983: 317-318), რადგან მაშინ გაცილებით უფრო გავრცელებული იყო სასწაულთმოქმედ მეურნალობა და მისტიკოსთა კულტი, მაგრამ უკვე შუა საუკუნეების ბოლოს, როდესაც ქრისტიანობამ თავისი საზღვრების გაფართოება დაიწყო, მას სარწმუნოებისათვის წამებულები დასჭირდა. როგორც ამ გამოკვლევის ავტორები წერენ, მხოლოდ XVI და XVII საუკუნეებში დაუბრუნდა მარტვილობას ის მნიშვნელობა, რომელიც მას ადრეული ქრისტიანობის დროს ჰქონდა. კათოლიკე მარტვილთა არეალი ახლა ინგლისის და ახალ დაპყრობილ მიწებს მოიცავდა აზიასა და აფრიკაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში. ინგლისში, სადაც ტიუდორები და სტიუარტები ეროვნულ ეკლესიას ხელმძღვანელობდნენ, კათოლიკე ლტოლვილები, ძირითადად იეზუიტები, ფარულად უკან ბრუნდებოდნენ ძველი სარწმუნოების – კათოლიკობის – აღდგენის იმედით, რომელიც წინასწარვე განწირული იყო (ვაინშტაინი... 1982: 161).

როგორც ვხედავთ, მარტვილებს, წმინდანობის სხვა კანდიდატებისაგან განსხვავებით, არ მოეთხოვებოდათ სამი ძირითადი პირობის დაკმაყოფილე-

ბა კანონიზაციისათვის, ვინაიდან ეს პირობები კათოლიკეთათვის იყო გათვალისწინებული. ქეთევანის შემთხვევაში კი სწორედ მოთხოვნის პირველი პირობა იყო გადამწყვეტი. ეს იყო დოქტრინული სიწმინდე, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კათოლიკური ეკლესიის თანახმად ნიშნავდა იმას, რომ წმინდანად წარდგენილი კანდიდატი არ იყო ერეტიკოსი, ხოლო 1054 წლის შემდეგ, როდესაც საბოლოო განხეთქილება მოხდა რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებს შორის (კოვალსკი 1991: 105), მართლმადიდებელ ქრისტიანებს რომის კათოლიკური ეკლესია ერეტიკოსებსა და სქიზმატიკოსებს უწოდებდა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მართლმადიდებელი ქეთევანი კათოლიკურმა რომმა წმინდანად არ შეარაცხა მიუხედავად ისპაჰანში მოღვაწე ავგუსტინელების დიდი მონღომებისა. რა თქმა უნდა, ეს სრულიად ბუნებრივია. ამაში ოდნავი ეჭვიც კი არ იქნებოდა შესატანი, რომ არ ყოფილიყო მამა ამბროზიო დუშ ანჟუმის „ნამდვილ ცნობებში“ არსებული ბუნდოვანი განცხადებები, რამაც მათი ტენდენციური ინტერპრეტაცია გამოიწვია ევროპელ ავტორთა თხზულებებში.

თავი XII.

შაჰ-აბასის ქეთევანისადმი ტრფობის მოტივის წარმოშობის ქრონოლოგია

როდესაც ქეთევან დედოფლის მიმართ შაჰ-აბასის ტრფობაზე გვაქვს საუბარი, პირველწყაროდ, და, რა თქმა უნდა, ყველაზე სანდო ინფორმაციად მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის წყარო უნდა მივიჩნიოთ, როგორც პიროვნებისა, რომელიც ხშირად ხვდებოდა დედოფალს შირაზში მისი ტყვეობის დროს და მისი მარტვილობის აღმწერად მოგვევლინა. იმ ინფორმაციიდან, რომელიც ამ საკითხის განხილვისას ჭეშმარიტებასთან მიგვაახლოებს, მამა ამბროზიოს ნაშრომიდან იმ ცნობებს გამოვყოფთ, რომლებიც ყველაზე საყურადღებოდ მიგვაჩნია. წყაროებს მნიშვნელობის თვალსაზრისით კვლავ დავყოფთ ორ კატეგორიად: პირველში შევა პირველწყარო, მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის ნაშრომი; მეორეში კი ინტერპრეტირებული წყაროები, რომელთა ავტორები არიან: კლოდ მალენგრი, დონ კრისტოფო დე კასტელი, იოჰანეს ბისელიუსი და ჟან შარდენი.

I. პირველწყარო:

პირველ რიგში საყურადღებოა მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის ცნობა ქეთევანის შაჰთან ელჩობის შესახებ: „მთელი სამეფოსა და პროვინციების მოსალოდნელი განადგურების თავიდან ასაცილებლად საბჭომ და მეფემ გადაწყვიტეს სპარსეთში ელჩობა გაეგზავნათ ისეთი დიდებული, ღირსეული და ყოველმხრივ წინდახედული და თანაგრძნობის ღირსი ადამიანის სახით, რომელსაც ეცოდინებოდა და შეძლებდა იმ ვითარების დახატვას, რომელშიც აღმოჩნდა ქვეყანა, შაჰს დაარწმუნებდა და მშვიდობასა და კეთილგანწყობას მიაღწევდა. ასეთ პიროვნებად საბჭომ ერთხმად დაასახელა თეიმურაზის დედა – ქეთევან დედოფალი” (გულბენკიანი 1987: 27).

შაჰ-აბასის მიერ ქეთევანის წამების მიზეზად მამა ამბროზიო ორ ძირითად ფაქტს გამოყოფს. იგი წერს: „პირველი ისაა, რომ თუ რომელიმე ქრისტიანი ტყვე ქრისტეს სჯულს მიატოვებს და მაჰმადიანთა კანონს მიიღებს, მაჰმადიანები სამშობლოში დაბრუნების ნებას აღარ აძლევენ. აღარ აძლევენ ნებას დაუბრუნდნენ მშობლებსა და ახლობლებს. ასეთი ნებართვის მიცემა დიდი ცოდვაა და მათი კანონით აკრძალულია. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ დედოფლის ვაჟი თეიმურაზ მეფე, მას შემდეგ, რაც სამეფო წაართვეს და იქიდან განდევნეს, თურქებთან წავიდა, რამდენ-

იმე წელი მათთან დაყო. შემდეგ თურქეთიდან მოსკოვის მთავარ დიმიტრის მიაშურა; შესაძლოა, იმიტომ, რომ იგი მისი ძველი მეგობარი იყო და პატივს სცემდა მას, ანდა ერჩია თუნდაც სქიზმატიკოსი, მაგრამ ქრისტიანი მეფის ჩრდილქვეშ ეცხოვრა, ვიდრე ქრისტიანთა საერთო მტრის, თურქების მიწაზე დარჩენილიყო” (გულბენკიანი 1987: 35). შემდეგ ღუშ ანჟუში განაგრძობს მსჯელობას ამ საკითხზე და დასძენს: „ამ ორი ვითარების შესაბამისად, სპარსელები დედოფლის წამებისა და სიკვდილის ორ მიზეზს მიუთითებენ: პირველი ის, რომ ხელმწიფე შაჰ-აბაზს ეჭვი ეპარებოდა, დედოფალი თავის ძეს, თეიმურაზს წერილობით ამცნობდა ყოველივეს, რაც სპარსეთში ხდებოდა. მეორეც ის, რომ მოსკოვის დიდმა მთავარმა ელჩი გაუგზავნა შაჰს თხოვნით, გაეთავისუფლებინა დედოფალი და ელჩთან ერთად გამოეგზავნა” (გულბენკიანი 1987: 36). შაჰს ეს თეიმურაზის ეშმაკობად ჩაუთვლია და არა დიდი მთავრის პირად მოქმედებად, ხოლო დედოფლის განთავისუფლებაზე არც დადებითი პასუხი მიუცია და არც უარყოფითი. ამასობაში კი შირაზში თავისი ხალხი გაგზავნა და ქეთევან დედოფალს შეუთვალა მაჰმადიანობა მიეღო, უარის შემთხვევაში კი „გახურებული მარწუხებით მოეკლათ” (გულბენკიანი 1987: 36). ამასთანავე, ღუშ ანჟუში აღნიშნავს, რომ „ამ ორი მიზეზის გარდა, დედოფლის წამებაში დიდი როლი შეასრულა შაჰის ძველმა გესლიანმა სიძულვილმა თეიმურაზის მიმართ” (გულბენკიანი 1987: 36).

როგორც ირკვევა, პირველწყაროში საერთოდ არ არის საუბარი დედოფლის წამების იმ ორ მოტივზე, რომლებიც შემდგომ ინტერპრეტირებულ წყაროებში გაჩნდა: ესენია შაჰის ქეთევანისადმი ტრფობის მოტივი და მისი ცოლად შერთვის სურვილი და წინადადება.

შაჰ-აბაზის ქეთევანისადმი სიყვარულის მოტივის გაჩენას ზოგიერთი ქართველი მკვევარი (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი – მ. ნ.) მიაწერს მამა ამბროზიო ღუშ ანჟუშის მოხსენებას რომის პაპის მიმართ, რომელიც 1629 წლის 27 აპრილით არის დათარიღებული და სადაც მამა ამბროზიო წერს, რომ „**შაჰმა ქეთევანი აწამა, ვინაიდან იგი სარწმუნოებასა და ნამუხის უბიწოებას იცავდა**”. ეს დოკუმენტური მასალა კომენტარებით 1994 წელს გამოაქვეყნეს გ. ჟორდანიამ და ზ. გამეზარდაშვილმა ვრცელ ნაშრომში – „რომის კათოლიკური მისია და საქართველო”. ეს წიგნი რუსულ ენაზეა დაწერილი და შესაბამისი ლათინური ტექსტები ერთვის. ჩვენთვის საინტერესო მოხსენებების ლათინური ტექსტი ასე ჟღერს “...cum enim apud nos requiescerent ossa venerada matris Principis georgiani Tamarazi, quod propeter *fidem* ac *castitatem* servandam a Regarum Rege acerbis crucitatus ac saevissima morte perpressa est” (ჟორდანია... 1994: 682), ქართული თარგმანი კი შემდეგია: „ჩვენთან ინახებოდა ქართველი მეფის ფრიად პატივცემული დედის ნეშტი, რომელიც სარწმუნოებისათვის თავისი ერთგულებისა და უბიწოების გამო

უშკაცრესად იყო ნაწამები სპარსეთის მეფის მიერ და მიიღო მოწამებრივი სიკვდილი” (ჟორდანიას... 1994: 494).

ფრაზა — „შაჰმა ქეთევანი აწამა, ვინაიდან იგი სარწმუნოებასა და ნამუსის უბიწოებას იცავდა”, ვფიქრობთ, არ უნდა გაიშიფროს ისე, თითქოს შაჰს ქეთევანის ცოლად შერთვა სურდა.

“Fidem” ლათინურად ნიშნავს სარწმუნოებას და რწმენას, ხოლო “castitatem” ითარგმნება როგორც ზნეობრივი სისუფთავე, სიფაქიზე, სისპეტაკე. ზნეობრივი სისპეტაკე კი ისევ რელიგიურ კატეგორიას მიეკუთვნება, და ვფიქრობთ, უფრო სულიერი სისპეტაკის მნიშვნელობა აქვს ამ სპეციფიკურ კონტექსტში და მისი სხვაგვარად თარგმნა, საერთო კონტექსტიდან გამომდინარე, ტექსტზე ტენდენციური ძალდატანების შთაბეჭდილებას ტოვებს.

ახლა განვიხილოთ ის წყაროები, სადაც შაჰის ქეთევანისადმი ტრფობის და მისი ცოლად შერთვის მოტივებზეა საუბარი.

პირველი წყარო, სადაც ქეთევანისადმი შაჰ-აბასის ტრფობაზეა ლაპარაკი, ფრანგი ისტორიკოსის, კლოდ მალენგრის ნაშრომში — „ჩვენი დროის ტრაგიკულ ისტორიებში” — გვხვდება. თხზულება 1635 წლით არის დათარიღებული. შემდეგ ეს ამბავი გაიმეორა თავის ნაშრომში კრისტოფო დე კასტელიმ, რომელმაც 1627-1654 წლებში იმოგზაურა საქართველოში. 1654-1664 წლებში გამოდის გერმანელი იეზუიტის იოჰანეს ბისელიუსის ვრცელი ნაშრომი “De Rebus Gestis Shah Abae”, სადაც იგი აღწერს შაჰ-აბასის ქეთევანის მიმართ სიყვარულის ამბავს. 1686 წელს ლონდონში გამოვიდა ფრანგი მოგზაურის — ჟან შარდენის ნაშრომი, რომელმაც საქართველოში თავისი მოგზაურობა აღწერა (1672-1673 წწ), სადაც იგი წერს შაჰ-აბასის ტრფობის შესახებ ქეთევან დედოფლის მიმართ. ქეთევანისადმი შაჰ-აბასის ტრფობის ისტორიის ქრონოლოგია XVII საუკუნის ევროპელ ავტორებთან შემდეგია:

II. ინტერპრეტირებული წყაროები:

წყაროები, რომლებშიც რეალურმა ფაქტებმა სახეცვლილება განიცადეს:

1. 1635 წელი, კლოდ მალენგრი: „... ხოლო აი ჩვენი დროის ერთი მაგალითიც, სხვებთან შედარებით არა ნაკლებად სახსოვარი. ეს ის მოქმედებაა, რომელიც საქართველოს თეატრზედ გაიშალა ამ ქვეყნის დედოფლის კატრინის (ქეთევანის) სახით, სპარსეთის მეფის შაჰ აბასის უპატიოსნო ვნების მიზეზით” (ავალიშვილი 1938: 23). ნაშრომში ჯერ სიყვარულის ძალაზეა ლაპარაკი და ისტორიული მაგალითებია მოხმობილი — სემირამიდა, ელენე და სხვა. (1-5 თავებში) საქართველოს დაღუპვის მიზეზად შაჰ აბასის ტრფობაა აღიარებული. 26-ე თავში საუბარია შაჰის მიერ ქეთევანისათვის სიყვარულის გამჟღავნებზე (ავალიშვილი 1938: 26).

2. 1627-1654 წლები, კასტელი: „... მისმა (იგულისხმება ქეთევანი – მ. ნ.) კეთილშობილებამ, სილამაზემ და მჭერმეტყველებამ შაჰი მოხიბლა და სიყვარულმა შეიპყრო. მისი კდემამოსილების [დასაუფლებლად] მან სხვადასხვა საშუალებანი სცადა. რადგან უბადლო ქალი იყო, ამიტომ მან უარჰყო მისი [მცდელობა]. ამის გამო განრისხებულმა ხელმწიფემ შირაზის სამეფო ციხეში ჩააგდო იგი, სადაც სხვადასხვა ხერხით იერიში მიჰქონდა მასზე (კასტელი 1977: 214).

3. 1663 წ. ბისელიუსი: „ამ პირთა გარდა ტყვეთა შორის იყო კატერინა, გურზიანელთა დედოფალი – ქრისტიანული კულტის მტკიცე მიმდევარი, უფრო ზუსტად – ორთოდოქსულისა; გარდა ამისა, იგი გამოირჩეოდა თავისი სილამაზით, ჩამომავლობით და ღირსებით. ამ მიზეზების გამო, შაჰ-აბასი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა იგი დაემორჩილებინა თავისი გავლენისათვის; იგი თავის მეოთხე ცოლად განიზრახა, პირველი სამის გარდა, მაგრამ მაშინ დაინახა, რომ იგი მის სურვილებს უპირისპირებს, ერთი მხრივ, წმინდანებს და მეფურ ზნეობრივ სისპეტაკეს და მეორე მხრივ – ქრისტეს კანონს ქორწინების შესახებ ერთისა ერთთან; მაჰმადიან მეფეს არ გამოჰპარვია კეთილშობილი მებრძოლი ქალწულის არც ერთი ცდა ვედრებით მიემართა ქრისტესათვის: შაჰ-აბასმა უბრძანა „აღ ყურანის“ გადაწერს მისთვის მიეწერა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო, რადგანაც დედოფლის სიმტკიცე მუდამ ურყევი რჩებოდა. ვერანაირი მუქარით, სიმღერებით ფლეიტის თანხლებით, ვერანაირი ზღაპრებით ან მოფერებით და დაფიცებით ვერ შეძლო შაჰ აბასმა დაეყოლიებინა იგი უარი ეთქვა თავის აღთქმაზე, რომელიც მან ქრისტიანულ სარწმუნოებას მისცა. და, აი, სასტიკი წამებით იგი უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი, მაგრამ მას ძალას აძლევდნენ ასკეტი ავგუსტინელები, რომლებმაც იქ შეაღწიეს და ამხნევებდნენ წმინდა წამებულის გვირგვინით“ (ბისელიუსი 1663: 1062-1063).

4. 1672-1673 წლები, შარდენი: „დედოფალი ხანდაზმული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ საკმაოდ ლამაზი უნდა ყოფილიყო. პირველი დანახვისთანავე აბასს შეუყვარდა დედოფალი, ან, შესაძლებელია, თავი მოაჩვენა მიჯნურად. დედოფალს მაჰმადიანობის მიღება და ცოლობა შესთავაზა. ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი საოცარი ურყევი სიმტკიცითა და გამბედაობით დედოფალმა უარი განუცხადა ხელმწიფეს, უფრო თავის ღვთისმოსაობისა და უბიწოების გამო, ვიდრე იმის გამო, რომ სპარსეთის დედოფლების კარჩაკეტილი ცხოვრება ეზიზღებოდა. უარით გაწბილებულმა აბასმა, ან კიდევ შესაძლოა, ეს მხოლოდ საბაბი იყო (რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ქეთევანის შერთვა მას თითქოს მხოლოდ და მხოლოდ თეიმურაზზე შურისძიებისთვის უნდოდა) დედოფალი დაატყვევა“ (შარდენი 1975: 306-307).

მეტად საინტერესოა ის აზრობრივ-შინაარსობრივი დამთხვევა ამ საკითხში, რომელიც კასტელის და ბისელიუსის ნაშრომებში გვხვდება. ორივენი ქეთევანის ერთსადაიმაცე თვისებებს უსვამენ ხაზს. ესენია: კეთილშობილება, სილამაზე, მჭერმტყველება, ჩამომავლობა და ღირსება. მართალია, ბისელიუსთან პირდაპირ არ წერია შაჰის სიყვარულის შესახებ ქეთევანისადმი, მაგრამ ავტორი წერს, რომ შაჰის ქეთევანი თავის მეოთხე ცოლად ჰყავდა განზრახული. ხოლო რაც შეეხება შაჰის მცდელობას – ქეთევანი დაემორჩლებინა, აქ ორივე ავტორი ისევ ერთსულოვნებას იჩენს. კასტელი წერს, რომ „მისი კდემმოსილების [დასაუფლებლად] მან სხვადასხვა საშუალებანი სცადა. რადგან უბადლო ქალი იყო, ამიტომ მან უარჰყო მისი [მცდელობა]” (კასტელი 1977: 214). ბისელიუსთან – კი ვკითხულობთ: „ვერანაირი მუქარით, სიმღერებით ფლეიტის თანხლებით, ვერანაირი ზღაპრებით ან მოფერებითა და ფიცით ვერ შეძლო შაჰ-აბასმა დაეყოლიებინა იგი უარი ეთქვა თავის აღთქმას, რომელიც მან ქრისტიანულ სარწმუნოებას მისცა” (ბისელიუსი 1663: 1060).

შარდენთან უკვე გაერთიანებულია ორივე ვერსია – შაჰის მიჯნურობა ქეთევანის მიმართ, რაც გვხვდება მალენგრთან, კასტელისთან და ნაწილობრივ ბისელიუსთანაც და მისი ცოლად შერთვის სურვილი, რაც ბისელიუსის წყაროშია გადმოცემული. ამ სამი ინტერპრეტირებული წყაროს ავტორთაგან, რომელნიც ზევით მოვიყვანეთ, მხოლოდ შარდენი აზუსტებს დედოფლის ასაკს, იგი წერს, რომ „დედოფალი ხანდაზმული იყო” (შარდენი 1975: 306). ამას გარდა, იგი დასძენს, რომ შესაძლებელია შაჰმა მხოლოდ თავი მოაჩვენა მიჯნურად, სინამდვილეში კი მას ქეთევანის შერთვა თეიმურაზზე შურის საძიებლად უნდოდა. ეს აშკარად დუშ ანჟუმის ნაშრომის გამოდახილად მიგვაჩნია, რადგან როდესაც მისი ნაშრომის შესახებ ვსაუბრობდით, მოვიტანეთ მისი ციტატა იმის თაობაზე, რომ დედოფლის წამებაში დიდი როლი შეასრულა შაჰის ძველმა გესლიანმა სიძულვილმა თეიმურაზის მიმართ. აღსანიშნავია ქეთევანის ასაკი ინტერპრეტირებული წყაროების მიხედვით. ბისელიუსთან დედოფალი ახალგაზრდა ქალად, „მებრძოლ ქალწულად” არის წარმოდგენილი; მართალია, მალენგრი მის ასაკს არ აზუსტებს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ იგი წერს იმის შესახებ, რომ ქეთევანი მეფე თეიმურაზის დედაა, იგი ქეთევანს ახალგაზრდა ქალად არ უნდა მიიჩნევდეს. ამ ჯგუფის წყაროებიდან მხოლოდ შარდენი მიუთითებს ქეთევანის სწორ ასაკს, იგი წერს რომ დედოფალი ხანდაზმული იყო, ამას ადასტურებს პირველწყაროც, სადაც ქეთევანის რეალური პორტრეტია მოცემული, მამა ამბროზიო წერს: „ეს ღვთისმოსავი ქალბატონი ტანდაბალი გახლდათ. დაახლოებით ორმოცი წლისა უნდა ყოფილიყო, ხელთ მლოცველის ჯოხი ეპყრა. ქვრივით შავად მოსილს, თავ-კისერიც მოშავო საბურველით დაეფარა. მეტად

პირმშვენიერი და უაღრესად დარბაისელი, არა მარტო სამეფოს, არამედ მთელი სუვერენული იმპერიის დედოფლობის ღირსი იყო. არაჩვეულებრივი წმინდა და სასიამოვნო, განსაკუთრებულ სიზარულს ჰკვირდა ყველას, ვინც ერთხელ მაინც იხილავდა. მისი ლამაზი, დიდი შავი თვალები ირეკლავდნენ იმას, რაც მის სულში ზდებოდა, რამეთუ ღვთის მსახურთა ღვთიური მადლი მათ სახეზედაც გამოანათებს ზოლმე” (დუშ ანჟუში 1987: 35). ამას გარდა მამა ამბროზიოს მეტად საინტერესო შედარება-დახასიათება აქვს ქეთევანისა: „სიმაჰცით იგი რომის დასახმარებლად მიმავალ კორიოლანის დედას როდი ჩამოუვარდებოდა. ქეთევანი კიდეც უფრო მეტი ქების ღირსია, რადგან რომის დასახმარებლად წასული ვიტორია (ასე ერქვა კორიოლანის დედას) ელჩობდა თავისი შვილის წინაშე” (გულბენკიანი 1987: 27).

საინტერესოა შარდენისეული დახასიათებაც და მისი დაკვირვება და დასკვნა იმის შესახებ, რომ ქვრივისათვის დამახასიათებელი შავი ტანისამოსის ტარება ქეთევანის მიერ მან მონაზვნობის ტოლფასად ჩათვალა. იგი წერს: „მას შემდეგ, რაც დედოფალს უბედურება დაატყდა თავს და დაქვრივდა, იგი მონაზვნედ იყო აღკვეცილი მე აღვნიშნე, რომ ამ ქვეყანაში შემონაზვნებისათვის მხოლოდ მონაზვნის ტანსაცმლის ტარებაა საკმარისი, ასე რომ არც აღთქმის დადება და არც საკუთარი შეჩვეული ბინის დატოვებაა საჭირო. მარიამი ანუ ქეთევანი (მას ეს ორი სახელი ერქვა) ამ ტანსაცმელში იმიტომ გამოეწყო, რომ მის ღვთისმოსაობას მეტი ასკეტურობა და იერი მისცემოდა” (შარდენი 1975: 306).

შაჰ-აბასის ქეთევანისადმი მიჯნურობის მოტივის შეფასება სამეცნიერო ლიტერატურაში:

შაჰ-აბასის სიყვარულის მოტივს ქეთევანის მიმართ მალენგრის თხზულებაში ანალიზებს ზ. ავალიშვილი და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ტრფობის მოტივი თავად კლოდ მალენგრის მონაგონი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მკვლევარი თვლის, რომ მალენგრმა გადააჭარბა იმას, რაც გაგონილი ან წაკითხული ჰქონდა. იგი წერს, რომ ეს ცნობა არ ემყარება სანდო ისტორიულ საბუთებს, ამაზე დუშს პიეტრო დელა ვალეც. მაგრამ დასძენს, რომ ეს ჭორი ძველია, აქ იგი იმოწმებს მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის მოხსენებას რომის პაპისადმი, რომელიც 1629 წლით არის დათარიღებული და სადაც წერია, რომ შაჰმა ქეთევანი აწამა, ვინაიდან იგი სარწმუნოებასა და ნაბუსს ანუ უბიწოებას იცავდა (ამ მოხსენების შესაბამისი ადგილის შესახებ ჩვენი აზრი უკვე გამოვთქვით ამ თავში – მ. ნ.). თუმცა ზ. ავალიშვილი ამ ცნობას საფუძვლიან მოწმობად არ თვლის, მაგრამ აღნიშნავს, რომ იგი გაიმეორა არაქელ თავრიზელმა. მკვლევარი

სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ კლოდ მალენგერის ეს წიგნი – „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“ „ჩვეულებრივი მკითხველისათვის“ იყო განსაზღვრული და მან ეს თემა შეგნებულად გააზვიადა, რათა მკითხველისათვის უფრო მსუბუქი წასაკითხი ყოფილიყო (ავალიშვილი 1938: 24-25). ბოლოს მკვლევარი დასძენს, რომ „შაჰ-აბასის ტრფობა ქეთევანისადმი მით უფრო გამოგონილად უნდა ჩაითვალოს, რომ ქეთევანი 1624 წელს ხანში შესული მანდილოსანი იყო“ (ავალიშვილი 1938: 25).

მკვლევარი მ. გუგუშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით განიხილავს ზ. ავალიშვილის მოსაზრებას და თეიმურაზის მიერ რომის პაპისადმი მიწერილ წერილს, სადაც თეიმურაზი წერს, რომ „... სპარსეთის მეფემ ვერ დასძლია მისი სიმტკიცე და სიყვარული ხორცის სიწმინდისა“; მ. გუგუშვილი იზიარებს ზ. ავალიშვილის შეხედულებას ამ საკითხთან დაკავშირებით და გამოაქვს დასკვნა, რომ შაჰი ქეთევანს ებრძოდა სარწმუნოების გარდა ხორცის სიწმინდისათვის. ხოლო თეიმურაზის წერილში ზემოთ ხსენებული ფრაზის გაჩენა იმ გადმოცემის გამოძახილია, რომელიც მამა ამბროზიოს წერილშიც არის. მკვლევარი თვლის, რომ შაჰ-აბასს ქეთევანისადმი მიჯნურობა მიაწერეს (გუგუშვილი 1981: 43).

ზოგიერთ ევროპულ წყაროებში არსებულ შაჰის ტრფობის მოტივს ქეთევანისადმი რეალურად მხოლოდ ილია ტაბალუა მიიჩნევს: თავისი ვრცელი ნაშრომის – „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“ – II ტომში მას ქეთევანის შაჰ-აბასთან ელჩობის საკითხთან დაკავშირებით მოჰყავს ღუშ ანჟუმის ვრცელი ციტატა ქეთევან დედოფლის სიტყვისა, რომლითაც მან მიმართა შაჰს (ტაბალუა 1986: 103-104). იგი საგრძნობლად განსხვავდება იმ ტექსტისაგან, რომელიც 1987 წელს გამოქვეყნდა (გულბენკიანი 1987: 28-29). როგორც ი. ტაბალუა წერს, შაჰ-აბასი „... დიდი სიამოვნებით უყურებდა თეიმურაზ მეფის მშვენიერ დესპანს, რომლის სილამაზის ქება-დიდებაზე ხმებმა სპარსეთშიც შეაღწია და შაჰი დიდი ხანია მასთან შეხვედრაზე ოცნებობდა, ხოლო დაინახა რა საკუთარი თვალით დედოფალი, იგი მისმა სილამაზემ იმდენად შეიპყრო, რომ უსირცხვილოდ შესთავაზა დამორჩილებოდა მის წამხდარ, აულაგმავ ვენებს“ (ტაბალუა 1986: 105); შემდეგ მკვლევარი იმოწმებს არქ. ლამბერტის სიტყვებს, რომ დედოფალმა „შაჰის უხამს წინადადებაზე მტკიცე უარით უპასუხა“. ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარი არ ეთანხმება ზ. ავალიშვილს, რომელიც ქეთევანისადმი შაჰ-აბასის ტრფობას გამოგონილ, მონაწიურ ამბად თვლის (ავალიშვილი 1938: 25); მას დასაშვებად მიაჩნია, რომ ზოგიერთ უცხოურ წყაროში გამოჩენილი ეს ცნობა სინამდვილეს შეეფერება, რადგან „შაჰ-აბასის ტრფობაზე“ ლაპარაკია არა 1624 წელს, არამედ 1614 წელს, როდესაც

ქეთევან დედოფალი წარსდგა შაჰის წინაშე. მაშინ იგი დაახლოებით 40 წლის ასაკში იყო; მეორე, ქეთევანი არაჩვეულებრივად ლამაზი იყო და სულაც არაა გამორიცხული შაჰის მისდამი ასეთი დამოკიდებულება” (ტაბალუა 1986: 105).

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ი. ტაბალუას ამ მოსაზრებას ორი მიზეზის გამო; პირველი ისაა, რომ როგორც პირველწყაროდან აშკარად ჩანს, შაჰის მიერ ქეთევანის წამებას წმინდა პოლიტიკური საფუძველი ედო, მეორეს მხრივ, კი, როგორც ისევ დღემდე ანჟუში შენიშნავს, ეს შაჰისათვის თეიმურაზზე შურის ძიების საშუალება იყო. რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ „მაშინ იგი [ქეთევანი – მ. ნ.] დაახლოებით 40 წლის ასაკში იყო; მეორე, ქეთევანი არაჩვეულებრივად ლამაზი იყო და სულაც არაა გამორიცხული შაჰის მისდამი ასეთი დამოკიდებულება”, უნდა აღინიშნოს, რომ ასაკის დღევანდელი გაგება და XVII საუკუნეში ასაკის კრიტერიუმი საკმაოდ განსხვავდება; მაშინ სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით უფრო ხანმოკლე იყო და ამის შესაბამისად განისაზღვრებოდა ადამიანის ცხოვრების ეტაპებიც. იმას, რომ ქეთევანი ორმოციოდე წლისა იყო და პირმშვენიერიც, დღემდე ანჟუშიც აღნიშნავს (გულბენკიანი 1987: 35), მაგრამ მის ნაშრომში არსად სიტყვაც კი არ არის დაძრული შაჰის ქეთევანისადმი მიჯნურობის შესახებ. აქ ისევ მოვიხმობთ დღემდე ანჟუშის ნაშრომს, იგი წერს, რომ „[ქეთევანი – მ. ნ.] შინიდან მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, თუ შირაზის შაჰის ნაცვალის სასახლეში უხმოვდნენ, ანდა შირაზის ხანის ჰარამხანაში თუ მიდიოდა. მიდიოდა იქ არა დასასვენებლად, არამედ ტყვეობაში მყოფი თავისი ეროვნების რამდენიმე ქალის გასამხნეებლად, რომლებსაც დედოფალი ღიდის მოწყალებით ანუგეშებდა და მოუწოდებდა მტკიცედ მიყოლოდნენ ქრისტეს რწმენას, რომელშიაც აღიზარდნენ” (გულბენკიანი 1987: 30).

სხვათა შორის, მნიშვნელოვანია ის შეუთანხმებლობა, რაც ამ საკითხის შესახებ თვით ევროპულ წყაროებში არსებობს: მაგალითად, წყაროში, რომელიც 1626 წელსაა დაწერილი, ქეთევანი მოხსენიებულია როგორც „მოხუცი”, „ხანდაზმული”, რომელსაც შაჰი „დედას” ადარებს. შაჰი ეუბნება ქეთევანს: „ჰოი, დედოფალი ქეთევან! უაღრესად დიდ პატივს გცემ, და მდაბლად თავს გიკრავ. **არანაკლებ გაფასებ, ვიდრე ჩემს მშობელ დედას.** ჩემი სურვილი და წრფელი წადილია, რომ კვლავაც მშვიდად და მყუდროდ იცხოვროთ, როგორც ეს თქვენებრ დიდგვაროვან და უფლისწულთა დედებს შეეფერება, მეტადრე თქვენებრ ხანდაზმულ ბრძენ და კეთილშობილ მანდილოსანს (კენჭოშვილი 1961: 165).

შაჰი ქეთევანზე უფროსი იყო და მაინც დედას შეადარა, ერთი სიტყვით, ამ ავტორისათვის ქეთევანი „ხანდაზმულია”, თვით ქეთევანი ამბობს, რომ „მოხუცია”; „აბა, მითხარი, რამდენ ხანს გავძლებ მე კიდევ ასე მოხუცი?”

(კენჭოშვილი 1961: 165). როგორც ცხადად ჩანს, აქ სრულიად საპირისპირო ვითარებაა წარმოდგენილი, რაც ცხადყოფს ამ საკითხში არსებულ ბუნდოვანებას.

აქ აუცილებლად უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ შაჰ-აბასის ქეთევანისადმი ტრფობის მოტივი, რომელიც ისტორიული ფაქტებით არ დასტურდება, მაგრამ რომელიც გვხვდება ზოგიერთი ევროპელი ავტორის თხზულებაში, ევროპული ბაროკოს ეპოქის მხატვრულ ნაწარმოებებშიც აისახა. სიყვარულის მოტივი უფრო მეტ დაძაბულობას სძენს მხატვრულ ნაწარმოებს და როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ გამოიყენა იგი ანდრეას გრიფიუსმა თავის ტრაგედიაში – „ქეთევან ქართველი“ და ანონიმმა სლოვაკმა იეზუიტმა კი სასკოლო პიესაში – „ქეთევანი, ქართველთა დედოფალი“.

თავი XIII.

ქეთევან წამებული XVIII საუკუნის აგიოგრაფიულ მწერლობაში

XVIII საუკუნეში ინტერესი ქეთევან წამებულის მიმართ განსაკუთრებული სახით იჩენს თავს. ამ დროს იქმნება მეტაფრასული კრებულები, რომლებშიც მხოლოდ ეროვნული წმინდანების ცხოვრებებია შეტანილი. ამავე დროს მაზვილდება ყურადღება ისტორიული ფაქტების დაფიქსირების მიმართ. ამიტომ ქეთევან დედოფლის ცხოვრების გადმოცემისას ფაქტობრივად კახეთის სამეფოს ისტორიაა აღწერილი. იწერებოდა ქეთევანისადმი მიძღვნილი ჰიმნებიც. ჩვენ XVIII საუკუნეში შექმნილი ლიტერატურიდან გამოვყოფთ გრიგოლ დოდორქელის და ანტონ კათალიკოსის აგიოგრაფიულ თხზულებებსა და ისეთ საერო ხასიათის ნაწარმოებებს, როგორიცაა არჩილის ისტორიული ხასიათის პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“.

გრიგოლ დოდორქელის თხზულება დაახლოებით 1703-1713 წლებშია დაწერილი. იგი აღმოაჩინა, შეისწავლა და გამოაქვეყნა ქართული ლიტერატურის მკვლევარმა ტრიფონ რუხაძემ (რუხაძე 1949: 229-268). გრიგოლ დოდორქელი ქეთევანის ცხოვრების აღწერისას მისი წამების მიზეზად „ღმრთის მოყვარე კაცთა“ თხოვნას ასახელებს, რაც საყურადღებო ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ქართული საზოგადოება ქეთევან დედოფლის მოწამებრივ ღვაწლს დიდად აფასებდა: „... რამეთუ მაიძულებს კაცთა ვიეთიმე ღმრთის მოყუარეთა აღწერად საქმისა ამის, რათა არა დავიწყებასა მიცემულყო ცხოვრებაი ესე ყოვლად სანატრელისაი, რამეთუ ყოველნი წმიდანი ღმრთისანი თვის-თვისა ქვეყანათა და სოფელთა ილუაწიან და შემწე და მეოხ არიან მათთვის და ყოველთათვის წინაშე ღმრთისა“ (რუხაძე 1949: 248).

გრიგოლ დოდორქელის ნაშრომი მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი ლიტერატურული ღირსებების გამო, არამედ იმიტომაც, რომ იგი მდიდარ ისტორიულ ცნობებს შეიცავს. ესაა ცნობები როგორც ქეთევან დედოფლის, ასევე მასთან უშუალოდ დაკავშირებულ პირთა შესახებ, რის მეშვეობითაც წარმოგვიდგენს იმდროინდელ საქართველოს ისტორიული და პოლიტიკური ცხოვრების ანაბეჭდს თავისი საგულისხმო დეტალებით.

გრიგოლ დოდორქელი თხზულებას იწყებს ქეთევანის ჩამომავლობის გადმოცემით, მოთხრობილია მისი გათხოვება კახეთის მეფის ალექსანდრეს

ბეზე – დავითზე. ხაზგასმულია ქეთევანის განსაკუთრებული ღვთისმოსაობა: „თვით დედოფალი ქეთევან იქმოდა, ვითარცა შეენოდა, ყოველსა კეთილსა საქმესა: ეკლესიათა შენებასა,ობოლთა შეწყნარებასა და ქერივთა ნუგეშინისცემასა და გლახაკთა და დავრდომილთა ხელისაპყრობასა” (რუხაძე 1949: 248-249). როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ჩანს, ამ დროისთვის ქეთევანი კახეთის სამეფო ოჯახში ერთადერთი მანდილოსანი იყო და მაღალი ღირსებით ასრულებდა კახეთის დედოფლის მოვალეობას.

გრიგოლ დოდორქელს გადმოცემული აქვს ალექსანდრესათვის დავითის მიერ ტახტის წართმევის და ცოტა ხნის შემდეგ მისი სიკვდილის ამბავი, ალექსანდრეს მიერ ტახტის დაბრუნება და შაჰთან შეილიშვილის – დავითისა და ქეთევანის ვაჟის – თეიმურაზის გაგზავნის ამბავი. შაჰ-აბასის მიერ აღზრდილი კონსტანტინეს კახეთში დაბრუნება დოდორქელს შედარებული აქვს „უძღები შვილის” დაბრუნებასთან; საერთოდ, დოდორქელის თხზულებაში ხშირად გვხვდება კახეთში დატრიალებული ამბების ბიბლიურ ამბებთან შედარება. კონსტანტინესთან დაკავშირებით გადმოცემულია მთელი რიგი ისტორიული დეტალებისა: თუ როგორ და რა ვითარებაში მოკლა გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ მამა და ძმა, როგორ აჰკიდა აქლემებს და „წარგზავნა ალავერდსა სასაფლაოსა მათსა” (რუხაძე 1949: 252). კონსტანტინეს სურვილი ქეთევანის ცოლად შერთვისა მეტი სიმძაფრისა და თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად: „დაიჰყრა კონსტანტინე სამკვიდრებელი მამისა თვისისა და ენება, რაითამცა შეერთო [ქეთევანი] ცოლად, ვითარცა ყო ჰეროდ იროდიას თანა” (რუხაძე 1949: 253). ქეთევანს კარგად ესმოდა, რას უქადდა ქართველებს კონსტანტინეს გამეფება; ეს კახეთის ძალად გამაჰმადიანებას ნიშნავდა: „ძალეზერ იღრჭენდა კბილთა მისთა დარღუევისათვის ქრისტეს სარწმუნოებისა” (რუხაძე 1949: 250). ქეთევანი ევედრებოდა ღმერთსა და „სასოსა მისსა წმიდასა ღმრთისშობელს”. აღწერილია ქეთევანის ინიციატივით კახელთა აჯანყების ამბავი კონსტანტინეს წინააღმდეგ, და ქალის ამ ვაჟკაცური ქმედების დასასაბუთებლად მოყვანილია ცნობილი ციტატა პავლეს ეპისტოლედან: „წინაშე ღმრთისა არა არს მამაკაცებაი, არცა დედაკაცებაი” (გალატ, 3,28). ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს დოდორქელის თხზულებაში წარმოდგენილი სიტყვა ქეთევანისა, რომლითაც მან მიმართა კახელებს: „მხნე იყვნით და განძლიერდით და ნუ ხედავთ სიმრავლესა მათსა, რამეთუ უფალი ამპარტავნებითა შემეუსრავს და მდაბალთა მოგუცემს ძლევასა მათსა” (ძეგლები V 1989: 14). ქეთევან დედოფლის ეს მიმართვა გამსჭვალულია ქართველთა გამარჯვების ღრმა რწმენით და ღვთისადმი სასოებით.

გადარჯულებული და მოღალატე კონსტანტინეს მოკვლის შემდეგ ქეთევანმა შაჰს თეიმურაზის დაბრუნება მოსთხოვა, შაჰი იძულებული

გახდა თეიმურაზი სამშობლოში დაებრუნებინა, ვინაიდან შეეშინდა, ქართველები მის წინააღმდეგ არ აღმდგარიყვნენ. ყმაწვილი თეიმურაზი დაბრუნდა სამშობლოში და, როგორც დოდორქელი გვიამბობს, „მუნიტგან განაგო ძემან მისმან თეიმურაზ მეფემან სამეფო თვისი ღმრთის მოყუარით დედითურთ“. ტახტზე ასული ვაჟს ქეთევანმა უთხრა: „შვილო, აქამოდე ვიყავ მე საქმითა მამაკაცობრივითა, ვიდრემდის დასცხრა ღელვა-გვეშულება სამეფოსა ამას. აწ ნებითა და განზრახვითა ღმრთისათა იქმნა მეფობად შენი და არა უგულებელ ყო ღმერთმან ლოცვანი და ვედრებანი ცოდვილისა ამის მწევალისა მისისა და სათხოველი ჩემი წინაშე მისსა ესე იყო: კურთხევად აბრაჰამისი და ისაკისი და იაკობისი იყაენ თავსა შენსა, მიიღე დასაბამად სიბრძნისა შიში უფლისად, სიმდაბლე და სიმართლე, წყალობად და ჭეშმარიტებად ნუმცა მოგაკლდები შენ. ხოლო მე ამიერიტგან ვჯდე მყუდროებით, ვითარცა შუენის დედათა, და მოვიცალო. ამიერიტგან ვიზრუნო სულიცა ჩემი ანუ შენებითა ეკლესიათასა ანუ მიცემითა გლახაკათა“ (ძეგლები V 1989: 18). მის შემდეგ ქეთევან დედოფალმა, როგორც სახელმწიფო მოღვაწემ, განსაკუთრებული ყურადღება ხალხში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების საქმეს მიაქცია, რასაც არაერთხელ აღნიშნავს მარტირიკის ავტორი. მისი სიტყვით, ქეთევან დედოფალმა „მრავალნი და ურიცხვნი ქველისმოქმედებანი აჩვენა“, შეუდგა ეკლესიების აღდგენას, ააშენა ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისა და შეამკო იგი: „სამკაულნი სამეფოვნი სამსახურებლად საეკლესიოდ შესცვალნა, მრავალნი და ურიცხვნი ქველისმოქმედებანი აჩუენნა გლახაკათოვს მიზღუევად და ვასხებად ქრისტესა, რომელიცა მიიღო აღნადგინებითურთ, და სამწირველნიცა შუენიერნი აღაშენნა და მისცემდა ზოგადსა მეფობისა მისისასა მღუდელთა და დიაკონთა, რაათა მემსხურებლობდენ მისთვის წლითი-წლად, ვითარ ათასნი, გინა ბევრნიც. მისთვის ეკუდერიცა აღაშენა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა დედოფლისა დიდებულისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა და შეამკო იგი თუაღითა და ქვითა საფიროვანითა, შიგნით და გარეთ მარმარილოთა და ოქროთა და ლაჟვარდითა განაშუენა იგი უმეტეს და ფრიად წარავო ყოველნი მონაგებნი მისნი (ძეგლები V 1989: 18).

მტარვალის სახეც მეტად თვალსაჩინოდ აქვს წარმოდგენილი გრიგოლ დოდორქელს, რაც ადამიანის ბუნების შესანიშნავ ცოდნასთან ერთად მისი მაღალი მწერლური ოსტატობის მაჩვენებელიც არის. აი, ეს დახასიათება: „მეფე სპარსთაი უსჯულოი, უკეთური მხეცი და ყოვლისა არაწმინდებითა აღსავსე, მახვილი იგი ორპირი, ჭური ყოველთა მანქანებათა ბოროტებისათა, მზონებელი ყოველთა ცბიერთაი“. შაჰის საქართველოზე გამოლაშქრება დოდორქელს ახსნილი აქვს არა რაიმე კონკრეტული ისტორიული ვითარებით, არამედ როგორც ეშმაკისეული განზრახვა ქრისტიანთა მო-

სპობისა: შაჰის საქართველოში შემოსვლის მიზანია „რაითამცა აღაოხრნა და დააქცივნა ეკლესიანი და ამოსწყვიტნა თესლი ღვთისმსახურებისა“ (რუხაძე 1949: 258).

ამგვარად გაგებული და განმარტებული მტრობა შაჰისა ქრისტიანების წინააღმდეგ კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს შაჰის და ქეთევან დედოფლის დაპირისპირებას. ეს ყოველივე სრული სიცხადით გვიჩვენებს, რომ თუ არ ქრისტიანული სარწმუნოების მტკიცედ დაცვა, ქართველობა გადაგვარებას და როგორც ერის, პირისაგან მიწისა აღფხვრას ვერ ასცდებოდა.

ისტორიული ფაქტების მოხმობითაა აღწერილი ქეთევან დედოფლის იძულებითი ელჩობა შაჰთან, როდესაც იგი განჯას მიაღდა. შაჰმა თვით თეიმურაზი დაიბარა თავისთან, მაგრამ რადგან მეფემ ვერც ზღეზა გადაწყვიტა და ვერც შებრძოლება, ამიტომ საბოლოოდ კახეთის დიდებულთა კრებამ გადაწყვიტა შაჰთან წასულიყო ქეთევან დედოფალი უმცროს უფლისწულთან ერთად. ქეთევან დედოფალმა უკვე წინასწარ იცოდა, რომ ეს საბედისწერო ნაბიჯი იყო, მაგრამ წამითაც არ შეყოყმანებულა და ეახლა შაჰს. დოდორქელი შაჰის შემოსევის ტრაგიკულ ვითარებას ასე გვაწვდის: „ხოლო მეფე იგი უსჯულოი შემდგომად შეპყრობისა წმიდისა ამის შევიდა საქართველოში და აღაოხრა იგი... და იყო ჭირი იგი და განსაცდელი განგრძელებული ვიდრე ათხუთმეტ წელ. და მოვიდა უსჯულოი იგი მეფედ ქვეყანად ქართლად და ასწყვიდნა კაცნი კახეთისანი“ (რუხაძე 1949: 261).

შაჰის ნამოქმედართაგან ასევე აღწერილია ლუარსაბის მოტყუებით სპარსეთში ჩაყვანა და შირაზში გაგზავნა, შემდეგ კი მისი მოშობა; ასე რომ ამ თხზულების ავტორი ისტორიულ ფონს დიდ ყურადღებას აქცევს.

დოდორქელს აღწერილი აქვს ქეთევან დედოფლის ტყვეობა შირაზში, მისი წმინდა ცხოვრების წესი, ამის შემდეგ რაიმე უშუალო მოტივაციის გარეშე იწყება ქეთევანის წამების მიზეზების გადმოცემა. იგი ასეა წარმოდგენილი: ერთ დღეს შაჰმა მოიკითხა ქეთევან დედოფლის ამბავი და მოახსენეს მისი „შეურყევნელად და მტკიცედ დგომადი სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა“, რაზედაც შაჰი განრისხდა და „ფიცით ამტკიცებდა და იტყოდა, ვითარმედ, „ანუ განვაყენო სჯულისაგან ჯვარცმულისა და ანუ სიკუდილითა მწარითა განვიყვანო საწუთროისაგან“. შაჰმა დედოფალს ჯერ „ლბილნი სიტყვანი“ შეუთვალა. ყურადღებას იქცევს, რომ დოდორქელის გადმოცემით შაჰი ქეთევანს დედას უწოდებს და ეუბნება: „მნებავს, რათა იყო ჩემდა დედად საყუარლად და მე ვიყო შენდა შვილი“, ოღონდ ამის პირობაა ქეთევანის მიერ ქრისტეს სჯულის უარყოფა. შაჰის წარგზავნილნი პირველად დედოფლის ზუცესთან მივიდნენ და უთხრეს: „ანუ აღირჩიე სიკუდილი და ანუ უარჰყავ ქრისტე“. მღვდელი შეშინდა და უარჰყო მაცხოვარი. სპარსელებმა ეს გამაჰმადიანებუ-

ლი ზუცესი მიუგზავნეს ქეთევანს, რათა მას დაეყოლიებინა დედოფალი მართლმადიდებლური ქრისტიანობის უარყოფაზე, მაგრამ ქეთევანმა მტკიცე უარი თქვა და ნებით მიიღო მოწამებრივი სიკვდილი. დოდორქელის თხზულებაში ისეა წარმოდგენილი, თითქოს „ვიეთინმე მორწმუნეთა“, ე.ი. მართლმადიდებლებმა ქრისტიანებმა ქეთევანის გვამი დამარხეს დედოფლის მიერვე აშენებულ ეკვდარში (რუხაძე 1949: 266), შემდეგ კი მოთხრობილი აქვს კათოლიკე მისიონერების მიერ ქეთევან დედოფლის გვამის მოპარვის ამბავი. მისთვის კათოლიკეები არიან „ფრანგი კაცნი მღვდელნი“, „მწვალებელნი“. მისი უარყოფითი განწყობა და უარყოფითი დამოკიდებულება კათოლიკეთა მიმართ არაპირდაპირ ჩანს იმ სიტყვებიდან, რომ „არა დაუტევა ღმერთმან წმიდანი იგი ნაწილნი მოწამისანი ხელთა შინა მწვალებელთასა“, რომელთაც ეს ნაწილნი მის ძეს მიართვეს.

კათოლიკეთა მიმართ ასეთი დამოკიდებულების ფონზე სრულიად გასაგებია, რომ საქართველოში ერთი წუთიც არავის უფიქრია, თითქოს ქეთევან დედოფალმა „მწვალებელთა“ სარწმუნოება მიიღო. გრიგოლ დოდორქელის თხზულებაში გვხვდება ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი, რომ ქეთევან დედოფალი, რაკი მართლმადიდებელი მღვდელი აღარ ახლდა, საგანგებოდ ინახავდა „წმინდა საიდუმლოს“, რომელითაც სიკვდილის წინ ეზიარა: წამების წინ იგი „ვევდრებოდა ქალაქისა თვისისათვის, რათა შემდგომად სიკვდილისა მისისა მიჰმადლოს განთავისუფლებანი და აღასრულნა რაი ყოველნი ესე სიტყუანი, მაშინ გამოიღო წმიდაი იგი საიდუმლოი, შენახული მის მიერ ჭურჭელსა რასმე წმიდასა, და აღიღო ხელთა თვისითა და თქუა: „უფალო იესუ ქრისტე, რომელმან მოგვიყიდენ პატიოსნითა სისხლითა შენითა, აწცა მიითვალე სისხლი ცოდვილისა მხევალისა შენისაი და შეივედრე სული ჩემი და ღირს მყავ მოლუწეთა შენ თანა“ (რუხაძე 1949: 265). მაშასადამე, კათოლიკე მისიონერიც ღუშანჟუშის სახით და ქართველი მართლმადიდებელი აგიოგრაფიც ერთხმად ამტკიცებენ, რომ ქეთევანმა, მართლმადიდებელი მღვდლის არყოლის გამო, საკუთარი ხელით მიიღო ზიარება. გრიგოლ დოდორქელის ეს თხზულება მნიშვნელოვანია ქეთევან წამებულის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ფაქტების სიუხვითა და სიზუსტით.

გრიგოლ დოდორქელის თხზულების დაწერიდან დაახლოებით ექვსი ათეული წლის შემდეგ წმინდა ქეთევანის თემა კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. 1769 წელს ანტონ კათალიკოსმა ხელი მოჰკიდა „მარტირიკის“ შექმნას, „რომელიც შეიცავს ღვაწლსა და ცხოვრებას 29 ქართველი წმინდანისას“ (კეკელიძე 1951: 354-355). ანტონის თხზულების სათაურია „შესხმა და მითხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა ღიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისათა, ქმნილი ანტონისაგან არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოისა საქართველოისა, დავითიან-ბაგრატიონისა“.

ქეთევან წამებულის „შესხმასა და მითხრობას“ წინ უძღვის იამბიკო, რომელშიც შექებულია ქალის თავგანწირვა სჯულისათვის: ქეთევანს, ქრისტეს სძალს,

„აქუს საღმრთო ალი, ვითა ცხოველი წყალი,
გული უძს სალი, მით დასცა მძლავრი მწყრალი,
ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი“.

აგიოგრაფიული თხზულების წესის მიხედვით, ანტონ კათალიკოსიც დეტალურად აღწერს იმ ისტორიულ ვითარებას, რამაც გამოიწვია ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილი. ფაქტობრივად, ეს ცნობები არსებითად ემთხვევა გრიგოლ დოდორქელის მიერ გადმოცემულ ცნობებს.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვანტერესებს, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი ანტონ კათალიკოსს ქეთევანის წამების მიზეზი. როგორც თხზულებიდან ჩანს, ანტონი უადრესად საფუძვლიანად იცნობს ამ საკითხის შესახებ არსებულ სხვადასხვა ვერსიებს და წერს, რომ მის შესახებ სხვადასხვაგვარად წერენ სხვადასხვა პირნი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყველა ვერსია ერთ საერთო წერტილში იყრის თავს: „ერთისა მიმართ ჰაზრისა აღუალს ყოველი იგი მიზეზი წინამდებარისა საქმისა, ვითარმედ ანუ უარ-ჰყოს ქრისტე და ერჩდეს ჰსჯულისდებასა მახმედისსა და ანუ მოკუდეს მწარითა სიკუდილითა“ (ანტონ I 1980: 28). რაც შეეხება კათოლიკურ სამყაროში გავრცელებულ ცნობას, თითქოს შაჰს ქეთევანის ცოლად შერთვა უნდოდა, ანტონ კათალიკოსი ამ ვერსიასაც იცნობს და საგანგებოდ აღნიშნავს თავის თხზულებაში, მაგრამ სარწმუნოდ არ მი-აჩნია იგი და უპირატესობას თეიმურაზის ვერსიას ანიჭებს. „ლათინთა მეისტორიეთა“ შესახებ ამბობს, „ვითარმედ აწვიაო შაჰ-აბასის ცოლად მოყუანებად წმიდაი იგი და ყოფად დედოფლად სპარსეთისა და სახლისა თუისისა და ესრეთ უარისყოფად კეთილმსახურებისა, მაგრამ მე მეფისა თეიმურაზ პირუელისა მოთხრობილთაგან ვჰსთქუა“ (ანტონ I 1980: 30).

ქეთევანის მიერ წამების წინ ზიარების მიღების შესახებ, ანტონ კათალიკოსი კვლავ ტრადიციულ ცნობას იმეორებს, რომ ქეთევანმა თავად, სხვის დაუსწრებლად მიიღო ზიარება; „დაცხრომილმან ლოცვისაგან წმინდამან მიიღო უზრწნელი და პატიოსანი ზორცი და სისხლი უკვდავისა სიტყუისა, და გამოიწერა თავის ზედა ჯუარი წმიდა და გამოვიდა და დაჟდა უშიშრად ვითა ლომი და ბრძანა მოწოდებად მტარუალნი“ (ანტონ I 1980: 31).

ბოლოს ანტონ კათალიკოსი იხსენებს ამ აგიოგრაფიულ თხზულების დაწერის ვითარებას: მისი თქმით, მრავალჯერ ევედრა მას მისი დედა, ერეკლე პირველის ასული მაკრინა, რათა აღწერა წმინდა ქეთევანის ღვაწლი, რაც მან აღასრულა.

ასევე საყურადღებოა ანტონის მიერ გადმოცემული ცნობები, რომ ქეთევან წამებულის ისტორია აღწერილი აქვთ მის ძეს, თეიმურაზ პირველს, ქეთევანი მოხსენიებული ჰყავს არჩილს თავის პოემაში თეიმურაზის შესახებ, ასევე ქეთევანის წამება აღწერეს გრიგოლ ხუცესმონაზონმა დოდორქელმა და ბესარიონ მამამთავარმა (ანტონ I 1980: 34).

ის საერო ხასიათის თხზულება, სადაც მოხსენიებულია ქეთევანი, არის არჩილის პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ (არჩილი 1999).

ამ ისტორიული ხასიათის პოემაში ქეთევან დედოფალი სულ რამდენჯერმე არის მოხსენიებული გარკვეულ ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებით. ქეთევან დედოფლის ამგვარი მოხსენიება გვხვდება იმ ეპიზოდში, სადაც გადმოცემულია ისტორიულად დამოწმებული ფაქტი, რომ გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ ქეთევანის ცოლად შერთვა მოინდომა (სტრ. 242), რაზეც კახეთის დედოფალი პასუხობს:

შეუთვალა: „ღვთის მგმობარო, მამის მკვლელო და ძმისაო,
ავის მქნელო, ავის მთქმელო, შენ უღირსო სულთდემისაო,
ყოვლის კაცის საძაგელო, სულ მოქმელო ავისაო,
ღვთით აღრე, ვეჭვ, შეგანანო ჩემი თხოვნა ღავითსაო (245).

მეორე ისტორიული ფაქტი, რომლის ორი ვერსია არსებობს, ისაა, რომ, არჩილის თქმით, ქეთევანი ქმრის სიკვდილის შემდეგ გიორგის შეუშინდა და ამიტომ „გარდახვეწა“ ყმაწვილი თეიმურაზი შაჰ-აბასთან (247).

ქეთევან დედოფალი შემდეგ მოხსენიებულია კახეთში თეიმურაზის დაბრუნებასთან დაკავშირებით – შვილისგან დაბრუნების ამბის შეტყობის შემდეგ ქეთევანი მას გრემს დახვდა დიდებულთა თანხლებით; აღწერილია ის მდიდრული მიღება და „ყოველს დღესა მასპინძლობა“, რაც ქეთევანმა მოუწყო თავის ძეს (283).

აღსანიშნავია, რომ არჩილი საგანგებოდ უსვამს ხაზს ქეთევან დედოფლის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, რასაც თვით თეიმურაზის სიტყვებით გადმოსცემს:

ცამეტის წლისა შევიქენ, რა ესეები იყო და,
ვნადირობდი და ვიშვებდი, სხვა საქმე არ შევიტყე-და;
საპატრონოსა საქმესა სრულ დედოფალი იტყოდა,
სრულად გაავის სამეფო და ურჩი მალ დაიტყოდა (288).

შემდეგ ისტორიულ ფაქტთაგან აღწერილია ქეთევან დედოფლის შაჰთან ხლება შვილიშვილებითურთ და არჩილის პოემაში წამებული დედოფლის ხსენება ამაზედ წყდება. თვით არჩილი გრძნობს, რომ ბევრ რამეს ამოკლებს ან გვერდს უვლის, და ამიტომ ამბობს:

მაშინდელი საქმეები არ იმბობის სრულა წვრილად,
ასრე ვამბოს სრულ ნაკლულად, ვითომ იყოს რამე ჩრდილად (463).

უნდა ითქვას, რომ ბევრ მეორეხარისხოვან ამბავს გაცილებით მეტი ადგილი ეთმობა არჩილის პოემაში, რაც მისი სპეციფიკით – საერო ხასიათით უნდა იყოს გამოწვეული. მაგალითად, პოემის ისეთი თავი, როგორიცაა „კარი მეფის ალექსანდრესაგან ფარშავანგის დაჭერისა“ კიდევ უფრო უსვამს ხაზს პოემის გარკვეულ მიზანდასახულებას, სადაც ნადირობა-თევზაობა-გართობაზე საუბარი ხალისიანი კილოთი საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული. საერთოდ, ეს პოემა უამრავი მნიშვნელოვანი თუ ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტოლოგიური დეტალებით ისე დაიტვირთა, რომ მასში ქეთევან დედოფლის მიერ რჯულისათვის და მამულისათვის თავის დადებისა და წამების ამბავმა თავისი ადგილი ვეღარ იპოვა. ეს რომ შემთხვევითი ამბავი არ არის, ამას მოწმობს ისიც, რომ არჩილის პოემაში არც ლუარსაბის მოწამებრივი სიკვდილია მოხსენიებული. არჩილის პოემა რომ ისტორიული ხასიათის პოემაა, ეს აზრი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მტკიცედაა დამკვიდრებული: „ამ ნაწარმოებში არჩილმა მოგვცა რუსთაველისა და თეიმურაზის ეპოქების ისტორიული სურათი, ისტორიულ მოვლენათა ანალიზი და შეფასება“ (ბარამიძე რ. 1966: 383). ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს თეიმურაზ პირველის პოემის ავთოგრაფიულობას – მისი თხზულება გალექსილი მარტვილობაა, რაც ასე დამახასიათებელია ბაროკოს სტილისათვის.

ამრიგად, XVIII საუკუნეში ქეთევან წამებულისადმი მიძღვნილი რამდენიმე თხზულება შეიქმნა როგორც სასულიერო, ასევე საერო ხასიათისა. არსებითად, წამებული დედოფლის ისტორიული სახისადმი ყურადღება უმთავრესად სასულიერო სახის ძეგლებში – ავთოგრაფიულ მწერლობაში გამოვლინდა, საერო ლიტერატურაში კი მან მხოლოდ არჩილის ისტორიულ პოემაში ჰპოვა საკმაოდ მკრთალი ასახვა.

თავი XIV

ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები და იკონოგრაფია

ქეთევან დედოფლის წამების შემდეგ შირაზში მოღვაწე ავგუსტინელმა ბერებმა იმაზე დაიწყეს ზრუნვა, რომ ქეთევანის საფლავისთვის მიეგნოთ და წმინდა ნაწილები მოეპოვებინათ. მამა ამბროზიო ღუშ ანჟუში მოგვითხრობს, რომ როგორც კი დედოფალს სული ამოხდა, მისი ნეშტი ტომარაში ჩააგდეს და ორ კაცს დაავალეს მისი დაფლვა მინდორში, სადაც უკვე იყო ამოთხრილი ღრმა ორმო. ცხედარი ორმოში ჩააგდეს და ისე დააყარეს მიწა, რომ ქრისტიანებს ვერც კვალი შეეძნიათ და არც რაიმე მოსაგონარი დარჩენოდათ. ბერებს კარგა ხანს, მართლაც, დაკარგული ჰქონდათ საფლავის პოვნის იმედი. ასე იყო დამარხული დედოფლის ნეშტი სამი თვის და ცამეტი ღლის განმავლობაში. შირაზში მოღვაწე ყველა კათოლიკე ბერი თურმე იმაზე ოცნებობდა, ამ ძვირფასი განძისთვის მიეკვლია, მიწიდან ამოეღო და წმინდა ნაწილებით თავისი ეკლესია გაემდიდრებინა. შემდეგ მამა ამბროზიო ღუშ ანჟუში სიამაყით წერს, რომ გულმოწყალე უფალმა ეს განძი ჩვენთვის შემოინახაო და მოგვითხრობს იმ ციურ ნიშანზე, რომელიც დედოფლის სახელოვან წამებამდე თვენახევრით ადრე უნახავთ. ნიშანს ასე აღწერს პორტუგალიელი ბერი: „შირაზში, ჩვენი ეკლესიის თავზე დიდი ნათელი უხილავთ. ამის შესახებ ჩვენმა მეზობელმა მაჰმადიანმა ქალმა სამი პორტუგალიელის წინ დაიფიცა“. ამ ციური ნიშნით გამხსნელებულმა პორტუგალიელმა ბერმა მძიმე მარხვისა და ხორცის ორმაგად გვემის შემდეგ სახელოვანი დედოფლის დახმარებაში დარწმუნებულებმა, იმ მინდორს მიაშურა რამდენიმე პირთან ერთად, სადაც ორმოში დაფლეს დედოფალი. 1625 წლის 4 იანვარი იდგა, მუშაობისას სიფრთხილეს მიმართავდნენ, რადგან მათი იქ ყოფნა არ შეეძნიათ და ამიტომ, ძირითადად ღამე უწევდათ მუშაობა. სწორედ მეორე ღამეს მიაღწიეს წამებული ქეთევანის ცხედარს. ღუშ ანჟუში წერს: „სიხარული და სიამოვნება ვერ შევიკავეთ, თვალცრემლიანებმა ამოვასვენეთ დიდებული ქეთევან წამებულის ცხედარი და ჩვენს მონასტერში წავასვენეთ საიდუმლოდ. ორმო მიწით ამოვავსეთ, ამ ძვირფასი განძის ამოღება რომ არ გაეგოთ. უნდა აღინიშნოს, რომ სხეული ჯერ მთლად გახრწნილი არ იყო. არავითარი უსიამოვნო სუნი არ ასდიოდა. პირიქით, ისეთ ნაზ სურნელს აფრქევდა, რომ იქ დამსწრეთ სიამოვნებდა კიდევ. ცხედარი მკლავზე დავისვენე, ფრთხილად და მოწიწებით გავწმინდე მი-

წისგან, პატარა ყუთში ჩავდე, უფრო საიმედოდ რომ ყოფილიყო დაცული და ყუთი ჩაგკეტე. სხეულის ყველა ძვალი გაშიშვლებულიყო. მხოლოდ მარჯვენა ხელი და მარცხენა ფეხი იყო ისეთივე თეთრი და ლამაზი ხორციით დაფარული, როგორც სიცოცხლეში ჰქონდა სახელგანთქმულ წამებულს” (გულბენკიანი 1987: 42). ვინაიდან მამა ამბროზიუო ღუმ ანჟუში შიშობდა, რომ შირაზში წმინდა ნაწილები უსაფრთხოდ ვერ იქნებოდნენ, ისინი ისპაჰანში მიმავალ ორ ბერს გაატანა იქ მდებარე წმ. ავგუსტინეს მონასტრისთვის გადასაცემად, სადაც მათ ნაკლები საფრთხე დაემუქრებოდა. შემდეგ დაიწყო მზადება საქართველოში გასამგზავრებლად. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, მამა ამბროზიუო ღუმ ანჟუში მამა სებასტიანო დე იეზუსთან და მორჩილ ძმა პედრო ღუმ სანტუშთან ერთად ისპაჰანიდან 1627 წლის 11 სექტემბერს გავიდნენ, თუმცა, გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო უკან მოუწიათ დაბრუნება და მხოლოდ 1628 წლის თებერვალში უკვე მამა ამბროზიო ღუმ ანჟუში და პედრო ღუმ სანტუში მარტო დაადგნენ გზას საქართველოსკენ. ავგუსტინელი ბერი წერს: „ჩვენ საქართველოსკენ გავემგზავრეთ და თან წავიღეთ წმინდანის თავი, რათა მისი საშუალებით დაგვეყოლიებინა დედოფლის ძე, თეიმურაზი, ნება დაერთო მისიონი დაგვეარსებინა მის ქვეყანაში, სადაც, ვიმედოვნებდით, ღვთის შეწევნით უხვი მოსავალი მიგველო” (გულბენკიანი 1987: 44).

იმავე ხანებში გოაში მიემგზავრებოდა ერთ-ერთი ავგუსტინელი ბერი მანოელ და მადრე დე დეუსი, რომელმაც გოას მონასტრისთვის თან წაიღო დედოფლის მარჯვენა ხელი ხორციოთურთ და მკლავის ძვალი. როგორც ამბროზიო ღუმ ანჟუში წერს, ამ წმინდა ნაწილების მეშვეობით განიკურნა მძიმედ ავადმყოფი ავგუსტინელი ბერი. შირაზში მყოფი ქართველები ამბობდნენ, რომ ბევრს უნახავს სინათლის დიდი ნათება წმინდა დედოფლის საფლავზე (გულბენკიანი 1987: 44).

ამ წმინდა რელიკვიის მოპოვებას ცდილობდა იტალიელი დიპლომატი და მოგზაური პიეტრო დელა ვალეც, რომელსაც ქართველი მეუღლე ჰყავდა. პიეტრო დელა ვალეს ამ თხოვნის შესასრულებლად მანუელ მადრე დე დეუსი წავიდა გოაში და თან წაიღო ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი – მეორე მკლავის ძვალი. თუმცა, იქ ჩასულ დე დეუსს დელა ვალე გოაში აღარ დახვდა და როგორც ამბობენ, მან ეს რელიკვია აგრასას მონასტერს ჩააბარა. არსებობდა ვარაუდი, რომ ნეშტის ეს ნაწილი ევროპაში, კეპთოდ ბელგიაში, ნამიურის ეკლესიაში მოხვდა: 1914 წელს „სახალხო ფურცლის სურათებიან დამატებაში” მოთავსებულია ბელგიის ქალაქ ნამიურის ხელი ციხესიმაგრით, რომელსაც აქვს შემდეგი წარწერა: „ბელგიის ციხე ნამიური: შენობის წინა რიგში მოჩანს ტაძარი, სადაც ქეთევან წამებული ასაფლავია” (ტაბაღუა 1986: 131-132). თუმცა, როგორც ჩანს ეს ინფორმაცია სარწმუნო არ არის, ვინაიდან ამ მიმართულებით ძიებამ შედეგი ვერ

გამოიღო. ამ საკითხს ეხება ვ. ლორთქიფანიძე და აღნიშნავს, რომ ამ ცნობით დაინტერესდნენ ნინო და კალისტრატე სალიები, მაგრამ სამწუხაროდ, ამ კვალს ვერ მიაგნეს. ამ ვერსიის შესამოწმებლად ბევრი იღვაწა დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტმა მეუფე აბრაამმა, მაგრამ სამწუხაროდ კველას ვერც მან მიაგნო. უმედეგო აღმოჩნდა ამ მიმართულებით თავად ვ. ლორთქიფანიძისა და ბენილუქსის ქვეყნებში მაშინდელი ელჩის ძალისხმევაც (დუმ ანჟუში 2022: 110).

რობერტო გულბენკიანი ქეთევანის წმინდა ნაწილების შესახებ სხვა ცნობებსაც გვაწვდის: 1631 წლის თებერვალში მამა ანტონიო დე სანტო ვინჩენცე რომში ჩავიდა და თან ჩაიტანა ქეთევან დედოფლის თავის ქალის ნაწილი: ქვედა ყბა ზორცისა და კბილების გარეშე, რომელიც მამა ამბროზიო დუმ ანჟუშმა 1628 წელს გოაში წაიღო. ეს რომ დელა ვალემ შეიტყო, მან მამა ანტონიოს სთხოვა მამა ამბროზიოს დანაპირები, გოაში დარჩენილი მარჯვენა ხელის ნაცვლად მისთვის ეს წმინდა ნაწილები გადაეცა. 1631 წლის 28 მარტს, ესპანეთის კარზე გამგზავრების წინ, ავგუსტინელმა ბერმა დელა ვალეს ისინი მომდევნო წლის ივლისში ჩააბარა (გულბენკიანი 1987: 11).

1628 წლის 11 მაისს ამბროზიო დუმ ანჟუში და პედრო დუმ სანტოში გორში ჩავიდნენ. ისინი პირდაპირ მეფე თეიმურაზ პირველის საზაფხულო რეზიდენციაში მივიდნენ, სდაც იყო მეფე, მისი მეუღლე, მთელი მისი ოჯახი და სახლის მსახურები. მათ თეიმურაზს გადასცეს ქეთევან დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილი – თავის ქალა და მარცხენა ფეხის ძვალი, რომელსაც ოდნავ ზორცი ჰქონდა შერჩენილი (ტაბალუა 1986: 134).

რუსული საარქივო მასალებიდან ცნობილია, რომ თეიმურაზ პირველმა 1656 წელს წმინდა რელიკვიის ნაწილი გაუფხავნა მეფე ალექსეი მიხეილის ძეს, რომელსაც მისწერა, რომ მას უგზავნის 40 წლის წინ, 13 რიცხვში შაჰ აბასის მიერ ნაწამები მისი დედის წმინდა ნაწილებს – ფეხის თითს («Да послал я тебе часть мощей матери моей от ноги великого перста, что мучил ее шах Аббас, тому 40 лет сентября в 13 день») (პაიჭაძე 1965: 456-457).

ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების საკითხზე, რომლებიც რუსეთში ინახება, ცნობებს გვაწვდიან რ. გიორგაძე და ო. ბელობროვა. ზაგორსკის მუზეუმში ინახება ხის ჯვარი, რომლის ერთ მხარეს ამოკვეთილია მირქმა იესო ქრისტესი, ზოლო მეორე მხარეს – ჯვარცმა. ჯვარი ჩასმულია ოქროს ფირფიტაში, რომელსაც ამშვენებს ძვირფასი თვლები. მათ გვერდით არის ოქროს პანალია ჯვრის გამოსახულებითა და ძვირფასი თვლებით შემკული. აქვე, მათ გვერდით არის ქეთევან დედოფლის ხატი და მისი წმინდა ნაწილები. ზაგორსკის მუზეუმში არის აგრეთვე ძვლის ნაწილი, რომელიც ჩასმულია ოქროში და შემკულია ძვირფასი თვლებით.

ვარაუდობენ, რომ ეს უნდა იყოს წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის სხეულის ნაწილი. სიწმინდე ჩასვენებულია ვერცხლის ყუთში, რომელსაც ამკობს თხუთმეტი გამოსახულება და ქართული წარწერები. იქვეა ქეთევან დედოფლის ყველაზე ადრინდელი ხატი. ეს პანაღია იხსნება და შიგ ქართული წარწერებია, რომლებიც გვაუწყებენ, რომ ხატი შემკობილია ბატონიშვილი ვახტანგის მიერ და შიგ ჩასვენებულია ქეთევან დედოფლის თავისა და ხელის ნაწილი. ამ ოქროს გულსაკიდ ხატზე წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალი გამოსახულია სამეფო გვირგვინით და შემოსილია ქართულ ეროვნულ სამოსში. მას მარჯვენა ხელში ჯვარი უჭირავს, ხოლო მარცხენაში – სანაწილე, რომელშიც მისივე სხეულის ნაწილებია ჩასვენებული (გიორგაძე 1990: 52-54; ბელობროვა 1992: 50-54).

იმის შესახებ, რომ კათოლიკეების მიერ თეიმურაზ პირველისთვის გადაცემული წმინდა ნაწილები მოთავსებული იყო ალავერდის ტაძრის წმ. გიორგის საკურთხეველში, წერენ გრიგოლ დოდორქელი და ანტონ პირველი. დოდორქელი გადმოგვცემს, თუ როგორ მიეგებნენ წმინდა ნაწილებს და როგორ დაასვენეს ისინი ალავერდის ტაძარში: „და ვითარცა ესმა მეფესა მოღებად ნაწილისა დედისა თჳსისა, განიხარა სიხარულითა მიუთხრობელითა და შეკრბნა ყოველნი ერნი საქართველოსანი და კახეთისა კათალიკოზი ზაქარია, სწორი ანგელოზთა და შემკული ყოვლითა წესიერებითა, ეპოსკოპოსნი და მღდელნი და დიაკონნი, შემოსილნი ლამპრებითა. და თვთ მეფე და დედოფალი მკვრცხლ მიეგებოდეს, ვითარდღის სავალ, ცრემლითა და სიხარულითა დიდითა შეემთხვენეს წმიდასა მას თავსა მოწამისასა, განიბანებოდა ნაწილნი იგი ცრემლითა ყოვლითგან. ქებაჲ შეუმზადეს მოწამესა მას და შესხმა სულიერი სადიდებლად, გალობითა და კეროვანითა მიიღეს დიდსა მას ეკლესიასა ალავერდს მთავარმოწამისა გიორგისსა, რომელ არს სამარხო მეფეთა კახეთისათა, და დაასვენეს ზედა საკურთხეველსა” (ძეგლები V. 1989: 31-32).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1723 წელს ოსმალთა და ლეკთა შემოსევის დროს, ქეთევან წამებული სვილთაშვილმა თეიმურაზმა მდინარე არაგვზე გადასვლის დროს დაკარგა წმინდა ნაწილები: „ხოლო თეიმურაზ და უმეტესნი კახნი დედაწულით და ეპისკოპოსებით მივიდნენ ანანურს. არამედ რომელსა ეტყრთა ნაწილი წმიდათა, უბრკმა ცხენსა მისსა არაგუსა შინა და წარიღო ნაწილნი იგი და დაიკარგა ქეთევან დედოფლის ნაწილითურთ” (ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 621).

ინდოეთში, გოაში ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების მოსადიდებლად ჩატარებული ექსპედიციების შესახებ დაწვრილებით წერს ვ. ლორთქიფანიძე ამბროზიო დუშ ანჟუმის „ნამდვილი ცნობების” 2022 წლის გამოცემისთვის დართულ საგანგებო თავში. იქ საუბარია ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში ამ მიზნით გამოჩენილი მწერლისა

და საზოგადო მოღვაწის, რევაზ თაბუკაშვილის ხელმძღვანელობით ორგანიზებულ ექსპედიციაზე. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ამ ექსპედიციამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა. შემდეგი ექსპედიცია წმინდა ნაწილების მოსაპოვებლად 2001 წელს განხორციელდა. ამ ექსპედიციის დროს გაირკვა, რომ ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები დაკრძალული იყო და გრასას ტაძრის კომპლექსის ეკლესიაში, მთავარ საკურთხეველში.

ექსპედიციამ ასევე დაადგინა, რომ XIX-XX საუკუნეების განმავლობაში მიტოვებული და გრასას ტაძარი თანდათან ინგრეოდა და დასაშვებად ჩათვალა, რომ წმინდა ნაწილები მიწასა და ნანგრევებს შეერია. 2006 წელს კი ინდოეთიდან ცნობა მოვიდა იმის შესახებ, რომ ნაპოვნი იყო ქალის მკლავის ნაწილი არა მთავარი საკურთხეველის ტერიტორიაზე, არამედ მის სხვა ნაწილში. ამის შემდეგ ნაპოვნი მკლავის ნაწილი ღნმ ექსპერტიზაზე გაიგზავნა (ღუშ ანჟუში 2022: 97-108).

უდიდესი სიწმინდე, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილი, ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობამ 2021 წლის 9 ივლისს ჩამოაბრძანა საქართველოში, ხოლო 2021 წლის 10 ივლისს ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ეს სიწმინდე საზეიმოდ გადაეცა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (საქართველოს საპატრიარქო 2021 <https://patriarchate.ge/news/2790>). თბილისში, ავჭალის წმინდა ქეთევან დედოფლის სახელობის ტაძარში ანალოლიაზე დაბრძანებულია ხატი წმ. ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილით და ქვის ყუთის ნაწილი, სადაც ინახებოდა წმინდანის ნაწილები ინდოეთის ქალაქ გოაში (ამბიონი.საზოგადოებრივ რელიგიური ინტერნეტჟურნალი. 27. 05. 2011 <http://www.ambioni.ge/wmi-da-qetevan-wamebulis-saxelobis-tazari>).

აღსანიშნავია, რომ ქეთევანის გამოსახულების შექმნის შესახებ ავგუსტინელი ბერების მიერ ცნობას იძლევა რ. გულბენკიანი, რომელიც წერს, რომ ბერებმა ლისაბონის ა გრასას მონასტრის მთავარი დარბაზის კედელი მოზრდილი პანოთი შეამკეს. ერთ-ერთ პანოზე გამოსახულია ქეთევან დედოფლის წამება (გულბენკიანი 1987: 23).

თავი XV

ეპილოგი: ქეთევან წამებულის ასახვა XIX - XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მწერლის, დიმიტრი ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის პოემა „წამება წმიდისა ქეთევან დედოფლისა“, რომელიც მან მიუძღვნა მეფე ერეკლეს ასულს – ქეთევანს. ეს თხზულება რამდენჯერმე დაიბეჭდა 1819, 1876 და 1895 წლებში (კეკელიძე 1958: 496). პოემა თეიმურაზ პირველის მიბაძვით არის შექმნილი და გალექსილ მარტილობას წარმოადგენს. პოეტი ასე ასრულებს თავის პოემას:

უხამს დაჯდეს ღირსი ვინმე, მისთა ღვაწლთა აღსაწერად
მთაწმინდელი ან სინელი, პეტრიწი ჰყვეს კალმის მჭერად
მოკლეს სიტყვით შეამჭევროს, გრძელი ტანჯვა მრავალფერად
მათ მოგვითხრან შესაზაროდ, არ სასტიკონ გულსაგმერად (ბაგრატიონი 1876: 15).

ქეთევან წამებულისადმი მიძღვნილი დიმიტრი ბაგრატიონის პოემის შემდეგ ქეთევანის სახემ ქართულ დრამატურგიაში გადაინაცვლა. ანდრეას გრიფიუსის და სლოვაკი ავტორის ნაწარმოებების შემდეგ ეს მესამე დრამატული ნაწარმოებია, რომელიც სარწმუნოებისათვის თავდადებულ ქართველ დედოფალს მიეძღვნა. ალექსანდრე ყაზბეგის პიესა „წამება ქეთევან დედოფლისა“ „ივერიის“ მე-4 ნომერში 1883 წელს დაიბეჭდა, ხოლო სცენაზე პირველად 1889 წელს დაიდგა. იმის გამო, რომ მასში წმინდანის ცხოვრება იყო ასახული, იგი დიდი ხანს იკრძალებოდა (მუმლაძე... 2014: 241).

პიესის სიუჟეტი საქართველოში XVII საუკუნეში განვითარებულ დრამატულ მოვლენებს ემყარება, თუმცა ავტორის საკმაოდ თავისუფლად ეპყრობა ისტორიულ მასალას და მას თავისი ინტერესების სამსახურში აყენებს. ისტორიული ფონის შესახებ აქ აღარ ვისაუბრებთ, ვინაიდან იგი საკმაოდ ვრცლად გვაქვს განხილული მონოგრაფიის სხვა თავებში. აქ ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რომ მთავარი კოლიზია სიყვარულისა და მოვალეობის გრძნობის მძაფრ ჭიდილზეა აგებული და მოვალეობის გამარჯვებით გვირგვინდება (მუმლაძე... 2014: 241). ყაზბეგის დრამაში ერთმანეთთან დაპირისპირებულია ერთი მხრივ სამშობლოსადმი ერთგულება და მეორე მხრივ სამშობლოს ღალატი და ეს მძაფრი კონფლიქტი

სიყვარულის ფონზე თამაშდება. დრამაში რამდენიმე სასიყვარული ხაზია: ქეთევანი უყვარს პატრიოტ მამულიშვილს, თავად ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს, რომელიც ამ გრძნობის დამალვას ცდილობს. ქეთევანისადმი სასიყვარულო ვნებით არის შეპყრობილი მოღალატე ბატონიშვილი კონსტანტინეც. საყურადღებოა ქეთევანისა და კონსტანტინეს დიალოგი, სადაც კონსტანტინე დედოფალს ეუბნება: „ქეთევან, გამიგონე, შემიბრალები... კვდები, ვიტანჯები... შენი სიყვარული მოსვენებას არ მადლევს! მან მომაშორა სამშობლოს, გამომაცვლევინა სარწმუნოება, მომაკვლევინა მამა, ძმა და უბედური გამხადა... ამდენი ავკაცობა შენის გულისთვის ჩავიდინე, ვეცადე მოეშორებოდი, დამევიწყე მაგრამ გამხეცებული სიყვარული გულს მიღრღნის, მიხოკავს და მოსვენებას არ მადლევს!... რამდენიც მინდა გაეშორდე, იმდენი გონება შენ გაიხლოვდება, რამდენსაც შენს დავიწყებას ვცდილობ, იმდენად მეტად მიღუღდება გული შენთან შეერთების სურვილით... შენ გონიერი ხარ, ქეთევან, განსაჯე” (ყაზბეგი 1946: 451). ამის შემდეგ მარტო დარჩენილი ქეთევანი ამბობს: „ბიწიერო, სადამდის მიუყვანიხარ თავმოყვარეობას? მე ქეთევანს, ხალხისგან დედოფლად არჩეულს, მე, რომელიც იესოს სასძლოდ ვირიცხები, მე მიბედავ ხელის შეხებას!.. არა, კონსტანტინე! შენ შემცდარი ხარ, დაბრმავებული!... მე რომ მსურდეს კიდევ, აღარ შემიძლიან ჩემს ნებაზედ მოვიქცე, მე ვეკუთვნი ხალხს და არ ჩემს თავს!“. ამის შემდეგ სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით აღვსილი დედოფალი ლოცულობს:

„დედავ ღვთისავ, შენ მომხედე, მომეც შენ ძალა,
რომ კისრად ვიდო ერისთვის ზრუნვა და ბრძოლა
შენ გვედრები, რომ დღეს მტერი დამაძლიერო
და ერისთვის გზა ნათელი გამაკვლინო!” (ყაზბეგი 1949: 453).

ამ სტრიქონებიდან ნათლად ჩანს ქეთევანის მოვალეობის გრძნობა სამშობლოს მიმართ, მისი ურყევი გადაწყვეტილება, ემსახუროს თავის ხალხს და თავის ერს გზა გაუკვლიოს ნათელი მომავლისკენ.

ქეთევანის სახე კიდევ უფრო მკვეთრად იხატება შაჰ-აბასთან შეხვედრის შემდეგ. ქეთევანის სილამაზით მოხიბლული შაჰი ამბობს: „მართლა ლამაზი ყოფილა ქეთევან... წავიყვან სპარსეთში, მივაღებინებ ჩვენს სარწმუნოებას და დავამშვენებ ჩემს პალატს!” (ყაზბეგი 1949: 483). უკვე შაჰის ტყვე ქეთევანი ბერის პირით შეიტყობს იმის შესახებ, რომ შაჰს მისი ცოლად შერთვა სურს. ბერი ურჩევს, დედოფალი შაჰს დასთანხმდეს და ამის სანაცვლოდ იგი დიდ სიკეთეს მიიღებს. ამაზე ქეთევანი პასუხობს: „ჩემის პატივისთვის, ჩემის სიამოვნებისთვის ხალხს უნდა მაგალითი მივცე, რომ ჩვენ სხვა გვარ-ტომობის ხალხთან შეერთება შეგვიძლიან? მაშინ ხომ დაირღვა ჩვენი ეროვნება, ხომ დაირღვა ჩვენი სარწმუნოება, რომელიც

ისე მტკიცედ გვაკავშირებდა ერთმანეთს და ისეთს შეუდრეკელს ძალას შეადგენდა. მერე, მამაო, მე რომ ეგ ჩავიდინო, ჩემ წინაპართ, ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას, რაღა პასუხი მივცე?” (ყაზბეგი 1949: 484). ბერი იმით ცდილობს ქეთევანის დაყოლიებას, რომ ეუბნება, მაჰმადიანობა შეუძლია მხოლოდ გარეგნულად მიიღოს, საქმით კი მართლმადიდებელი დარჩეს, ხოლო თუ ასე არ მოიქცევა, მისი ბედი ცუდად დატრიალდება. ამაზე კი ქეთევანი ამაყად პასუხობს: „მე არ მეშინია მაგისი, მე ვეწვალე, ვეწამე. მოკვდები პირზედ ღიმილით, დარწმუნებული რომ მე ვასრულებდი ჩემს მოვალეობას... წადი, გამშორდი... შეატყობინე შაჰს, რომ არ არის ქვეყანაზედ ისეთი სატანჯველი, რომელმაც ქრისტიანს, ნამდვილს ქართველს, მოვალეობისთვის ელაღატებინოს. კმარა, გავათაოთ... ნულარ მოხვალ ჩემთან!” (ყაზბეგი 1949: 485). ქეთევანსა და შაჰს შორის გამართულ დიალოგში შაჰი ხან მოითხოვს მისგან, რომ ცოლად გაჰყვეს, ხანაც კი, სიყვარულით შეპყრობილი ევედრება და ფუფუნებაში ცხოვრებას აღუთქვამს. ქეთევანი კი ამაყად პასუხობს: „მე დავბადებულვარ ქრისტიანად, ქრისტიანად უნდა მოკვდე” (ყაზბეგი 1949: 486). ამის შემდეგ განრისხებული შაჰი ჯვალათებს მოუხმობს, პიესა ქეთევანის კოცონზე დაწვით სრულდება: „ქეთევან დედოფალი თეთრ ტანისამოსში, თმაგაშლილი დაჩოქილია, ზეცისთვის მიუპყრია თვალები და ხელები გულზედ დაუწყვია, თითქოს ღოცულობდეს. ... ზევიდან ჩამოდის ღრუბელი, რომელზედაც შუა ადგილას ვარსკვლავების გვირგვინია, რომელიც აქეთ-იქით მდგომს წმინდა ნინოს და თამარ მეფეს უჭირავს ქეთევანის თავზედ. ღრუბლებში აქეთ-იქით ანგელოზები მოსჩანან (ყაზბეგი 1949: 495). სამშობლოს ერთგულების და ქრისტიანობისთვის თავდადებული დედოფლის თემაზე შექმნილი ეს პიესა ნართაულად რუსეთის იმპერიის დესპოტიის წინააღმდეგ იყო მიმართული და მნიშვნელოვანია, რომ ამ მიზნით ყაზბეგმა სწორედ წამებული დედოფლის ისტორია გააცოცხლა.

გივი კარბელაშვილის რომანი – „მეზნებარებით ჩაფერფილი გულები” 1979 წელს გამოიცა. რომანში აღწერილია XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის მოვლენები, რომელიც თეიმურაზ პირველის მეფობის დაახლოებით ნახევარსაუკუნოვან პერიოდს მოიცავს. როგორც თავად რომანის ავტორი წერს წინათქმაში, ისტორიული მოვლენების თანამიმდევრობა და განლაგება ზუსტად არ ემთხვევა საქართველოს ისტორიის რომელიმე ჩამოყალიბებული კურსის ქარგას ან შეხედულებებს იმდროინდელი მოღვაწეებისა და იმდროინდელი ყოფის შესახებ და მიუთითებს იმაზე, რომ ესა თუ ის მოვლენა თვით ისტორიულ წყაროებში ხშირად სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული (კარბელაშვილი 1979: 5). რომანში რელიეფურად არის დახატული ქეთევან დედოფლის სახე და სწორედ ეს არის ჩვენთვის საინტერესო. ნაწარმოებში ქეთევანი დახატულია, როგორც გამჭრიახი

პოლიტიკოსი, თავისი ვაჟის – მეფე თეიმურაზ პირველის საიმედო მრჩეველი, მზრუნველი დედა და ბებია, სამშობლოსა და სარწმუნოებისთვის თავდადებული დედოფალი. დაქვრივებული დედოფალი თავისი ვაჟის, თეიმურაზ პირველის ურჩევს: „შვილო, რაკი მაგ გზას ადგიხარ, ყაენის გულიც გინდა მოიგო და რუსეთთანაც გინდა მოყვრული გზა დაჰქნა, რასაც ერისა და მამულის სასიკეთოდ იქმ, სამი რამ უნდა გქონდეს კანონად: საიდუმლოს ღიდი სიფრთხილე, არდაყვენება და სიმტკიცე” (კარბელაშვილი 1979: 46). იქვე, თეიმურაზის წარმოთქმული სიტყვიდან ირკვევა, რომ რომის პაპისგან და ევროპიდან დახმარებას ქართველები არ უნდა ელოდონ, მეფეს ელჩი კარგად მიუღია, დაუსაჩუქრებია, მაგრამ ლაშქრითა და იარაღით დახმარებაზე კი უარი უთქვამს. ქეთევანი ამას ასე განმარტავს: „რომისა და ევროპის იმედი არც უნდა გვქონოდა, ორნივე ჩვენგან შორს არიან და ტყუილად თავს არც არავინ შეიწუხებს” (კარბელაშვილი 1979: 50). ამის შემდეგ თეიმურაზი ამბობს: „რუსთა ხელმწიფემ მღვდლები გამოგვიგზავნა. თვალი უნდათ მოავლონ ქვეყანას, რა გვაქვს და რა ძალგვიძს, აინტერესებთ, რას მიიღებენ მსხვერპლის ფასად და რად ველირებით. არცა ემტყუნებათ, რამეთუ ჩვენც ისინი მარტოოდენ ერთმორწმუნებით როდი გვეამებიან, არამედ ძალით, იარაღით დასახმარებლად გვინდა მათთან კავშირი. ესე არს ჭეშმარიტი არსი ჩვენი ცდებისა. ... იმიტომაც დავასკენი მტკიცედ: კმარა ძიება მესამე ძალისა, რომელიც თვითონაც სიკეთეს არას მოგვიტანს და ძველს პატრონს უარესად გაგვიქუზებს” (კარბელაშვილი 1979: 50). ამის შემდეგ, შაჰისადმი ერთგულების ნიშნად გადაწყდა მასთან ქეთევანის და თეიმურაზის უფროსი ვაჟის – ლევანის გაგზავნა, რადგან ალექსანდრე უკვე სპარსეთში იყო. უკვე მგზავრობის თადარიგში მყოფი ქეთევანი თავის ნაბოლარა შვილიშვილზე, დავითზე ფიქრობდა, რომელზეც ყველაზე ნაკლები ამაგი ჰქონდა და რომელიც უმცროსობის გამო ყველაზე მეტად უყვარდა. დათუნას პირისპირ მარტო დარჩენილი, ქეთევანი მას სამეფო ოჯახის ისტორიას მოუთხრობს და ეუბნება: „ჩვენს წინაპართ საგვარეულოდ მოგვდგამს და შენც კარგად უნდა იცოდე, რომ საქმის განსჯისას უპირველესად და უმთავრესად ჩვენს პირადულს კი არა, საერო სარგებელს ვარჩევთ” (კარბელაშვილი 1979: 59). სწორედ ქვეყნის სარგებლის გამო მიდის ქეთევანი შაჰ-აბაზთან ელჩად და სინამდვილეში კი – მძევლად. საქართველოდან შირაზამდე გრძელი გზა რომანში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი და ამ მგზავრობის დროს კიდევ უფრო ნათლად იხატება ქართველი დედოფლის სახე, როგორც უშიშარი, ამაყი და გამჭრიახი პიროვნებისა, წინ კი სპარსეთში ხანგრძლივი და უმძიმესი ტყვეობის ხანა ელოდება, რომლის დროსაც შვილიშვილების დასაჭურისების საშინელი ტრაგედიის გადატანა უწევს. ამის შემდეგ შაჰი ქეთევანისგან ქრისტიანობის უარყოფას და გამაჰმადიანებას მოითხოვს. ეზოში უკვე „გიზგი-

ზედა დიდი კოცონი, რომელზეც ვეებერთელა სპილენძის ქვაბი შეედგათ და წყალს აღულებდნენ. აქვე გაემართათ მცირე ფიცარნაგი, რაც უმაღლ სათეატრო სანახაობის წარმოსადგენად იყო მოწყობილი” (კარბელაშვილი 1979: 257). „ორმა თავბრუსხვევა ქეთევან დედოფალი გარეთ გამოიყვანა: მოხუცი მხნედ, თავაწეული მოაბიჯებდა. გაფითრებული, ნაოჭმორეული სახე კიდევ უფრო ფერმკრთალი უჩანდა ძაძის ფონზე. სივრცეს მიჰყვრობილი თვალები კუშტად ელვარებდნენ ჯიუტად მეტყველი შუბლის ქვეშ” (კარბელაშვილი 1979: 258). წამების წინ ქეთევანს კიდევ ერთხელ მოსთხოვეს მაჰმადიანობის მიღება, რაზეც დედოფალმა ამაყად ბრძანა: „შენ, შაჰ-აბაზ პირველო, შაჰინ-შაჰო, ალაჰის მოციქულო, შენ ჰბუგავ საქართველოს, შენ ლეწავ ქართველი ბალებით კალოებს, შენ ჰკოდავ ბიჭებს, შენა სვამ ქართველთა სისხლს... წყეულიმც იყავ, გველის მოდგმავ, ურჩხულის ნაშიერო, ბნელეთის მოციქულო, კაციჭამიავ, ცოფიანო ძაღლო ჩასაქოლო, ქართველთა და ფარსთაც პირსისხლიანო ჯალათო, სულითა და გულით საჭურისო” (კარბელაშვილი 1979: 259), სასტიკად ნაწამები დედოფლის ბოლო სიტყვები კი იყო: „შვილო ლევან... შვილო ალექსანდრე, მოვდივარ...”. ასეთია ქეთევან დედოფლის სახე XX საუკუნის რომანში, რომელშიც კიდევ ერთხელ აისახა სამშობლისათვის თავდადებული ქეთევან დედოფლის ღვაწლი საქართველოს წინაშე.

ქეთევანის სახე XX საუკუნის ქართულ პოეზიაშიც აისახა. საქართველოს ისტორიას გიორგი ლეონიძის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, „ქართლის ცხოვრება” პოეტის განუყრელი საკითხავი წიგნია და მას არაერთი ლექსი მიუძღვნა. გიორგი ლეონიძის პოეზიის სახეობრივ-პოეტურ სისტემაში ფართოდაა წარმოდგენილი ქართულ ქრონიკაში ასახული ეპიზოდები და ისტორიული პირები, ერთ-ერთი ასეთი ლექსი ქეთევან დედოფლისადმი არის მიძღვნილი. „ქეთევანის წიგნი” 1943 წელს არის დაწერილი და როგორც ეპიგრაფიდან ირკვევა, პოეტზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია „ლოცვანს”, რომელიც დედოფალს თან ჰქონდა ტყვეობაში. ეპიგრაფში ვკითხულობთ: „საქართველოს მუზეუმში ინახება ხელნაწერი ლოცვანი, ქეთევან დედოფლის ტყვეობაში ნაქონი. წიგნის ფურცლებს დღესაც ატყვია ცრემლის ლაქები და ერთგან სისხლის ნაწვეთალი”. ლექსის ეპიგრაფიდან ჩანს, თუ რაოდენ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პოეტზე „ლოცვანის” ნახვას, რომელშიც მან ქეთევან დედოფლის მთელი ტრაგიკული ისტორია ამოიკითხა. „ცრემლის ლაქები” და „სისხლის ნაწვეთალები” – უკვე ამ ოთხ სიტყვაში იკითხება ავტორის შინაგანი განცდის სიძლიერე, რომელიც შემდეგ პოეტურ სტრიქონებად იქცა. ლექსში არ არის განსაკუთრებულად ხელმოსაკიდი ისტორიული ფაქტები, მხოლოდ კონტურებია:

„რაც ვერ დაწერა კალამმა,
აღბათ ცრემლმა სთქვა მალულმა,
სამშობლოს ფიქრზე საკანში,
ირანს ტყვედ გადაჩქმალულმა.”

ლექსის კულმინაციური მომენტია ქეთევან დედოფლის წამების ნატურალისტური აღწერა:

„მანთით, მარწუხით დახლიჩეს,
გაზით უგლიჯეს ძუძუნი,
ყორნებს მიუგდეს საჭმელად,
ათას ხმლით გადაკუწული.”

გიორგი ლეონიძე მეტად ოსტატურად იყენებს მინიშნებებს და მიუხედავად იმისა, რომ ერთ სიტყვითაც კი არ არის ნახსენები, მკითხველს თვალწინ წარმოუდგება XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის უმძიმესი სურათები: თუ როგორ ააოხრა შაჰ-აბაზმა კახეთი, როგორ გარეკა ირანს ქართული მოსახლეობა, როგორ დაატყვევა შირაზში ქეთევან დედოფალი, როგორ დააშორა იგი თავის შვილივილებს, როგორ სასტიკად აწამა მცირეწლოვანი უფლისწულები, როგორ მტკიცედ იცავდა ქეთევანი თავის სარწმუნოებას, რომელიც იქ მყოფი ქართველი ქალებისთვის სარწმუნოების ერთგულების ნიშნად იყო და რომლებიც მისი შემხედვარე გაათრეზებულ უარს ამბობდნენ. ამაზე ლექსში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, მაგრამ ლექსის კითხვისას სწორედ ეს ისტორია ახსენდება მკითხველს. ქეთევანის სახელი არ არის ნახსენები ლექსში, მაგრამ იგი საცნაური ხდება რამდენიმე მინიშნებით, ესენია: „დედოფალი”, „წიგნი”, „ცრემლი”, „საკანი”, „ირანი”, „ტყვე”, „კახეთი”. ეს მინიშნებები სიტყვა-სიმბოლოებია, რომლებშიც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდებია კოდირებული (ნაჭყებია 2022: 250-261).

ანა კალანდაძის ლექსი „ქეთევან დედოფალი” ქართველი დედოფლის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ წამებს, მისი სასტიკ წამებასა და მის უდრეკ სულს, სამშობლოსა და სარწმუნოებისადმი ერთგულებას ეძღვნება:

რვალის ქვაბი მოეთრია ქონდაქარსა,
ცეცხლს აგზნებდა
კაცთა გრძნობის ქონდაქარი
ზე მიჰქონდა, ღრუბლებისკენ ცეცხლი ქარსა,
ქროდა ქარი...
თეთრი ხელი გულზე ედო დედოფალსა,
ტინად იდგა დედოფალი
თმა დაშლოდა, თავი ნაზად დაეხარა,

სიკვდილის წინ ქართლის ვარდად გაეხარა...
 ლოცულობდა...
 როს ჩამოსწყდა ბაგეთ მისთა:
 „არასოდეს!“
 დაფდაფებს ჰკრეს განარისხთა,
 ცხელი შანთი მიუტანეს ბროლის მკერდთან,
 ცხელი რკინა,
 საქართველოს გულს რომ კვეთდა.
 რვალის ქვაბი გადმოეგდო ქონდაქარსა,
 ღიღინებდა კაცთა გრძნობის ქონდაქარი...
 ლურჯი ბაგით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა,
 ქროდა ქარი
 ცეცხლით სწვავდნენ
 ტანშეძარულ დედოფალსა,
 უდრეკ იყო დედოფალი!

წამებულ დედოფალს ლექსი მიუძღვნა პოეტმა მედეა კახიძემაც. ლექსის სათაურია „ქეთევანი“ და ისიც ქეთევანის ცხოვრების უკანასკნელ წუთებს აღწერს და ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სტრიქონები „ქართლის ცხოვრებიდან“: „მერე მოიღეს ქუაბი გახურებული და დაარქუეს წმინდასა ქეთევან დედოფალსა“. ლექსში გამოყენებულია საინტერესო ხერხი, იგი პირველ პირშია დაწერილი და თავად ქეთევანი აღწერს თავის წამებას:

დუმილი ჩამოწვა მძიმე,
 კოცონი ღუოდა წითლად,
 დათმეო, რამეთუ მცირე
 არისო ქართული მიწა.
 და როცა ცეცხლის წინ შევდექი,
 მანდილზე მიტაცეს ხელი,
 ცხელ შანთებს მადებენ მკერდზე,
 დაფარონ სიშიშველე ჩემი!
 კოცონში მაგდებენ უძლურს,
 როგორც ღვთის საწირავ ზვარაკს,
 მე მტკივა მოჭრილი ძუძუ,
 უფრო კი სირცხვილი მზარავს.
 მე ვითმენ წამებას დიდხანს
 და ყელში მობჯენილ კივილს,
 რამეთუ ნაშენი ვიყავ
 ქართული მიწით და კირით.

ქოქოლას მაყრიან მძევალს,
ვიწვი და მაინც არ ვგმინავ,
ასევე სჭდავდნენ ძველად
ცეცხლში ხალიბები რკინას.
მე ჩემს სიზვიადეს ვენდე,
ტანთ აბჯრად სიმშვიდე მეცვა
ეგრე,
დედოფალო,
ეგრე,
ცოტაც და,
იწყება ზეცა...

XIX-XX საუკუნეში ქეთევანისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები, იქნება ეს პოემა, პიესა, რომანი თუ ლექსები ცალსახად აჩვენებენ ქეთევანის სარწმუნოებისადმი ერთგულების, მისი თავდადების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველი ერისთვის და იმ პატრიოტულ მუხტს, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო.

თავი XVI.

დასკვნა

XVII საუკუნე ქართულ-ევროპულ ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა აღდგენის საუკუნეა; ევროპის მთელ რიგ ქვეყანათა ყურადღება საქართველოს მიმართ გამოვლინდა ფართო წერილობით მასალაში, რომლებიც იმდროინდელ საქართველოს ისტორიულ და პოლიტიკურ ვითარებას ასახავს. მთავარი ყურადღება მიიპყრო ქეთევან დედოფლის თემამ, რომლის მოწამებრივი სიკვდილი არაერთ იმდროინდელ ძეგლში აისახა და მხატვრული შემოქმედების საგნად იქცა. შექმნილ ვითარებათა გამო ამ საუკუნის ეპოქალურ კუთვნილებას გმირის – და განსაკუთრებით კი – მორალური გმირის ძიება წარმოადგენდა, საქართველოს თანადროული ისტორია კი ამგვარი მორალური გმირობის ჭეშმარიტ, უტყუარ, ისტორიულ ფაქტებზე დამყარებულ, თვითმხილველთა მიერ დამოწმებულ ტრაგიკულ მასალას აცნობდა ევროპას. ჩანს, თვით ეპოქის სულიერმა მისწრაფებებმა, მისმა საერთო სტილმა განაპირობა ამგვარი ფართო ინტერესი ქრისტიანული რწმენისადმი და სამშობლოსადმი ერთგულების გამო უსასტიკესი სიკვდილით დასჯილი ქეთევან დედოფლის მიმართ. ქეთევან დედოფლის სახელთან დაკავშირებული მხატვრული ნაწარმოებები – ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია და ანონიმი სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესა – ბაროკოს სტილის თხზულებებია. აღსანიშნავია, რომ ბაროკოს სტილური ელემენტები იგრძნობა თეიმურაზ პირველის პოემაში – „წამება ქეთევან დედოფლისა“, რაც მეტად რელიეფურად გამოჩნდა წმინდანის ცხოვრების აღწერაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთელ რიგ დოკუმენტური ხასიათის მასალაში, ასევე სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესაში ისეა წარმოდგენილი, თითქოს ქეთევან დედოფალმა მართლმადიდებლობა მიატოვა და კათოლიკობა მიიღო. საკითხის ასე დაყენებამ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც იჩინა თავი. ნაშრომში გამოკვლეულია ამ ვერსიის გაჩენის მიზეზები, დასაბუთებულია, რომ ქეთევან დედოფლის მიერ მართლმადიდებლური ეკლესიის მიტოვების და კათოლიკობის აღიარების მითი სრულიად კონკრეტულ ისტორიულ-პოლიტიკურ ფონზე აღმოცენდა და მის ავტორებად იმხანად საქართველოში მისიონის დაარსებით დაინტერესებული, შირაზში მოღვაწე ავგუსტინელი ბერები იყვნენ. მიზანდასახულება ცხადი იყო: რომს დიდი სურვილი ჰქონდა ქართველი ხალხი

კათოლიკობაზე მოექცია, სარწმუნოებრივად რომისათვის დაემორჩილებინა და ამგვარად კათოლიკური სამყაროს ფარგლები გაეფართოებინა. სათანადო ევროპული მასალის შესწავლის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ ქეთევან დედოფალს კათოლიკობა არ მიუღია, მართლმადიდებლური ეკლესიის ერთგული დარჩა და აღესრულა, როგორც ქართველი მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის წამებული.

ასევე ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ზოგიერთ ისტორიულ ხასიათის წყაროში გაჩნდა ვერსია, თითქოს სპარსეთის შაჰს ქართველი დედოფალი უყვარდა და რადგან დედოფალმა უარი უთხრა ცოლობაზე, ამიტომ მოკლა წამებით. ამ ვერსიამ მთავარი ადგილი დაიკავა ანდრეას გრიფიუსის და ანონიმი სკალიცელი იეზუიტის დრამატულ თხზულებაში. ქართულ ისტორიულ მასალაში ეს ვერსია არ დასტურდება. როგორ უნდა შეფასდეს ამ ვერსიის წარმოშობა ევროპულ ლიტერატურაში? სიყვარულის თემა მხატვრულ ლიტერატურაში ესთეტიკური და ეთიკური კატეგორიაა; ა. გრიფიუსისა და ანონიმის პიესებში იგი უმთავრესად ეთიკურ მიზნებს ემსახურება.

კაცობრიობის ისტორია სხვადასხვა ბოროტი ქმედებებით არის აღსავსე, მაგრამ მარად მოქმედებს ერთი კანონი: ბოროტება, ადრე თუ გვიან, არასოდეს არ რჩება დაუსჯელი. სასჯელის ფორმები სხვადასხვაგვარია, იგი უთუოდ ფიზიკურ სასჯელს არ გულისხმობს. დროს თავისი მსჯავრი გამოაქვს და ეს მსჯავრი საუკუნეებს მიჰყვება. ამ ისტორიული მსჯავრით შაჰ-აბასის სახელი ტირანიის, ბოროტებისა, კერავობისა და ყოველგვარი უკეთურების სინონიმია, რაც მთელი სიცხადით აისახა ევროპულ მწერლობაში, იქნება ეს მისიონერთა ჩანაწერები თუ ისტორიული ხასიათის თხზულებები. აღსანიშნავია, რომ ევროპულმა მხატვრულმა ფანტაზიამ მრისხანე შაჰ-აბასი მალენგრის პოპულარული ხასიათის ისტორიულ თხზულებაში, გრიფიუსის ტრაგედიაში და ანონიმი სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესაში წარმოადგინა, როგორც ქეთევან დედოფალზე უიმედოდ შეყვარებული და ამაყად უარყოფილი უღირსი მტარვალი, სპარსეთის უძლიერესი შაჰი, რომელიც საკუთარი მსხვერპლის – ულამაზესი ქართველი დედოფლის – ქეთევან წამებულის ფერხთით დამხობილი ცახცახებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია აღსანიშნავი: ქეთევან წამებულის ცხოვრების თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში ავტორთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იმ ეთნიკურმა გენოციდმა, რომელიც შაჰ-აბასმა მოუწყო კახეთს. ეს ტრაგიკული ისტორიული ფაქტი ორივე დრამატულ თხზულებაში არის წინ წამოწეული და ასახული.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ XVII საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში ქართველი დედოფალი წარმოჩენილია, როგორც მაღალი ზნეობის ეტალონი, ის დიადი პიროვნება, რომელიც მისაბადი მაგალითი უნდა გახდეს.

რაც შეეხება ევროპულ ლიტერატურას XVIII საუკუნეში, ამ ეპოქაში ქეთევან დედოფლის შესახებ აღარაფერი დაწერილა. ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ ისტორიულ რეალობაში, რომელიც იმ დროს შეიქმნა. სათანადო ლიტერატურის შესწავლა მოწმობს, რომ XVII საუკუნის შემდეგ კათოლიკური სარწმუნოებისა და კათოლიკე მისიონერთა მიმართ ყურადღება და ინტერესი საქართველოში საერთოდ შეწყდა. როგორც ამ საკითხთა ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო მცოდნე მიქელ თამარაშვილი მოწმობს, „ეს საუკუნე საზოგადოდ დიდად განსხვავდება გავლილის საუკუნისაგან, როგორც პოლიტიკურის, ისე სარწმუნოებრივის მხრით ამ საუკუნეში აღარ გვესმის ხმა მისიონერებისა, რომლებიც წინა საუკუნეში ხშირად სწერდნენ ევროპაში, რომ საქართველოს მისიონი ერთი საუკეთესო მისიონიოა“ (თამარაშვილი 1902: 300). რა თქმა უნდა, საქართველოს ურთიერთობა კათოლიკურ სამყაროსთან და უშუალოდ რომთან არ შეწყვეტილა, პირიქით, გარკვეული თვალსაზრისით გააქტიურდა კიდევ, მაგრამ ამ გარემოებას ჩვენს საკვლევ საკითხთან უშუალო კავშირი არ აქვს. მთავარი ისაა, რომ XVIII საუკუნის წერილობით მასალაში ქეთევან დედოფლის სახელი აღარ იხსენიება – იგი XVII საუკუნის კუთვნილებად დარჩა.

სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესა 1701 წელს – XVIII საუკუნის პირველ წელს – არის დადგმული. თუმცა თარიღით იგი XVIII საუკუნეს მიეკუთვნება, მაგრამ ფაქტიურად იმ ჯაჭვის ლოგიკური დასრულებაა, რომელიც მთლიანად XVII საუკუნის ფარგლებში თავსდება. XVII საუკუნეშია შექმნილი ის მასალა, რომელსაც ანონიმი ავტორი თავისი პიესის ისტორიულ საფუძვლად იყენებს, რაც თავისთავად მოწმობს მის ორგანულ კავშირს წინამდებელ საუკუნესთან.

ამრიგად, ევროპული ქეთევანიანის ჯაჭვის ლოგიკური დასასრულია 1701 წელს სლოვაკიის ქალაქ სკალიცაში შექმნილი და წარმოდგენილი პიესა „კატერინა, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული“, რომელიც თავისი არსით XVII საუკუნეს ეკუთვნის და რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა.

XVIII საუკუნის საქართველოში ქეთევან წამებულის შესახებ შეიქმნა სასულიერო, ძირითადად აგიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურა, როგორც მხოლოდ ეროვნული, ქართული მართლმადიდებლური წმინდანისა. საერო ლიტერატურაში ქეთევანის სახემ ასახვა ვერ ჰპოვა.

XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ქეთევან დედოფლის პიროვნება კვლავ ყურადღების ცენტრშია. ეს ყურადღება ძირითადად სასულიერო ლიტერატურაში გამოვლინდა. ქეთევან წამებულის პიროვნებას ასახვა ჰპოვა როგორც ჰიმნოგრაფიულ, ასევე აგიოგრაფიულ ლიტერატურაში. ამ დროს წარმოიშვა ტრადიცია ქრესტომათიული ტიპის

„მრავალთავეების” ანუ „მეტაფრასული” კრებულების შექმნისა, სადაც მხოლოდ ეროვნული გმირებისა და წმინდანების ცხოვრებებია შეტანილი. ამ საუკუნეში ქართველთა ეროვნულ წმინდანს – ქეთევან დედოფალს მიეძღვნა ორი აგიოგრაფიული ხასიათის თხზულება: გრიგოლ დოდორქელის „წამებაი ყოვლადღიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისაი, რომელი იწამა სპარსთა მეფისა შაჰაბაზ უსჯულოისა მიერ ქალაქსა შირაზისასა” და ანტონ I კათალიკოსის „შესხმა და მითხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისათა”. მთავარი აქ ის არის, რომ წამებული დედოფლის ცხოვრების ისტორია გადმოცემულია საქართველოს ისტორიასთან მჭიდრო კავშირში. წამებული ქართველი დედოფალი წარმოგვიდგება არა მხოლოდ როგორც მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგულებისათვის წამებული ქრისტიანი, არამედ როგორც სამშობლოს დიდი პატრიოტი, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პიროვნება, რომელმაც უცოყმანოდ მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე. ამიტომაც არის, რომ ანტონ კათალიკოსი მას განსაკუთრებული ეპითეთით მოიხსენიებს, როგორც „ქეთევან დიდს”. ამგვარი ვითარების ფონზე ერთგვარად მოულოდნელიც კი არის, რომ ისეთი ისტორიული ხასიათის საერო თხზულებაში, როგორიცაა არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა”, ქეთევან დედოფლის სახე მეტად მკრთალად არის წარმოდგენილი.

XIX-XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ქეთევან დედოფლის სახე, მისი თავდადება და სარწმუნოებისადმი ერთგულება აისახა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში: დრამატურგიაში, რომანში, პოეზიაში.

თავი XVII. დანართი

უცნობი სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესა კატერინა, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული (1701) სინოფსისი

(თარგმანი სლოვაკიზირებული ჩეხური ენიდან)

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

„იმ სპარსელ მონარქთა შორის, რომელნიც ქრისტიანობის პერიოდში მეფობდნენ, იყო შაჰ-აბასი. იგი თავისი ერთ-ერთი ცოლის გამო, რომელიც ქრისტიანი იყო, ცბიერობდა, თითქოს მორწმუნე იყო და დიდ პატივს სცემდა ქრისტეს მოძღვრებას, სინამდვილეში კი ურჯულო ცხოვრებას ეწეოდა და ამასთანავე სასტიკად სდევნიდა ქრისტიანებს. ორმუხად წოდებული კუნძული, სადაც მრავალი მდიდარი ვაჭარი ცხოვრობდა, პორტუგალიის მეფეს წაართვა, რადგან შიშობდა, იქ მაჰმადი არ დაევიწყებინათ. ქართველებს, რომელნიც ქრისტიანები იყვნენ, ხშირად ავიწროვებდა ომებით. როდესაც მესამედ დაიდრა მათ წინააღმდეგ, ტამერ ხანი [თამერ ცჰან – თეიმურაზი - მ. ნ.], იმ ქვეყნის მეფე დაამარცხა, გაანადგურა ქვეყანა და მრავალი შებორკილი ქართველი ისპაჰანში გარეკა, ხოლო აღთქმის თანახმად, თუ გამარჯვებული დაბრუნდებოდა, აპირებდა თვითოეული მათგანი ერთ აბად ანუ ერთ სპარსულ გროშად გაეყიდა. სხვა ნადავლთან ერთად, რომელიც ამ გამარჯვებით მოიპოვა, იყო კატერინა, ქართველთა დედოფალი, წარჩინებული და დიდი სილამაზის ქალი, მეტად კეთილშობილი და ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული. კატერინა შაჰ-აბასს ცოლად, მეოთხე დედოფლად უნდოდა (სხვა სამი უკვე ჰყავდა), ხოლო რადგან კატერინას წმინდა ცხოვრების, უმწიკვლო ქცევისა და ასევე ქრისტიანული მოძღვრების სახით, რომელიც მხოლოდ ერთი ცოლის ყოლის ნებას რთავს, დიდ წინააღმდეგობას და დაბრკოლებას ხვდებოდა, ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რათა ამ წარმართს ჭეშმარიტი ქრისტიანის გონებიდან ქრისტე განედევნა და მის ადგილას ურჯულო მაჰმადი დაეყენებინა. მაგრამ ყველა ცდა ამო აღმოჩნდა, რადგან დედოფლის სიმტკიცე კლდესავით უტეხი რჩებოდა. შაჰმა კერანაირი მუქარით, მზაკვრობითა და პირმოთნეობით ვერ დაიმორჩილა კატერინა, რათა თავის მხსნელ სარწმუ-

ნოებაზე უარი ეთქმევინებინა. დედოფალმა სასტიკი სიკვდილი ამჯობინა სისხლის სამოსით და გამარჯვებულის ტრიუმფით წარუდგა თავის მხსნელს – ქრისტეს. ასე წერს ბისელიუსი, *ილლუსტრეს რუინაე*, ეკას IV, და *ოლერაიუსი* ე რებუს გესტის *შცჰაცჰ-ბაე*, გვ. 645. სხვა ყველაფერი, რაც ამის გარდა არის ტექსტში, პოეტური ფანტაზიის ნაყოფია.

წინათქმა

ბრძენ კატერინას, რომელიც ურწმუნოთა წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, ვულკანი კვიპროსზე, თავის სამჭედლოში, სპილენძის ჯავშანს უჭედავს. კატერინა, ქალის მშვენიერ სამოსს რომ გაიხდის და ჯავშანს ჩაიცვამს, ღმერთს შემწეობასა და მფარველობას შესთხოვს. მისი თხოვნის პასუხად დუჰა [ირისი – მ. ნ.], ციურ ქალღმერთთა წარგზავნილი, ამცნობს მას, რომ მას ციურ ღიღებაში გამარჯვების ჭეშმარიტი და უჭკნობი გვირგვინი ელის. მინერვა, ომის ქალღმერთი, მას თავისი ფარ-ხმალით მფარველობს და ეხმარება. შემდეგ ავტორი თავის კეთილისმყოფელს მიმართავს და ამ თხზულებას უძღვნის.

მოქმედება I

სცენა 1

წარმართთა მეფე გამარჯვების შემდეგ ნადიმობს. კატერინას სიყვარული რომ მოიპოვოს, თვალთმაქცობს, თითქოს ქრისტიანული სარწმუნოება მართლაც სწამს. ბრძანებს, რათა ქართველებს სიცოცხლე და სარწმუნოება შეუნარჩუნონ, და ამბობს, რომ მონობიდანაც გაათავისუფლებდა, თავის სალოცავ მითრასთვის მიცემული ფიცი რომ არ აბრკოლებდეს. კატერინა ამ მეფური წყალობისთვის თავმდაბლად უხდის მადლობას. მეფეს, რომელსაც მისი აზრის შეტყობა სურს ცოლობაზე, კატერინა ორაზროვან პასუხს აძლევს, რის გამოც სიზარულით აღვსილი მეფე მიიჩქარის თავისი კერპისაკენ, რათა მისთვის მიცემული პირობა შეასრულოს.

სცენა 2

ბასილინდა, წარმართთა მეფის უძვირფასესი მეუღლე, რომელიც ადრე ქრისტიანებს წაჰგვარეს და მას აჩუქეს, ფარულად ადევნებს თვალს დედოფალ კატერინას და სახეზე ნიშნით იცნობს, რომ იგი მისი დაა. გადაწყვეტს, რომ საუკეთესო გამოსავალი იქნება თუ კი სასწრაფოდ ამცნობს მას ამ ამბავს და გაანდობს, რომ მასთან ერთად სპარსელთა სამეფოდან გაქცევა უნდა, რადგან აღარ შეუძლია უყუროს ქრისტიანთა მიმართ მათ საშინელ მტარვალობასა და სისასტიკეს.

სცენა 3

ჰორმისდასი, ქრისტიანთა უსასტიკესი მტერი, სამეფო ქალაქ ისპაჰანის მმართველი იყო, რომელსაც დედოფალმა ბასილინდამ ეს თანამდებობა ჩამოართვა იმ უმოწყალობის გამო, რომლითაც იგი მეფის არყოფნისას ქრისტიანებს აწამებდა. ამ დროს ჰორმისდასი იბრძოდა ბასილინდას და მისი მრჩევლის – უსთაზანის წინააღმდეგ. კარიფუსი, მეფის მხედართმთავარი, რომელსაც ისპაჰანის მმართველობის ხელში ჩაგდება უნდა, შიშობს, რომ უსთაზანი ამ საქმეში მისი მეტოქე აღმოჩნდება (რადგან გაგონილი ჰქონდა, რომ მას დედოფალი შუამდგომლობდა); რათა მეტოქენი ერთმანეთის წინააღმდეგ აამხედროს, კარიფუსი ჰორმისდასს წინადადებას აძლევს მოკლან ბასილინდა და უსთაზანი, რითაც მას მისი ყოფილი თანამდებობის დაბრუნებას ჰპირდება.

სცენა 4

ტყვე ქართველებს ამცნობენ, რომ სარწმუნოებასა და სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ, რის გამოც ისინი ღიდად მხიარულობენ. ზოგიერთ მათგანს მაშინვე მოედანზე წაიყვანენ, საიდანაც სხვადასხვა ადგილას გააგზავნიან, ზოგიერთს კი სამეფო კარზე ახალი დედოფლის სამსახურში განამწყესებენ. მათ შორის არის კავადა, სამეფო ჩამომავლობის კარგი მეომარი ჭაბუკი, რომელსაც დედოფალი კატერინა ცოლად გაყოლას ჰპირდება, თუკი კავადა სპარსელებს დაამარცხებს და გამარჯვებული დიდებით დაბრუნდება.

სცენა 5

როდესაც მეფე თავის ღმერთებს მსხვერპლს სწირავს, ეკლესიის გუმბათზე ავისმომასწავებელ ბუს დაინახავს და უეცარი მიწისძვრით შეშინდება. ჰორმისდასი მაჰმადიანებს წააქეზებს, რათა ეს უბედურება ქრისტიანებს დააბრალონ.

სცენა 6

ბასილინდა თავის დასთან მიდის და სიხარულით აუწყებს გაქცევის ამბავს.

ქორო I

ლაპარაკია გაქცევაზე, რომელიც მომავალში მოხდება.

გალათეას (კატარინას განსახიერება) უყვარს კეთილშობილი ახალგაზრდა აკიდი (რომელიც ჭეშმარიტი სარწმუნოების ალევორიაა) და მასთან ერთად მახლობელ კორომზე ადის. პოლიფემოსი (სპარსეთის მეფის განსახიერება), ასევე გალათეაზე შეყვარებული, უძღვნის მას სიმღერას

და თავისთან იხმობს. თუ მისი სურვილის წინააღმდეგი არ იქნება, ქებას ჰპირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – შერცხვენას. თავის სიმდიდრეს (სამეფოს) და სილამაზეს აქებს, რათა მოხიბლოს იგი. მიუხედავად ყველაფრისა, გალათეა მისგან გარბის.

მოქმედება II

სცენა 1

მეფე თავისთან იხმობს კარისკაცებს, რომელნიც მეფე ტამერის წინააღმდეგ საომრად გააგზავნა, და იმის გამო, რომ ვერაფერს მიაღწიეს და ისე დაბრუნდნენ, თუმც მათ ვერავითარი ბრალი ვერ უპოვა, საკუთარი ხელით ზოცავს; ასევე თავის ვაჟიშვილ მირზასაც, ფრიად გონიერ ჭაბუკს, დედით ქრისტიანს, რაღაც უბრალო მიზეზით სიკვდილით სჯის.

სცენა 2

როდესაც მირზას ერთგული მსახური ამას ბასილინდას აცნობებს, იგი უფრო აინთება გაქცევის სურვილით – მრისხანებითა და ღვთისმოსაობით წაქეზებული, მაგრამ კარიფუსის წინაშე სიბრაზეს იკავებს, რომელიც ბასილინდას სიყვარულის მოპოვებას ცდილობს, და ჩუმად ყურში ეუბნება, რა ვერაგობის ჩადენას აპირებს ჰორმისდასი დედოფლის მიმართ. კარიფუსი უსთაზნასაც სთავაზობს, რომ თავის დედოფლისათვის საფრთხის ასაცილებლად ჰორმისდასს ფარულად დაესხას თავს, რათა უსთაზანიც საფრთხეში ჩააგდოს.

სცენა 3

მეფეს დიდ იმედი აქვს, რომ კატერინა უკვე მისია და ნიშნობის ბეჭედს აძლევს. კატერინა უარს განაცხადებს და ამბობს, რომ ასეთი ქორწინება ქრისტიანისათვის მოუღებელია, მაგრამ ქალური შიშისა და მორჩილი მოკრძალებულობის გამო აპატიებს ასეთ საქციელს. მთელი სამეფო კარი გახარებულია, დიდი ნადიმი მზადდება, ხოლო კატერინას გართობათა მოწყობა ევალება.

სცენა 4

ბასილინდა ღვთაებრივი შთაგონებით თავის თავს დიდ უბედურებას უწინასწარმეტყველებს. იგი თავს ღმერთის მფარველობას მიაწოდებს. მის კარებში ხმაღლაშიშვლებული ჰორმისდასი შემოიჭრება, მაგრამ უსთაზანის დახმარებით, რომელსაც ასევე ჰორმისდასის სიკვდილი სურს, ბასილინდა გადარჩება.

სცენა 5

ქართველ ტყვეთა შორის წარჩინებულნი წარუდგნენ მეფეს, რომელიც მათ სამეფო კარის თანამდებობებს უბოძებს. კატერინას მსახურობა წილად ზღა კავადას. მეფე მას ხელს მოჰკიდებს და კატერინასთან მიჰყავს.

სცენა 6

ჰორმისდასი განრისხებულია უსთაზანზე, რომელმაც სძლია და რომლის სიკვდილიც მას სურდა. ეჭვი კარიფუსზე – ვერაგ მრჩეველზე მიაქვს. მაგრამ იგი მოხერხებულად დაიდგრენს თავს და ჰორმისდასს გაქცევას ურჩევს, რაკი არაფერი უკეთესის რჩევა არ შეუძლია; თანაც ჰორმისდასს იმ ორთა წინააღმდეგ ბრძოლა სწყურია და ურჩევნია საზარელი სიკვდილით აღიგავოს პირისაგან მიწისა, ვიდრე დედოფლისა და უსთაზანის უსამართლობას უვნებლად გაექცეს.

სცენა 7

ბასილინდა და კატერინა სასახლიდან საიდუმლოდ მიდიან.

სცენა 8

მეფეს სურს კატერინაზე ზრუნვა კავადას დაავალოს, ეძებს კატერინას, მაგრამ ერთი მოახლე ტირილით ეტყვის, რომ კატერინა დაიკარგა, რის გამოც მეფე მთელ სამეფო კარს ფეხზე დააყენებს. განრისხებული თავის მეორე ცოლს, ქრისტიანს, სიკვდილით დასჯას უპირებს, მაგრამ როდესაც შეიტყობს, რომ ისიც გაიქცა, ჰორმისდასს, რომელსაც თავის ადრინდელ თანამდებობას უბრუნებს (მისი მეტოქის, კარიფუსის ბოლმის მიუხედავად), მეომართა თანხლებით გაქცეულებს დაადევნებს. ჰორმისდასი, რომელიც ბასილინდას მიმართ დაუოკებელი სიძულვილით არის განმსჭვალული, დაუყოვნებლივ იწყებს ბრძანების შესრულებას. კავადა წუხს, რომ თავის დანიშნულთან ერთად ვერ გაიქცა.

ქორო II

კატერინას მიერ გამოჩენილი სიმტკიცის წყალობით გემით პელორუმზე ცურვისას გონივრულად დააღწევენ თავს სირინოზების მომხიბლავ სიმღერას და ამ საშიშ ნაპირებს უხიფათოდ გაეცლებიან. დამარცხებული სირინოზები, აღშფოთებითა და სასოწარკვეთით აღსავსენი, დახმარებას სთხოვენ ქართა მეფეს, რომელიც თავის მომხრეთა წარმართულ გააფთრებას იზიარებს და გემს ღრმა უფსკრულისკენ მიაქანებს. როდესაც სიმტკიცით აღსავსე დედოფალი დაინახავს, რა გარდაუვალი საფრთხე ელის, ღმერთს მფარველობას შესთხოვს და ევედრება კლდესავით გაამაგროს, რათა ყოველგვარ საფრთხეს გაუძლოს.

მოქმედება III

სცენა 1

ერთი გლეხი ქალის გაუფრთხილებლობის გამო კატერინა გასცეს, დაატყვევეს და მეფეს მიჰგვარეს, რომელიც უბრძანებს მას სპარსთა რჯული მიიღოს ანდა გარეგნულად მაინც მოიქცეს ასე, მაგრამ კატერინა ამას უარყოფს. მაშინ მეფე უკანასკნელ და, როგორც თავად თვლის, ყველაზე ძლიერ ხერხს მიმართავს: მისი ქალური ბუნების დაძლევა ათასგვარი სიამოვნების მინიჭებით, ხოლო გონიერების ცთუნებას საჩუქრებით ცდილობს. ღადგან კატერინას ვერ დაიმორჩილებს, ბრძანებს ბოროტები დააღონ და ციხეში დაამწყვდიონ. ეფე, რომელიც ჯერ წყალობასა და რისხვას შორის მერყეობს, დიდ წყალობას ჰპირდება იმ დიდგვაროვანს, ვინც კატერინას გონებიდან ქრისტეს განდევნის.

სცენა 2

კარიფუსს ჰორმისდასი სძულს მისი დაწინაურების გამო და მასთან უნდა შეხვედრა. შეებმებიან ერთმანეთს და ჰორმისდასი დამარცხებული ეცემა. შემდეგ კარიფუსი თავისი მიზნების მისაღწევად და მეფის სიყვარულის დასამსახურებლად კატერინას დაყოლიებას მზაკვრობით ცდილობს. ოიგონებს, თითქოს წარჩინებულმა დიდებულებმა და თავად კავადამაც ქრისტიანული სარწმუნოება უარყვეს, რის გამოც დედოფალი ძალზედ შეწუხებულია, მაგრამ არ ამუღავნებს ამას და ქრისტიანულ სიმტკიცეს არ თმობს.

სცენა 3

[კავადაზე – მ. .] უნუგეშოდ შეყვარებულ კატერინას მეფე ერთ-ერთი თავისი სარდალის მეშვეობით შეახსენებს, რომ საბოლოო განაჩენი უნდა გამოუტანოს, თუ სასწრაფოდ არ შეიცვლის აზრს.

სცენა 4

საპრობილეში იესო ქრისტე კავადას სახით გამოეცხადება კატერინას და ღვთაებრივი სასოებით ამხნევებს. კატერინა, ურყევი თავის გაღაწყვეტილებაში, თავად მოითხოვს სიკვდილს, რასაც ამაყად ამცნობს მეფის მოციქულს.

სცენა 5

კარიფუსი, რომელმაც თანამდებობის მოსაპოვებლად მრავალი ზიფათი და შიში გადაიტანა, ძალიან დაიტანჯა და ჭკუაზე შეიშლება. ჭკუაზე შე-

ლილი ჰყვება, თითქოს ქართველ დედოფალს იმიტომ არ სურდა მეფესთან ნიშნობა, რომ თავად კარიფუსი უყვარდა ძალიან.

სცენა 6

მეფე ხედავს, რომ ვერაფერს მიაღწია და განრისხებული მიდის, რათა კატერინა საკუთარი ხელით მოკლას. შემდეგ კავადა შესაბრალისი თხ-
ოვნა-ვედრებით და საკუთარი სიკვდილით ცდილობს კატერინასთვის სი-
ცოცხლის შენარჩუნებას, რასაც მეფე იმ პირობით ჰპირდება (იგი მძვინ-
ვარებას ცბიერებასაც უმატებს), თუ კი გაქცეულ ბასილინდას, რომელსაც
ყველა ყოფილ პატივს აღუთქვამს, ქრისტიანები უკან დააბრუნებენ. კავადა
და ქრისტიანები მაშინვე გაუდგებიან გზას, რათა ბასილინდა იპოვონ და
ამით შეუნარჩუნონ ორივეს სიცოცხლე. ამ დროს კი მეფე ბრძანებს
კატერინას დაუყოვნებლივ მოჰკვეთონ თავი.

სცენა 7

ჭკუაზე შეშლილი კარიფუსი უსთაზნის მოსვლას მოითხოვს, რადგან
ფიქრობს, რომ მისმა ყოფილმა თანამზრახველმა თავი დააღწია სიკვდილს.
ამის გამო იგი ჭკუაზე მოდის და სიძულვილს სიყვარულით ცვლის.

სცენა 8

კატერინა სასიკვდილო განაჩენის სასტიკ სიტყვებს მოისმენს და სიკ-
ვდილით ცხოვრების უკანასკნელი სამყოფელის კარებს კეტავს.

ეპილოგი

ირისი მიცვალებული კატერინას სხეულს საფლავში მალავს და სა-
ფლავს მარმარილოს უკვდავი ამარანტით ფარავს. მერე კი, ხორციელ
კავშირთაგან განთავისუფლებული სული ცისკენ მალღდება. ხელოვნების
ქალღმერთი, რომელიც ასევე ამზადებს მის ამქვეყნიდან განსვლას, სკო-
ლის გენიას მიმართავს, რომ მადლიერების ნიშნად გიოსინგერების მთელი
ოჯახი ცისკენ დიდებული ტრიუმფით მიმავალ წამებულს ჩააბაროს, რათა
ამ წამებულმა მარადიული მფარველობა გაუწიოს ამ ოჯახს და ილოცოს
მისთვის თავის ციურ დიდებაში, რასაც ის შეისმენს”.

დამოწმებული ლიტერატურა:

ავალიშვილი 1938: ავალიშვილი ზ. თეიმურაზ პირველი და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, პარიზი, 1938.

ანთოლოგია 1981: ntológia Staršej Slovenskej Literatúry. Na vydanie pripravil a poznámky napísal J. Mišianik. Bratislava: Veda, 1981.

ანტონ I 1980: ანტონ I კათალიკოსი, შესხმა და მითხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთავანისათა, ქმნული ანტონისაგან არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოისა საქართველოსა, დავითიან-ბაგრატიონისა / ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი IV. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ენრიკო გაბიძაშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. თბილისი, გამომცემლობა: „მეცნიერება“, 1980.

არჩილი 1999: გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა / (არჩილი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი გამოსა- ცემად მოამზადეს, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს ი. ლოლაშვილმა, ლ. კეკელიძემ, ლ. ძოწენიძემ. გამოკვლევა რ. ბარამიძისა, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1999.

ატვატერი 1983: Attwater, Donald. Dictionary of saints, second edition, Penguin Books, 1983.

ბაგინი 1982: Bagin, A., Cirkevné dejiny _ novovek. Bratislava, 1982.

ბაგრატიონი 1876: ბაგრატიონი, დიმიტრი. წამება წმინდისა ქეთავან დედოფლისა. თფილისი, 1876.

ბარამიძე 1934: ბარამიძე, ალექსანდრე. თეიმურაზ პირველი. თეიმურაზ პირველი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფილისი: 1934.

ბარამიძე 1966: ბარამიძე ალ. თეიმურაზ პირველი. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი მეორე (XII-XVIII სს). ტომის სარედაქციო კოლეგია: ალექსანდრე ბარამიძე (რედაქტორი), გაიოზ იმედაშვილი, გივი მიქაძე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ბარამიძე რ. 1966: ბარამიძე რ. არჩილი. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი მეორე (XII-XVIII სს). ტომის სარედაქციო კოლეგია: ალექსანდრე ბარამიძე (რედაქტორი), გაიოზ იმედაშვილი, გივი მიქაძე. თბილისი, გამომცემლობა: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ბატონიშვილი ვახუშტი 1773: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: გამომცემლობა: „საბჭოთა საქართველო“, 1973.

ბერაძე 1965: ბერაძე პ. „ილიადის“ მხატვრული ადგილები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 114, თბილისი, 1965.

ბედნაროვა 2015: Bednárová, K. *Rukovät' dejín prekladu na Slovensku I. (18. a 19. storočie)*. Bratislava: Univerzita Komenského, 2015.

ბელობროვა 1992: Белоброва О. А. *О редком изображении царицы Кетеван. Грузинская и русская средневековые литературы*. Издательство Тбилисского университета. Тбилиси, 1992.

ბიბიჩაძე 1949: ბიბიჩაძე ა. გრიფიუსის „საქართველოს დედოფლის“ ერთი ეპიზოდის მნიშვნელობა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949.

ბიბიჩაძე 1958: ბიბიჩაძე ა. ქეთევან დედოფლის ისტორიულ წყაროთა შესახებ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII, 1958.

ბისელიუსი 1663: Bisseli, I. *Illustrium, Ab Orbe Conditio, Ruinarum*. Decadis IV, Pars II, Permissu Superiorum. Delingae, Formis Academicis, Apud Ignatium Mai-er. Anno M. CD. LXIII (1663).

ბრაგინი 1986: Брагин, Л. М.. Проблема нравственного идеала в этике Кристофоро Ландино. Культура эпохи возрождения. Ленинград: Наука, 1986.

ბრაუნი 2004: Браун, П. *Культ святых. Его становление и роль в латинском христианстве*. Москва, 2004.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. *წერილები, ესსეები*. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1991.

გაჩეჩილაძე... 1956: გაჩეჩილაძე გ. ნადირაძე გ. ერთი უცნაური შესწორების გამო. „ლიტერატურული გაზეთი“, 17 თებერვალი, 1956.

გელოვანი 1975: გელოვანი ა. ქეთევან წამებულის პოეტური აპოლოგია. ანდრეას გრიფიუსი. ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე. ტრაგედია ზუთ მოქმედებად, გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975.

გიორგაძე 1977: გიორგაძე ბ. შესავალი. დონ პიეტრო ავიტაბილე. ცნობები საქართველოზე (XVII ს). შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, „მეცნიერება“, თბ., 1977.

გიორგაძე 1990: გიორგაძე, რ. საქართველოს ეკლესიის სიძველეები ზაგორსკის მუზეუმში. ჟ. „ჯვარი ვაზისა“, № 2, 1990.

გოგიჩაიშვილი 1968: მერი გოგიჩაიშვილი. XVII-XVIII საუკუნეების ქართული პოეზიის მცირე ჟანრები. ძველი ქართული მწერლობის საკითხები, III. თბილისი, 1968.

გუგუშვილი 1981: გუგუშვილი მ. თეიმურაზ პირველი. შემოქმედებითი პორტრეტი. . თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981.

გულბენკიანი 1987: გულბენკიანი რ. ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ. ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“. 1987.

გრიფიუსი 1975: გრიფიუსი ა. ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე, ტრაგედია ხუთ მოქმედებად, გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოანმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975.

დავრიჟეცი 1974: დავრიჟეცი ა. არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974.

დარნლტი... 2018: Darnault, S. and Ağir, A. *Remapping Travel Narratives, 1000-1700: To the East and Back Again*. Amsterdam: ARC Humanities Press, 2018.

დოდორქელი 1974: დოდორქელი გ. წამებაი ყოვლადდიდებულის მოწამისა დედოფლისა ქეთევანისაი. ლიტერატურული ძიებანი, V. თბილისი: საქართველოს მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1949. **დარნლტი**

დე სანკტისი 1963: Де Санктис, Ф. *История итальянской литературы, том I*. Москва: Издательство иностранной литературы, 1963.

დუმ ანჟუში 2022: მამა ამბროზიო დუმ ანჟუში. ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი დედოფლის ქეთევანის, დოპოლის, სახელოვან მოწამებრივ სიკვდილზე. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2022.

ბერი ეგნატაშვილი 1959: ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.

ვაინშტაინი... 1982: Weinstein D., Bell R.M. *Saints and Society: The Two Worlds of Western Christendom, 1000-1700*. The University of Chicago Press. 1982.

ვიპერი 1990: Виппер, Ю. Б. *О РАЗНОВИДНОСТЯХ СТИЛЯ БАРОККО В ЗАПАДНОЕВРОПЕЙСКИХ ЛИТЕРАТУРАХ XVII ВЕКА* (Виппер Ю. Б. *Творческие судьбы и история. (О западноевропейских литературах XVI - первой половины XIX века)*. Москва, 1990. <https://forlit.philol.msu.ru/lib-ru/vipper3-ru>)

თამარაშვილი 1902: თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი, 1902.

თეიმურაზი 1934: თეიმურაზ პირველი. წამება ქეთევან დედოფლისა. თეიმურაზ პირველი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფილისი, 1934.

თეიმურაზი 2017: მეფე თეიმურაზი. წამება ქეთევან დედოფლისა. ახალი გამოცემისათვის ტექსტი მოამზადა, შესავალი და კომენტარები დაურთო თეა ქართველიშვილმა. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2017.

იმედაშვილი 1964: იმედაშვილი გაიოზ. თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“ და მარტვილოლოგიური ჟანრი. ძველი ქართული ლიტერატურის საკითხები. კრ. II, თბილისი, 1964.

ისტორია 1987: *История зарубежной литературы XVII века.* Москва: Высшая школа, 1987.

კარბელაშვილი 1979: კარბელაშვილი გ. მკვლევარებით ჩაფერვლილი გულები. თბილისი: გამომცემლობა: „მერანი“, 1979.

კასტელი 1977: კასტელი, დონ კრისტოფო დე. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977.

კეკელიძე 1924: კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. II ტომი. საერო მწერლობა XI-XVIII ს. ტფილისი, 1924.

კეკელიძე 1951: კეკელიძე კ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტომი პირველი. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1951.

კეკელიძე 1958: კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი ქართული ლიტერატურა. II. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1958.

კეკელიძე 1955: კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. III. თსუ გამომცემლობა, 1955.

კეკელიძე 1960: კეკელიძე, კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1960.

კეკელიძე 1968: კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. X. ტომი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.

კეკელიძე 1974: კეკელიძე კ. მაკრინეს ლიტერატურული მემკვიდრეობა. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. XIII. ტომი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974.

კენჭოშვილი 1961: ინგლისური კენჭოშვილი ი. ინგლისური წიგნი ქეთევან დედოფალზე. ჟ. „მნათობი“, 1961/1.

კოვალსკი 1991: Ковальский Я. В. Папы и папство. Москва: Издательство политической литературы, 1991.

კოვარი 2015: Kovács, E. Krátke d ějiny jezuitského divadla v Trenčíně. Okno do hunby a architektúry. Kultúrno-historická príloha katalógu 8. ročníka medzinárodného výtvarno-literárneho sympózia ORA ET ARS SKALKÁ 2015.

კოპასი 2013: Kopas, L. Náčrt dejín barokovej školskej hry Spoločnosti Ježišovej v Prešove II. ESPES Roč./vol. 2/ # 1, 2013.

კოპასი 2016: Kopas, L. Umenie verzus skutočnosť v barokovej jezuitskej školskej dráme Švehla. ESPES, Vol. roč. 5/ # 2, 2016

კოპასი 2020: Kopas, L. JEZUITSKÁ TEÓRIA DRÁMY A JEJ ODRAZ V BAROKOVOM ŠKOLSKOM DIVADLE SPOLOČNOSTI JEŽIŠOVEJ NA ÚZEMÍ DNEŠNÉHO SLOVENSKA. Slovenské divadlo, 2020.

ლანგი 1956: Lang, David Marshall. *Lives and Legends of Georgian Saints*. London, 1956.

ლაშქარაძე 1977: ლაშქარაძე დ. *ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თეიმურაზ პირველიდან ნიკოლოზ ბარათაშვილამდე*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.

ლატიშევი 1990: ლატიშევი ს. *ტრაგიკული დაღუპვის ექო. გაზ. „თბილისი“*, 28 მარტი, 1990, № 71 (11190).

ლიპატოვი 1979: Липатов А. В. Литературный облик польского барокко и проблемы изучения древнерусской литературы. *Славянское барокко: историко-культурная проблема эпохи*. Москва: Наука, 1979.

მარკუსკოვა 2010: MARKUSKOVÁ, H. *Životné pomery v Nových Zámkoch v čase osmanskej nadvlády (1663 – 1685)*. HISTORICKÉ ŠTÚDIE K JUBILEU ROMANA HOLECA. HISTORIA NOVA. I. BRATISLAVA, 2010.

მუმლაძე... ქუთათელაძე 2014: მუმლაძე, დ. ქუთათელაძე, თ. ქართული დრამატურგიის ისტორია. ტომი I. თბილისი: გამომცემლობა: „კენტავრი“, 2014.

მინარიკი 1985: MINÁRIK J. *Dejiny slovenskej literatúry. I. Staršia slovenská literatúra. (800-1780)*. Bratislava: SPN, 1985.

მიქაძე 1974: მიქაძე გ. *ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან*. თბილისი, გამომცემლობა: „მეცნიერება“, 1974.

ნატროშვილი 1988: ნატროშვილი თ. *წელი ერთი და წელი ათასი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1988.

ნაჭყებია 1992: ნაჭყებია, მ. *უცნობი სლოვაკური პიესა ქეთევან დედოფლის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“*, ენისა და ლიტერატურის სერია. თბილისი, 1992 №1.

ნაჭყებია 2007: ნაჭყებია, მ. *მორალური გმირის ძიება ქართულ და ევროპულ ბაროკოს ლიტერატურაში. ლიტერატურული ძიებანი XXVIII*. 2007.

ნაჭყებია 2022: ნაჭყებია, მ. *მხატვრული ტექსტი ლიტერატურულ მიმდინარეობათა კონტექსტში*. თბილისი: გამომცემლობა: „საჩინო“, 2022.

ოვიდიუსი 1980: პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი. *მეტამორფოზები*. ლათინურიდან თარგმნეს ნ. მელაშვილმა, ნ. ტონიამ, ი. გარაყანიძემ. რედაქცია, შესავალი წერილი და კომენტარები აკაკი ურუშაძისა. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980.

ოლგარისუსი 1906: Олеарий, А. *Описание путешествия в Московию и через Московию в Персию и обратно*. С.-Петербург: Издание А.С.Суворина, 1906 г.

ორლოვსკაია 1965: Орловская Н. К. *Грузия в литературах Западной Европы XVII - XVIII веков*. Тбилиси: Изд-во Тбилисского Университета, 1965.

პაიჭაძე 1965: პაიჭაძე, გ. *მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის (1652-1658)*. საისტორიო მოამბე № 19-20, თბილისი, 1965.

პირსონი 1986: Pearson, C. S. *The Hero Within. Six Archetypes We Live By*. San Francisco: Harper & Row Publishers, 1986

პოლგარი 1957: Polgar, L. *Bibliographia de historia Societati Jesu in olim corona Hungarica unitis (1560-1773)*. Roma, Institutum Historicum S. J., 1957.

პურიშვი 1955: Пуришев Б. И. *Очерки немецкой литературы XV-XVII вв.* Москва: Гослитиздат, 1955.

ჟორდანია... 1994: Жордания, Г., Гамезардашвили, З. *Римско-католическая миссия и Грузия, Из истории взаимоотношений папства и миссионеров с картлийско-кахетинским царством и крымским ханством, горийские миссии, конец XVI и 20-30-е годы XVII столетия*. Тбилиси: Издательство ТГУ, 1994.

რაბიშვილი 1904: რაბიშვილი, ი. *ქართველი ქალი გერმანულ დრამატულ ხელოვნებაში*. ცნობის ფურცელი, 1904, № 2654.

რევიშვილი 1971: რევიშვილი შ. *XVII საუკუნის გერმანელი მწერალი ქართველების შესახებ*. ჟ. „ცისკარი“, 1971/12.

რევიშვილი 1975: რევიშვილი, შ. *ანდრეას გრიფიუსი და მისი ქეთევან ქართველი*. ანდრეას გრიფიუსი. ქეთევან ქართველი ანუ გაუტყეული სიმტკიცე. ტრაგედია ზუთ მოქმედებად, გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975.

რუხაძე 1949: რუხაძე, ტ. *ახლადამოწმებული „ცხოვრება და წამება“ ქეთევან დედოფლისა. ლიტერატურული ძიებანი V. საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1949.*

სულავა 2003: სულავა, ნესტან. *XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია*. გამომცემლობა: „მერანი“, თბილისი, 2003.

სოფრონოვა 1978: Софронова Л. А. *Миф и драма барокко в Польше и России*. Миф – Фольклор _ Литература. Ленинград: Наука, 1978.

სოფრონოვა 1982: Софронова Л. А. *Принцип отражения в поэтике барокко*. Барокко в славянских культурах. Москва: Наука. 1982.

სტურუა 1995: სტურუა ზ. *პიეტრო დელა ვალეს მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები „განახლდა ვალე!“*. მწიგნობარი 1993-1994. თბილისი, 1995.

ტაბალუა 1986: ტაბალუა ი. *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი), (1600-1628 წწ.), II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986.*

ტაბალუა 1987: ტაბალუა ი. *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, (1628-1633 წწ), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987.*

ტომაშევსკი 1997: Томашевский Н. *Испанский театр золотого века*. Испанский театр. Москва: 1969.

ტრევერ-პოპერი 2001: Trevor-Poper, H. *The Crisis of the Seventeenth Century*. Liberty Fund Indianapolis, 2001.

ფალსაფი 1978: ფალსაფი, ნ. შაჰ-აბას პირველის ცხოვრება. ტ. I, ტ. II, ტ. III, ტ. IV, თეირანი, უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული, თარგმანი ლ. ჟორჟოლიანისა, წინასიტყვაობა და კომენტარები ჯ. სტეფნაძისა, ისტორია, ნ. თბილისი, გამომცემლობა: „მეცნიერება“, 1978.

ყაზბეგი 1949: ყაზბეგი, ა. თხზულებანი. ტომი მესამე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი 1949.

შარდენი 1975: შარდენი ჟ. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მაგალობლიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.

შატეი... 1965: Šátek, J., Dámborak K, F., Buchta, J. Tristo rokov skalického gymnázia. Skalica: Školská a kultúrna komisia pri MsNV, 1965.

შეეო 1997: Chauveau, Jan-Pieree. *Lire le baroque*. DUNOD, Paris: 1997.

შტაუდი 1984: Staud, G. *A Magyarországi Jezuita Iskolai Szeínjátékok Forrásai I. 1561-1773*. Fontes Ludorum Scenicorum In Scholis S. J. Hungariae, Pars prima, Budapest, A Magyar Tudományos Akadémia Könyvtárának Kiadása, 1984.

ჩიკვაიძე 2022: ჩიკვაიძე, ე. ქეთევანიანი – პოეტური ჰაგიოგრაფია. ჟ. „სემიოტიკა“, 22. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი. თბილისი, 2022.

ჩხეიძე 1993: ჩხეიძე რ. ზღუდე ბოროტების წინაშე. ლიტერატურული საქართველო, 1993, 1 ოქტომბერი, № 40 (3940).

ცესნაკოვა... 1967: CESNAKOVÁ, M., NOSKOVIČ, A., ČAVOJSKY, L., Lehuta, E., Kapitoly z dejín slovenskeho divadla, Bratislava, 1967.

ძეგლები V. 1989: ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები V. თბილისი: გამომცემლობა: „მეცნიერება“, 1989.

ხახანაშვილი 1904: ხახანაშვილი ა. ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი დროიდან მე-XVIII საუკ. გასულამდე). ტფილისი, 1904.

ხუროძე 1937: ხუროძე, ვ. კითხვისა და წერის შესწავლის მეთოდი ძველ საქართველოში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში. მასალების კრებილი. I. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა. თფილისი, 1937.

ჯავახიშვილი 1904: Джавахов, И. А. (Джавахишвили Иван Александрович). Византийский временник, 1904. т. XI, История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века. (I-VIII).

ჯავახიშვილი 1967: ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი მეოთხე. XV-XVIII საუკუნეები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1967.

ჯამბურია 1964: ჯამბურია, გ. გიორგი სააკაძე. თბილისი: გამომცემლობა: „ნაკადული“, 1964.

Abstract

The monograph is a publication dedicated to 400th anniversary of martyrdom of Queen Ketevan, in 1624, in Shiraz. This historical fact was followed by wide resonance in the European countries: Portugal, Italy, France, Spain, Germany, England and now, Slovakia joined these counties.

The monograph provides description of the historical background of 17th century in Georgia and in Europe: in 17th century, in Georgia, the political situation was indeed very heavy, regarding collision of political interests of three large countries – Persia, Ottoman and Russia. Tragic fate of Queen Ketevan, a sagacious politician, developed in this strained historical situation. The work also offers discussion of the situation in the Europe of that period, time of the most religiously motivated conflict – Thirty Years' War (1618-1648) and almost entire Europe was involved in this conflict. This war was accompanied with enormous number of victims, pessimism, disappointment and this was reflected in the literature of Baroque epoch. The book considers different views of Georgian scientists about the 'Martyrdom of Queen Ketevan' by Teimuraz I. The poem by Teimuraz I focuses attention on creative characters of Queen Ketevan and her antipode, Shah Abbas, depicting fierce confrontation between Christian religion and violent Moslem ideology. The work also underlines Queen Ketevan's as a woman's dedication to the religion and native land. The work also considers Queen Ketevan's acrostic, the first specimen of this genre in Georgian literature of that period and there is expressed the view that the acrostic is based on Georgian religious poetry. The work discusses the literary-musical composition "Vale Renewed!" (1629), where there are mentioned Caucasus and Georgia and names Ketevan the Martyr, as potentially saint of Catholic Church. In 1647, German dramatist, Andreas Gryphius wrote drama "Katherina von Georgien", which has attracted Georgian researchers' attention mostly due to his historical sources. Special chapter is dedicated to the history of studying of this drama sources. Andreas Gryphius's tragedy "Ketevan von Georgien" belongs to Baroque epoch, the tragedy is a dramatic composition of the historical chronicles type, providing very accurate description of the heaviest political situation in Georgia of that period, based on the sources used by Gryphius, with the allusion to the fate of his native land, in Thirty Years' War. Significant fact is that in 1701, in Skalica, Slovakia, there was staged so called school play "Katherine, Queen of Georgians, Decorated with Her Own Blood, Presented on the Stage", dealing with Queen Ketevan's dedication to the religion. There is maintained the

play's bilingual synopsis in Slovaized Czech and Latin languages. The play about martyrdom of Queen Ketevan would be the symbol and example of dedication to the faith and native land for the audience and for the pupils of the gymnasium – the sample of high moral. In modern Slovakian literary studies, this play is not properly studied and there was offered that possibly, this was reworked translation of Gryphius's tragedy. Comparison of the sources specified by Slovakian author of school play with the play showed that the play was based on the documented historical materials checked by the author and it is the original work of Slovakian Baroque. The monograph considers Teimuraz's poem in the context of the European Baroque literature, indicating that in Georgia, as well as in Europe, seeking of the moral hero was on agenda and Ketevan's image in the European literature, was accepted as a moral hero. Ketevan's patriotic spirit and dedication to the faith was the ideal that supported the Baroque person involved in endless religious wars.

The myth of abandoning the Orthodox Christian Church and conversion to Catholicism by Queen Ketevan emerged against absolutely specific historical-political background and its authors were the Augustinians monks in Shiraz who interested in establishment of mission in Georgia at that time. This version was disseminated in Europe and reflected in the European sources and baroque literature. The work provides detailed study of all European sources and on the basis of these materials falseness of this version became apparent: in 17th century, Pope Urban VIII introduced very strict rules of canonization and one of the main requirements was religious purity, implying membership of Catholic Church and loyalty to it. And for this reason, Catholic Rome did not canonize Orthodox Christian Queen Ketevan, irrespective of great efforts of Ambrosio dos Anjos. Queen Ketevan met cruel torture and died as Orthodox Christian. Soon she was canonized in Georgia.

In Georgian literature of 18th century, personality of Queen Ketevan was still in the focus of attention. This attention showed up mostly in the religious literature. Personality of Ketevan the Martyr was reflected in both, hagiographic literature and hymnography. The monograph includes chronologically ordered data about gaining of holy relics of Queen Ketevan and places of their rest.


Ketevan's image was reflected in Georgian literature of 19th – 20th centuries in dramaturgy, novels and poetry. And finally, 17th century is the century of restoration of Georgian-European historical, political and cultural-literary relationships; attention of number of the European countries to Georgia

showed up in wide historical materials, depicting historical and political situation of Georgia of that time. Main attention was paid to the theme of Queen Ketevan, whose martyrdom was depicted in the historical materials of that period and became subject of art. Due to the existing circumstances, epochal belonging of that century was seeking of the hero and particularly of the moral hero, and contemporary history of Georgia introduced to Europe the true, convincing tragic materials of such moral heroism, based on the historical facts and evidenced by the eyewitnesses. All above, demonstrate, once more that historically, Georgia is a part of Christian Europe.


ილუსტრაციები



ქეთევან წამებული. ციტირებულია: რ. გულბენკიანი. ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ. „მეცნიერება“, 1987.



„კატერინა, ქართველთა დედოფალი...“ (1701) პიესის სინოფსისის თავფურცელი. ციტირებულია: Mišianik J. Dejiny staršej slovenskej literatúry. VSAV, 1958.




ბისელიუსი. Illustrium, Ab Orbe Conditio, Ruinarum (1663). წიგნის თავფურცელი.



ქეთევან დედოფლის წამება. დეტალი. ციტირებულია: რ. გულბენკიანი. ნამ-
დვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის
შესახებ. „მეცნიერება“, 1987.

ქეთევან წამებულის ამბის გავრცელების გეოგრაფია და ქრონოლოგია



- | | | | |
|---------------|--|---------------|---|
| 1. იტალია: | 1625, „ნამდვილი ცნობები“
1629, პეტრო დე ვალე, „კამასილა ვალე“
1627-1654, კრისტოფო დე კასტელი, „ალბომი სატრეველოზე“ | 5. საბერძნეთი | 1626, ბერი ვრცევირი, „წერილი ქართველი ხელმწიფის დედის
წამებისა და ამ შემთხვევის გამო იუზუფთა იმეათ ვერაგობაზე“ |
| 2. საფრანგეთი | 1635, კლოდ მალენგრი, „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“
1686, ჟან შარდენი, „შარდენის მოგზაურობა“ | 6. ინგლისი | 1633, ბერი გრეგორიოს წერილი გამოქვეყნდა ოქსფორდში |
| 3. პორტუგალია | 1625, ფერნანდო ავტორის კომპილაცია „მოკლე ცნობები
ქრისტიანობის შესახებ“. | 7. სლოვაკია | 1701, ანონიმი სლოვაკი იუზუფტი, „ქეთევანა ტრადიციული დედოფალი,
თავის სიხშილით შემკული, სეცნაზე წარმოდგენილი“. |
| 4. გერმანია | 1663, იოჰანეს ჰოსელფი, „პრინციპალია დამოხა“ | | |

ქეთევან წამბულის წმინდა ნაწილების გავრცელების ამსახველი რუკა




წმინდა ქეთევანის ნაწილების გავრცელების ადგილები

● ქალაქი

■ ქვეყანა

← - - - წმინდა ქეთევანის ნაწილების გავრცელების მარშრუტი



პანალია ქეთევან წამებულის გამოსახულებით. ციტირებულია: Кетеван. Православная энциклопедия. Москва: 2013. <http://www.pravenc.ru/text/1684283.html> (სტატიის ავტორი — მ. ნაჭყებია).



ქეთევან დედოფლი. ზატი

სარჩევი

შესავალი.....	3
თავი I. ეპოქის ისტორიული მიმოხილვა.....	8
თავი II. თეიმურაზ პირველის პოემის – „წამება ქეთევან დედოფლისა” – შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	23
თავი III. თეიმურაზის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა”	44
თავი IV. ქეთევან დედოფლის ანბანთქება.....	56
თავი V. პიეტრო დელა ვალეს მუსიკალურ-დრამატული თხზულება „განახლდა ვალე!“	63
თავი VI. ანდრეას გრიფიუსის „ქეთევან ქართველის” წყაროთა კვლევის ისტორია.....	67
თავი VII. ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე”	95
თავი VIII. ანონიმი სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესა „კატერინა ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული”	104
თავი IX. მორალური გმირის ძიება ქართული და ევროპული ბაროკოს ლიტერატურაში.....	127
თავი X. ოლქარიუისის და ბისელიუსის წყაროების შედარება ანონიმი სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესასთან	137
თავი XI. ქეთევან დედოფლის აღმსარებლობის საკითხი ევროპულ წყაროთა შუქზე.....	150
თავი XII. შაჰ-აბასის ქეთევანისადმი ტრფობის მოტივის წარმოშობის ქრონოლოგია.....	179
თავი XIII. ქეთევან წამებული XVIII საუკუნის აგიოგრაფიულ მწერლობაში.....	188
თავი XIV. ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები და იკონოგრაფია.....	196
თავი XV. ეპილოგი: ქეთევან წამებულის ასახვა XIX - XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.....	201
თავი XVI. დასკვნა.....	209
თავი XVII. დანართი. უცნობი სკალიცელი იეზუიტის სასკოლო პიესა „კატერინა, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული” (1701) სინოფსისი	213
დამოწმებული ლიტერატურა	220
Abstract.....	227
ილუსტრაციები	231

